

ნანა ხაზარაძე

წყალობის მცოდნეობითი  
და ისტორიოგრაფიული  
ძიებანი



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული  
აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და  
ეთნოლოგიის კომისია  
ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის  
შენახვისა და პროპაგანდის სამეცნიერო  
ცენტრი

COMMISSION FOR HISTORY, ARCHAEOLOGY AND  
ETHNOLOGY OF THE GEORGIAN NATIONAL  
ACADEMY OF SCIENCES  
SCIENTIFIC CENTRE FOR STUDIES AND  
PROPAGANDA OF HISTORY, ETHNOLOGY AND  
RELIGION

КОМИССИЯ ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ И  
ЭТНОЛОГИИ НАЦИОНАЛЬНОЙ АКАДЕМИИ  
НАУК ГРУЗИИ  
НАУЧНЫЙ ЦЕНТР ИЗУЧЕНИЯ И ПРОПАГАНДЫ  
ИСТОРИИ, ЭТНОЛОГИИ И РЕЛИГИИ



გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი 2009



წინამდებარე კრებული, ისევე როგორც 2001, 2005, 2006 წლებში გამოქვეყნებული ანალოგიური გამოცემები, ძველამოსავლურ და ქართველოლოგიურ ძიებებს ეძღვნება, იმ განსხვავებით, რომ მასში, ამჯერად, საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი ქართველი ამაგდარი ისტორიკოსების: გიორგი მელიქიშვილის, გრიგოლ გიორგაძის, ედუარდ მენაბდის, დავით ხახუტაიშვილის, დევი ბერძენიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობის შესწავლის ამსახველი ისტორიოგრაფიული ნარკვევები. კრებული განკუთვნილია სპეციალისტებისა და ისტორიით დაინტერესებული მკითხველი ფართო საზოგადოებისათვის

6025477

**რედაქტორი:** აკადემიკოსი  
**დავით მუსხელიშვილი**

**რეცენზენტები:** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი  
**მანანა ხიდაშელი**  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი  
**ირინე ტატიშვილი**

© ნ. ხაზარაძე, 2009

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2009

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-919-3



ნანა ხაზარაძე

წყაროთმცოდნეობითი და  
ისტორიოგრაფიული ძიებანი



გამომცემლობა „ანიპრესალი“  
თბილისი 2009



**NANA KHAZARADZE  
SOURCE-STUDY AND HISTORIOGRAPHIC  
RESEARCHES**

**НАНА ХАЗАРАДЗЕ  
ИСТОЧНИКОВЕДЧЕСКИЕ И  
ИСТОРИОГРАФИЧЕСКИЕ ИЗЫСКАНИЯ**

**TBILISI  
2009**

**ТБИЛИСИ  
2009**



# კუძლენი ჩემი მასწავლებლების ნათელ ხსოვნას

## წინათქმა

წინამდებარე გამოცემა, ისევე როგორც 2001, 2005 და 2006 წლებში გამოქვეყნებული ჩემი კრებულები, ძველად-მოსავლურ და ქართველოლოგიურ ძიებებს ეძღვნება, იმ განსხვავებით, რომ ამჯერად, მასში საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი ქართველი ამაგდარი ისტორიკოსების სამეცნიერო მემკვიდრეობის შესწავლის ამსახველი ნარკვევები. ჩემი დიდი მასწავლებლის, გიორგი მელიქიშვილის, მეგობარ-კოლეგების: გრიგოლ გიორგაძის, ედუარდ მენაბდის, დავით ხახუტაიშვილის, დევი ბერძენიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან ხელახალი შეხებისას, უნებურად, პარალელურ ბიოგრაფიებთან დაკავშირებული პლუტარქესეული სიტყვები გამახსენდა. ანტიკური ხანის მწერლობის ეს უდიდესი წარმომადგენელი ბრძანებდა: „ბიოგრაფიების წერა სხვებისათვის დავიწყე. ამ მიზანს კვლავ ვემსახურები, მაგრამ ახლა ვცდილობ ცხოვრების წესი ჩემი გმირების მიბაძვით გამოვასწორო: მათთან ერთად ვარ, არც ერთი ნაბიჯით არ ვშორდები. თითქოს რიგრიგობით, თითოეულ მათგანს, ჩემს სახლში ვმასპინძლობ, ვესაუბრები. მათ საუკეთესო თვისებებს ვითავისებ. განა შეიძლება ეს ნეტარება სხვა რამეს შეედაროს ან არსებობს კი უფრო ჭეშმარიტი გზა ცხოვრების (ზნის) გამოსასწორებლად?“ მართალია, ჩემს ასაკში ჩემი ისტორიოგრაფიული ნარკვევების გმირების მაგალითებზე გავხდე უკეთესი, ვიდრე სინამდვილეში ვარ, ალბათ, ძნელად მისაღწევია, თუმცა სრულყოფილებისაკენ სწრაფვა, ჩემთვის განკუთვნილ, დარჩენილ დროშიცაა შესაძლებელი!

**წყაროთმცოდნეობითი ქიჯანეი**

**RESEARCHES CONCERNING SOURCE  
STUDY**

**ИСТОЧНИКОВЕДЧЕСКИЕ  
ИЗЫСКАНИЯ**

ძვ. წ. XVI საუკუნეში შექმნილ იეროგლიფურ-  
ლუვიურ დამწერლობაში მზის ღვთაების აღმნიშვნელი  
რამდენიმე იეროგლიფი მოწმდე-  
ბა.



მზის ფრთოსანი დისკო:

1. ორნამენტური მოტივი რელიეფებსა და საბეჭ-  
დავებზე.

2. „ჩემი მზე“, „მე მზე“. სამეფო ტიტულატურაში  
შემავალი ლოგოგრამა. ფონეტიკური ნაკითხვა უცნო-  
ბია.

3. „დიდი მეფის“ აღმნიშვნელი ლუვიური იეროგლი-  
ფის ზემოთ განთავსებული ტრადიციული სამეფო კარ-  
ტუში (ე. წ. ედიკულა). ეს გამოსახულება ხშირად სამე-  
ფო საბეჭდავებსა და სამეფო წარწერებში დასტურდე-  
ბა.



„მზე“. ლოგოგრამა, ღვთაების აღმნიშვნელ დე-  
ტერმინატივთან ერთად. ფონეტიკური კომპლემენტი –  
wa/wats. ფონეტიკური ნაკითხვა უცნობია<sup>1</sup>.

სხვადასხვა დაწერილობით შესრულებული მზის  
ღვთაების აღმნიშვნელი, ზემომოყვანილი ლუვიური იე-





როგლიფების სემანტიკური კოდის უფრო ღრმად გასაზრებისათვის სადღეისოდ ყველაზე სარწმუნო წერილობითი წყაროები ხეთური ლურსმული ტექსტები, ხეთური და გვიანხეთური ხანით დათარიღებული იეროგლიფურ-ლუვიური ეპიგრაფიკული ძეგლებია. ამ თვალსაზრისით კი, შემდეგია გასათვალისწინებელი:

ხეთურ ლურსმულ ტექსტებში მრავალგზის მოხსენიებული მზის ღვთაება (<sup>D</sup>UTU), რომელიც მზის აღმნიშვნელი ხათური Eštan-იდან მომდინარე Ištanu-დ იწოდება<sup>2</sup>, სხვადასხვა ეპითეტებითაა შემკული: ცისა (nepišaš/AN-ŠAME), მიწისა (taknaš/KI-ER-SETIM), წყლისა (ME/wete-ne)... ხეთებისათვის ლოკალური საკულტო ცენტრების მზის ღვთაების ისეთი ზედწოდებებიცაა ცნობილი, როგორიცაა: ქალაქ არინას მზის ღვთაება (<sup>D</sup>UTU<sup>URU</sup>Arina), ქათაფას მზის ღვთაება (<sup>D</sup>UTU<sup>URU</sup>Katapa), შამუხას მზის ღვთაება (<sup>D</sup>UTU<sup>URU</sup>Šamuḫa), ციფალანთას მზის ღვთაება (<sup>D</sup>UTU<sup>URU</sup>Zipalanta) და ა. შ. ხეთურ ლურსმულ ტექსტებში მზე უმთავრესად ხეთების პანთეონის უზენაეს ქალღვთაებადაა წარმოდგენილი. მისი ეპითეტებია: დედა (AMA, anna-), ქალბატონი (GAŠAN), დედოფალი (MUNUS.LUGAL), ღმერთების მზე (DINGIRmeš-nan<sup>D</sup>UTU). მზე არაერთგზის მამრი ღვთაების რანგშიც გვევლინება. ამ შემთხვევაში მას მამის (atta-), ბატონის (EN/BEL/išha-), მეფის (LUGAL/haššu-), მწყემსის (LUSIPA(UDU)/weštara-), ძის (DUMU) ტერმინებით მოიხსენიებენ. ხეთურ ტექსტებში მზის მამრი ღვთაება ცასთანაა დაკავშირებული, ხოლო მიწა მდედრ ღვთაებასთან. საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური და კულტურული



განვითარების გარკვეულ ეტაპზე, ისევე როგორც სხვა არაერთ რელიგიაში, ხეთურშიც, მიწის ქალღვთაების – ღმერთების დედის, დედამიწის, დიდი დედის – ასტრალიზაციის შედეგად იგი მზესთან ასოცირებული აღმოჩნდა და „პერსონიფიცირებულ იქნა ამომავალ და მიწაში ჩამავალ მზესთან. მიწისა და ცის ღვთაებათა იპოსტასების გაერთიანებამ მზის ქალღვთაებას სამყაროს, კოსმოსის უზენაესი მანათობლის სახელი დაუმკვიდრა“<sup>3</sup>.

ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ ხეთური ლურსმული ტექსტებიდან რამდენიმე ამონარიდის მოხმობით შემოვიფარგლებით<sup>4</sup>.

ხეთების პანთეონში მზის, როგორც მამრი, ასევე მდედრი ღვთაების განსაკუთრებით გამორჩეულ სტატუსზე მითითებებს, არაერთ ხეთურ ლურსმულ ტექსტში ვადასტურებთ.

მზის ერთ-ერთ საგალობელში, რომელიც ქანთუცილის (ძვ. წ. XIVს.) სახელითაა შედგენილი, ვკითხულობთ: „ღვთაებათა შორის მხოლოდ შენ ხარ ტახტის ღირსი გმირი, მზე სახიერო! შენ აწესებ ღმერთთათვის წესებს. გარდასულ ღმერთთაც მხოლოდ შენ ერთი განუსაზღვრავ წილს... თუ სიტყვას ეტყვი, ჰოი, მზეო, ღმერთნი მუხლმოდრეკით ლოცულობენ შენზე“. კიდევ უფრო შთამბეჭდავია ქ. არინას მზის ქალღვთაებისადმი აღვლენილი მურსილი II-ის (ძვ. წ. XIVს.) ლოცვა და ჰიმნი. მეფე ბრძანებს: „შენ, არინას მზის ქალღმერთო, დაფასებული ღვთაება ხარ. // მხოლოდ ხათის ქვეყანაში გაქვს ტაძრები, (ქვისაგან) მკვიდრად ნაგები... მხოლოდ ხათის ქვეყანაში გაქვს წმინდა ტაძრები, ვერცხლითა



და ოქროთი // შემკული. არც ერთ სხვა ქვეყანაში // (ასეთი ტაძრები) არ გაგაჩნია. ვერცხლის, ოქროსა (და) ძვირფასი ქვებისაგან (დამზადებული) თასები, რიტონები მხოლოდ ხათის ქვეყანაში (გაქვს). // დღესასწაულებს – ყოველთვიურს, ყოველწლიურს, // ზამთრის, შემოდგომის, გაზაფხულის დღესასწაულებს, // სისხლიან მოხმობის რიტუალებს მხოლოდ ხათის ქვეყანაში გისრულებენ. // შენი – მზის ქალღმერთის, ღვთაებრიობა მხოლოდ ხათის ქვეყანაში(ა) დაფასებული... ღვთაებებს შორის // მხოლოდ შენ (ხარ), არინას მზის ქალღმერთო დაფასებული (და) დიდი. // არინას მზის ქალღმერთო, სხვა ღვთაება შენზე // უფრო დაფასებული და დიდი არ არსებობს..." ერთ-ერთი ხათურ-ხეთური ბილინგვა (CTH 733,Nr. 112 II 10-13; 113 II 20-23) გვამცნობს: „...ქურუმი ასე ამბობს: „შეგვინყალე, მზის ღვთაებავ! მოკვდავთ შორის შენ მზის ღვთაება ხარ, ღმერთებს შორის კი – ბრწყინვალე / სინათლე (ხარ), ღვთაება (და) დედოფალი (ხარ) შენ“. დაახლოებით იგივე შინაარსისაა ხეთური სხვა ტექსტის (CTH 733,Nr.III 21-24) შემდეგი პასაჟი: „როდესაც ადამიანი ქაშქათში ხუვასი-სტელასთან მზის ღვთაებას თაყვანს სცემს, ქურუმი ამბობს: „შეგვინყალე ქაშქათის მზის ღვთაებავ, მოკვდავთა შორის შენ ქაშქათის მზის ღვთაება ხარ, ღმერთებს შორის შენ ქაშქათის მზის ღვთაება ხარ, ღმერთებს შორის კი – Ieliyah – (ხარ), ღვთაება და დედოფალი (ხარ) შენ“ და ა. შ.

როგორც აღინიშნა, ხეთურ ლურსმულ ტექსტებში მზის ღვთაება ხშირად ცასთან, მინასთან, ზღვასთან, მდინარესთან, მთასთან ორგანულ კავშირშია წარმოდგენილი. ქანთუცილის, ზემოთ უკვე მოხსენიებულ საგა-

ლობელში უზენაესი მნათობის ადგილსამყოფელი ცა-  
 ზეა ლოკალიზებული. საგალობლის ავტორის თვალ-  
 საზრისით, ციური კოშკის კარი მხოლოდ მზის ღვთაე-  
 ბისთვისაა ღია. ცაზე და ქვეყნის (სამყაროს) ოთხ მხა-  
 რეში ოთხცხენშებმული ეტლით იგი, სოლარული სხვა  
 ღვთაებების (მაგალითად, ძველბერძნული ჰელიოსის,  
 ან ინდოარიული ღვთაებების – ვარუნას, ინდრას, ვა-  
 ტას...) მსგავსად, გადაადგილდება. იქვე ნათქვამია:  
 „...იქ, სადაც მინა და ცაა, სხივნიელო, მზეო, შენ ხარ  
 მხოლოდ. გამოდიხარ ცის სიმრავლიდან, ბრწყინვალევე,  
 მარტოოდენ შენ! ცათა მეუფენი შენს წინაშე თავებს  
 იდრეკენ და მინის ღმერთნიც შენ გმონებენ...“ ამავე  
 ტექსტში ისიცაა ხაზგასმული, რომ მზის ღვთაება „ბნე-  
 ლი ქვეყნის“ (ქვესკნელის) მამამთავარიცაა“. გამთენიას  
 იგი ცად ამალღდება და ზემო და ქვემო ქვეყნებს სრუ-  
 ლად გააცისკროვნებს“. ქალაქ არინას მზის ქალღმერ-  
 თისადმი მიძღვნილ მურსილი II-ის ჰიმნშიც ასეთ სიტ-  
 ყვებს ვხვდებით: „...ცის ჭიშკარს მხოლოდ შენთვის  
 ხსნიან ხოლმე // და ჭიშკრებში მხოლოდ შენ, (ღვთაება-  
 თა შორის) დამკვიდრებულო // [ქალაქ არინას მზის  
 ქალღმერთო,] გაივლი“. ამინდის ღვთაება ფიხასასი-  
 სადმი ლოცვისას, მუვათალი (ძვ. წ. XIIIს.) მზეს შემდეგი  
 სიტყვებით მიმართავს: „...შენ, ცის მზის ღვთაებავ,  
 ზღვიდან ამოდიხარ, და ცად // ამალღდები. ცის მზის  
 ღვთაებავ, ჩემო უფალო, დღეს // ღვთაებები გააჩერე-  
 ღვთაებებს, რომლებსაც ჩემი ენით მოვუხმობ // დღეს,  
 და თავის გასამართლებლად მივმართავ, (მიმართე  
 შენც) და მოუხმე მათ, ცის მზის ღვთაებავ, ციდან (და)  
 მიწიდან, // მთებიდან (და) მდინარეებიდან, მათი ტაძ-



რებიდან და მათი ტახტრევენებიდან..." და იქვე "ცინი" მზის ღვთაებავ, არინას მზის ღვთაება, არინას ამინდის ღვთაება, მეცულა, // ხულა, ცინდუხია, მამრი ღვთაებები, ქალღმერთები, მთები // (და) მდინარეები არინასი, ამინდის ღვთაება ხსნისა, ამინდის ღვთაება სიცოცხლისა". CTH 376 E. 14-7-ში მზის ღვთაებაზე ნათქვამია: „სადაც არ უნდა (იმყოფებოდეს) სათაყვანები არინას მზის ქალღმერთი - ცაში, (სხვა) ღვთაებებს შორის, ზღვაში, მთებში ან [ქვესკნელში?], საიდანაც ის ბრუნდება ხოლმე". ხეთურ ლურსმულ ტექსტებში შემდეგი სტრიქონებიც მოწმდება: „...არინას მზის ქალღმერთო ... ცისა და მიწის სამეფოს მხოლოდ შენ სწყალობ“... „ცისა და მიწის გარემომცველი // სინათლე მხოლოდ შენ (ხარ), არინას მზის ქალღმერთო“, „მიწა-ქალიშვილი მზისა“ ან „დედამიწის ქალიშვილი - მზე“ (MUNUS<sup>D</sup>Daganzipaş DUMU. MUNUS<sup>P</sup>UTU).

ჩვენთვის საინტერესო მზის ღვთაების აღმნიშვნელი ლუვიური იეროგლიფის სემანტიკური კოდის ამოსახსნელად ისიცაა ანგარიშგასანევი, რომ ხეთურ ლურსმულ, ხეთურ და გვიანხეთურ იეროგლიფურ-ლუვიური წერილობითი წყაროების მონაცემთა კონტექსტში მზის ღვთაება არა მხოლოდ ცასა და მიწას (ზესკნელსა და ქვესკნელს) განაგებს და აწესრიგებს, არამედ იმ სივრცესაც (შუასკნელს), რომელიც „ადამიანთა მოდგმისა და მცენარე-ცხოველთა მიერაა ათვისებული“.

ხეთურ ლურსმულ წერილობით ძეგლებში აღნიშნულია, რომ მზის ღვთაება ადამიანზე ზრუნავს („ბოროტის მქნელსა და ღვარძლიანს ღირს სასჯელს მიუზღვი, მზეო! მზეო, პურსა და ლუდს შენს სამსხვერპლოზე მა-

რად შემოგწირავს ის, მზეო, შენი მორჩილი მონა-ადამიანი დაიცავ შენ!", ან „ლოცვას მხოლოდ შენ შეისმენ. // მხოლოდ შენ (ხარ), არინას მზის ქალღმერთო, კეთილმოსურნე ღვთაება // მხოლოდ შენ (ხარ) მოწყალე. მართალი ადამიანი მხოლოდ შენთვის, არინას მზის ქალღმერთისათვის (არის) საყვარელი. // მას მხოლოდ შენ, არინას მზის ქალღმერთო, განადიდებ“), ობლებს მფარველობს („მფარველობ ობლებს, როგორც ღვიძლი და მისაგებელს შენ ერთი მიაგებ ობოლთ, ტვირთმძიმეთ!“), ქვეყნის ფაუნას უფრთხილდება („შენ ჩვენს ზემოთ ხარ, მზეო, სამართალს ქმნი ძალსა და ღორზე, ტყის ნადირზე“). ნიშანდობლივია, რომ ხეთების სამეფოში შავი ჭირის მძვინვარების დროს განადგურებული და გავერანებული მიწების, ბაღების, მდელოების აღორძინებას მურსილი II მაინცადამაინც არინას მზის ღვთაებას შესთხოვს. ხეთების სამეფოსათვის მოვლენილი ამ დიდი უბედურების ინიციატორების დასჯასაც მეფე არინას მზის ქალღვთაებისაგან ელოდება.

ადამიანთა სამყაროსთან (შუა სკენელთან) მზის ღვთაების მიმართების საკითხის თვალსაზრისით, განსაკუთრებით საყურადღებო მაინც ისაა, რომ ჯერ კიდევ ხეთების სამეფომდელ ხანაში მზის ღვთაება მეფესთან, მეფის ინსტიტუტთან, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებასთან საკმაოდ მჭიდროდ დაკავშირებული აღმოჩნდა<sup>5</sup>. ამ მხრივ, საგულისხმოა, რომ ძვ. წ. XVIII საუკუნის შუა წლების ანატოლიის ისტორიის ამსახველი ე. წ. „ანითას ტექსტის“ ავტორი, ქალაქ ნესასთან დაპირისპირებული ქუსარას მეფე ანითა, ქალაქ ნესაზე და ამბოხებულ სხვა ქვეყნებზე გამარჯვებას ცის ღვთაება

კ. 213





ტაროსთან ერთად მზის ქალღვთაებასაც უმადლოებს („ხოლო ფით)ხანას, მამაჩემის შემდეგ, იმავე წელს ამბოხება დავამხე: მზის ქალღმერთის (შემწეობით), ქვემოთ ჩამოთვლილი ქვეყნები, რომლებიც აღდგნენ, სწორედ ისინი [ყველა დავამხე]“.

ხეთების სამეფოს არსებობის მთელ მანძილზე, წერილობით წყაროებში არაერთგზისაა მითითებული, რომ სამეფო უზენაესი ღვთაების მიერაა ბოძებული. ხშირადაა ხაზგასმული ის გარემოება, რომ მეფეს წინ მზის ღვთაება მიუძღვის, მეფე მზის კარნახით მოქმედებს: მართავს ქვეყანას და ხალხს, იბრძვის სამეფოს საზღვრების გასაფრცობად ან დასაცავად, ურჩი მეზობლების დასასჯელად, იღწვის სხვა ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობების დასამყარებლად, ეწევა ფართო აღმშენებლობით და საქველმოქმედო მოღვაწეობას და ა. შ.

ხეთების ძველი სამეფოს პირველი მეფე ხათუსილი I (ძვ. წ. 1650-1620 წწ.) თავის „ანალებში“ სიამაყით აღნიშნავს, რომ ქალაქ არინას ქალღვთაება მისი ქალბატონია, ხოლო თავად მეფე მზის ქალღვთაების რჩეული. მეფის მონათხრობით, მზის ქალღვთაება ბრძოლებში მას წინ მიუძღოდა. ამ ღვთაების „ხელის აწევის“ წყალობით მეფეს ქ. ალხა გაუნადგურებია. სხვადასხვა ქვეყანაზე გამარჯვებისათვის მადლობის ნიშნად, ხეთების მეფეს ქ. არინას მზის ქალღვთაებისათვის ომის დროს ნადავლის სახით მოპოვებული მდიდარი შესანიშნავები მიუროთმევია (მაგალითად, „...ოქროს ერთი ტაბლა, ვერცხლის სამი ტაბლა [...] ვერცხლისა, ოქროს ერთი სავარძელი, კარგი ოქროსი, ოქროს ერთი მადნანუ-



ეტლი, ორი [...] მოოქროვილი, (ეს ყველაფერი) ქ. ხასუ-  
დან ქ. არინას მზის ღვთაებას მივუტანე", ან "ქ. ციფან-  
ნა გავანადგურე, მისი ღვთაებანი ხელთ ვიგდე და ქ.  
არინას მზის ღვთაებას მივუტანე", ან "ერთი მადნანუ-  
ეტლი, ერთი ვერცხლის ირემი, ერთი ოქროს ტაბლა,  
ერთი ვერცხლის ტაბლა, ხახას ღვთაებანი, ერთი ვერ-  
ცხლის ხარი, ერთი მოოქროვილი გემი. მე, დიდმა მე-  
ფემ, თაბარნამ, ხელთ ვიგდე. მათ მონა-ქალებს ხელები  
დოლაბის ქვიდან ავაღებინე და ისინი სახანისა და ლუ-  
ცისაგან გავათავისუფლე. გავუხსენი ჯაჭვები და ისინი  
ქ. არინას ქალღვთაებას, ჩემს ქალბატონს დავუბრუ-  
ნე..."<sup>6</sup>). ქ. არინას მზის ღვთაებასთან განსაკუთრებული  
სიახლოვის საილუსტრაციოდ მეფეს საკუთარი ქანდა-  
კება ქ. არინას მზის ქალღვთაების ტაძრის მახლობლად  
განუთავსებია: „მაშინ ოქროსგან ჩემი ქანდაკება ჩამო-  
ვასხმევინე და ჩემი ქალბატონის ქ. არინას ღვთაების  
ახლოს დავადგმევინე, ხოლო გალავანი მთლიანად ვერ-  
ცხლით მოვარაყებინე" – აცხადებს მეფე.

თუთხალია I/II (ძვ. წ. 1460-1420 წწ.) მისი სამეფოს  
მტრებზე (მცირე აზიის ქალაქების ანტიხეთურ კოალი-  
ციაზე, ქასქებზე) გამარჯვებებს სხვადასხვა ღვთაე-  
ბებს და, პირველ რიგში, ქ. არინას მზის ქალღვთაებას  
მიანერს. მეფე გვამცნობს: „(მტრებმა – ნ. ხ.) ...  
თავ[იან]თი ლაშქარი გააერთიანეს და მათმა [...] ჩემი  
ლაშქრის წინააღმდეგ დაიძრნენ. მაგრამ [მე], თუთხა-  
ლიამ ღამით წავიყვანე ჩემი ლაშქარი და მტრის ბანაკს  
გარს შემოვერტყი და ღვთაებებმა გადმომცეს მე ისინი  
(ქალაქები): ქ. არინას მზის ქალღვთაებამ, ამინდის  
ღვთაებამ, ლელვანიმ და მე დავამარცხე მტრის ლაშქა-





რი". და იქვე: „ქასქების მთელი ქვეყანა აღ[მიდგა] დაუქმ  
თივარაში ბანაკი დასცა (და) ბანაკის უკან ტყე დაიკავა,  
მას წინ მდინა[რეც ჩამოუდის]. ხოლო მე, თუთხალია, დი-  
დი მეფე, [წავედი] შევებრძოლე მათ და ღვთაებებმა მომ-  
ცეს იგი, ქ. არინას] მზის ქალღვთაებამ, ხათის მფარველ-  
მა ღვთაებამ, ზაბაბამ, იშთარმა, მთვარის ღვთაებამ,  
ლელვანიმ, და დავამარცხე ქასქას ლაშქარი".

მურსილი II-ის მიერ შედგენილი სუფილულიუმა I-ის (ძვ. წ. 1365-1340წწ.) „საქმენის“ ფრაგმენტების თანახმად, ამ მეფის მრავალრიცხოვანი ლაშქრობის დროს მას თან „ღვთაებები ახლდნენ“, რომლებიც ქვეყნებისა და ქალაქების დამორჩილებაში „დიდ დახმარებას უწევდნენ“. ღვთაებათა ჩამონათვალში, პირველ ადგილზე კვლავ ქ. არინას ქალღვთაებაა მოხსენიებული.

მურსილი II-ის (ძვ. წ. XIVს.) „ათწლიან ანალებში“ აშკარადაა ხაზგასმული ქ. არინას მზის ქალღვთაებასთან და სხვა ღვთაებებთან მეფის მჭიდრო კავშირი, მეფის ნამოღვანარში ღვთაებათა მიერ შეტანილი წვლილი. ამ წერილობით წყაროში სხვადასხვა სამხედრო ოპერაციის აღწერისას სულ ცოტა 14-ჯერ ვხვდებით გამოთქმას: „ქ. არინას მზის ქალღვთაება, ჩემი ქალბატონი, ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი, მეცულა და ყველა ღვთაება მხარში (ან გვერდში – ნ. ხ.) მედგნენ“. მაგრამ ამჯერად, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო მაინც უშუალოდ ქ. არინას მზის ქალღვთაებისადმი მურსილი II-ის მიმართვის ის სტრიქონებია, სადაც მეფისა და ქ. არინას მზის ქალღვთაების ურთიერთმიმართება საკმაოდ დამაჯერებლად და შთამბეჭდავადაა წარმოჩენილი. მეფე აცხადებს: „ხოლო, როდესაც მე, მზე, მამაჩემის ტახტზე

დავჯექი, სანამ იმ გარშემო მყოფი ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებმაც ომი გამომიცხადეს, საბრძოლველად გავწევდი, ჩემი ქალბატონის, ქალაქ არინას მზის ქალღვთაების დადგენილ დღესასწაულებზე ვიზრუნე და ვიზეიმე. ჩემს ქალბატონს, ქალაქ არინას მზის ქალღვთაებას ხელი აღვუყყარი და შემდეგნაირად მივმართე: „ქალაქ არინას მზის ქალღვთაებავ, ჩემო ქალბატონო! ის გარშემომყოფი ქვეყნები, რომლებმაც შეურაცხყოფა მომაცენეს და პატივი არ მცეს, შენი, ჩემი ქალბატონის, ქალაქ არინას მზის ქალღვთაების მიწებს იტაცებდნენ და კვლავ იგივეს აპირებდნენ. მაშ მოდი, ჩემო ქალბატონო, ქალაქ არინას მზის ქალღვთაებავ ჩემთან და ეს გარშემომყოფი მტრული ქვეყნები ჩემს წინ დაამარცხე!“ ხოლო ქალაქ არინას მზის ქალღვთაებამ შეისმინა ჩემი და მოვიდა ჩემთან. მაშინ დავამარცხე, როგორც კი მამაჩემის ტახტზე ავედი, გარშემო მყოფი მტრული ქვეყნები 10 წელიწადში გავანადგურე ისინი“. ქ. არინას მზის ქალღვთაებას მურსილი II თავის მომავალ მოღვაწეობასაც ორგანულად უკავშირებს, როდესაც „ათწლიანი ანალების“ დასკვნით ნაწილში აცხადებს: „რასაც მე ქალაქ არინას ქალღვთაება, ჩემი ქალბატონი შემდგომში დამიწესებს, იმას დავიწესებ და შევასრულებ“.

ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მზის ქალღვთაების აქტიური მონაწილეობის მაგალითს ხაიასას მომავალ მმართველთან, ხუკანასთან და „ხაიასას კაცებთან“ სუფილულიუმა I-ის მიერ დადებულ ხელშეკრულების ტექსტშიც ვხვდებით (KBo 19, 44). საყურადღებოა, რომ ამ ოფიციალური დოკუმენტის უფლებამოსილების მონ-



მეებად მაინცადამაინც ღვთაებები სახელდებათ. „მონ-  
 მე“ ღვთაებათა საკმაოდ ვრცელ ნუსხაში კი, პირველო-  
 ბა „მზის ღვთაება ცისა, ქ. არინას ქალღვთაება მზისა“-  
 ს ეკუთვნის.

მზის ღვთაებასთან მეფის ინსტიტუტის დამოკიდე-  
 ბულების ხეთური თვალსაზრისის რეკონსტრუქციი-  
 სათვის საინტერესო მონაცემებს მეფის ხელისუფლე-  
 ბის განახლების რიტუალისადმი მიძღვნილ ხეთურ ტექ-  
 სტებშიც ვპოულობთ (რომელსაც მკვლევართა აზრით,  
 „სასახლის სამშენებლო რიტუალი“ მხოლოდ პირობი-  
 თად შეიძლება ვუწოდოთ<sup>7</sup>). ამ წერილობით ძეგლში  
 პირდაპირაა გაცხადებული, რომ ქვეყანა სამართავად  
 მეფეს ღვთაებებმა უბოძეს: „მე კი, მეფეს ღმერთებმა –  
 მზის და ამინდის ღვთაებებმა ქვეყანა ჩამაბარეს და მე,  
 მეფე, ჩემს ქვეყანას და ჩემს სახლს ვიცავ“. იგივე ღვთა-  
 ებებია მოხსენიებული შემდეგ პასაჟებშიც: „მზისა და  
 ამინდის ღვთაებებმა კვლავ იზრუნეს მეფეზე, განუახ-  
 ლეს ძალა, მისი (სიცოცხლის) წლები უსაზღვრო გახა-  
 დეს“. იმავე ტექსტში მეფის წინააღმდეგ ბოროტების  
 პოტენციურ ჩამდენთ იმავე ღვთაებების სახელით  
 ემუქრებიან. ხორბალსა და ქერს ფქვავენ და თან ამბო-  
 ბენ: „(ის), ვინც მეფის წინააღმდეგ ბოროტებას განიზ-  
 რახავს, დაე, ღვთაებებმა (მზის და ამინდის ღვთაებებმა  
 – ნ. ხ.) მასაც ბოროტება მოუვლინონ და ისიც (ასევე)  
 დაფქვან“.

ქ. არინას მზის ქალღვთაებას გამორჩეული ადგილი  
 ამინდის ღვთაება ფიხასასისადმი აღვლენილ ზემოთ  
 უკვე მოხსენიებულ მუვათალის ლოცვაშიც უკავია, მი-  
 უხედავად იმისა, რომ მეფისავე მონუმბით, იგი ქ. არი-

ნას მზის ღვთაებისა და ხათის ყველა ღვთაების ქურთუ  
მად ფიხასასიმ დასვა\* და უფრო მეტიც, ხათის ქვეყანა-  
ში მეფობისთვისაც განამწესა. სხვა ღვთაებებთან შე-  
დარებით ქ. არინას მზის ღვთაების უპირატესობა ლოც-  
ვის შესავალ ნაწილშივეა აქცენტირებული. მეფე, რო-  
მელსაც ღვთაებათა წინაშე თავის მართლება (ცოდვე-  
ბის მონანიება) განუზრახავს, შესაბამის რიტუალს  
აღასრულებს. სახურავზე, მზის პირისპირ ლერწმისაგან  
მონწულ ორ მაგიდას დგამს, რომელზედაც რიტუალი-  
სათვის გამიზნულ „35 სქელ პურს (გამომცხვარს ერთი)  
თარნა ახალი ფქვილისაგან, // თხელკედლიან (გამ-  
ჭვირვალე) თასს თაფლით, რომელშიც წმინდა ზეთია  
(შერეული), ქოთანს, სავსეს ცხიმიანი პურით, ბურღუ-  
ლით // თხელკედლიან (გამჭვირვალე) თასს და 30 დოქ  
ღვინოს“ ათავსებენ. საყურადღებო ისაა, რომ ამ ორი  
მაგიდიდან, ერთი საკუთრივ არინას მზის ქალღვთაებას  
ეკუთვნის, ხოლო მეორე არა რომელიმე ერთ მამრ  
ღვთაებას, არამედ, ზოგადად – მამრ ღვთაებებს. ნიშან-  
დობლივი ისიცაა, რომ სახურავზე ასული მეფე არა ყვე-  
ლა ღვთაების, არამედ მაინცადამაინც ცის მზის ღვთაე-  
ბის წინაშე იჩოქებს (CTH 381, §1, 1-9).

და ბოლოს, ხეთური საზოგადოების იერარქიული  
კიბის უმაღლეს საფეხურზე მზის ღვთაების განსაკუთ-  
რებულ სტატუსზე, ზემოაღნიშნულთან ერთად, ისიც  
მეტყველებს, რომ ძვ. წ. XIV საუკუნიდან ხეთი მეფეების  
ტიტულატურაში ტერმინებმა: „მზე“, „ჩემი მზე“, „მე,

---

\* უფრო დანვრილებით იხ. ტატიშვილი ი., ზოგიერთი მოსაზრება მეფე მუვათალი II-ის საბეჭდავების შესახებ, „კავკასიურ-აზლოლმოსავლური კრებული“, XI, თბილისი, 2004, გვ. 40-49.



მზემ" ცენტრალური ადგილი დაიმკვიდრა. ხეთების ახალი სამეფოს დროინდელ ხეთურ ლურსმულ ტექსტებში ხშირად ვხვდებით ფრაზებს: „ასე (ამბობს) მზე სუფილულიუმა, ხათის ქვეყნის მეფე“; „მე, მზემ, შენ, ხუკანა [ნარჩინებული] გაგხადე“; „და შენ, ხუკანა, მხოლოდ მზე დაიცავი საიმედოდ და მხოლოდ მზეს მხარში ამოუდექი“; „ასე (ამბობს) ჩემი მზე მურსილი, დიდი მეფე, მეფე ხათის ქვეყნისა...“; „ხოლო, როდესაც მე, მზე, მამაჩემის ტახტზე დავჯექი“; „...მე კი, მზე დაგიცავ შენ, დუფი-თე-შუფ“; „მე, მზემ მის წინააღმდეგ გავილაშქრე“ და ა. შ.

რაც შეეხება მზის ღვთაების დასახელების შემცველ ხეთური და გვიანხეთური ხანის იეროგლიფურ-ლუვიურ წერილობით ძეგლებს, ისინი რაოდენობრივად და ინფორმაციულობის თვალსაზრისითაც ხეთურ ლურსმულ ტექსტებს ტოლს ვერ უდებს, მითუმეტეს, რომ გვიანხეთური ხანის სამეფო-სამთავროების (მუშქების ქვეყანა, თაბალი, თუნა, თუხანი, ხილაქუ, ქუე, ქამანუმელიდუ, გურგუმი, ქუმუხი, ქარგამიში...) პანთეონში უზენაესი ღვთაების ადგილი არა მზის მამრ ან მდედრ ღვთაებებს უკავიათ, არამედ ამინდის ღვთაება თარხუნთასს (DEUS TONITRUS), რომელიც შუმერული იშქურის, სემიტური ადადის, ხურიული თეშუბის მსგავსად, ცასთან, სიუხვის მომტან წყლებთან და ნაყოფიერებასთანაა დაკავშირებული<sup>8</sup>.

მზის ღვთაება ხეთური და გვიანხეთური ხანით დათარიღებულ იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერებში, ისევე როგორც ხეთურ ლურსმულ ტექსტებშიც, ცასთანაა ასოცირებული. ადრეული (ხეთური) ხანის იეროგლიფურ-ლუვიურ წერილობით ძეგლებში, მზის ღვთაებას,

როგორც წესი, „მზის ღვთაება ცისა“ (DEUS CAELUM)<sup>9</sup> ეწოდება, ხოლო გვიანდელში (გვიანხეტურ ხანაში) - „ცის ღვთაება მზე“ (CAELUM DEUS SOL)<sup>10</sup>. იეროგლიფურ-ლუვიური დამწერლობით შესრულებულ სამეფო წარწერებში, ისევე როგორც ხეთურ ლურსმულ ტექსტებშიც, ხაზი მზის ღვთაების სხივების ნათებასა და ბრწყინვალებას ესმება.

მზის ფრთოსან დისკოს (ორნამენტურ მოტივს, სამეფო კარტუშს) იეროგლიფურ-ლუვიური დამწერლობით შესრულებულ როგორც ხეთურ, ასევე გვიანხეტური ხანის წერილობით ძეგლებზე (საბეჭდავები, ქვაზე ამოკვეთილი რელიეფები, სამეფო წარწერები) ვხვდებით. მაგრამ ძალზე ნიშანდობლივი ისაა, რომ ყარადაღისა და ყიზილდაღის მთიანეთში აღმოჩენილი, ჩვენს მიერ ძვ. წ. X-IX საუკუნეების მიჯნით დათარიღებული იეროგლიფურ-ლუვიური 5 წარწერიდან, რომელიც მუსქას (მუსქების, მუშქების) ქვეყნის მეფე ხართაფუს ეკუთვნის, ოთხს ფრთოსანი დისკო (სამეფო კარტუში) ამშვენებს, მაგრამ, აქედან ორ იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერაზე, მზის ფრთოსანი დისკოს ზემოთ, გვიანხეტური სამეფო-სამთავროთა პანთეონის უზენაესი ღვთაების - თარხუნთასის აღმნიშვნელი ლუვიური იეროგლიფია განთავსებული<sup>11</sup>.

სამეფო ტიტულატურაში მზის ღვთაების მოხსენიებას გვიანხეტური ხანის მხოლოდ მსხვილი პოლიტიკური გაერთიანებების პირველი პირების (მეფეების, თარვანასების) სახელით შედგენილ იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერებში ვხვდებით. რამდენიმეგზის მზის ღვთაება სხვა ღვთაებების გვერდით ე. წ. კრულვის შემცველ



კონტექსტებშიც ჩნდება. მიუხედავად ამისა, გვიანხე-  
 თური ხანის სამეფო-სამთავროთა პირველი პირების  
 (მეფეების, თარვანასების, მბრძანებლების) იეროგლი-  
 ფურ-ლუვიური წარწერების მთავარი მოქმედი პირები  
 მეფე და ღვთაება თარხუნთასია. ასე, მაგალითად, ყა-  
 რა-თეფეზე აღმოჩენილი, ძვ. წ. IX საუკუნის ბოლო მე-  
 ოთხედით დათარიღებულ, აზითავათას ცნობილ ბი-  
 ლინგვაში ვკითხულობთ: „მე აზითავათა ვარ, მზით  
 კურთხეული კაცი, თარხუნთასის მსახური, (ის), რომე-  
 ლიც ავარქუმ, დანუნელთა მეფემ, დააწინაურა. თარ-  
 ხუნთასმა დანუნელთა დედად და მამად მომავლინა. და  
 მე განვაგრცე ადანას ველის მიწები აღმოსავლეთსა და  
 დასავლეთის (მიმართულებით). და ჩემი ყოფნის ჟამს  
 დანუნელთა ქვეყანაში სუფევდა ყოველგვარი კეთილ-  
 დღეობა, ბარაქა და დოვლათი. და გავავსე დანუნელთა  
 ბელლები და მივუმატე ცხენს ცხენი. და მივუმატე ლაშ-  
 ქარს ლაშქარი. და მივუმატე ფარს ფარი. ყოველივე ეს  
 თარხუნთასისა და სხვა ღვთაებათა წყალობით გავაკე-  
 თე“<sup>12</sup>. დაახლოებით ასეთივე სტატუსი აქვს მინიჭებუ-  
 ლი მზის ქალღვთაებას ქარგამიშის მეფე იარირისის (ძვ.  
 წ. VIII საუკუნის 60-40-იანი წლები) წარწერებშიც: „მე  
 ვარ იარირისი, მბრძანებელი, მზე კაცი... დასავლეთსა  
 და აღმოსავლეთში განდიდებული, კაცი ღვთაებათა მი-  
 ერ შეყვარებული. ჩემი სამართლიანობის (ამბავი) თარ-  
 ხუნთასმა და მზის ღვთაებამ ცას ამცნეს...“<sup>13</sup>, ან „მე ვარ  
 იარირისი, მმართველი, უფლისწული, საყვარელი თარ-  
 ხუნთასისა, ქუბაბასი, ქარხუხასი და მზის ღვთაებისა.  
 ჩემი გამოსახულება გავაკეთე და ქუბაბას ფეხებთან  
 დავდგი“, ან „[მე (ვარ), გმირი, ქვეყნის ბატონი ქალაქ



ქარგამიშისა... ქუბაბას საყვარელი. მე განმადიდა მამა-ჩემმა სასტურასმა, მზისგან დალოცვილმა. ქუბაბამ მისეულ ტახტზე დამსვა..."<sup>14</sup> და ა. შ.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ უკვე მოხსენიებული აზითავათას წარწერის დასკვნით ნაწილში მზის ღვთაება კვლავაა მოხსენიებული, იქაც პირველობა ღვთაებათარხუნთასს ეკუთვნის. იგივე ვითარებაა ასახული შემდეგ კონტექსტებშიც: „დაე, დამნაშავეს, ღვთაებები თარხუნთასი, ქარხუხა (და) ქუბაბა, მთვარისა და მზის ღვთაებები... განურისხდნენ (და) დაე, მას თავი დააგდებინონ“, ან „დაე, მის წინააღმდეგ გამოვიდნენ ღვთაებები: თარხუნთასი, ქარხუხა და ქუბაბა, ეა, მთვარე (და) მზე WALA და მან (დამნაშავემ - ნ. ხ.) ვერც ცის ბარაქა დაინახოს, ვერც მიწისა და ვერც ქუბაბასი“<sup>15</sup> და ა. შ.

ახლა დავუბრუნდეთ მზის ღვთაების აღმნიშვნელ ლუვიურ იეროგლიფებს. ი. ტატიშვილი, რომელმაც ხეთური რელიგიის ისტორიას არაერთი გამოკვლევა და მათ შორის სოლიდური მონოგრაფია მიუძღვნა<sup>16</sup>, ჩვენთვის საინტერესო ლუვიური იეროგლიფების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით საყურადღებო თვალსაზრისი განავითარა. მკვლევრის სიტყვებით: „მზის ღვთაების მრავალრიცხოვან იპოსტასთა და ფუნქციათა ერთობა, შესაძლოა, მზის ღვთაების აღმნიშვნელ იეროგლიფში (L 191 SOL) იყოს ასახული“<sup>17</sup>. ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ სამ პირველ ლუვიურ იეროგლიფს ი. ტატიშვილი ღვთაების (L 360 DEUS) გაორმაგებულ ლუვიურ იეროგლიფად იაზრებს და მიიჩნევს, რომ ისინი მზის ღვთაების „ორი ძირითადი იპოსტასის („მზე ცისა“ და „მზე მიწისა“ - ნ. ხ.) ერთობის ასოციაციას აღ-



ძრავს". იგივე ავტორი მზის ღვთაების ორი იპოსტასის ერთობას ხედავს ხეთების მეფე თუთხალიას საბეჭდავებზე დამონმებულ, ღვთაების აღმნიშვნელი ერთი დეტერმინატივის ქვეშ მოთავსებულ მზის ღვთაების აღმნიშვნელ ორ ლუვიურ იეროგლიფშიც (DEUS SOL. SOL), რაც შეეხება ზემომოყვანილ მეოთხე ლუვიურ იეროგლიფს, იმავე ავტორის მოსაზრებით, იგი „შეიძლება შეესაბამებოდეს როგორც მზის სამ იპოსტასის ერთობას, ასევე მის სამ ფუნქციას, გადმოცემულს სამი წყვილი თვალით. ეს უკანასკნელი ინტერპრეტაცია – განაგრძობს ავტორი – ერთგვარად საყრდენს ერთ სარიტუალო ტექსტში პოულობს, სადაც ვკითხულობთ: „მზის ღვთაებას სამი წყვილი თვალი აქვს. ერთი – დასანახად, - ერთი – შესანდობად, - ერთი – სამართავად (და) განსასჯელად“<sup>17</sup>.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, ჩვენთვის საინტერესო ლუვიური იეროგლიფების სემანტიკური კოდის ამოცნობის საფუძველი მზის ღვთაებასთან დაკავშირებულ წერილობითი წყაროების კონტექსტებშია საძიებელი. საკითხისადმი ამგვარი მიდგომის მართებულობაზე ი. ტატიშვილის ზემომოყვანილი თვალსაზრისიც არაერთმნიშვნელოვნად მეტყველებს. მართლაც, თუ მზის ღვთაებასთან დაკავშირებულ, წერილობითი წყაროების მონაცემებს (რომელთა მხოლოდ ნაწილია ზემოთ განხილული) და ამავე ღვთაების აღმნიშვნელ, სხვადასხვა დაწერილობით დღემდე მოღწეული ლუვიური იეროგლიფების იკონოგრაფიას ერთიმეორეს შევუდარებთ, იმ, ჩვენი აზრით, მართებულ დასკვნამდე მივალთ, რომ ისინი ერთიმეორესთან სრულ შესატყვისობაშია. ამ ას-

პექტით განსაკუთრებით ანგარიშგასაწევი ისაა, რომ მზის აღმნიშვნელი, ზემოთ მითითებული, ხუთივე ლუვიური იეროგლიფი, ვერტიკალურ ხაზზე, როგორც ჩანს, კოსმიურ ღერძზე, ან ასევე ვერტიკალურ, სიგრძეზე შუაზე გაყოფილ, გეომეტრიული ფიგურის მაგვარ კონსტრუქციაზე აგებულ ორი ან სამი სივრცის (სკნელის) გამოსახულებითაა წარმოდგენილი, რაც სავესებით ადეკვატურად ასახავს წერილობითი წყაროების ზემომოხმობილ იმ ჩვენებებს, რომელთა თანახმადაც, მზის ღვთაება არა მხოლოდ კოსმიური ღერძის თავსა და ბოლოში ფუნქციონირებს („მზის ღვთაება ცისა“, „მზის ღვთაება მიწისა“), არამედ შუამიც („მზის ღვთაება ქვეყნისა, ადამიანებისა, სოციუმისა, მეფისა, ცხოველთა, მცენარეებისა...“). პირველი სამი ლუვიური იეროგლიფის გამოსახულებაში ყურადღებას ისიც იმსახურებს, რომ მათ კომპოზიციურ სქემაში ვერტიკალური ხაზის (კოსმიური ღერძის) ჰორიზონტალურად გადამკვეთი ხაზის საშუალებით ჯვრის გამოსახულებაა შექმნილი. ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, რომ ჯვარი ჩვენთვის საინტერესო იეროგლიფების კონსტრუქციულ საფუძვლადაა გააზრებული. როგორც ჩანს, ჯვარი კოსმოსის სიმბოლოცაა და მზის ღვთაებისაც, მითუმეტეს, რომ, როგორც ზემოთ დავინახეთ, წერილობით წყაროებში მზის ღვთაება სამყაროს ოთხი მხარის უზენაეს მანათობლადაა წარმოდგენილი (გავიხსენოთ: „მზის ღმერთო, დიდებულო! მამა ენლილმა შენ ჩაგაბარა ოთხივე მხარე ქვეყნისა“, ან „გმირო დიდებულო, მზეო სახიერო, შენ შენი ეტლით მიმოივლი დედამიწის ოთხივე მხარეს...“).

ზემოაღნიშნულთან ერთად შემდეგიცაა საინტერესო: მზის ღვთაების აღმნიშვნელი ლუვიური იეროგლიფების ერთი ჯგუფისათვის მზის ღვთაების მოქმედების არეალის - ორი ან სამი სივრცის (ზესკნელი-ქვესკნელი, ზესკნელი-შუასკნელი-ქვესკნელი), გამოსახატავად მაინცადამაინც ღვთაების აღმნიშვნელი გაორმაგებული და გასამმაგებული ლუვიური იეროგლიფებია გამოყენებული, რაც სხვა არაფერია, თუ არა ღვთიური თვალი (DEUS ☉)<sup>18</sup>. ჩვენი ვარაუდით, მზის აღმნიშვნელ ლუვიურ იეროგლიფში ღვთაების აღმნიშვნელი იეროგლიფის (ღვთიური თვალის) გამოჩენა, შესაძლოა, ორი გარემოებით იყოს შეპირობებული: მზის ღვთაების აღმნიშვნელი ლუვიური იეროგლიფების შემქმნელთ, ერთი მხრით, სურდათ ხაზი გაესვათ ორივე ან სამივე სივრცეში (ზესკნელში-ქვესკნელში, ზესკნელში-შუასკნელში-ქვესკნელში) მზის ღვთაების, მისი ღვთაებრივი თვალის ყოვლისდანახვისა და ყოვლისშემძლეობისათვის („მზის ღვთაებას სამი წყვილი თვალი აქვს. ერთი - დასანახად, - ერთი - შესანდობად, - ერთი - სამართავად (და) განსასჯელად“) და მეორე მხრით, ხეთური ლურსმული წერილობითი ტექსტების კვალდაკვალ, ხათურ-ხეთურ-ლუვიურ პანთეონში, სხვა ღვთაებებთან შედარებით, მზის ღვთაების ორგზის, სამგზის უპირატესი სტატუსი წარმოეჩინათ (იხ. ზემოთ).


ყურადღებას განსხვავებული დაწერილობით შესრულებული, მზის ღვთაების ზემომოყვანილი მესამე იეროგლიფიც იმსახურებს. მზის ღვთაების აღმნიშვნელი ლუვიური იეროგლიფების ამ ვერსიაში, მზის ღვთაების აღსანიშნავად არა ღვთაების აღმნიშვნელი ლუვიური





იეროგლიფია გამოყენებული, არამედ ჯვარში ჩასმული ისეთივე მზის დისკოები, რომლებიც ჩვეულებრივ ფრთოსანი მზის დისკოს შემცველ ორნამენტებსა და სამეფო კარტუშებშია დამონმებული, იმ განსხვავებით, რომ ამჯერად მზის გამოსახულება დისკოებს ორ სფეროდ ჰყოფს.

ბუნებრივია, ინტერპრეტაციას ხაზით (ღერძით) შუაში ორად გაყოფილი გეომეტრიული ფიგურის მსგავსი გამოსახულების შემცველი, მზის ღვთაების აღმნიშვნელი მეხუთე ლუვიური ზემომოყვანილი იეროგლიფიც მოითხოვს. ჩვენი აზრით, გეომეტრიული ფიგურის მსგავსი ეს გამოსახულებებიც, ისევე როგორც ჯვრები სხვა, მზის ღვთაების აღმნიშვნელ ლუვიურ იეროგლიფებში, ლუვიური იეროგლიფების ამ ვერსიის კონსტრუქციის საფუძვლადაა ნაგულისხმები. მსოფლიო ხალხთა უძველესი, სადღეისოდ ცნობილი, კოსმოგონიური კონცეფციების გათვალისწინებით, ვერ გამოვრიცხავთ ვარაუდს, რომ აღნიშნული გეომეტრიული ფიგურის მსგავსი გამოსახულება მაინცადამაინც „კოსმიურ (მსოფლიო) კვერცხს“ განასახიერებდეს, რომელიც არა მხოლოდ სამყაროს (კოსმოსის), ოთხი სტიქიის, სიცოცხლის, ნაყოფიერების, არამედ მზისა და სხვა პირველ ღმერთთა შესაქმესთანაცაა ორგანულად დაკავშირებული<sup>19</sup>.

მზის ღვთაების აღმნიშვნელი ლუვიური იეროგლიფების ამ ვერსიას სხვა განმასხვავებელი ნიშანიც ახასიათებს. ამ კონსტრუქციით შესრულებულ მზის ღვთაების აღმნიშვნელ ლუვიურ იეროგლიფებში სამი სივრცის (სამი სკნელის) შესაბამის გასამმაგებულ ღვთაე-

ბის აღმნიშვნელ ლუვიურ იეროგლიფებს (CAELUM ) აღმნიშვნელი, ასევე გასამმაგებული ლუვიური იეროგლიფები ენაცვლება, რომლებიც ზემოთ უკვე მოხსენიებული კვერცხის ფიგურის მსგავსი გამოსახულებების (კოსმოსის, ქვეყნიერების) თავში, შუაში და ბოლოშია განლაგებული, იმ განსხვავებით, რომ პირველი ორი ცის აღმნიშვნელი ლუვიური იეროგლიფი ზემოთ – ცისკენაა ორიენტირებული, ხოლო მესამე – ქვემოთ, მიწისკენ, ქვესკნელისკენ და, როგორც ჩანს, „დამხობილ ცას“ ასახიერებს. ცისა და მზის ურთიერთმიმართების ამსახველი ზემომოყვანილი ხეთური ლურსმული, ხეთური და გვიანხეთური წერილობითი წყაროების მონაცემთა კონტექსტში მზის ღვთაების აღმნიშვნელ ლუვიურ იეროგლიფში ცის იეროგლიფის გამოჩენა სავსებით ბუნებრივი ჩანს. წერილობითი წყაროების ჩვენებებთან ერთად, ამ შემთხვევაში, ისიცაა ანგარიშგასაწივე, რომ ლუვიურ და ფალაურ ენებში მზის ღვთაება Tiuat-Tijat ტერმინებით აღინიშნება, რომელთაც თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი საერთოინდოევროპულ *īieu*-დან („ცის ღვთაება“) მომდინარედ მიიჩნევენ<sup>20</sup>.

სხვადასა საყურადღებო: მზის აღმნიშვნელ უძველეს ლუვიურ იეროგლიფებში, რომლებიც იაზილიქაიასა და

ქიულთეფეზეა აღმოჩენილი,   მზის ღვთაების ეპითეტი „მზე ცისა“, (nepišaš/AN-ŠAME) სრულადაა რეალიზირებული. ადეკვატურადაა ასახული ხათურ-ხეთურ ლუვიურ სამყაროში არსებული თვალსაზრისი მზეზე, როგორც ცის ღვთაებაზე. ლუვიურ ამ იეროგლიფებში მზის ღვთაება ცის აღმნიშვნელი ლუვიური



იეროგლიფის შუაგულიდან ვერტიკალურად აღმართული, სხვადასხვა ზომის ჰორიზონტალური სამი შვერილითაა წარმოდგენილი<sup>21</sup>.

როგორც ზემოთაც მივუთითეთ, მზის ღვთაების აღმნიშვნელი ლუვიური იეროგლიფები დღემდე აღმოჩენილ, ამ დამწერლობით შესრულებულ, ხეთური და გვიანხეთური ხანით დათარიღებულ წერილობით ძეგლებში სხვადასხვა დანერილობით გვხვდება. ამჯერად, ამ ლუვიური იეროგლიფების ის ნიმუშები განვიხილეთ, რომლებიც ტექსტებში სხვასთან შედარებით უფრო ხშირადაა დამონმებული. თუმცა, მზის ღვთაების აღმნიშვნელი სხვა ლუვიური იეროგლიფების ინტერპრეტაციაც არანაკლებ საინტერესოა და საყურადღებო. აქვე შემდეგსაც დავძენთ: მზის აღმნიშვნელი ლუვიური იეროგლიფების სხვადასხვა დანერილობა არა ქრონოლოგიური ფაქტორითაა შეპირობებული, არამედ ხეთურ ხანაში საკულტო ცენტრების, ხოლო გვიანხეთურში – სამეფო-სამთავროთა სიმრავლით და შესაბამისად, მზის ღვთაების იპოსტასებისა და ფუნქციებთან დაკავშირებული წარმოდგენების მრავალფეროვნებით. მაგრამ ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ მზის ღვთაების აღმნიშვნელი უკლებლივ ყველა ლუვიური იეროგლიფი ძველი ანატოლიელების კოსმოლოგიურ შეხედულებებთანაა ორგანულად დაკავშირებული<sup>22</sup>.

ამგვარად, მზის ღვთაების მოხსენიების შემცველი ხეთური ლურსმული, ხეთური და გვიანხეთური იეროგლიფურ-ლუვიური წერილობითი ძეგლებისა და მზის ღვთაების (DEUS SOL) აღმნიშვნელი, სხვადასხვა დანერილობით შესრულებული ლუვიური იეროგლიფების



იკონოგრაფიის შესწავლას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ მზის ღვთაების აღმნიშვნელ ლუვიურ იეროგლიფებში მზის ღვთაების ხათურ-ხეთურ-ლუვიური კონცეფცია სრულყოფილადაა ასახული. მზის ღვთაების აღმნიშვნელ ლუვიურ იეროგლიფებში, ერთ შემთხვევაში, ლუვიური იეროგლიფები კოსმიური ხაზის (ღერძის) თავსა და ბოლოშია განლაგებული და მზეს ოპოზიციური სივრცეების – ცისა და მიწის – მანათობელ ღვთაებად წარმოგვიდგენენ, ხოლო მეორეში – იმავე კოსმიური ხაზის (ღერძის, ან კოსმიური კვერცხის გამოსახულების) თავსა, შუაში და ბოლოში. ამჯერად, მზის ღვთაება არა მხოლოდ ცისა და მიწის (ზესკნელისა და ქვესკნელის) მანათობლადაა გააზრებული, არამედ იმ სივრცისაც, რომელიც ადამიანთა მოდგმისა და მცენარე-ცხოველთა მიერაა ათვისებული (შუასკნელი). ერთ შემთხვევაში, მზის ღვთაების იპოსტასებისა და ფუნქციების გამოსახატავად ღვთაების აღმნიშვნელი ლუვიური იეროგლიფია (DEUS) გამოყენებული, მეორეში – ცისა (CAELUM)<sup>23</sup>.

მზის აღმნიშვნელი ლუვიური იეროგლიფების შესწავლა კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ერთ-ერთი ამ უძველესი დამწერლობის შემქმნელები საკმაოდ ადეკვატურად იაზრებდნენ მათ სამყაროში მიმდინარე პროცესებს. სრულყოფილად ფლობდნენ ინფორმაციას მცირე აზიის ფლორისა და ფაუნის, მეურნეობისა და ყოფის (შრომის იარაღი, ავეჯი, ჭურჭელი), სამხედრო საქმის, არქიტექტურის, საზოგადოების სოციალური სტრუქტურის და რაც ამჯერად ამკარად დავინახეთ, ხათების, ხეთებისა და ლუვიელების რწმენა-წარმოდგე-



ნების შესახებ. ამ თვალსაზრისით ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ იეროგლიფურ-ლუვიური დამწერლობა ძველი ანატოლიის ისტორიის უდიდესი საგანძურია.

**დამონემაბული პირველწყაროები და  
სამეცნიერო ლიტერატურა**

1. Laroche E., *Les hiéroglyphes hittites*, I, Paris, 1960, 190, 191; Meriggi P., *Hieroglyphisch-Hethitisches Glossar*, Wiesbaden, 1962, 155, 156, 268, 268a; Meriggi P., *Manuale Di Eteo Geroglifico*, Parte II: Testi-1a Serie, Roma, 1967, Segni Fonetici, Ausiliari E Ideogrammi Piu Comuni; J. D. Hawkins, Anna Marpurgo-Davies, Gunter Newmann, *Hittite Hieroglyphs and Luwian, New Evidence for the Connection*, Gottingen, 1974, p. 51.

2. Гамкрелидзе Т. В., Иванов В. В., *Индоевропейский язык и индоевропейцы. Реконструкция и историко-типологический анализ праязыка и протокультуры*, II, Тбилиси, 1984, с. 684., აგრეთვე იხ., ტატიშვილი ი., ხეთურ ქართული ლექსიკონი, ნაკვ. II, თბილისი, 2007, გვ. 116.

3. ტატიშვილი ი., *ხეთური რელიგია*, თბილისი, 2001, გვ. 123-129. მისივე, რამდენი მზე ჰყავდათ ხეთებს? კავკასიურ-ახლო აღმოსავლური კრებული X, თბილისი, 2001, გვ. 109-120.; აგრეთვე იხ., კიკვიძე ი., *მინათმოქმედება და სამინათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში*. თბილისი, 1976, გვ. 160 და შმდ.

4. საკვლევო საკითხისათვის საყურადღებო ტექსტების ციტირებისას გ. გიორგაძის, ნ. ბენდუქიძის, ი. ტატიშვილის და მ. ღამბაშიძის მიერ შესრულებული ხე-





თური ლურსმული წერილობითი ძეგლების ქართული თარგმანები გამოვიყენეთ. იხ. გიორგაძე გ., სუფილულიუმას ხელშეკრულება ხუკანასთან და „ხაიასას კაცებთან“, წიგნში: ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, თბილისი, 1990, გვ. 193 და შმდ.; მისივე, მურსილი II-ის ხელშეკრულება ამურუს მმართველ დუფი-თეშუბთან, წიგნში: ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, გვ. 199 და შმდ.; ბენდუქიძე ნ., მზის საგალობელი, წიგნში: ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, გვ. 232-233; ტატიშვილი ი., ხეთური რელიგია, თბილისი, 2001, გვ. 76, 80, 81, 84-86, 88, 89-90, 95, 97, 123-131...; ლამბაშიძე მ., ხეთური ანალიტიკა (სამეფო დღიურები), ნაწილი I, თბილისი, 2006, გვ. 19, 28, 30-31, 62, 65, 76, 79, 87, 90, 96.

5. მზესთან მეფის, მეფის ინსტიტუტის მიმართების საკითხთან დაკავშირებით იხ. ჰაიზინგა ი., Homo Ludens, კაცი მოთამაშე, თბილისი, 2004, გვ. 32-33.

6. სხვა ვერსიით, ხათუსილი I-ს მონა ქალებთან ერთად „მონა კაცთა ხელები სამუშაოსათვის მოუცილებია“ და სახანისა და ლუცის გადასახადებისაგან გაუნთავისუფლებია. იხ. გიორგაძე გ., ხათუსილი I-ის ანალები, წიგნში: ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, გვ. 187.

7. ტატიშვილი ი., ხეთური რელიგია, გვ. 76, შენ. 358.

8. უფრო დანვრილებით იხ. ხაზარაძე ნ., <sup>D</sup>TRH- (თარხუნთი) – გვიანხეთური პანთეონის უზენაესი ღვთაება, წიგნში: ხაზარაძე ნ., ძველ აღმოსავლური და ქართველოლოგიური ძიებანი, თბილისი, 2001, გვ. 197-209.

9. Meriggi P., Manuale Di Eteo Geroglifico, Parte II: Tavole 2a E3a Serie, Roma, 1975, Yazilikya, 52, ნახატი 34.

10. Meriggi P., Manuale Di Eteo Geroglifico, Parte II: Testi-1a Serie, Roma, 1967, Karatepe, 24, LXIX.

11. Meriggi P., Manuale Di Eteo Geroglifico, Parte II: Tavole 2a E3a Serie, Kizildağ II, III, IV, Nišantaš, Emirgazi, Hattusa XI, Kargamiš A<sub>4</sub>b; Tav. I, II, III, IV, VIII, XV. იხ. აგრეთვე, Khazaradze N., "Great King Hartapus, Great King", Bulletin of the AGIBAS, American-Georgian Institute of Biblical and Archaeological Studies, 2-3, Tbilisi, 2004-5, p. 33-37.

12. ხაზარაძე ნ., ლუვიური იეროგლიფების სამყაროში, თბილისი, 2006, გვ. 110.

13. იქვე, გვ. 109.

14. Hawkins J. D., Kubaba at Karkamiš and Elsewhere, AnSt, XXXI, 1981, p. 150-163.

15. იქვე.

16. Татишвили И., Хеттский храмовый строительный ритуал (КВо IV 1). — მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია 1, 1983, გვ. 123-133; მისივე, Новый хеттский храмовый строительный ритуал (КВо XV 24+). — არქეოლოგიური ძიებანი, თბ., 1986, გვ. 133-146; მისივე, ხეთური რელიგია. — რელიგია 6, 1992, გვ. 76-89; მისივე, რამდენი მზე ჰყავდათ ხეთებს? კავკასიურ-ახლო აღმოსავლური კრებული X, თბილისი, 2001, გვ. 109-120., მისივე, ხეთური რელიგია გენეზისი, ფორმირება, პანთეონის სტრუქტურა, თბილისი, 2001.

17. ტატიშვილი ი., ხეთური რელიგია, გვ. 130-131.



18. Laroche E., დასახ. ნაშრ., 360; Meriggi P., Hieroglyphisch-Hethitisches Glossar, 185.

19. Erman A., Die ägyptische Religion, Berlin, S. 1905, 62; Sethe K., Amun und die acht Urgötter von Hermopolis, in: Opuscula, Leipzig, 1976, S.157, 160; Бауер В., Дюмотц И., Головин С., Древнейшие символы, Энциклопедия символов, Москва, 2000, с. 22-23; Шейнин Е.Я., Яйцо, Энциклопедия символов, Москва, 2003, с.40; Энциклопедия: Символы, знаки, эмблемы, Москва, 2004, с. 551-552; Рошаль В. М., Энциклопедия символов, Москва-Санкт-Петербург, 2006, с.917-919.

20. Laroche E., დასახ. ნაშრ., 182; Meriggi P., დასახ. ნაშრ., 340, 341.

21. Meriggi P., Manuale Di Eteo Geroglifico, Parte II: Tavole 2aE3a Serie, Roma 1975, Tavole IX; Börker-Klähn J., Hattušas Stadttore und ihre Benennung, Beiträge zur Altertumskunde Kleinasiens, Band 1: Text, Mainz-Rhein, 1983, S. 95.

22. Гамкрелидзе Т. В., Иванов В. В., указ. соч. с. 684. ცის აღმნიშვნელი ლუვიური იეროგლიფის გამოყენებასთან დაკავშირებით არც ისაა გამორიცხული, რომ სიტყვა „ცა“ „სკნელის, სამყაროს გარკვეული სარტყლის, ჰორიზონტის, ჩაკეტილი საზღვრული სეგმენტის ფუნქციის მატარებელიც ყოფილიყო“ (შდრ. ქართული „ზეცა“, „ცა“, რეკონსტრუირებული „ქვეცა“, აგრეთვე, „ზეცრიელნი“, „ქვეცრიელნი“). უფრო დანვრილებით იხ. სურგულაძე ი., მითოსი, რიტუალი საქართველოში, თბილისი, 2003, გვ. 73 და შმდ.

23. უფრო დანვრილებით იხ. ტატიშვილი ი., ხეთების კოსმოლოგიის საკითხები, ენა და კულტურა, 3,



## LUWIAN HIEROGLYPHS DENOTING THE SOLAR DEITY

The analysis of the iconography of the Hittite cuneiform, Hittite and Late Hittite hieroglyphic Luwian written monuments and Luwian hieroglyphs denoting the solar deity (DEUS SOL) has led the author to the conclusion that in Luwian hieroglyphs denoting the solar deity, executed in different variants, the Hittite-Luwian conception is reflected fully. In Luwian hieroglyphs denoting the solar deity in one case Luwian hieroglyphs are placed at the beginning and the end of the cosmic axis and in this way the solar deity is represented as the deity illuminating the opposite domains— the heavens and the earth, and in another – at the beginning, the middle and the end of the same cosmic axis. In this case, the solar deity is interpreted not only as illuminating the heavens and the earth, but also the domain of human beings, plants and animals. In order to express the hypostases and functions of the solar deity, the Luwian hieroglyph denoting “deity” (DEUS) is used in the first case, whereas the hieroglyph denoting “the heavens” (CAELUM) is found in the other.

2009 წელი

გრიგოლ გიორგაძემ ერთ-ერთი უკანასკნელი თავისი ნაშრომი<sup>1</sup> ხეთურ და ასურულ ლურსმულ წერილობით ძეგლებში მრავალგზის მოხსენიებული ქასქების (ქაშქების) და აბეშლაელების ეთნიკური კუთვნილების, ბოლო დრომდე სადისკუსიო, პრობლემების ახლებურ გააზრებას მიუძღვნა. გრიგოლ გიორგაძის თვალსაზრისით, რომელიც მის წინამორბედ მეცნიერთა (ივანე ჯავახიშვილი, პეტრე უშაკოვი...) ვარაუდებსა და წლების მანძილზე ხეთური ტექსტების სკრუპულოზური კვლევა-ძიების შედეგად მოძიებულ ახალ მონაცემებს ეფუძნებოდა, ხეთურ, შუა და ახალ ასურულ ლურსმულ, ეგვიპტურ იეროგლიფურ და უგარიტულ ტექსტებში “ქასქა”, “ქაშქა”, “გაშქა”, “კაშქა”, Kškš (Kaškaš), Gaškaia, Kaškaia, Kaska-Kasku, Ktkym ტერმინებით აღნიშნული ეთნოსი (ეთნიკური ერთობა) გენეტიკურად კოლხურ (დასავლურ-ქართულ, მეგრულ-ჭანურ) ეთნოკულტურულ სამყაროსთანაა დასაკავშირებელი.

ცნობილია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ხეთურ და ასურულ წერილობით ძეგლებში მრავალგზის მოხსენიებული ქასქების (ქაშქების) ეთნიკური წარმომავლობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ერთნი მიიჩნევენ, რომ ქასქები (ქაშქები) ხათები (პროტოხეთები) ან მათი მონათესავე ტომები იყვნენ, მეორენი მათ აფხაზურ-ადიღურ ტომებად წარმოგვიდგენენ და აქედან გამომდინარე, შორს მიმავალ დასკვნებს აკეთებენ, მესამენი ქასქებს (ქაშქებს) ძველი ანატოლიის

ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონში ძველ-თაგანვე განსხვავებულ მკვიდრ ეთნოსებს მიაკუთვნებენ.

გრიგოლ გიორგაძე მართებულად უარყოფდა თვალსაზრისს ხეთური და ასურული ლურსმული ტექსტების ქასქების (ქაშქების) ადილეურ-აფხაზური წარმომავლობის შესახებ, რომელიც, ძირითადად, "ქასქა" — "ქაშქა" და VIII-XII საუკუნეების ბიზანტიურ, არაბულ და რუსულ წერილობით წყაროებში ჩერქეზ-ადილელების აღმნიშვნელი ტერმინების: "ქასახია", "ქაშაგ", "ქაშქაია", "კასოგი", "ქაშოგი", "ქაშიგი" ფონეტიკურ მსგავსებას ეფუძნება. გრიგოლ გიორგაძე ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავდა: "ლინგვისტური თვალსაზრისით, გარეგანი მსგავსება ხეთური წყაროების "ქასქა/ქაშქა" ტერმინისა შუა საუკუნეების დროინდელ "ქაშაგ" სახელწოდებასთან, რასაკვირველია, სავსებით დასაშვებია, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის დიდი წყვეტილია სივრცესა (დაახლ. 3000 კმ.) და დროში (მინიმუმ 20 საუკუნე). სახელთა მსგავსებაზე აგებული ფართოდ გავრცელებული მოსაზრება ხეთური წყაროების ქასქების გაიგივებისა ჩერქეზულ (ადილეურ) ტომებთან — ქაშაგებთან (ისევე როგორც ზოგიერთი ასურული ლურსმული ტექსტების აბეშლაელების დაკავშირება აფსილებთან და აქედან გამომდინარე, აფსუელებთან, ე.ი. თანამედროვე აფხაზებთან) საეჭვოა. საკითხავია, რამდენად მართებულია ტომთა იგივეობის გამოცხადება „ქასქა/ქაშქა“ და „ქაშაგ“ ტერმინთა სავარაუდო იდენტურობაზე დაყრდნობით? პირადად მიმაჩნია, რომ ეს ფაქტი არ უნდა იყოს გადამწყვეტი არგუმენტი ქას-



ქებისა და ჩერქეზების რეალური იგივეობის დადგენისათვის (ისევე, როგორც, აქედან გამომდინარე, ზოგიერთი ძალზედ შორს მიმავალი დასკვნისათვის). სრულიადაც არ არის გამორიცხული, რომ ამ ტერმინთა მსგავსება შემთხვევითია<sup>2</sup>.

ქართველი ხალხის ეთნოგენეზის პრობლემის შემდგომი კვლევა-ძიებისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი კონცეფციის შემუშავებისას გრიგოლ გიორგაძე ორ ძირითად ფაქტორს ითვალისწინებდა: ეთნოგეოგრაფიულსა და ეთნოლინგვისტურს.

ავტორი ყურადღებას იმ არსებითი ხასიათის გარემოებაზე ამახვილებდა, რომ ძვ. წ. XVI ს-ის დამდეგიდან მოყოლებული (როდესაც ხეთურ ტექსტებში პირველად ჩნდება ქასქების (ქაშქები) სახელწოდება) და უფრო ადრეც, ეს ტომები ხეთების სამეფოს ჩრდილოეთით, ჩრდილო-აღმოსავლეთითა და აღმოსავლეთით (შესაძლოა, მდ. ჭოროხის სათავეებამდე) მდებარე იმ ვრცელ რეგიონში სახლობდნენ, რომელიც ძველთაგანვე ქართველური (სამხრეთ კოლხური) ტომებისა (ტიბარენების, ხალიბების, მოსინიკების, მაკრონების და სხვათა) და მათი კულტურის არეალს წარმოადგენდა.

რაც შეეხება ეთნოლინგვისტურ ფაქტორს, შემდეგი უნდა აღინიშნოს: გრიგოლ გიორგაძემ, პირველმა ქასქების პრობლემის მკვლევართაგან, ხეთურ ტექსტებში შემონახული ქასქური ტოპონიმების, ანთროპონიმების, ორონიმების, ჰიდრონიმების, ცალკეული ტერმინებისა და სიტყვების ლინგვისტური ანალიზის გზით აჩვენა, რომ ქასქური ლექსემები ბგერითი შემადგენლობით, ფონემათა განაწილების სისტემით, მანარმოებელ აფიქ-

სთა ხასიათით (რაც საუკუნეებს უძლებს) დასავლურ ქართულ (მეგრულ-ჭანურ) ენებთან ავლენს გენეტიკურ სიახლოვეს<sup>3</sup>.

გრიგოლ გიორგაძის ნაშრომში სპეციალურადაა შესწავლილი ხათებისა და ქასქების, აგრეთვე ასურული წერილობითი ძეგლების „ქაშქა“ და „აბეშლა“ ტერმინებით აღნიშნული ეთნოსების ურთიერთმიმართების საკითხები. აქაც ავტორი არაერთ ახალ, ორიგინალურ თვალსაზრისს გვთავაზობდა.

ძვ. წ. XII ს-ის I ნახევრით დათარიღებული ასურული ლურსმული წარწერების ტექსტოლოგიური ანალიზის საფუძველზე და რიგი სხვა მომენტის გათვალისწინებით, გრიგოლ გიორგაძე არ იზიარებდა სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალგზის გამოთქმულ მოსაზრებას „ქაშქა“ „აბეშლა“ ტერმინების იგივეობასა და ქაშაგ-აფსილებად ქაშქა-აბეშლას მიჩნევის შესახებ. ავტორი სავსებით მართებულად დაასკვნოდა, რომ: „...ძნელია ქაშქები და აბეშლაელები ერთმანეთთან გავაიგივოთ. ეს კი საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ „ქაშქა“ და „აბეშლა“ ორი სხვადასხვა ტერმინია და არა ერთი ტომის ვარიანტი სახელწოდებები. მაშასადამე, ისინი ორი სხვადასხვა ტომის (ნათესაურის) აღმნიშვნელია<sup>4</sup>.

„ქაშქა“ - „აბეშლა“ ტერმინთა ლინგვისტური ანალიზის გზით გრიგოლ გიორგაძე კიდევ ერთ მნიშვნელოვან თვალსაზრისს ავითარებდა, რომლის თანახმადაც, ასურული ტექსტების „აბეშლა“ და ძველბერძენი ავტორების „აფსილი“ სინონიმებს წარმოადგენს. მაგრამ ისინი არა აფხაზურ-ადიღეური, არამედ კოლხური (მეგრულ-





ჭანური) წარმომავლობის ტომების აღმნიშვნელ ტერმინებადაა მისაჩნვევი. ამგვარი დასკვნის გაზიარების შემთხვევაში, გრიგოლ გიორგაძის აზრით, „აფსილ“ ტერმინში დამონმებული -ილ სუფიქსი შესაძლოა განვიხილოთ, „როგორც პროტოხეთურ-ქართველური წარმომავლობის აღმნიშვნელი -ელ სუფიქსი, ხოლო „აფსილ“ ქართულად შეიძლება ვთარგმნოთ, როგორც „აფსელი“, „აფს-იდან მომდინარე“ (მდრ. ქასქების საკუთარი სახელი „ქასქაილ“, ე.ი. „ქასქელი“ და ა.შ.)<sup>5</sup>.

ამჯერად, ჩვენი კვლევის ობიექტს ქასქური (ქაშქური) ონომასტიკონიდან მომდინარე კიდევ ერთი ტოპონიმი URU KUR Tipija – URU KUR Tibija წარმოადგენს, რომელიც ძვ.წ. II ათასწლეულის ხეთურ ტექსტებში ქასქების (ქაშქების) გაერთიანებასთან კავშირში რამდენიმეგზის იხსენიება („ამუნას ქრონიკა“, მურსილი II-ის „ათწლიანი ანალები“ და „ვრცელი ანალები“)<sup>6</sup>. ამ წერილობითი ძეგლების მონაცემთა კონტექსტში URU KUR Tipija – URU KUR Tibija სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისა და პონტოს მთიანეთში ლოკალიზდება<sup>7</sup> ანუ ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის იმ რეგიონში, სადაც ძველი ბერძენი, რომაელი და ბიზანტიელი ავტორების მოწმობით, დასავლურ-ქართული ტომები - ტიბარენები ბინადრობდნენ.

ტიბარენების (ტიბარების, ტიბარანების, ტიბარენების, ტიბრანების...) და მათი ქვეყნის (ტიბარენების მიწის, ტიბარენიდის, ტიბარენიის, ტიბარანიის, ტიბარენეს...) ლოკალიზაციის შესახებ ძველბერძენ, რომაელ და ბიზანტიელ ავტორთა თხზულებებში არაერთ საყურადღებო ცნობას ვპოულობთ. ამ წერილობით წყარო-

ებში ტიბარენების განსახლების ტერიტორია ხშირად მოსინიკებისა და ხალიბების კუთვნილ მინა-წყალს შორისაა მოთავსებული. ცნობა მოსინიკებთან ტიბარენების მეზობლობის შესახებ პირველად ჰეკატაიოს მილეტელის „დედამინის აღწერილობის“ სტეფანე ბიზანტიონელის „ლექსიკონის“ მეშვეობით მოღწეულ ფრაგმენტში მოწმდება. ბიზანტიელი ავტორის თანახმად, „ჰეკატაიოსი „ევროპაში“ (უნდა იყოს: „აზიაში“ - ნ. ხ.) (ამბობს) „ტიბარებს (ვარიანტი ტიბარენებს) აღმოსავლეთით მოსინიკები ესაზღვრებიან; ამათ ქვეყანაში არის ქალაქი ქოჰრადესი“ (St. Byz. s. Χοιράδες). ჰეკატაიოს მილეტელის მოყვანილ ინფორმაციას სკილაქს კარიანდელი მნიშვნელოვნად აზუსტებს, როდესაც გვამცნობს: „მოსუნოჰები. მაკროკეფალების შემდეგ არის ტომი - მოსუნოჰები., ნავსადგური ძეფირიოსი, ელინური ქალაქი ქოჰრადესი, არესის კუნძული. ესენი ცხოვრობენ მთებში. ტიბარენები. მოსუნოჰების შემდეგ არის ტომი - ტიბარენები. ხალიბები. ტიბარენების შემდეგ არის ტომი - ხალიბები, დახურული ნავსადგური - გენეტესი, ელინური ქალაქი სტამენეა და ელინური აკროპოლისი იასონია“ (Scyl. 86-88). ტიბარენების ქვეყნის ამგვარ ლოკალიზაციას სხვა არაერთი ავტორი იმეორებს (ქსენოფონტი, აპოლონიუს როდოსელი, პომპონიუს მელა, პლინიუს სეკუნდუსი, სკიმნოს ქიოსელი, დიონისიოს პერიეგეტი, გაიუს ფლაკუსი, ამიანე მარცელინე, სტეფანე ბიზანტიონელი, ევსტათე და სხვები: Xenoph, Anab., V, 1, და შმდ., Pomp. Mel., I, 100; Plin. Sec., VI, II; Dion. Per., 761-777; St. Byz., Χοιράδες; Eust., 767).



ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით, ზემოდასახელებულ ავტორთაგან, ზოგიერთი ახალ საყურადღებო ინფორმაციას გვანვდის. მაგალითად, ქსენოფონტის „ანაბასის“ მონაცემებით, კოტიორა (დღევ. ორდუ) ტიბარენების ქვეყანაში სინოპელთა მიერ დაარსებული ქალაქი იყო, ხოლო თავად ქვეყანა მესუდიესა და თერმე-ჩაის სათავეების შემცველ მხარემდე ვრცელდებოდა (Xenoph, Anab., V, 1 და შმდ.). აპოლონიუს როდოსელის „არგონავტიკის“ თანახმად კი, ხალიბების მეზობელი, ცხვრის ფარებით მდიდარი, ტიბარენები ევქსინის ზევსის კუთვნილი გენეტეს კონცხის გადაღმა (ზემოთ) ცხოვრობენ (Ap. Rhod., Arg., II, 375-381, 1001 და შმდ.). სკიმნოს ქიოსელს მოსინიკების მეზობელი ტიბარენების ქვეყანა კერასუნტის დასავლეთით ეგულება. იგი აღნიშნავს: „კერასუნტი სინოპელთა კოლონიაა; აქამდე ვრცელდება უდაბური კუნძული, რომელსაც არესის ეწოდება. მეზობლად ცხოვრობდა ტომი ტიბარენები“ (Scym, 911 და შმდ.). სტიფანე ბიზანტიონელის მოწმობით, ეფორე (ძვ. წ. IV ს.) ტიბარენების მეზობლად ხალიბებსა და ლევკოსირიელებს მიიჩნევდა (St. Byz., s. Χοιράδες), ხოლო ქსერქსეს ლაშქრის ჰეროდოტესეული აღწერიდან (Herodotus, VII, 78) საკმაოდ კარგად ჩანს, რომ ტიბარენების უახლოესი მეზობლები სამხრეთიდან ჩვენს მიერ დღევ. ტოკატ-ყარა-ჰისარ-გიუმუშხანეს სანახებში ლოკალიზებული მოსხები იყვნენ<sup>8</sup>.

ტიბარენების ქვეყნის ადგილმდებარეობის დასადგენად საგულისხმო ცნობები სტრაბონის „გეოგრაფიკა“ შემოგვინახა. ბერძენი ავტორის თანახმად, „ტრაპეზუნტისა და ფარნაკიის ზემოთ ცხოვრობენ ტიბარე-

ნები, ქალდეები და სანები, რომელთაც მაკრონებს უწოდებდნენ [აქავია] მცირე არმენია, ამ ადგილების ახლოს ცხოვრობენ აპაიტები, უწინდელი კერკიტები“ (Strabo, XII, 3, 18). მცირე არმენიასთან კავშირში ტიბარენების მოხსენიებას სტრაბონის „გეოგრაფიის“ სხვა კონტექსტებშიც ვადასტურებთ: „ფარნაკიისა და ტრაპეზუნტის მახლობლად მდებარე ადგილების ზემოთ არიან ტიბარენები და ქალდეები, ვიდრე მცირე არმენიამდე...“ (Strabo, XII, 3, 28). იქვე სტრაბონი იმასაც დასძენს, რომ ქალდეები და ტიბარენები მცირე არმენიის ქვეშევრდომები არიან, არმენიელთა ხელისუფლება ტრაპეზუნტ-ფარნაკიამდე ვრცელდება (Strabo, XII, 3, 28). სტრაბონისეულ ცნობებს მცირე არმენიასთან ტიბარენების ქვეყნის ტერიტორიული სიახლოვის შესახებ დიონ კასიუსის თხზულების „მსოფლიო აღწერილობის“ გვიანდელი კომენტატორი – ევსტათეც იმეორებს (Eust., 767).

წერილობით წყაროებში ორიოდე ცნობას ვხვდებით ტიბარენების ქვეყნის ლანდშაფტის წარმოსაჩენად. ქსენოფონტის „ანაბასისის“ მოწმობით, ტიბარენების ქვეყანა უფრო ვაკიანი იყო, ვიდრე მოსინიკებისა (Xenoph, Anab., V, 1). გაიუს ფლაკუსის „არგონავტიკაში“ „ტიბარენების მწვანე ტბების“ მოხსენიებას ვადასტურებთ<sup>9</sup>.

ტიბარენებთან დაკავშირებით სხვადასხვა ავტორების მიერ ევქსინის პონტოს, ქ. კოტიორას (დღევ. ორდუ), გენეტეს კონცხის ხშირი მოხსენიების ფაქტები, ისევე როგორც სხვადასხვა დროს მოსინიკებთან, ხალიბებთან, ლევკოსირიელებთან, მოსხებთან, მცირე არმენიასთან მათი ქვეყნის მეზობლობის ამსახველი ზემოთ

მოხმობილი მონაცემები, საფუძველს გვაძლევს დავასა-  
კვნათ, რომ ძვ. წ. I - ახ. წ. I ათასწლეულებში ტიბარენე-  
ბის ქვეყანა სამხრეთ-აღმოსავლეთ პონტოსპირეთსა და  
პონტოს მთიანეთს შორის გადაჭიმულ ტერიტორიაზე  
მდებარეობდა<sup>10</sup>.

თუ URU KUR Tipija – URU KUR Tibija და ტიბარენების ქვეყ-  
ნის შემოთავაზებულ ლოკალიზაციებს გავიზიარებთ,  
დავინახავთ, რომ ისინი ერთმნიშვნელოვნად ადასტუ-  
რებენ ი. დიაკონოვის მიერ, ჯერ კიდევ 1968 წ. გამოთ-  
ქმულ ვარაუდს ტიბარენების ქვეყნის URU KUR Tipija – URU  
KUR Tibija-თან იდენტიფიკაციის შესახებ<sup>11</sup>.

ჩვენი აზრით, ამ ვარაუდის სასარგებლოდ ყურად-  
ღებას სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი გარემოებაც იმ-  
სახურებს, კერძოდ, სახელწოდება URU KUR Tipija – URU KUR  
Tibija-ს სტრუქტურული მსგავსება ერთი მხრით, ქაშ-  
ქურ/ქასქურ, ხოლო მეორე მხრივ, დასავლურ-ქართულ  
(მეგრულ-ჭანურ) ონომასტიკონებში დამონმებულ ტე-  
რმინებთან. გასათვალისწინებელია URU KUR Tipija – URU KUR  
Tibija-ს ია-სუფიქსით წარმოება. ამ თვალსაზრისით, იგი  
სრულ იდენტურობას ავლენს გრიგოლ გიორგაძის მიერ  
შესწავლილ ია-სუფიქსით გაფორმებულ ქასქურ/ქაშ-  
ქურ გეოგრაფიულ ტერმინებთან: აშხარფაია (აშხარბა-  
ია), ელურია (ილურია), გახარია, ქათხარია, ქაშქაია  
(ქასქაია), ფათალია, შარია (სარია) შუხურია (სუხურია),  
თახანთარია, თალიფაცია, თაქაშთურია (თაქასთურია),  
თიმია, ვაშხაია (ვასახია), ციხარია, ცითხარია და სხვა,  
რომელთაც მეცნიერი ია-სუფიქსით დამთავრებულ  
მეგრულ გვარ-სახელებს უდარებდა (ქეცბაია, თოფუ-

რია, ქანთარია, გახარია, გამახარია, პაჭკორია, ოდიშარია, ქუთელია და ა.შ.)

საკვლევია URU KUR Tipija – URU KUR Tibija-ს და ტიბარენების აღმნიშვნელი სახელწოდებები (იხ. ზემოთ) იმ მხრივაცაა საინტერესო, რომ არსებობს საკმაოდ მყარი საფუძველი, რათა მათი ფუძეები (Tip-, Tib-) თბილის აღმნიშვნელი საერთო-ქართველური ტეფ/ტიფ-დან წარმომდგარი ქართ. თფ-ილ-ს, მეგრ. ტიბ//ტიუბ//ტიბ, ტუბ-უს (თბილს), ლაზ. ტუბ//ტიბ, ოტუბ-უ-ს (თბობას), ტიბ-უ//ტიუბ-უ (თბილს), სვან. ტებ, ტებ-იდ//ტებ-ედ-ი//ტებ-დ-ი (თბილს) (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, კ. შშიდტი, გ. დეეტერსი...) დავუკავშიროთ და აქედან გამომდინარე, აღნიშნული სახელწოდებების გენეზისი ქართველური (resp. დასავლურ-ქართული) ენების წიაღში ვეძიოთ.

### დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. გიორგაძე გრ., ხეთური და ასურული ლურსმული ტექსტების ქასქების (ქაშქების) და აბეშლაელების ეთნიკური წარმომავლობისათვის, ახალციხე, 2000.
2. გიორგაძე გრ., დასახ. ნაშრ., გვ. 13-14; 23-24; 47-48...
3. გიორგაძე გრ., დასახ. ნაშრ., გვ. 15-17; 24-26...
4. გიორგაძე გრ., დასახ. ნაშრ., გვ. 67.
5. გიორგაძე გრ., დასახ. ნაშრ., გვ. 71.
6. ლამბაშიძე მ., ხეთური ანალისტიკა, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2003, გვ. 120-134.



7. Die Hethiter und ihr Reich, Das Volk der 1000 Götter, Kunst – und Ausstellungshalle der Bundesrepublik Deutschland, 18 Januar-20 April, 2000, S. 198-199, 304-305.; Ср. Гиоргадзе Г.Г., К вопросу о локализации и языковой структуре каскских этнических и географических названий, Переднеазиатский сборник, Вопросы хеттологии и хурритологии, Москва, 1961, с. 168 и сл.

8. ხაზარაძე ნ., საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები თბილისი, 1984, გვ. 5-34.

9. ВДИ, 1949, №2, с.349.

10. ხაზარაძე ნ., სამხრეთ კავკასია და ახლოაღმოსავლეთი, თბილისი, 2005, გვ. 193 და შმდ.

11. Дьяконов И.М., Предыстория армянского народа, Ереван, 1968, с.218, прим. 7.

**მასალები სამეფო ხელისუფლების ისტორიისათვის ქველ ფრიგიასში**

ერთ-ერთი ძირითადი წერილობითი წყარო, რომელიც ძველადმოსავლური ხანის ფრიგიასში სამეფო ხელისუფლების ისტორიის რეკონსტრუქციაში გვგებმარება, ანტიკური საისტორიო მწერლობაა. ძვ. წ. V საუკუნის ავტორი ჰეროდოტე პირველია მათ შორის, ვინც ფრიგიის მეფეთა დინასტიური სახელები: „გორდიოსი“ და „მიდასი“ შემოგვინახა (Herodotus I, 14, 35, 45; VIII, 138)<sup>1</sup>. საგულისხმო ისაა, რომ ეს ორი საკუთარი სახელი რიგ-რიგობით ერქვათ ფრიგიელთა მეფეებს. იგი, როგორც წესი, მამიდან შვილზე გადადიოდა.

ამ თვალსაზრისით, შემდეგიცაა საყურადღებო: ჰეროდოტე გვამცნობს: „როდესაც კროსოსი შვილის ქორწილს აღნიშნავდა, სარდელში კაცი მოვიდა, რომელსაც უბედურება შემთხვეოდა და ხელები სუფთა არ ჰქონდა. იგი წარმოშობით ფრიგიელი იყო, სამეფო გვარიდან. მოვიდა იგი კროსოსის სახლში და განწმენდა ადგილობრივი წესების მიხედვით ითხოვა. კროსოსმა იგი განწმინდა (ლიდიელების განწმენდა ელინებისას ემსგავსება). მას შემდეგ, რაც კროსოსმა შეასრულა ის რაც საჭირო იყო, გამოჰკითხა მოსულს, თუ საიდანაა და ვინაა: „ადამიანო, ვინა ხარ და სტუმრად ფრიგიის რომელი მხრიდან მოხვედი ჩემთან? რომელი მამაკაცი ან ქალი მოჰკალი?“ მოსულმა შემდეგი უპასუხა: „მეფო, გორდიესის, მიდასის ძის შვილი ვარ, ადრესტოსი მქვია და ჩემი საკუთარი ძმა შემომაკვდა, უნებურად. მოვედი აქ მამის მიერ გამოძევებული. ყველაფერი დავკარგე“. კროსოსმა უპასუხა: „შენ ჩემი საყვარელი ადამიანების შვილი ხარ და მოსულხარ მეგობრებში. აქ დარჩი ჩვენთან და აქ არაფერი გაგიჭირდება. ეს უბედური შემთხვევაა. რაც შეიძლება იოლად გადაიტანე. საბოლოოდ ეს დიდად გარგებს“ (Herodotus I, 35). მოყვანილ ნაწყვეტში ბევრია საგულისხმო. ერთი რომ იგი ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს იმ თვალსაზრისს, რომ „მიდასი“ და „გორდიოსი“ დინასტიური სახელები იყო. არანაკლებ გასათვალისწინებელია ტერმინის „სამეფო გვარის“ მოხსენიებაც. საინტერესოა ძმის მკვლელობის ამსახველი ინფორმაციაც. როგორც თავის დროზე სხვადასხვა ხალხების ისტორიის შესწავლის საფუძველზე ჯ. ფრეზერმა უჩვენა, ძმის მკვლელობის თემა





პირდაპირ კავშირშია სამეფო ხელისუფლების მემკვიდრეობის წესთან<sup>2</sup>.

ფრიგიაში არსებული სამეფო ხელისუფლების ისტორიის წარმოსაჩენად ჰეროდოტეს თხზულებაში კიდევ ერთ გასათვალისწინებელ ინფორმაციას ვხვდებით. მხედველობაში გვაქვს ბერძენი ავტორის მითითება დელფოსის ორაკულისადმი ფრიგიის მეფე მიდასის მიერ სამეფო ტახტის შენირვის შესახებ. ჰეროდოტეს სიტყვებით: „გიგესი პირველია ჩვენთვის ცნობილ ბარბაროსთა შორის, რომელმაც შესანიშნავები მიაღწია დელფოს, ფრიგიის მეფის მიდასის, გორდიოსის ძის შემდეგ. მიდასმა დელფოს სამეფო ტახტი შესწირა, რომელზედაც თვითონ იჯდა და მოსამართლეობდა. ეს ტახტი ღირშესანიშნავი რამ არის. ის იქვე დგას, სადაც გიგესის კრატერებია” (Herodotus I, 14)<sup>3</sup>.

ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებით საყურადღებო ცნობები ძველმა ბერძნულმა მითოლოგიამ შემოგვინახა. მიუხედავად იმისა, რომ ძველბერძნულ მითებში მიდასისა და გორდიოსის შესახებ მთავარ როლში ფრიგიელთა ნახევრადლეგენდარული მეფეები მიდასი და გორდიოსი გვევლინებიან, რომელთაც მითისათვის დამახასიათებელი ატრიბუტიკა ახლავს, ამ მითიური სიუჟეტების ანალიზს საგულისხმო დასკვნებამდე მივყავართ.

მიდასის ციკლის მითებში რამდენიმე საინტერესო მითითებას ვხვდებით. ფრიგიაში სამეფო ხელისუფლების ისტორიის ამსახველი ერთ-ერთი მითის თანახმად, ხვნით გართული ფრიგიის მომავალი მეფის მიდასის (ვარიანტი - გორდიოსის) ხარებშებმულ უღელზე არნი-



ვი შემოჯდა. ამით არნივმა მომავალ მეფეს ღმერთების  
 გადანყვეტილება ამცნო. იგი მიდასის (ვარიანტი - გორ-  
 დიოსის) მომავალ გამეფებას ეხებოდა (Atr., II, 3,3). ქუ-  
 რუმმა ქალმა ამ სასიხარულო წინასწარმეტყველების  
 აღსანიშნავად მსხვერპლი შესწირა (Atr., II, 3,4). სხვა მი-  
 თის მონმობით, მიდასმა (ვარიანტი - გორდიოსმა) ქუ-  
 რუმი ქალი ცოლად შეირთო (Just, XI, 7, 8). ამავე მითის  
 სხვა ვერსიის მიხედვით, მიდასმა ცოლად ფრიგიელების  
 უზენაესი ღვთაება, „ღმერთების დედად“ ნოდებულის,  
 კიბელა მოიყვანა. კიდევ ერთი მითი იმსახურებს ყუ-  
 რადლებას: უმეფობის ხანაში (სხვა ვერსიით, სამოქალა-  
 ქო ომის დროს), ორაკულმა ამცნო ფრიგიელებს, რომ  
 მეფედ ის გახდებოდა, ვინც მათ ურმით გამოეცხადებო-  
 და, ხოლო მეფედ კურთხევა ან სახალხო კრებაზე მოხ-  
 დებოდა ან ტაძარში (Atr., II, 3, 5; Just, XI, 7, 11, 12). არა-  
 ნაკლებ საინტერესო ის ინფორმაციაცაა, სადაც ნათ-  
 ქვამია, რომ მომავალი მეფე ხალხს დედ-მამის თანხლე-  
 ბით მოეველინა. მითის ერთ-ერთი ვერსიის თანახმად,  
 მიდასს მამა - გორდიოსი და დედა - კიბელა ახლდნენ  
 (Atr., II, 3, 5). დაბოლოს, კიდევ ერთი მითოლოგემა იმსა-  
 ხურებს ყურადლებას. იგი სხვადასხვა ვარიანტებითაა  
 მოღწეული ჩვენამდე. მითებში ერთხმად აღინიშნება,  
 რომ მიდასის სამეფო ურემზე კვანძი იქნა გაკეთებული,  
 ცნობილი „გორდიოსის კვანძი“, რომელიც რიგი ავტო-  
 რების (პომპეუს ტროგუსის, კურციუს რუფუსის, პლუ-  
 ტარქეს, არიანეს) თანახმად, ძვ. წ. IV საუკუნეში ალექ-  
 სანდრე მაკედონელმა ხმლით გაკვეთა. შემთხვევითი არ  
 არის, რომ ძველ დროშივე აღნიშნული კვანძი სამეფო  
 ხელისუფლების სიმბოლოდ იქნა გააზრებული. სჯერო-



დათ, რომ ის, ვინც ამ კვანძს გახსნიდა მთელი აზრისა და მსოფლიოს მპყრობელი გახდებოდა (Just, XI, 7,4; Curt, III, 16; Arr, II, 2, 3, 6...)⁴.

ზემომოყვანილი პირველი მითოლოგიების შესახებ ორი ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებაა გამოთქმული. ერთნი მიიჩნევენ, რომ საქმე ეხება მინათმოქმედთა წრიდან მეფის არჩევას. მეორენი, რომლებიც, ჩემი აზრით, უფრო მართებულად ხსნიან მითის არსს, აღნიშნავენ, რომ მასში საუბარია საკრალურ ხვნაზე, საკრალური ხნულის გავლებაზე, რომელიც საკმაოდ გავრცელებულ რიტუალს წარმოადგენდა ძვ. წ. II-I ათასწლეულების ანატოლიაშიც და სამხრეთ კავკასიაშიც (გადმონათის სახით, იგი ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ბოლო დრომდე არსებობდა).

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ხეთურ ტექსტებში ხშირადაა საუბარი საკრალური ხნულის გავლებაზე გარდაცვლილი მეფის საპატივცემულოდ. ძველ ბერძნულ სამყაროში რიტუალურ ხვნას ე. წ. თესმოფორიების დროს ასრულებდნენ. ეს დღესასწაული მინათმოქმედების, ქორნილისა და სამოქალაქო წესრიგის ღვთაება დემეტრას ეძღვნებოდა. საკრალური ხნულის გავლება ქურუმს ევალებოდა. არანაკლებ საინტერესოა ფრიგიის ძველ დედაქალაქ გორდიონში არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებული მასალები. კერძოდ კი, ერთ-ერთ ყორღანულ სამარხში (Tumulus P) აღმოჩენილი უღლიანი ხარის გამოსახულება, რომელიც ავეჯის მოხატულობაშიცაა ფართოდ გამოყენებული⁵. როგორც აღინიშნა, ყურადღებას ქართული ეთნოგრაფიული მასალებიც იმსახურებს. ამასთან



დაკავშირებით შეიძლება ე. წ. "მეკვლეს" ინსტიტუტი გავიხსენოთ, რომელიც „თედორობასთან“ (წმ. თედორეს დღესასწაულთან) ასოცირდება. მეკვლეს ფუნქციას სწორედ საკრალური ხვნა წარმოადგენდა, რაც მინაში პირველი კვალის გავლებაში გამოიხატებოდა. ს. მაკალათიას მიერ მოპოვებულ მასალებში საინტერესო ცნობებია დაცული იმის თაობაზეც, რომ ახალ წელს მეკვლე სახლში ხართან ერთად შედიოდა (ს. მაკალათია).

რაც შეეხება არწივს, შემდეგი შეიძლება ითქვას: ძველალმოსავლურ მითოლოგიაში არწივის, როგორც ღმერთების მაცნის ფუნქცია არაერთგზის დასტურდება. ე. გოლუბცოვას აზრით, არწივის კულტის არსებობაზე ფრიგიაში ახ. წ. I-III სს-ის საფლავის ქვებზე არწივების ხშირი გამოსახულებები მეტყველებს. როგორც წესი, ეს სტელები ზევსისადმი მიძღვნილი ტექსტებითაა წარმოდგენილი. ნიშანდობლივი ისიცაა, რომ რომაული ხანის ფრიგიულ ძეგლებზე არწივებს ხშირად თან უღლიანი ხარების გამოსახულებები ახლავს. არანაკლებ საგულისხმოა ელიანეს მონათხრობიც, სადაც თავად მიდასი არწივის სახითაა წარმოდგენილი (Aelian, VH, IV, 17).

არწივთან დაკავშირებით ყურადღებას თელიფინუსადმი მიძღვნილი ხეთური ტექსტებიც იმსახურებს. მითის თანახმად, თელიფინუს უეცარი გაქრობის ჟამს მას დიდი და მცირე ღვთაებები ამოოდ ეძებენ. მაშინ მზის ღვთაება უზენაეს ღვთაებასა და მეფეს შორის შუამავალს – არწივს იბარებს და თელიფინუს დაბრუნებას მაინცადამაინც მას ავალებს. ისიც ირკვევა, რომ არ-



წივს სხვა საკრალური ფუნქციაც გააჩნდა. თელიფინუს მითი გვამცნობს: „თელიფინუს რისხვა ემატებოდა, მორაკრაკე ნაკადულები შეაჩერა და მდინარეებს მიმართულება შეუცვალა, ნაპირზე გადმოადინა, სარკმელები დალენა, სახლები დააქცია, ხალხი დაღუპა, საქონელი, ცხვარი ამონყვიტა. და თქვეს ღმერთებმა: ვუხმოთ ადამიანს! დააბრუნოს ხათარას წყარო ამუნას მთაზე! არწივი მოფრინდეს და აამოძრავოს იგი! დაე, ადამიანებმა აღძრან სამოქმედოდ! არწივის ფრთებმა აღძრას სამოქმედოდ“<sup>6</sup>.

ამგვარად, მიდასთან ერთად არწივის გამოჩენა სავსებით კანონზომიერი ჩანს.

იგივე შეიძლება ითქვას მეფესთან ერთად ქურუმი ქალის გამოჩენასთან დაკავშირებითაც. ამ ასპექტით საინტერესოა ვ. ივანოვის მიერ გამოთქმული თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც, ზურიტულ თემში ქურუმი ქალები „ქალმეფეებად“ იწოდებოდნენ, რაც მათ მაღალ სოციალურ მდგომარეობაზე მიუთითებდა<sup>7</sup>.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მითის ერთი ვერსიის თანახმად, მეფე მიდასის მეუღლე ღვთაება კიბელა იყო. იქვე იმაზეც მივუთითებდით, რომ კიბელა მიდასის დედა და გორდიოსის მეუღლეც გახლდათ. როგორც ჩანს, ქალღვთაების გამოჩენა მიდასის გამეფების აღწერისადმი მიძღვნილ სიუჟეტში შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო, რადგან სამეფო ხელისუფლების წარმოშობა თითქმის ყველა ძველ საზოგადოებაში ღვთიურ საწყისთან ასოცირდებოდა. სამეფო ხელისუფლება, განიხილებოდა როგორც განსაკუთრებული სუბსტანცია, რო-

მელიც ციდან ჩამოვიდა და ღვთაების, ან ღვთაებათა ნება-სურვილს ემორჩილებოდა<sup>8</sup>.

არანაკლებ საყურადღებოა ზემოაღნიშნული ცნობები ორაკულის წინასწარმეტყველებისა და სამეფო ურმის შესახებაც. ეს თემები საკმაოდ ცნობილი იყო სხვა ძველადმოსავლური ხალხებისთვისაც. სამეფო ურემს საკრალური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ამ მოსაზრების შესამაგრებლად ურისა და ქიშის სამარხებში ე. წ. „სამეფო ურმების“ დიდი რაოდენობით არსებობაზე მიუთითებენ. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, უკვე ადრეულ ხანაშივე ეს ურმები ორგანულად უკავშირდებოდა სამეფო ხელისუფლებას და როგორც ჩანს, ძალაუფლების სიმბოლოსაც წარმოადგენდა. ურემი საბრძოლო ეტლთან ერთად, ხშირად ფიგურირებს ხეთი მეფეების რიტუალური ე. წ. „შემოვლების“ აღწერისას. არანაკლებ საინტერესოა კავკასიური არქეოლოგიური მასალებიც, კერძოდ, თრიალეთის ყორღანები, სადაც, მიცვალებულებს (ბელადებს), როგორც წესი, ოთხთვალა ურმებზე ასვენებდნენ<sup>9</sup>.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გვიანდელი ხანის მითებსა და ლეგენდებში მიდასთან დაკავშირებით ღვთაებრივი ეტლი იხსენიება და არა უბრალო ურემი. ამ ეტლს, ისევე როგორც ურემს, საკრალური მნიშვნელობა ჰქონდა. ისიც სამეფო ხელისუფლების სიმბოლოს წარმოადგენდა. ინტერესმოკლებული არ არის ის გარემოება, რომ ირანში ეტლს ან ზევსს („ზევსის ღვთაებრივი ეტლი“) ან მეფეს უკავშირებდნენ. ჰეროდოტეს მოწმობით, ზევსის ეტლში რვა თეთრი ცხენი იყო შებმული, ხოლო ქსერქსეს ეტლში - განთქმული ნისეს



ულამაზესი ცხენები. აქვე, შესაძლოა, გავიხსენოთ ჰე-  
ლიოსისა (მზის ღვთაებისა) და სილენეს (მთვარის  
ღვთაების) ცხენშებმული ეტლები, რომელთა საშუალებითაც, ბერძნების წარმოდგენით, ეს მნათობები ცაზე მოძრაობდნენ<sup>10</sup>.

როგორც უკვე ითქვა, სამეფო ხელისუფლებასთან უნდა იყოს დაკავშირებული ე. წ. „გორდიოსის კვანძიც“. ამ მხრივ, საინტერესო ისიცაა, რომ თავად სიტყვა „კვანძი“ ძველ ბერძნულშიც და ხეთურშიც „კვანძის“ გარდა „ძალაუფლებასაც“ აღნიშნავდა<sup>11</sup>.

კვანძი, როგორც მაგიური ობიექტი, ბევრი ძველი ხალხისათვის იყო ცნობილი. ვარაუდობენ, რომ თავდაპირველად იგი ნაყოფიერების კულტს უკავშირდებოდა. ხეთურ მითებში არაერთგზისაა საუბარი ბუნების „შეკვრასა“ და „გახსნაზე“. ამ რიტუალს ჩვეულებრივ გაზაფხულზე ასრულებდნენ<sup>12</sup>.

დაბოლოს, იმ ცნობაზეც შევჩერდეთ, სადაც ნათქვამია, რომ მიდასი (ვარიანტი - გორდიოსი) მეფედ სახალხო კრების მიერ იქნა არჩეული. სახალხო კრების მიერ მეფის არჩევის წესი არაერთ როგორც არქაულ, ასევე უფრო განვითარებულ საზოგადოებებში იყო გავრცელებული. ირკვევა, რომ ბაბილონში ჯერ კიდევ ძვ. წ. I ათასწლეულში, როდესაც სამეფო ხელისუფლებას აშკარად მემკვიდრეობითი ხასიათი ჰქონდა და იგი მამიდან შვილზე გადადიოდა, ყოველწლიურად, გაზაფხულზე ტახტზე მეფის ასვლის ცერემონიალი სრულდებოდა. იგი საკმაოდ არქაულ ელფერს ატარებდა. მუხლმოდრეკილი მეფე ღვთაების ქანდაკების წინ დგებოდა, ფიცს დებდა, რომ წლის მანძილზე არაფერი დაუშა-

ვებია არც ბაბილონისათვის და არც რომელიმე სხვა ქალაქისათვის. შემდეგ უმაღლესი ქურუმი მეფეს ძლიერ სილას აწნავდა და ყურებსაც ასეთივე ძალით ჩამოუქაჩავდა. თუ მეფეს თვალებზე ცრემლები მოადგებოდა, ითვლებოდა, რომ რიტუალმა ღმერთების მოსაწონ დონეზე ჩაიარა. მეფეს უბრუნებდნენ კვერთხს, სამეფო ხელისუფლების მანიშნებელ სხვა ინსიგნიებს და კვლავ ტახტზე აჰყავდათ. ვ. იაკობსონის აზრით, ამ რიტუალში იმ ეპოქის სიტუაცია იყო თავისებურად არეკლილი, როდესაც მეფეს ყოველწლიურად საჯაროდ ირჩევდნენ. ამავე საკითხზე საყურადღებო მონაცემები აქვს შეგროვილი ჯ. ფრეზერსაც.

ამგვარად, ზემოგანხილული მონაცემები იმაზე მეტყველებს, რომ ბერძნულ მითებში მიდასის შესახებ საყურადღებო მინიშნებებია შემონახული ფრიგიაში სამეფო ხელისუფლების ისტორიისა და მასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ. ირკვევა, რომ ისევე როგორც გვიანხეთურ საზოგადოებებში<sup>13</sup>, ასევე ფრიგიაშიც, სამეფო ხელისუფლება მამიდან შვილზე გადადიოდა. ფრიგიის მეფეებს "მიდასი" და "გორდიოსი" ერქვათ. როგორც წესი, "მიდასები" "გორდიოსების" ვაჟები იყვნენ და პირიქით. მართალია, ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით სადღეისოდ არსებული ცნობები ძალზე მწირია, მაგრამ თუ მათ ჩვენს ხელთ არსებული მთელი მასალის კონტექსტში განვიხილავთ, დავინახავთ, რომ ფრიგიაში ძვ. წ. VIII-VII სს-ში არსებული სამეფო ხელისუფლება გვიანხეთური სამეფო-სამთავროებში არსებულის მსგავსი იყო. ფრიგიელები, ისევე როგორც გვიანი ხეტები, სამეფო ხელისუფლებას





ღვთაებას უკავშირებდნენ. უკეთ კი, სამეფო ხელისუფლებას ღვთაების მიერ ბოძებულად იაზრებდნენ. როგორც დავინახეთ, მიდასის გამეფება ღვთაების მიერ გამოგზავნილი არწივის მოფრენით იწყება. მიახლოებით ასეთივე ვითარებას ვხვდებით ლუვიურ-იეროგლიფურ წარწერებშიც, სადაც თითქმის ყოველთვის ხაზგასმულია მეფესა და ღვთაებას შორის ორგანული კავშირის არსებობა. ამ კავშირს, განსაკუთრებით მეფეთა წარწერების შესავალ ნაწილში ესმება ხაზი. აქ ხშირადაა ნათქვამი, რომ მეფე “მზის ღვთაების მიერაა შუქმოფენილი”, “ღვთაების მიერაა მინაზე მოვლენილი”, “ღვთაების (ან ღვთაებათა) საყვარელი კაცია”, მისი (ან მათი) “ნება-სურვილის აღმსრულებელი”, “ღვთაების მსახური და მისი საქმის გამგრძელებელი”...<sup>14</sup>

ძვ. წ. VIII საუკუნის ბოლო მეოთხედის ფრიგიაში რომ ძლიერი სამეფო ხელისუფლება არსებობდა, სადაც სამეფო ხელისუფლების მემკვიდრეობის დაკანონებული წესი უნდა ყოფილიყო გაბატონებული, ზემოაღნიშნულთან ერთად, ფრიგიის ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალაც ადასტურებს. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა ე. წ. მიდასის ყორღანის გათხრების შედეგები. მიდასის ყორღანი XX საუკუნის 50-იანი წლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან აღმოჩენას წარმოადგენს. თავად ფაქტი ძვ. წ. VIII ს-ის ბოლო მეოთხედის ფრიგიაში ყორღანული სამარხების არსებობისა იმაზე მეტყველებს, რომ ფრიგიულ საზოგადოებაში სოციალური იერარქია აშკარად იყო გამოხატული. ჩემი აზრით, ამაზევე მიუთითებს ყორღანული სამარხებისა და კერძოდ, მიდასის ყორღანის ზომები და ინვენტარი,

განსაკუთრებით მიცვალებული მეფის მდიდრული მორთულობა: მეფე ხის სარეცელზე ესვენა. მისი სამოსი ფერადი ქსოვილისაგან იყო დამზადებული, რომელსაც ბრინჯაოს სამკაული ამშვენებდა. მეფეს წელზე ტყავის ქამარი ჰქონდა შემორტყმული, ხელ-ფეხსა და მხრებს ბრინჯაოს ფიბულები ალამაზებდნენ. მიდასის ყორღანში ხელოვნების არაერთი შესანიშნავი ნივთი იქნა აღმოჩენილი. ასე, მაგალითად, დასაკრძალავი კამერის აღმოსავლეთ კედელთან არქეოლოგებმა ცხრა დეკორატიული მაგიდა, სამეფო სავარძელი, ორი ინკრუსტირებული შირმა, ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში სამი დაბალი მაგიდა, ჩრდილოეთ კედელთან ორი მაგიდა, კამერის ცენტრალურ ადგილას ხუთი მაგიდა, სამხრეთ კედელთან ორი მაგიდა დაადასტურეს. ჩამოთვლილ ავეჯთან ერთად მიდასის სამარხში დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ლანგრები, კოვზები, ბრინჯაოს თასები, ცხოველთა მინიატურული ფიგურები და ა. შ.<sup>15</sup>

ფრიგიული საზოგადოების არსის გააზრებისათვის დიდი მნიშვნელობა არქეოლოგიურ სხვა მონაპოვარსაც აქვს. ირკვევა, რომ ძვ. წ. VIII საუკუნის ფრიგიაში განვითარების მაღალ დონეს მიაღწია ხელოსნობამ, პირველ რიგში კი, ხის დამუშავებამ, საკუთარი ხის მასალის სრული უქონლობის პირობებში. გორდიონის ყორღანებში მრავლადაა დამონმებული ბზისგან და ურთხელისგან დამზადებული, ინკრუსტირებული, გრავირებული, მოზაიკითა და ჩუქურთმით შემკული ხის ავეჯი და ჭურჭელი (ფინჯნები, კოვზები, დოქები, ლანგრები, თასები, ფიალები, ქვაბ-ქოთნები...) აგრეთვე, მარაო, ქოლგის ტარი<sup>16</sup>.

ასეთივე მაღალ დონეს მიაღწია ძვ. წ. VIII ს-ის ბოლო მეოთხედის ფრიგიაში მეთუნეობამაც. ჭურჭელს უზვად ამკობდნენ გეომეტრიული ორნამენტებით, ცხოველთა და ფრინველთა გამოსახულებებით. სხვადასხვანაირი იყო ჭურჭლის ფორმაც. ფრიგიელები ჭურჭელს ცხოველის (მაგალითად, ცხვრის), ან ფრინველის (მაგალითად ბატის) ფორმას აძლევდნენ. ფრიგიაში, თავდაპირველად, ნაცრისფერი კერამიკა იყო გაბატონებული (ამფორები, ღრმა თასები, ლარნაკები...). მოგვიანებით, მის ტერიტორიაზე მოხატული ჭურჭელი გავრცელდა, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, აღმოსავლეთ ანატოლიას უკავშირდებოდა<sup>17</sup>.

ძვ. წ. VIII-VII სს-ის ფრიგია ბრინჯაოს და რკინის მეტალურგიის კერასაც წარმოადგენდა. ფრიგიის ტერიტორიაზე მრავლადაა აღმოჩენილი ბრინჯაოს თასები, ფიალები, ქვაბ-ქოთნები და სხვა ნივთები. ბრინჯაოს დეკორატიული დანიშნულებითაც იყენებდნენ. ამ მეტალიდან ამზადებდნენ ფიბულებს, ბალთებს, ქსოვილის, ტყავის, ხის მოსართავ დეტალებს, სათამაშოებს. ფრიგიელები რკინასაც ფართოდ იყენებდნენ (სამფეხები, ლურსმნები, მინიატურული ნივთები). საკვლევი ხანის ფრიგიაში მაღალ დონეს მიაღწია არქიტექტურამ, ქალაქთმშენებლობამ<sup>18</sup>. ფრიგიელთა საზოგადოების დანიშნაურებაზე ისიც მეტყველებს, რომ მათ მცირე აზიაში მცხოვრებთა შორის ყველაზე ადრე გადაიღეს ფინიკიური დამწერლობა საკუთარ ენაზე წერილობითი ძეგლების შესადგენად<sup>19</sup>.

ამგვარად, მოყვანილი მონაცემების ანალიზის შედეგად შესაძლოა დავასკვნათ, რომ ძვ. წ. VIII ს-ის ბოლო



მეოთხედის ფრიგიას სათავეში მეფე ედგა, სამეფო ხელისუფლება მემკვიდრეობით ხასიათს ატარებდა, მამიდან შვილზე გადადიოდა. ტიპოლოგიურად სამეფო ხელისუფლების ინსტიტუტის ფრიგიული ვარიანტი დიდ მსგავსებას გვიანხეთური ხანის (ძვ. წ. IX-VIII სს.) აღმოსავლეთ ანატოლიის სამეფო-სამთავროების ანალოგიურ ინსტიტუტთან ავლენს.

**დამონემაჟული პირველწყაროები და ლიტერატურა**

1. ჰეროდოტე, ისტორია 9 წიგნად, ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1975, ტ. I, გვ. 44-48, 51; ტ. II, გვ. 532.

2. Фрэзер Дж., Золотая ветвь, Москва, 1980, с.176-184 и сл.

3. ჰეროდოტე, ისტორია 9 წიგნად, ტ. I, გვ. 41., იხ. აგრეთვე, Devries K., The Throne of Midas? The 103<sup>rd</sup> Annual Meeting, AJA, vol 106, 2, 2002, p. 275.

4. მითოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 1972, გვ. 69; Мифологический словарь, Москва, 1990, с. 159, 357.

5. Otten H., Hethitische Totenritualen, Berlin, 1958, KUB XXXIX, 6, 14; ხაზარაძე ნ., გორდიონის ყორღანული სამარხები, კრებულში: ძველადმოსავლური და ქართველოლოგიური ძიებანი, თბილისი, 2001, გვ. 10-16. იქვე იხ. მითითება სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაზე; Simpson E., Spirydowicz K, Gubel E., Gordion. Wooden Furniture, AJA, vol 106, 4, 2002, p.617.

6. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, თბილისი, 1990, გვ. 228, 230.



и сл.

8. Khazaradze N., Royal Power in the Hittite Political Entities, კრებულში: ძველადმოსავლური და ქართველოლოგიური ძიებანი, გვ. 75-84; მისივე, მეფე და ღვთაება, ძველადმოსავლური და ქართველოლოგიური ძიებანი, გვ. 164-171; მისივე, Hieroglyphic-Luwian Inscriptions About The Social Structure of Late Hittite Society, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "შრომები", 2 (435), თბილისი 2001, გვ. 90-94, 149, 154, 159.

9. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბილისი, 1970, გვ. 208 და შმდ.

10. Мифологический словарь, с. 144,483.

11. გორდიონის კვანძის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით იხ. Körte J., Körte A., Gordion, Berlin, 1904, გვ. 12-16.

12. Иванов Вяч., Луна, упавшая с неба, с. 80 и сл.

13. ხაზარაძე ნ., სამეფო ხელისუფლების მემკვიდრეობის წესი გვიანხეთურ სამეფოებში (წყაროთა ცნობების ინტერპრეტაციისათვის), კრებულში: ქართული წყაროთმცოდნეობა, VIII, თბილისი, 1993, გვ. 9, 14.

14. ხაზარაძე ნ., წერილობითი წყაროების კრუღვის შემცველი კონტექსტების ინტერპრეტაციისათვის, კლიო, 4, თბილისი, 1999, გვ. 3-17; მისივე, ლუვიური იეროგლიფების სამყაროში, თბილისი, 2006, გვ. 76-82, 93-115.

15. ხაზარაძე ნ., გორდიონის ყორღანული სამარხები, გვ. 10-21; Simpson E., Spirydowicz K, Gubel E., Gordion. Wooden Furniture, p. 617; Recent Archaeological Research in Turkey, AnSt, vol XXXIV, 1984, p. 214-5.

16. Simpson E., Spirydowicz K, Gubel E., Gordion. *Wooden Furniture*, p.617; Bossert Eva-Maria, *Phrygischer Zeit von Boğazköy*, AJA, vol 107, 4, 2003, S. 676-7.

17. Schaus G. P., *Imported West Anatolian Pottery at Gordion*, AnSt, vol XLVII, 1992, p. 153-154.

18. უფრო დანვრილებით იხ. ხაზარაძე ნ., მცირე აზია გვიანხეტურ ხანაში, ფრიგია, წიგნში: ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბილისი, 1971, გვ. 309 და შმდ.; მისივე, საქართველოს ძველი ისტორიის ეთნოპოლიტიკური პრობლემები, თბილისი, 1984, გვ. 25 და შმდ. და 168-171.

19. ხაზარაძე ნ., ძველი ფრიგიული ანბანის გენეზისის საკითხისათვის, ძველი ისტორიის საკითხები (კავკასიურ-აზლოაღმოსავლური კრებული), V, თბილისი, 1977, გვ. 86-97.

### **THE MATERIALS FOR THE HISTORY OF THE AUTHORITY OF THE KING IN OLD PHRYGIA**

Analyzing the rich data given in the article, the author comes to a conclusion that in last quarter of the VIII century BC, the king was at the top of the government in Phrygia and his power had hereditary character, transferring from the father to the son. Typologically the Phrygic version of the royal power shows great resemblance to the analogical institutions of the state – principalities of Eastern Anatolia of the era of later Hittites (IX-VIII BC).

ლიდიელების სოციალური ისტორიის პრობლემა თითქმის შეუსწავლელია

ძირითად ინფორმაციას ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით ჰეროდოტეს „ისტორიაში“, ქსანთოს ლიდიელისა და ნიკოლოზ დამასკოელის თხზულებების ფრაგმენტებში ვხვდებით. სწორედ ამ წყაროების საფუძველზე ხდება შესაძლებელი ლიდიასი სამეფო ხელისუფლების ინსტიტუტის ისტორიის მეტონაკლები სიზუსტით წარმოჩენა. აქვე შემდეგსაც დავძენ: ჰეროდოტესა და ნიკოლოზ დამასკოელის თხზულებებში შემონახული ჩვენთვის აუცილებელი ინფორმაციის გამოყენებისას ის გარემოება უნდა იქნას გათვალისწინებული, რომ ლიდიის ისტორიის შექმნისას ჰეროდოტეს ძირითად წყაროს ლიდიური მითები, ლეგენდები, ფოლკლორი წარმოადგენდა, ხოლო ნიკოლოზ დამასკოელის თხზულება – „ლიდიაკა“ ავტორიტეტულ, დოკუმენტურ მასალას ეფუძნებოდა. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ჰეროდოტე უფრო დანვრილებითა და ხალისით ლიდიის მეფეთა ძველ ისტორიას გადმოგვცემს, ვიდრე მის თანამედროვეს.

აღნიშნულის მიუხედავად, ჰეროდოტემაც და ქსანთოსმაც, როგორც დავინახავთ, ძალზე საყურადღებო და მნიშვნელოვანი ცნობები შემოგვინახეს ლიდიის სახელმწიფო მმართველობის სისტემის ზოგიერთი ასპექტის რეკონსტრუქციისათვის.

უპირველეს ყოვლისა, ესაა ცნობები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს ლიდიასი სამეფო ტახტის, სამეფო

ხელისუფლების მემკვიდრეობის წესი წარმოვიდგინოთ.



ჰეროდოტეს ცნობით, ორივე მის მიერ ნახსენებ სამეფო გვარში (ჰერაკლიდებისა და მერმნადების) „შვილი მამისაგან ღებულობდა ხელისუფლებას“. ასე იყო, კერძოდ, აგენორიდან კანდავლამდე, ერთი მხრით, და გიგესიდან კროსოსამდე, მეორე მხრით. ჰერაკლიდების გვარი (ადამიანთა 22 თაობა) 505 წლის განმავლობაში მართავდა, ხოლო მერმნადებისა – 170 წლის (Herodotus, I, 6 და შმდ.). რაკი ჰეროდოტე დაწვრილებით აღწერს მერმნადთა სამეფო დინასტიის ისტორიას, შესაძლებელი ხდება ამ დინასტიიდან გამოსული მეფეების თანმიმდევრობის დადგენა და შემოწმება იმ თვალსაზრისისა, რომ „შვილი მამიდან ღებულობდა ხელისუფლებას“.

ჰეროდოტეს თხზულებაში მერმნადთა დინასტიის ხუთი მეფეა მოხსენიებული; ესენია: გიგესი (მეფობდა 38 წელი), მისი ვაჟი ადრისი (მეფობდა 49 წელი), ადრისის ვაჟი, სადიატესი (მეფობდა 12 წელი), სადიატესის ვაჟი ალიატესი (მეფობდა 57 წელი), ალიატესის ვაჟი კროსოსი (მეფობდა 14 წელი) (Herodotus, I, 6-86).

ჩვენს ხელთ არსებული წყაროებიდან არ ჩანს იყვნენ თუ არა მეფის მემკვიდრეები მაინცდამაინც ასაკით უფროსი ვაჟები. მაგრამ ის, რომ სამეფო ხელისუფლება მამიდან შვილზე გადადიოდა ზემომოყვანილი მონაცემებით სავსებით დასტურდება. საყურადღებოა შემდეგიც: ჰეროდოტეს ცნობით, კროსოსმა, „ძილში ჭეშმარიტების მაუწყებელი სიზმარი ნახა, რომ მის შვილს უბედურება მოეღის. კროსოსს ორი შვილი ჰყავდა, რომელთაგან ერთი გაუბედურებული ყრუ-მუნჯი იყო,





ხოლო მეორე – ყოველმხრივ პირველობდა თავის ტოლებში. სახელად მას ატიისი ერქვა. სიზმარმა ამ ატიისის შესახებ კროსოსს ანიშნა, რომ ის რკინის შუბით დაილუპებოდა. კროსოსმა რომ გაიღვიძა და დაუფიქრდა ამ სიტყვას, შეშინდა და შვილს ცოლი მოჰგვარა...” (Herodotus, I, 34). შემდეგ ჰეროდოტე განაგრძობს: „ჩვეულებრივ ატიისი მხედართმთავრობდა ლიდიელებს, ახლა მამა მას ამგვარ საქმეებზე აღარ უშვებდა. ხელშუბები, შუბები და ყველა სხვა მსგავსი იარაღი, რასაც ომში იყენებდნენ ადამიანები, დარბაზებიდან გაატანინა და სანყოფემაში დაალაგებინა, რომ რაიმე არ ჩამოვარდნილიყო და მის შვილს არ დასცემოდა” (იქვე)<sup>1</sup>. მოყვანილი ნაწყვეტი რამდენიმე საყურადღებო ინფორმაციას გვანვდის:

უპირველეს ყოვლისა, ირკვევა, რომ ვითარებაში, როდესაც მეფეს პირდაპირი მემკვიდრეები (ვაჟების სახით) არ ჰყავდა, შესაძლებელი იყო სამეფო ხელისუფლება მეფის შვილიშვილს გადასცემოდა (“რომ გაიღვიძა კროსოსმა და დაუფიქრდა ამ სიტყვას, შეშინდა და შვილს ცოლი მოჰგვარა”). მართალია, კროსოსი თავის მემკვიდრესაც განსაკუთრებით უფრთხილდებოდა („ჩვეულებრივ ატიისი მხედართმთავრობდა ლიდიელებს, ახლა მამა მას ამგვარ საქმეებზე აღარ უშვებდა. ხელშუბები, შუბები” და ა. შ.), მაგრამ თადარიგსაც მაშინვე იჭერს, რათა მეტად იყოს გარანტირებული, იმ შემთხვევაში, თუ სიზმარი აუხდება და მემკვიდრეს დაკარგავს.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ მერმნადების საგვარეულოს უკლებლივ ყველა წარმომადგენელს სამეფო ხელისუფლება თავისი მამისაგან ჰქონდა მემ-

კვიდრეობით მიღებული, ლიდიაში სამეფო ხელისუფლების მემკვიდრეობის მოქმედი წესი დასაშვებად მიიჩნევდა მეფიდან მის შვილიშვილზე ხელისუფლების გადაცემასაც: ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საყურადღებო ნიკოლოზ დამასკოელთან დადასტურებული ცნობაა, რომლის თანახმადაც, ალიატესის მეფობის დროს ლიდიაში (სარდეში) ადრისი ცხოვრობდა. როდესაც მას საკუთარი შვილები დაელუპა, მან თავისი შვილიშვილი იშვილა და მემკვიდრედ გაიხადა. ამ ცნობაში კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ლიდიაში, ისევე როგორც ხეთებთან და აღმოსავლეთ მცირე აზიის სხვა ხალხებთან, მემკვიდრეობის პატრიარქალური სისტემა იყო გაბატონებული. შვილიშვილის შვილად გახდომის ფაქტი, ვფიქრობ, ამის სარწმუნო მოწმობას უნდა წარმოადგენდეს.

ზემოაღნიშნულთან ერთად ამ მხრივ, ინტერესმოკლებული არ არის ანალოგიური მაგალითი ხეთების ძველი სამეფოს ისტორიიდან, როდესაც მოხუცმა და უკვე დაავადებულმა ხათუსილიმ ადრეული გადანყვეტილება თავისი მემკვიდრის შესახებ შეცვალა (ამ გადანყვეტილების თანახმად, მეფე ხათუსილის დის შვილის ვაჟი უნდა გამხდარიყო) და ასეთად მაშინ ჯერ კიდევ არასრულწლოვანი მურსილი (მურსილი I) გამოაცხადა, რომელიც მკვლევართა უმრავლესობის აზრით, ხათუსილის შვილიშვილი უნდა ყოფილიყო. წყაროების ჩვენებით, ეს ახალი მემკვიდრე – მურსილი I, მისმა პაპამ იშვილა. ხათუსილის „ანდერძში“ იგი ხათუსილის ვაჟადაა წარმოდგენილი.<sup>2</sup>

ჰეროდოტეს თხზულების ჩვენს მიერ მოყვანილი ნაწყვეტი სხვა მხრივაც იმსახურებს ყურადღებას. რაკი მეფე თვით ეძებს გამოსავალს შექმნილი სიტუაციიდან, (სიტუაციიდან, როდესაც იგი შესაძლოა მემკვიდრის ვარეშე დარჩეს) გამორიცხული არ არის ვარაუდი, რომ ასეთ შემთხვევაში მემკვიდრეს თავად არჩევდა (მეფესთან ერთად, ამ საკითხს, როგორც ირკვევა, ნათესავთა და ხალხის საკრებულო წყვეტდა).

ცნობაში საყურადღებო ისიცაა, რომ ფიზიკური ნაკლის მქონე პირი საერთოდ გამორიცხული იყო ტახტის მემკვიდრეობისაგან, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც იგი, შესაძლოა, სამეფო დინასტიის ერთადერთი პირდაპირი გამგრძელებელი ყოფილიყო<sup>3</sup>.

და ბოლოს, მოყვანილი ცნობა კიდევ ერთ საყურადღებო მომენტს შეიცავს: ირკვევა, რომ ტახტის მემკვიდრე მხედართმთავრის მოვალეობას ასრულებდა („ჩვეულებრივ იგი მხედართმთავრობდა ლიდელებს“...). გამორიცხული არ არის, რომ ასე იყო არა მხოლოდ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, არამედ საერთოდაც. ეს მით უფრო სარწმუნოა, რომ წინარე, ხეთური ხანის ისტორიიდან არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, როდესაც უფლისწულებს საკმაოდ მნიშვნელოვანი სამხედრო და ადმინისტრაციული თანამდებობები ეკავათ.

როგორც ვხედავთ, ჰეროდოტეს და ნიკოლოზ დამასკოელის ცნობები, რომლებიც ერთი შეხედვით ზღაპრულ იერს ატარებს, საყურადღებო ინფორმაციას შეიცავს ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით.

ბერძნული წერილობითი წყაროები სხვა არანაკლებ საინტერესო ცნობებსაც გვანვდიან ლიდიაში სამეფო



ხელისუფლების ინსტიტუტის ისტორიისათვის. თვალსაზრისით დიდი ხანია მკვლევართა ყურადღებას გიგესის გამეფების შესახებ არქილოქეს (ძვ. წ. VII ს), ჰეროდოტესა და ნიკოლოზ დამასკოელის თხზულებაში შემონახული გადმოცემები იმსახურებს (როგორც აღინიშნა, გიგესი მერმნადების ახალი სამეფო გვარის დამაარსებელი იყო).

ჰეროდოტეს თანახმად, გიგესმა, ახალი დინასტიის დამაარსებელმა, ძალაუფლება მისი წინამორბედი მეფის კანდავლე-მირსოსის მკვლელობის გზით ჩაიგდო ხელთ. გიგესი კანდავლეს შუბოსანი ყოფილა. მეფეს "იგი გამორჩევით მოსწონდა", მას "ყველაზე უფრო სერიოზულ საქმეებს ანდობდა" (Herodotus, I, 8). კანდავლემ აიძულა გიგესი დედოფალი შიშველი ენახა. ამ უცნაური სურვილის მიზეზად ჰეროდოტე იმას ასახელებს, რომ მეფეს გაგიჟებით უყვარდა დედოფალი, აღტაცებული იყო მისი სიმშვენიერით, მისი გარეგნობით და უნდოდა ამაში თავისი ერთგული მსახურიც დაერწმუნებინა. გიგესმა მეფის სურვილი აღასრულა: საძინებელ ოთახში შეიპარა, კარის უკან დაიმალა და შიშველი დედოფალი იხილა. მაგრამ დედოფლისათვის ქმრისა და მისი შუბოსნის უდიერი საქციელი შეუმჩნეველი არ დარჩენილა. მეორე დილასვე, გიგესი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენილა. დედოფალს იგი არჩევანის წინაშე დაუყენებია: ან მეფეს მოჰკლავდა და მაშინ დედოფალიცა და ლიდიის სამეფოც მისი გახდებოდა, ანდა მაშინვე თვით უნდა მომკვდარიყო. გიგესის თხოვნა-მუდარამ არ გაჭრა და მაშინ, მან სიკვდილს ლიდიის მეფობა და დედოფლის ქმრობა არჩია. მეფის მოკვლა დე-



დოფლისავე გეგმით განხორციელდა. ჰეროდოტეს ვერსიით, გიგესი დედოფალს შეეკითხა: “რადგან შენ მე ჩემდა უნებურად მაიძულებ ჩემი უფალი მოვკლა, გამაგებინე კიდევაც, როგორ დავესხა მას თავს”. ქალი (ე. ი. დედოფალი – ნ. ხ.) დაეთანხმა და უთხრა: “იმავე ადგილიდან უნდა მოხდეს თავდასხმა, საიდანაც მან შენ ჩემი თავი ტიტველი გაჩვენა. თავდასხმა უნდა მოხდეს მძინარეზე” (Herodotus, I, 11)<sup>4</sup>.

გიგესმა დედოფლის გეგმის შესაბამისად იმოქმედა, მოჰკლა მძინარე მეფე და ჰეროდოტესავე სიტყვებით: “დაეპატრონა ქალსაც და სახელმწიფოსაც” (Herodotus, I, 12)<sup>5</sup>.

ნოველა გიგესის გამეფების შესახებ ძალზე პოპულარული იყო, რაზეც მისი ვერსიების სიმრავლეც მოწმობს. განსხვავებების მიუხედავად, ყველა ვარიანტისათვის საერთო ისაა, რომ მეფის მკვლელი, ქვრივი დედოფლის ქმარი ხდება და ხელთ იგდებს სამეფო ტახტს. ამასთანავე, დედოფალი ეხმარება უცხო პირს, რომელიც მეფე ხდება (აქვე შევნიშნავთ, რომ ნიკოლოზ დამასკოელის ვერსიით, გიგესი შორეული ქვეყნიდან მოსული უცნობი იყო და არა კანდავლეს დაახლოებული პირი)<sup>6</sup>.

ჩვენთვის საინტერესო ცნობამ დიდი ხანია მიიპყრო ლიტერატურათმცოდნეთა და ისტორიკოსთა ყურადღება. როგორც ლიტერატურათმცოდნენი, ისე ისტორიკოსებიც ხაზს უსვამდნენ ამ სიუჟეტის მაღალ მხატვრულ ღირსებებს, მაგრამ სკეპტიკურად არიან განწყობილი მისი როგორც ისტორიული წყაროს მიმართ.

ერთი შეხედვით მთელს კონტექსტში მთავარი მოქმედი მემკვიდრეობის მხრიდან ხდება (ქალმა) (ე. ი. დედოფალმა – ნ. ხ.) მისცა მას (ე. ი. გიგესს- ნ. ხ.) მახვილი და დამალა იმავე კარის უკან": (Herodotus, I, 12)<sup>7</sup>. გიგესის გამეფების ეპიზოდში ქალის (დედოფლის, მოახლის) როლის გახაზვამ ჰეროდოტესა და ნიკოლოზ დამასკოელის მიერ, საშუალება მისცა ზოგიერთ მკვლევარს ამ ცნობაში ლიდიის ქალის ხაზით მემკვიდრეობის უფლების არსებობა ევარაუდნა, მითუმეტეს, რომ ადრეული ხანის ანატოლიაში მემკვიდრეობის ამგვარი წესის ფუნქციონირებაზე არაერთი ფაქტი მეტყველებს. ცნობილია, რომ მემკვიდრეობის წესი, როდესაც მეფე არა მხოლოდ უშუალო მემკვიდრე – მეფის ვაჟი შეიძლებოდა გამხდარიყო, არამედ მეფის დის შვილი, ან ქალიშვილის ქმარი, ხეთების ძველ სამეფოში მის დასასრულამდე მოწმდება, რასაც სწორედ მემკვიდრეობაზე ქალის – უფლების გადმონაშთის მანიშნებლად მიიჩნევენ. მკვლევრების აზრით, არანაკლებ საყურადღებო ისიცაა, რომ ამ წესმა სამხრეთ ანატოლიაში მდებარე ქვეყნებში ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლომდე იარსება.

ამ მხრივ, საყურადღებოა ხეთური ტექსტი KBo, IV, 10: ხეთების მეფე მითითებას აძლევს "ქვემო ქვეყანაში"



მდებარე დათასას მცხოვრებლებს, თუ როგორ უნდა განსაზღვრონ მათ ტახტის მემკვიდრე. ხეტების საკმაოდ ხაზგასმით მიუთითებს იმაზე, რომ მემკვიდრე მამაკაცის შთამომავლობიდან უნდა იყოს და არა ქალისა. აღნიშნულია ისიც, რომ თუ კი მამაკაცის შთამომავლობა შეწყვეტილია, მხოლოდ მაშინ შეიძლება მემკვიდრე ქალის შთამომავალი იყოს. გრ. გიორგაძე სავსებით სამართლიანად შენიშნავდა: “Нет сомнения, что слова хеттского царя, а именно, (из) женского (потомства) пусть не берут (наследника), были бы лишены всякого смысла, если бы в Датгасе до появления хеттов не существовал обычай, согласно которому наследником царя назначали только представителя из женского потомства царя”<sup>8</sup>.

გ. დოვგიალო ხაზს უსვამდა ჰეროდოტეს თხზულების I, 7-13 და ტელეფინუს “ბრძანებულების” §10-12 ურთიერთმსგავსებას. მკვლევრის ყურადღება შემდეგმა მიიქცია: ტელეფინუს ტექსტის აღნიშნულ პარაგრაფებში ხანთილის გამეფების შესახებაა საუბარი. გ. დოვგიალოს ვარაუდით, შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ხანთილისა და გიგესის წინამავალ მეფეებს მაინცდამაინც ერთს მურსილი, ხოლო მეორეს – მირსილოსი ერქვათ (ჰეროდოტე გვამცნობს, “ხელისუფლება ჰერაკლიდებს რომ ეკუთვნოდა, შემდეგნაირად გადავიდა კროესოსის გვარში, რომელსაც მერმნადთა გვარი ერქვა. იყო კანდავლესი, რომელსაც ელინები მირსილოსს ეძახდნენ, სარდელთა ტირანი იყო, ჰერაკლეს ძის, ალკაფოსის ჩამომავალი” (Herodotus, I, 7)<sup>9</sup>. მკვლევრის აზრითვე, თუ სწორია ტელეფინუს ბრძანებულების §10 32-ე სტრიქონის პირველი ნიშნის ნაკითხვა, როგორც DAM (“ცოლი”)

და არა NIN ("და"), მაშინ დავინახავთ, რომ ხანთილის მეუღლე ხარაფსილისი ისევე, როგორც გიგესისა, დედოფალი ყოფილა. ისიცაა საგულისხმო, რომ როგორც ხანთილის, ასევე გიგესს სამეფო ტახტის მოპოვებაში სხვა პირები უწევენ დახმარებას. როგორც დავინახეთ, ჰეროდოტეს მიხედვითაც, გიგესს დედოფალი დაეხმარა. სხვა წყაროებით, ჯადოსნური ბეჭედი, მოახლე ქალი და ა. შ. გ. დოვგიალომ ყურადღება იმასაც მიაქცია, რომ ტელეფინუს მონაცემებითაც ხანთილის ვინმე ციტათნა ედგა მხარში<sup>10</sup>. ტელეფინუს ტექსტის ვარიანტის მონშობით, ციტათნა ხანთილის სიძე იყო (სხვა ცნობით, იგი "შუბისმატარებელი" გახლდათ). მკვლევრის მოსაზრებით, კიდევ ერთი მომენტია გასათვალისწინებელი: ტელეფინუს ტექსტის აქადური ვერსიის თანახმად, მურსილის მკვლელობასა და ხანთილის გამეფებას ქვეყანაში არეულობა მოჰყვა<sup>11</sup>. მითითებული ტექსტის მიხედვით, ქვეყანას ხურიტები შემოესიენ, რომლებიც, შესაძლოა, მონინაალმდევე პარტიებიდან ერთ-ერთს ეხმარებოდნენ. იგივე ვითარებას ვხედავთ ჰეროდოტესა და ნიკოლოზ დამასკოელის ცნობებშიც. მართალია, ჰეროდოტეს თხრობის პირველ ნაწილში დედოფლის როლი წინა პლანზეა წამოწეული, მაგრამ „ისტორიის“ პირველი წიგნის §13 ირკვევა, რომ გიგესი არც თუ ისე პასიური იყო. ჰეროდოტე აკი გვამცნობს კიდევ, რომ „გიგესმა დაიპყრო სახელმწიფო და შემოიმტკიცა ის დელფოსის სამისნოს მეშვეობით, რომელმაც, როდესაც ლიდიელები საშინლად აღშფოთდნენ კანდავლეს მკვლელობის გამო და შეიარაღდნენ, გიგესის მომხრეები და დანარჩენი ლიდიელები ასე შეთანხმდნენ: თუ სა-





მისნო გამოაცხადებს იმას, რომ გიგესი იყოს ლიდიელთა მეფე, იგი იმეფებს, თუ არა და უკან გადასცემს ჰერაკლიდებს ძალაუფლებას. სამისნომ სცნო იგი და ასე იმეფა გიგესმა" (Herodotus, I, 13)<sup>12</sup>. როგორც ვხედავთ, გიგესს მომხრეებიც ჰყოლია. მას საკმაოდ ენერგიულადაც უმოქმედნია, რათა სამეფო ხელისუფლება ხელთ ეგდო. საგულისხმო, ამ მხრივ, ნიკოლოზ დამასკოელის განცხადებაცაა იმის თაობაზე, რომ გიგესმა და მისმა მომხრეებმა მიზანს დაშინების გზით მიაღწიეს (უფრო ზუსტად, გიგესმა და მისმა მომხრეებმა სახალხო კრება დააშინეს და დასტურს გიგესის გამეფებაზე ამ გზით მიაღწიეს).

ყოველივე ზემოაღნიშნული იმის მოწმობას წარმოადგენს, რომ ორივე წერილობით ტრადიციაში ხეთურშიც და ლიდიურშიც გამეფების წესის ერთი და იგივე სტერეოტიპია წარმოდგენილი. ნაჩვენებია სიტუაცია, როდესაც ადგილი აქვს მეფის ხელისუფლების უზურპაციას, არსებული სამეფო გვარის ანდა ახალი საგვარეულოს წარმომადგენლის მიერ.

გ. დოვგიალო სავსებით მართებულად აღნიშნავს, რომ სადღეისოდ არსებული მასალა ჯერჯერობით საკმარისი არ არის იმისათვის, რომ ჰეროდოტესთან დამონმებული ლიდიური ვერსიის ხეთური წარმომავლობა ვამტკიცოთ. ჩვენი ცოდნის დღევანდელი დონიდან გამომდინარე უფრო მართებული იქნება აღნიშნული დამთხვევები ტიპოლოგიურ მსგავსებად მივიჩნიოთ, მითუმეტეს, რომ ლიდიური სახელმწიფო სისტემა ტიპოლოგიურად სწორედ ხეთურის (resp., მცირე აზიურის) მსგავსი უნდა ყოფილიყო. ყველა ეს სახელმწიფო წარ-

მონაქმნი ქალაქ-მეტროპოლიის წიაღში ჩაისახა და განვითარდა.

ჩვენამდე მოღწეულ წერილობით წყაროებში სხვა საყურადღებო მითითებებიცაა ისეთი, რომელიც ლიდი-აში სამეფო ხელისუფლების ინსტიტუტის ადრეული ისტორიის რეკონსტრუქციისათვის გათვალისწინებულ უნდა იქნეს.

ასეთთა რიცხვს, უპირველეს ყოვლისა, ნიკოლოზ დამასკოელის თხზულებაში დამონშებული ის ცნობა წარმოადგენს, რომელიც ლიდის მეფე ალკაფოსის "ბედნიერი მმართველობის" შესახებ მოგვითხრობს. ნიკოლოზ დამასკოელის მოწმობით, ალკაფოსი ლიდიელთა მეფე, შვიდწლიანი ვადით ორგზის იქნა არჩეული ნათესავთა და სახალხო კრების მიერ<sup>13</sup>.

ამ ცნობაში რამდენიმე მომენტი იმსახურებს ყურადღებას: 1. ნათესავთა და სახალხო კრების მიერ მეფის არჩევის პრაქტიკა; 2. მეფობის ვადის წინასწარი განსაზღვრა, 3. თავად ვადის ხანგრძლივობა (შვიდი წელი) და ბოლოს 4. მითითება "ბედნიერი ხანის" შესახებ. თითქმის ყველა აღნიშნული მომენტი, როგორც წესი, ადრეული კლასობრივი საზოგადოებისათვისაა დამახასიათებელი.

დროის გარკვეული პერიოდით მეფედ არჩევა, ძველი აღმოსავლეთის არაერთი ქვეყნისათვის იყო ცნობილი. გავიხსენოთ თუ გინდ შუამდინარეთის ქვეყნები, სადაც მეფის არჩევამ ერთი წლის ვადით ბაბილონის ახალი სამეფოს დრომდე იარსება. მიუხედავად იმისა, რომ მეფეს ხელისუფლება სიკვდილამდე ეძლეოდა, იგი ტახტზე ასვლის ცერემონიალს ყოველწლიურად იმეო-



Later on, other terms denoting Georgia and the Georgians became known. In this regard, the monograph by an outstanding Georgian figure Grigol Peradze "An Account of the Georgian Monks and Monasteries in Palestine as Revealed in the Writings of Non-Georgian Pilgrims" has proved to contain completely new information. The book was published in English already in 1937 [2 pp. 181-264], but due to various reasons it became available to the Georgian readers only in 1995 [3].

In the context of the rich sources specially selected and cited by G. Peradze it is clear that foreign pilgrims visiting the Holy Land in the 5th-19th cc. knew Georgia and the Georgians by up to



30 different designations (Iberians, Lazes, Gogarenes, Jorjans, Cursy, Avignia, Land of Feminic, Jorsy, Jorsites, Georgittes, Georgiani, Gorgani, Gorziani, Kurgy, Corsy, the Christians of the Cincture, Corsses, грузины...), some of which are new and call for in-depth study for identification [4 p. 72].

Here I shall dwell on the following designations denoting Georgia and the Georgians cited in Peradze's monograph: "Land of Feminic", "The Christians of the Cincture", "Georgia", "Georgiani" and their variants: Jorgans, Jorsy, Jorsites, Gorgi, Gorziani, грузины...

Researching into the genesis of the term "Land of Feminic", I think, three main points should be taken into account:

1. The date of the earliest note containing the designation of my present interest - 1187, the beginning of the glorious reign of a woman, Queen Tamar, in Georgia, which can hardly be explained by mere accident.

2. Widespread beliefs in the pilgrim literature concerning Caucasia and Georgia as the area settled by women warriors - the Amazons (the report of 1187 by a Latin pilgrim reads: "It is said that they (the Georgians - N.Kh.) came from the Land of Feminic, where the Amazons go into battle on horseback") [5 p. 72];

3. Latin Patriarch Jacques de Vitry of Jerusalem (1180), Felix Fabri (1480-1483), M. Baumgarten (1507) and other Latin authors mention special warlike qualities of Georgian women (Jacques de Vitry: "Georgian noblewomen, similar to the Amazons, arm themselves like knights") [6 p. 30]; Felix Fabri: "They (the Georgians - N.Kh.) are warriors and train their women as warriors too. However, they are mistaken in the same way as the Greeks" [7 p. 45]; M. Baumgarten: "Their (Georgian - N.Kh.) noblewomen wild and bear arms like the Amazons") [8 p. 52].

The comparison of the above reports of the Latin pilgrims visiting the Holy Land in the 12th-16th cc. with the information provided by ancient Greek and Latin authors, where the territory settled by the legendary Amazons is represented to include along with other regions (Asia Minor, Lybia, the Azov Sea area), the Caucasian foothills and the borderline of Iberia and Albania too [9 p. 200], and the consideration of the role of the Georgian woman in the political life (military science, diplomacy, etc.) of medieval Georgia leads one to the following conclusion: the term "Land of Feminic" denoting Georgia, encountered only in the notes of the 12th-16th cc. Latin pilgrims, reflect properly the high social status of the Georgian woman as well as the quite reliable Georgian and foreign written sources and oral traditions [10 pp. 322-323].

The term "the Christians of the Cincture" is found for the first time in a report of 1280 from Mount Sion, describing the battle of the Mongols with Mamelukes. It says: "Christian people are found in the East too. There are Armenians, Greeks, the Christians of the Cincture..." [11 pp. 34-35]. This designation is encountered with other authors two centuries later. In the note of 1480-1483 Felix Fabri says: "The Georgians, who are also called the Nubians, and are more commonly known as the Christians of the Cincture, come on pilgrimage to the Holy Land from very remote places. They are warriors and train their women as warriors too" [12 p. 45]. Apparently, Zebaldu Ritter Junior also knew the Georgians under this name. His report, dating to 1467, runs: "There are various Christians in the Church of the Holy Sepulcher: the Catholics, the Greeks, the Christians of the Land of John and Jevduny, the Armenians, the Christians of the Cincture, and three more nations, whose names I forgot" [13p. 44].



An early attempt to explain the semantics of the term "the Christians of the Cincture" is found in the 15th-century pilgrim literature. According to the report of 1422, cited by G. Peradze on the basis of the study by H. Canissius [14 p. 269], "they (the Georgians) are also known as "the Christians of the Cincture". This is because St George bound up the dragon with his cincture and gave it to a maiden" [15 p. 72].

Although the view that these designations (Georgia, Georgiani) denoting Georgia and the Georgians derive from the name of St George recurs repeatedly in the pilgrim literature over the centuries (see below), and there exist numerous noteworthy data of diverse character concerning the great popularity of the cult of this saint in Georgia, I believe it incorrect to link the term "the Christians of the Cincture" with the name of St George [16 pp. 250-255].

My doubt is based on the following: attention should be given, first of all, to the circumstance that according to all the versions existing today, the area of the miracle of my present interest is the town Lasia (Lasiaj) of Cappadocia, rather than Georgia.

It is also to be reckoned with that in the prose or poetic works devoted to the miracle of defeating the dragon by St George, as a rule, the cincture of the princess of one of the provinces of Cappadocia is mentioned, not that of St George [17 pp. 81, 304, 343]. The above-mentioned is partially confirmed by the iconography of icons and specimens of church mural painting depicting this miracle. Nor should it be accidental that the Cincture of the saint is not recorded so far among the relics linked with the name of St George (the iron bow, arrows, trumpet, iron chain, etc.) [18 pp. 163-176].

According to my earlier conjecture, the name given to the Georgians by foreign pilgrims (the Christians of the Cincture)

must have been organically linked not with the cincture of St George, but that of the Theotokos, which, as will be demonstrated below, was a holy relic of Georgia and the Georgians for centuries [19 pp. 255 ff; pp. 6-13].

The earliest available report concerning the presence of the Cincture of the Theotokos in Georgia is the letter of Nino Bagrationi-Dadiani, daughter of Giorgi XII, widow of Grigol Dadiani, the last prince of the independent principality of Samegrelo, provisional ruler of Samegrelo, sent to Emperor of Russia Alexander I. In the letter of March 23, 1806, Nino Dadiani on behalf of Samegrelo, newly annexed to Russia, shows loyalty to the Emperor and informs him that she is sending him as a present the miraculous Vlacherna icon of the Theotokos, together with the Cincture worn by Her [20 pp. 504].

It becomes clear that Alexander I accepted this precious gift, sent by Nino Dadiani. The rescript of May 31, 1806 reads: "The most educated Princess Nino, Daughter of Giorgi! I have accepted with great pleasure the Vlacherna holy icon of the Theotokos, together with the most holy Cincture, presented to me on your behalf by the deputies, sent by you, Colonel Prince Nikoloz and Colonel Prince Bezhan Dadianovs" [21 p.17].

As is evident from official documents and notes of Niko Dadiani, known as Great Niko, sent by the ruler of Samegrelo to St Petersburg, as a token of his alleged benevolence to Samegrelo, Alexander I returned the Cincture of the Theotokos together with the Vlacherna icon back. In addition, he specially ordered to build a church in the name of the Theotokos to house these relics, and sent two thousand chervonetses to start construction [22 p. 439].

The following reports have been traced in relation with the history of these relics, returned to Georgia. After the death of the Prince of Samegrelo David Dadiani (1853), his widow Ekaterine



Chavchavadze-Dadiani commissioned a special icon case in St Petersburg for the Vlacherna icon, in which she placed the icon and the Cincture of the Theotokos, and adorned it with an inscription. The inscription is dated to January 4, 1856 [23 pp. 50-53].

The work by A. Muravyov published in 1848 in St Petersburg [24 p. 282] provides important information confirming that the Cincture of the Mother of God was in fact kept in Samegrelo. The author himself visited Samegrelo in the 1840s, thus being an eyewitness of what he related in his book. According to the author, when Alexander I returned the Cincture to Nino Dadiani, he decorated it with gems. A. Muravyov saw the icon and the Cincture in the special icon case, placed in front of the iconostasis at the Church of the Theotokos, which had already been finished by that time. In the Russian official's words, the Cincture of the Theotokos is one of the most ancient and beautiful relics of early Christianity.

These reports are corroborated by a Russian official K. Borozdin, being at the court of Ekaterine Dadiani in 1854-1858 [25 p.3].

The following interesting report belongs to a French official G. Mouriet, living in Georgia. He was shown the Vlacherna icon together with the Cincture of the Theotokos in Gordi, the summer residence of the Dadianis, in 1870-1880s. At the time of Mouriet's visit to Gordi, the Vlacherna icon and the Cincture were in the above-mentioned icon case (specially commissioned by Ekaterine Dadiani). As Mouriet reports, "in the lower part, the board is decorated with 79 rubies, 20 sapphires, 9 diamonds and 93 emeralds. One can see relics of saints and the Cincture of the Theotokos under the gems" [26 pp.311-312].

Noteworthy information is found in the book published in 1903 by the Monastery of St Panteleimon on Mount Athos, according to which, one part of the Cincture of the Theotokos is



preserved at the Vartopedi Monastery, on Mount Athos, the second - at the Trier Monastery, and the third - at the Zugdidi Monastery in Georgia [27 p. 37].

E. Taqaishvili repeats partially the information provided by A. Muravyov and says: "The icon and the Cincture had been formerly preserved at the church (Zugdidi Church of the Theotokos - N.Kh.) in a special icon case, in front of the iconostasis, but Prince Mengrelski has removed them from the church, and we could not see it Prince as Mengrelski was not in Zugdidi at that time" [28 pp. 198-199].

Thus, the Cincture of the Mother of God was housed in Georgia in 1806-1914, i.e. during 108 years. Unfortunately, little is known about the following fate of this holy relic. According to an oral report, it is still kept in Zugdidi.

Very scarce information has been obtained concerning the earlier history of the Cincture of the Theotokos in Georgia. Based on it, one can suppose that this relic was brought from Constantinople to Georgia (the Bedia Monastery) in the 11th c. by the first spouse of Bagrat IV (1027-1072) - Helen, daughter of Basil, brother of Romanos II (1028-1034), Emperor of Byzantine [29 pp. 9-11]. Thus, there are ample grounds to assert that the name "the Christians of the Cincture" (Christians - keepers of the Cincture!) used by foreign travelers visiting the Holy Land to refer to the Georgians is linked with one of the holy relics of Georgia and the Georgian people, the Cincture of the Theotokos.

Finally, a few words on one more name designating Georgia and the Georgians. Foreign pilgrims visiting the Holy Land often use terms "Georgia" and "Georgiani". To these words are linked the designations recorded in the notes: Jorjans, Jorsy, Jorsites, Jorgani, Georgiani, Gorgi, Gorziani, грузины, etc.



The reports of pilgrims also contain the views on identification of "Georgia"- "Georgiani". E.g. Latin Patriarch Jacques de Vitry of Jerusalem wrote: "There is also in the East another Christian people, who are very warlike and valiant in battle, being strong in body and powerful in the countless numbers of their warriors. They are much dreaded by the Saracens and have often by their invasions done great damage to the Persians, Medes and Assyrians on whose borders they dwell, being entirely surrounded by infidel nations. These men are called Georgians, because they especially revere and worship St George, whom they make their patron and standard-bearer in their fights with the infidels, and they honor him above all other saints" [30 pp. 344-399]. According to William the Brave, Count of Thuringia (1461), the Georgians were converted to Christianity by St George [31 p. 30]. Count Johan of Solm, who visited the Holy Land in 1483, says: "They (the Georgians) are called Georgians after the name of St George, whom they chose as their patron" [32 p. 43]. M. Baumgarten (1507): "The Georgians are a people in the East, a very steadfast and warlike nation. They are called after their saint, whom they recognize as their patron and succor, and whom they honor above all the others" [33 p. 46], etc.

Thus, in these reports "Georgia" and "Georgiani" are unequivocally associated to St George. The difference is that these terms in the first case are explained by the great reverence of the Georgians for St George, in the second - by the fact that the Georgians were converted to Christianity by St George himself, and in the third - by the circumstance that St George was allegedly Georgian by origin [34 p. 52].

Other versions explaining the terms "Georgia"- "Georgiani" are also encountered in the pilgrim literature. E.g. according to Francis Ferdinand von Troilo, visiting the Holy Land in 1717, the





terms of my present interest derive from the Greek word "Georgos" denoting 'a farmer' [35 p. 51 ff].

The above-cited versions, supported by other European authors too [36 pp.74-75], are not shared in the scholarly literature. As a result of long research, Georgian and foreign specialists (G. Deeters, C. Toumanoff, G. Garitte, G. Tsereteli, T. Chkheidze, G. Japaridze, G. Paichadze, G. Gelashvili, M. Mgaloblishvili, and others) have demonstrated convincingly that the terms designating Georgia and the Georgians: English "Georgia"- "Georgians", German "Georgien" - "Georgier", French "Georgie" - "Georgiens", Italian "Georgia" - "georgiani", Spanish "Georgia"- "georgianos", Russian "грузия" - "грузины" derive from Persian-Arabic-Syriac "Gurji" - "Jurji", denoting 'the wolf country' [37 p. 92]. The same is the case with the origin of the pilgrims' "Georgia", "Georgiani" and the variants given above: Jorjans, Jorsy, Jorsites, Jorgani, Gorzi, Gorziani, etc.

**SOURCES, REFERENCES AND NOTES:**

1. Foreign and Georgian Terminology Designating Georgia and the Georgians. Tbilisi, Mecniereba, 1993 (in Georgian)
2. Peradze G. An Account of the Georgian Monks and Monasteries in Palestine as Revealed in the Writings of Non-Georgian Pilgrims. Georgica, 2, fasc. 4-5
3. Peradze G. An Account of the Georgian Monks and Monasteries in Palestine as Revealed in the Writings of Non-Georgian Pilgrims. Tbilisi, Kandeli, 1995 (in Georgian)
4. *ibid.*
5. *ibid.* note 197
6. *ibid.*
7. *ibid.*

8. *ibid.*

9. In this relation the report of a 2nd-century author Appian is noteworthy, according to which, during the military campaign of Pompey to Iberia (65 BC) "among the hostages and prisoners many women were found, who had suffered wounds no less than the men. These were supposed to be Amazons, but whether the Amazons are a neighboring nation, who were called to their aid at that time, or whether certain warlike women are called Amazons by the barbarians there (the Iberians or the Albanians are implied - N.Kh.), is not known". See Appian, 103; Appian, History of Rome: The Mithridatic Wars. T. Qaukhchishvili published the Greek text with the Georgian translation, preface and glossaries. Tbilisi (the English translation by Horace White). Cf. Strabo, XII, V, 1, 2.

10. Noteworthy enough, the author of "The Histories and Eulogies of the Sovereigns" relating the history of the enthronement of Queen Tamar stresses that together with other royal insignia, Tamar was given the symbol of military power - the sword too. See Kartlis Tskhovreba ("The Life of Georgia") prepared for publication, supplied with the preface and explanation of terms by I. Antelava and N. Shoshiashvili. Tbilisi, Nike, 1996.

11. Peradze G. *Op.Cit.*

12. *ibid.*

13. *ibid.*

14. Canissius H. Antiqua lectione, V, Inglostadt, 1604.

15. Peradze G. *Op.Cit.*

16. Khazaradze N. On the Semantic Code of One Designation Denoting the Georgians. Kutaisi, "Kartvelian Heritage", III, 1999 (in Georgian).



17. Saint George in Old Georgian Literature. Compiled and prepared for publication, supplied with the preface, glossary and notes by E. Gabidzashvili. Tbilisi, 1991 (in Georgian).

18. Ninidze D. On the History of the Cult of Saint George in Georgia. Tbilisi, "Mnatobi", No. 11-12, 1991 (in Georgian).

19. Khazaradze N. *Op. Cit; idem* On the History of One Relic of Georgia (the Cincture of the Mother of God and Georgia), "Analebi", Tbilisi, "Mematiane", 1999 (in Georgian).

20. Acts of the Archaeological Commission, v. II (in Russian).

21. Kalandia G. Holy Relics in Georgia (Samegrelo). Tbilisi, "Artanuji", v. I, 1994 (in Georgian).

22. Acts of the Archaeological Commission, v. VIII, 1881 (in Russian).

23. Meunargia I. The Last Period of the Principality of Samegrelo and David Dadiani. Tbilisi, 1939 (in Georgian).

24. Muravyov A. Georgia and Armenia, part I, St Petersburg, 1848 (in Russian).

25. Borozdin K. Samegrelo and Svaneti (1854-1861). Translation by T.Sakhokia, Tbilisi, "Sakhelmtsipo gamomcemloba", 1937 (in Georgian).

26. Mouriet G. Samegrelo (1870-1880). Manuscript (in Georgian).

27. The Life of the Most-Holy Theotokos. Kutaisi, 1996 (in Georgian).

28. Taqaishvili E. Archaeological Travels and Notes, book II. Tbilisi, 1914 (in Georgian).

29. Khazaradze N. On the History of One Relic of Georgia.

30. Tamarashvili M. The Georgian Church from the Origin to the Present Day. Tbilisi, 1995 (in Georgian)

31. Peradze G. *Op.Cit.*

32. *ibid.*

33. *ibid.*

34. *ibid.*

35. On the terms "Georgia", "Georgiana", "Georgiani" mentioned in the works of West European authors (I. Plano Carpini, Rubrouck, and others) in more detail, see Janashia S. Papers, vol. III, Tbilisi, 1959 (in Georgian).

36. Peradze G. *Op.Cit.* E.g. in Prince Vakhushti's view, "this country is known under three names: first - Sakartvelo, second - Iveria, third - Giorgia... It was called Giorgia because of the hard-working character of the Georgians (as 'Giorgi' translates as 'a worker')". See *Kartlis Tskhovreba*, v. IV, Prince Vakhushti. Description of the Kingdom of Sakartvelo. Text established on the basis of all main manuscripts by S. Qaukhchishvili. Tbilisi, 1937 (in Georgian).

37. Foreign and Georgian Terminology Designating Georgia and the Georgians.

ისტორიოგრაფიული ძიებანი  
**HISTORIOGRAPHIC STUDIES**  
**ИСТОРИОГРАФИЧЕСКИЕ ИЗЫСКАНИЯ**

დიდი ქართველი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, ქართული ძველალმოსავლეთმცოდნეობის სამეცნიერო სკოლის ფუძემდებელი, ისტორიკოსთა რამდენიმე თაობის აღმზრდელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ლენინური, ივანე ჯავახიშვილის და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ბატონი გიორგი მელიქიშვილი თბილისის ძველ უბანში – ხარფუხში 1918 წლის 30 დეკემბერს დაიბადა. 1922 წელს დაიბადა გიორგის ძმა – შალვა. ერთმანეთის მოსიყვარულე ძმებს ზნეობრივად ამალღებული და ფრიად განსწავლული მშობლები ზრდიდნენ. ბატონი გიორგის მემუარულ ჩანაწერებში ასეთ სტრიქონებს ვხვდებით: “დედას - ეკატერინეს - გიმნაზია ოქროს მედლით ჰქონდა დამთავრებული, მამა - ალექსადრე - მეტად ნიჭიერი ადამიანი იყო, რამდენიმე ენაზე ლაპარაკობდა - ქართულად, რუსულად, სომხურად, ბერძნულად, აზერბაიჯანულად. წერდა კარგი ენითა და კალიგრაფიული ხელით, თარჯიმნად მსახურობდა სასამართლოში...”

ნიჭიერებითა და განსაკუთრებული შრომისმოყვარეობით პატარა გიორგი ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა. ქართული წერა-კითხვა სკოლამდელ ასაკში, ჯერ კიდევ საბავშვო ბაღში, შეისწავლა. იქვე რუსულ ენასაც დაეუფლა და მათემატიკასაც. შემდგომში ბატონი გიორგი უდიდესი მადლიერებით იხსენებდა მათ მეზობლად მცხოვრებ სასულიერო პირს, წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მოძღვარს, ივანე ქავჭარაძეს, რომელმაც მომავალ დიდ



მეცნიერს შრომაც შეაყვარა, პასუხისმგებლობის გრძნობაც გაუღვიძა და სწავლა-განათლების მშვენიერ სამყაროსაც აზიარა. აი, რას წერს მის შესახებ ბატონი გიორგი: “მასთან მეცადინეობის ნამუშევარი, საკმაოდ სქელი საერთო რვეულის სახით, დღესაც გაკვირვებას იწვევს ჩემში... რვეულის შევსება იწყება 1925 წლის 25 დეკემბრიდან და თავდება 1926 წლის 21 აპრილის მინანქრით: “დედა, ეს რვეული შემინახე და მომეცი მაშინ, როცა 20 წელი შემისრულდება”. მართლაც, 6-7 წლის ბავშვისათვის მოულოდნელია ამ რვეულის შედგენილობა: გამართული ენითა და კალიგრაფიით ნაწერი პატარ-პატარა ჩანახატები (“წვიმა”, “ქალაქისა და სოფლის შედარება”, “ლამისა და დღის შედარება”...), სავარჯიშოები რუსულ წერასა და მათემატიკაში(წილადური განტოლებებისა და ამოცანების ჩათვლით).

1926 წელს, გიორგი მელიქიშვილის მიერ ბრწყინვალედ ჩაბარებული გამოცდების შედეგად, თბილისის 23-ე არასრული სკოლის ადმინისტრაციამ იგი პირდაპირ მე-2, ხოლო ერთი თვის შემდეგ მე-3 კლასში ჩარიცხა. ბატონი გიორგი თავის მემუარულ ჩანაწერებში იხსენებს: “როგორც ჩანს, სავსებით მომზადებული ვიყავი ივანე ქავჭარაძის “სკოლაში”, რომ კიდევ უფრო წინ, მე-4 კლასში დავესვი, მაგრამ ეს არ მოხდა იმიტომ, რომ მე-3 კლასშიც დანარჩენ მოწაფეებთან შედარებით ყველაზე პატარა ვიყავი, რის გამოც “ჭინკა” შემარქვეს და ამ სახელით დიდი ხნის მანძილზე მამკობდნენ ჩემი თანაკლასელები. სამართლიანად ვთვლიდი, რომ ჩემი ეს პირველი წარმატება სწორედ ბატონი ივანე ქავჭარაძის “სკოლის” გავლის შედეგი იყო”. სკოლის დამთავრების

შემდეგ ბატონმა გიორგიმ 1931 წელს სწავლა ჯერ თბილისის ინდუსტრიულ ტექნიკუმში განაგრძო, ხოლო 1939 წელს - თბილისის მე-14, ე. წ. "სანიმუშო სკოლაში", რომელიც 1935 წელს წარჩინებით დაამთავრა. ამ სკოლაში გატარებული წლები ნაყოფიერი აღმოჩნდა. მისივე სიტყვებით, იგი აქტიურად ჩაერთო "სკოლის გარეშე" განათლებაში. თანაკლასელებთან, შემდგომში ცნობილ ქართველ მეცნიერებთან — ელენე მეტრეველთან, ოთარ გიგინეიშვილთან, ვახტანგ ჭელიძესთან — ერთად გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, დაღამებაამდე, მთელ დროს ბიბლიოთეკაში ატარებდა. ეუფლებოდა ცოდნას, ეცნობოდა რუსული და ევროპული ლიტერატურის კლასიკოსთა შედეგებს, ისტორიის პრობლემატიკაზე შექმნილ გამოცემებს, ასტრონომიისა და ფიზიკა-მათემატიკის მიღწევებს.

მომავალი პროფესიის არჩევანზე ბატონი გიორგი ბევრს ფიქრობდა: მას ისტორიაც იზიდავდა და ასტრონომია-ფიზიკაც. ბოლოს ისტორიის მუზის - კლიოს მსახურება გადაწყვიტა. ამ არჩევანთან დაკავშირებით ბატონი გიორგი ბრძანებდა: "ვფიქრობ, ისტორიამ დამაინტერესა, როგორც მრავალი სხვადასხვა ძალის, იდეის, სურვილისა და მისწრაფების ჭიდილის გრანდიოზულმა სანახაობამ. მოვლენათა ამ ლაბირინთში გარკვევა, ისტორიის მსვლელობის გეზის ამოცნობა მრავალმხრივ საინტერესოა".

და აი, 1935 წელს გიორგი მელიქიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისტორიის ფაკულტეტზე მისაღები საგამოცდო კომისიის წინაშე წარსდგა. გამოცდები ბრწყინვალედ ჩააბარა. მრავალი წლის შემ-





დეგ ბატონი გიორგი იხსენებდა: “ფიზიკის გამოცდაზე გამომცდელმა შემომთავაზა – წაეშალა ისტორიის ფაკულტეტი ჩემს განაცხადში და თავისი დარგი – ფიზიკა ჩაენერა, რაზედაც მე კატეგორიული უარი განვუცხადე, რის გამოც 9 საგნიდან გამოცდებზე მხოლოდ ფიზიკაში მივიღე (გამომცდელის “შურისძიების” შედეგად) ნიშანი “კარგი” (4), ყველა დანარჩენში “ფრიადი” მქონდა.” თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების შედეგებისადმი მიძღვნილ სპეციალურ პუბლიკაციაში, რომელიც გაზეთ “კომუნისტში” გამოქვეყნდა, ბატონი გიორგის წარმატება საგანგებოდ აღინიშნა, ხუთ გამარჯვებულ სხვა აბიტურიენტის ფოტოგალერეას მისი ფოტოც ამშვენებდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე პირველკურსელ გიორგი მელიქიშვილს ქართველ მეცნიერთა თანავარსკვლავედი დახვდა. მას ბედნიერება ჰქონდა მოესმინა ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, ნიკოლოზ ბერძენიშვილის, ლევან მუსხელიშვილის, ვიგო ნათაძის, ალექსანდრე ნამორაძის, გიორგი გოზალიშვილის, გიორგი ჩიტაიას, გიორგი ნიორაძის, კოტე ბაქრაძის, მოსე გოგიბერიძის, იასე ცინცაძისა და სხვა ცნობილ მეცნიერთა ლექციები. უნივერსიტეტში სწავლის წლებში ბატონი გიორგის მომავალ კვლევა-ძიებათა პრობლემატიკა თანდათან გამოიკვეთა. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ძველი ისტორიის იმ სამეცნიერო წრის აქტიური წევრი გახდა, რომელსაც ძველი მსოფლიოს ისტორიის მაშინ უკვე კარგად ცნობილი სპეციალისტი, პროფესორი გიორგი გოზალიშვილი ხელმძღვანელობდა.

ბატონი გიორგი აქტიურად მონაწილეობდა უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაშიც.

იდუმალებით მოცული ძველალმოსავლური სამყაროს შესწავლის სურვილი ბატონ გიორგის განსაკუთრებით მას შემდეგ მოეძალა, როდესაც სიმონ ჯანაშიას მიერ საქართველოში მოწვეული ცნობილი ავსტრიელი მეცნიერის, მსოფლიოში აღიარებული ურარტოლოგის, კარლ-ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის და ხეთოლოგიის ფუძემდებლის, ჩეხი მეცნიერის, ბედრუხის ჰროზნის ლექციების კურსებს დაესწრო.

და აი, 1939 წლის შემოდგომაზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის წარჩინების დიპლომით დამთავრების შემდეგ, გიორგი მელიქიშვილი იმავე უმაღლესი სასწავლებლის ასპირანტურის პირველ კურსზე ჩაირიცხა, სპეციალობით: "ძველი აღმოსავლეთის ისტორია". გიორგი გოზალიშვილისავე რჩევით, ასპირანტმა ურარტოლოგიის დარგში დაოსტატება გადაწყვიტა, თუმცა სიმონ ჯანაშიაც და ნიკოლოზ ბერძენიშვილიც მას, როგორც გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებულს, საქართველოს ისტორიის პრობლემატიკაზე მუშაობას არაერთგზის სთავაზობდნენ. ბატონი გიორგი გიორგი წერეთელთან ლურსმული დამწერლობისა და ურარტული ენის შესწავლას შეუდგა. პირველმა წარმატებულმა შედეგებმაც არ დააყოვნა: 1941 წლის ნოემბრისათვის ბატონი გიორგი ლურსმულ დამწერლობასაც დაეუფლა და ურარტულ ენასაც, შეეძლო დამოუკიდებლად ამოეკითხა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაუნჯებული ურარტული წერი-



ლობითი ძეგლები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში სწავლისას (1939-1941 წწ.) გიორგი მელიქიშვილმა ფრიაღზე ჩააბარა საკანდიდატო მინიმუმით გათვალისწინებული საგნები ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში (ზოგადი კურსი), ფრანგულ ენაში, დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმში.

1941 წლის ნოემბერში სიმონ ჯანაშიას, ნიკო ბერძენიშვილისა და გიორგი წერეთლის ერთსულოვანი შუამდგომლობით და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, ნიკოლოზ მუსხელიშვილის თანხმობით, გიორგი მელიქიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურიდან ახლად დაარსებულ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის (ენიშვილის) ასპირანტურაში იქნა გადაყვანილი. უფრო მეტიც, იმავე ქართველ მეცნიერებს განზრახული ჰქონდათ იგი ლენინგრადში გაეგზავნათ, სადაც სამეცნიერო კვალიფიკაციას ცნობილ აღმოსავლეთმცოდნეთა - ვ. სტრუვეს, ბ. პიოტროვსკის, ი. დიაკონოვისა და სხვათა ხელმძღვანელობით აიმაღლებდა. სამწუხაროდ, ამ კეთილ განზრახვას ასრულება არ ეწერა: 1941 წლის 22 ივნისს დაწყებულმა ომმა შეუძლებელი გახადა ლენინგრადს ბატონი გიორგის გამგზავრება.

ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის ასპირანტურაში ბატონი გიორგის სამეცნიერო ხელმძღვანელები გიორგი წერეთელი და სიმონ ჯანაშია ბრძანდებოდნენ. გიორგი წერეთელი მას ასურულ-ბაბილონურ (აქადურ), ურარტულ, ძველ ებრაულ და არაბულ ენებში ამზადებდა, სიმონ ჯანაშიასთან კი

საქართველოსა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიის კარდინალურ პრობლემებს ეუფლებოდა. ძველი ბერძნულის ცოდნას ბატონი გიორგი ს. ყაუხჩიშვილს უმაღლოდა, ხოლო გერმანული, ფრანგული და ინგლისური ენებისას – თ. ავილოვს. ასპირანტობის დროინდელმა არქივმა 1941 წლის 1 დეკემბრიდან 1942 წლის 1 ივლისამდე ჩატარებული მუშაობის საკმაოდ შთამბეჭდავი ანგარიში შემოგვინახა: ბატონი გიორგის დასახასიათებლად ულამაზესი კალიგრაფიით შესრულებული ეს ორგვერდიანი ჩანაწერი ბევრის მთქმელია. იგი წერდა:

1. გერმანული ენა – ვმეცადინეობდი პირველ სემესტრში – ვკითხულობდი ედ. მაიერის "Schumerier und Semiten in Babilonien". პირველი სემესტრის დასასრულს საგამოცდო კომისიამ გერმანულ ენაში ჩემი ცოდნა საკანდიდატო მინიმუმის შესაფერისად სცნო.

2. ინგლისური ენა – ვმეცადინეობდი მეორე სემესტრში – გავიარეთ სახელმძღვანელოები: Ю. И. Годлинник и М. Д. Кузнец "Lessons in English" I და II და Kazndorf, Sheravaldishev, Suvorov, "English" – პირველი 40 პარაგრაფი და შესატყვისი მასალა აქვე ქრესტომათიაში.

3. ბერძნული ენა – ნავიკითხე: ა). ქსენოფონტეს "ანაბაზისის" პირველი და მეოთხე წიგნების ცალკეული ნაწილები; ბ). თუკიდიდეს თხზულების პირველი წიგნის პირველი 17 თავი; გ). ჰეროდოტეს თხზულების პირველი წიგნის პირველი 24 თავი; დ). ლუკას სახარების პირველი 2 თავი; ე). ლოგოგრაფოსების ფრაგმენტთა ნიმუშები.



4. ებრაული ენა – ვმეცადინეობდი ორივე სემესტრში. დავამუშავეთ ბიბლიის პირველი 6 თავი და სათანადო გრამატიკული მასალა.

5. ბერძნული ისტორიოგრაფია – წავიკითხე: Byzec-კულ, Введение в историю Греции, 1915; “Einleitung in die Altertumswissenschaft”, Alfred Gercke-სა და Ed. Norden-ის რედაქციით, ტ. III, განყოფილებები: ა). საბერძნეთის ისტორიის წყაროები და ქრონოლოგია; ბ). ელინისტური ეპოქის ანტიკური წყაროები და ახალი თხზულებანი, ქრონოლოგია, თვალსაზრისები და პრობლემები; გ). G. Wilhelm von Christ-ის წიგნში “Geschichte der griechischen Litteratur” - თავი: “Die Logographen und ältesten Memoiren schreiber”; დ. “Paulys Real-Encyclopädie der classischen Altertumswissenschaft”-ში მონოგრაფიები ლოგოგრაფოსების შესახებ.

დავამუშავე “ახიავას საკითხი”. გამოვიყენე შემდეგი ლიტერატურა: 1. Emil Forrer, “Vorhomerische Griechen in den Keilschrifttexten von Boghazkoi”, 1924; 2. Fritz Schachermeyer, “Hettiter und Achaer”, 1935; 3. P. Kretschmer, “Zur Frage der griechischen Namen in der hethitischen Texten” [Glotta, XVIII, 1930]. 4. B. Weie, “Les Acheens d’Asie mineure et les problemes...” [Journal Asiatique, 1930, 1]; 5. Bedrich Hrozny, “Hethiter und Griechen”, [Archiv Orientaleni, vol. I, 3, 1929]; 6. A. Salac, “Griechen und Hethiter” [Archiv Orientali, იმავე ნომერში]; 7. ცალკეული ადგილები: a. Ed. Meyer-ის “Geschichte des Altertums”-იდან (ტ. II, ნაწილი I, 1928); F. Sommer-ის წიგნიდან “Ahhiyavafrage und Sprachwissenschaft”, 1934; F. Sommer-ის წიგნიდან: “Ahhiava und

Keine Ende", 1934. 6. ძველი აღმოსავლეთის ისტორია  
ნავიკითხე, გავეცანი რიგ თხზულებებს".

გ. წერეთელი, რომელიც ქების მხრივ საკმაოდ სიტყვაძუნნი გახლდათ, თავისი ასპირანტის 1942 წლის 17 ივნისით დათარიღებულ დახასიათებაში ბრძანებდა: "ასპირანტი გ. მელიქიშვილი მიმდინარე წელს ჩემთან მუშაობდა ძველს ებრაულში. მიუხედავად იმისა, რომ მას წელს პირველად მოუხდა სემიტური ენის შესწავლა, მან სულ მოკლე დროის განმავლობაში დიდს წარმატებას მიაღწია. გამოიჩინა გულმოდგინება, ნიჭი და შრომის უნარი. მან დაამუშავა ბიბლიის ექვსი თავი და ძირითადად გაეცნო ებრაულის ელემენტარულ გრამატიკას (ჰოლენბერგის სახელმძღვანელოს ფარგლებში). გარდა ამისა, იგი სწავლობდა ბერძნულ ენას, ბერძნულ საისტორიო წყაროებსა და ეცნობოდა სამეცნიერო ლიტერატურას ძველი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხებზე".

ზემოთ მოხსენიებულ არქივში 1942-43 წლებში ბატონი გიორგის მიერ ჩაბარებული საგნების საგამოცდო ოქმებსაც ვეცნობით. ირკვევა, რომ გიორგი მელიქიშვილს ასპირანტურის II-III კურსებზე სწავლისას ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული უკლებელივ ყველა საგანი (აქადური, ურარტული, ებრაული, ბერძნული ისტორიოგრაფია, ძველი აღმოსავლეთის ისტორია, საქართველოს ისტორია) "ფრიადზე" ჩაუბარებია. საგამოცდო ოქმებს ხელს აწერენ ცნობილი ქართველი მეცნიერები: არნოლდ ჩიქობავა, სიმონ ჯანაშია, სიმონ ყაუხჩიშვილი, გიორგი წერეთელი, ვარლამ თოფურია, ალექსი რობაქიძე.



ძველი (ე. წ. "მკვდარი") და ახალი ენების დაუფლებებისა და სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება-დამუშავების პარალელურად ბატონი გიორგი ინტენსიურად მუშაობდა საკვალიფიკაციო ნაშრომზე: "ურარტუს სამეფოს წარმოქმნა". თანდაყოლილმა ნიჭიერებამ და თავაუღებელი შრომის გამორჩეულმა უნარმა აქაც ახალგაზრდა მკვლევარს მნიშვნელოვანი წარმატება მოუტანა. 1944 წლის გაზაფხულზე საკუთარი ხელით, ულამაზესი კალიგრაფიით გადანერილი სადისერტაციო ნაშრომის სამი ეგზემპლარი გიორგი მელიქიშვილმა თავის სამეცნიერო ხელმძღვანელს, გიორგი წერეთელსა და ოფიციალურ ოპონენტებს – სიმონ ჯანაშიას და მაქსიმე ბერძნიშვილს წარუდგინა.

გიორგი წერეთლის საკმაოდ ვრცელ დასკვნაში დეტალურადაა განხილული გიორგი მელიქიშვილის სადისერტაციო ნაშრომი, ნაჩვენებია საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებული სიძნელეები. გიორგი წერეთლის თვალსაზრისით, დისერტანტი "ცდილობს თავი აარიდოს აჩქარებულ და დაუსაბუთებელ დასკვნებს და წარმოდგენილი დებულებების დასამტკიცებლად ყოველთვის იშველიებს სანდო და სათანადოდ შემოწმებულ ფაქტებს. იგი დაუფლებულია სპეციალურ ლიტერატურას, რამდენადაც ეს მისი მიზნებისთვისაა საჭირო და ახერხებს აგრეთვე ურარტული, აქადური და სხვა პირველწყაროების გამოყენებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ეთნიკური, პოლიტიკური და გეოგრაფიული ცნების განმარტებისას მას მთლიანად გათვალისწინებული აქვს ისტორიული პერსპექტივა და წინააღმდეგ ურარტუს ისტორიის ზოგიერთი უახლესი



მკვლევრისა, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ერთი და იგივე გეოგრაფიული ტერმინი სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში სხვადასხვა ტერიტორიის მომცველია". გიორგი წერეთლის საბოლოო დასკვნა გიორგი მელიქიშვილის საკვალიფიკაციო ნაშრომზე ასეთია: "აღნიშნული შრომით დისერტანტმა დაგვანახა, რომ იგი სავსებით მომზადებულია დამოუკიდებელი მუშაობისათვის და რომ უდავოდ ღირსია იმისი, რომ დაშვებულ იქნეს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის დასაცავად". გ. წერეთლის დასკვნა 1944 წლის 2 დეკემბრითაა დათარიღებული.

ბატონი გიორგის სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებული საჯარო პაექრობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე 1944 წლის 15 დეკემბერს გაიმართა. ძველი აღმოსავლეთის ისტორიის ურთულეს პრობლემატიკაზე გიორგი მელიქიშვილის მიერ ჩატარებულმა კვლევა-ძიების შედეგებმა სამეცნიერო საბჭოს წევრთა მოწონება დაიმსახურა. მისი ერთ-ერთი ოპონენტი, კერძოდ, მაქსიმე ბერძნიშვილი, ბრძანებდა: "დისერტანტს კარგად აქვს შეგნებული ურარტული წერილობითი ძეგლებისა და არქეოლოგიური მასალის შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა. მან იცის, რომ ურარტოლოგიაში ყველაფერი არაა დაზუსტებული და უცილობლად დადგენილი. ამიტომაც, ამა თუ იმ ტექსტის ინტერპრეტაციისა თუ დასკვნათა მიღებისას, იჩენს სიფრთხილეს და ერიდება გადაჭრილი აზრის გამოთქმას არა იმდენად გაუბედაობის გამო, რამდენადაც იმ





კეთილსინდისიერების ძალით, რომელსაც ავალდებულ  
 მეცნიერული სიდარბაისლე, პრობლემის სირთულე და  
 თვით დისციპლინის ახლანდელი ვითარება, როცა არა-  
 ერთი დებულება ერთსულოვნად არაა გააზრებული  
 მეცნიერებაში, როგორც უცილობელი რამ ჭეშმარიტე-  
 ბა, და როცა, ლემან-ჰაუპტის თქმით, “ურარტული დი-  
 დი და გაბმული ტექსტების თარგმნა აქვს უფრო რეზუ-  
 სების გასართობი ხასიათი”. დისერტანტის შრომა ნათ-  
 ლად გვიჩვენებს, რომ მის ავტორს აქვს დაკვირვებული  
 და ფრთხილი კვლევის უნარიც. იგი დაუფლებულია მე-  
 თოდოლოგიურ ხერხებს, მარჯვედ აჯგუფებს მასალას  
 და გონებამახვილობასაც იჩენს...”

ნლების მანძილზე დიდი მეცნიერებისაკენ გიორგი  
 მელიქიშვილის გზის გამკვლევი და დიდი გულშემატკი-  
 ვარი, იმუამად კი ოპონენტი სიმონ ჯანაშია თავისი რე-  
 ცენზიის დასკვნით ნაწილში აღნიშნავდა: “შეიძლება  
 ითქვას, ჩვენ წინაშე ისეთი მკვლევარია, როგორ მკვლე-  
 ვართა მომზადებაც ჩვენს ამოცანას შეადგენს. ამხ. გ.  
 მელიქიშვილი უკვე იმდენად იცნობს სამ ევროპულ  
 ენას, რომ თავისუფლად სარგებლობს ამ ენებზე არსე-  
 ბული ლიტერატურით. იგი იცნობს და დაუფლებულია  
 კიდევ რთულ კატეგორიას ამ წყაროებისა – ლურსმულ  
 წყაროებს. ამ ლურსმული წყაროების ციტირება ნაშ-  
 რომში და, საერთოდ, მეთოდოლოგიური მხარე ნაშრო-  
 მისა ამჟღავნებს სერიოზულ, ნამდვილ მეცნიერულ  
 სკოლას, რომელიც დისერტანტს გაუფლია. ეს არის  
 დამსახურება ამხ. დისერტანტის ხელმძღვანელისა,  
 შემდეგ, ალბათ, მეცნიერული გარემოცვისა და შემდეგ,  
 შეჭველად, თვით დისერტანტისა. ამით არ ამოიწურება

ჩვენი დისერტანტის ღირსება; აქ არის მნიშვნელოვანი სამეცნიერო დებულებები, რომლებიც საკმაოდ წვლილს შეიტანენ ამ რთულ და უაღრესად დახლართულ სფეროში". ს. ჯანაშია თავის რეცენზიას შემდეგი სიტყვებით ამთავრებს: „მაგრამ მე მინდა გავაფრთხილო დისერტანტი, რომ ის, რაც მის გასაგონად სამეცნიერო საბჭოს მოვახსენე, იმას ნიშნავს, რომ ჯერ ყველაფერი წინაა და დისერტანტზეა დამოკიდებული, თუ როგორ მიიტანს ბურთს ლელომდე. მან სათანადო ცოდნა მიიღო; უნარი დამოუკიდებელი შრომისა და პრობლემა, რომელიც აირჩია, მას აქვს; ამაში ინსტიტუტი დაეხმარა იმიტომ, რომ ინსტიტუტის სურვილი იყო ჰყოლოდა ურარტუს სპეციალისტი. ეხლა მის შრომაზეა დამოკიდებული, თუ როგორ კვალს დაამჩნევს ჩვენს მეცნიერულ სკოლას”.

ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ გიორგი მელიქიშვილს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი ერთსულოვნად მიანიჭა. კენჭისყრა ს. ყაუხჩიშვილმა, ა. აფაქიძემ და გ. გობეჯიშვილმა ჩაატარეს.

მოგვიანებით იგივე გადანყვეტილება მოსკოვში მაშინ არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამაც მიიღო.

ბატონმა გიორგიმ თავისი დიდი მასწავლებლის – სიმონ ჯანაშიას იმედი სრულად გაამართლა. მან ურარტოლოგიას, ძველადმოსავლური მეცნიერების ერთ-ერთ ურთულეს დარგს, განვითარების ახალი პერსპექტივები გადაუშალა.



1944-1957 წლები ბატონმა გიორგიმ თავდაუზოგავ შრომაში გაატარა. პირველი ორენოვანი (ქართულ-რუსული) სამეცნიერო სტატია სათაურით: “ურარტუს ღვთაებათა საკულტო ცენტრები” — მან 1946 წელს “საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში” (ტ. III, 6) გამოაქვეყნა. 1947-52 წლებში მეცნიერი “საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში”, “Вестник древней истории”-ს ფურცლებზე, “ანალებში”, “მიმომხილველში” პირველწყაროების სკრუპულოზურ ანალიზზე დაფუძნებული, არაერთი ახალი დებულების შემცველი საყურადღებო სამეცნიერო ნაშრომით წარსდგა: “ურარტული ტომების უძველესი კერა”, “К вопросу о древнейшем очаге урартских племен,” “Мусасир и вопрос о древнейшем очаге урартских племен”, “ურარტუს მეფეთა საომარი და საალმშენებლო წარწერების სტილის ზოგიერთი საკითხი”, “Некоторые вопросы Манейского царства”, “ურარტუს მეფე რუსა II-ის ლურსმული წარწერა სოფ. ადილჯევაზიდან”, “Диаухи (из истории Южного Закавказья в древневосточную эпоху)”, “უძველესი სამეფო სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე”, “Урартоведческие заметки”, “საქართველოს მუზეუმის ბაბილონური წარწერა” და ა. შ.

1947-1952 წლები დიდი სამზადისი იყო ეტაპობრივი მნიშვნელობის ნაშრომების შესაქმნელად და გამოსაქვეყნებლად, რომელთაც ბატონ გიორგის საყოველთაო აღიარება მოუპოვეს და მსოფლიო აღმოსავლეთმცოდნეობაში ღირსეული ადგილი დაუმკვიდრეს.

“Вестник древней истории”-ს 1953 წლის 1, 2, 3, 4-სა და 1954 წლის 1-ში ბატონი გიორგის “Урартские клино-

образные надписи”, ხოლო 1954 წელს თბილისში მისი ფუნდამენტური მონოგრაფია — “Древневосточные материалы по истории народов Закавказья, I. Наири-Урарту” — გამოქვეყნდა. ურარტული ლურსმული წარწერების მედიქიშვილისეული კორპუსი სპეციალისტებს იმ დროისათვის ცნობილი უკლებლივ ყველა ურარტული წარწერის ტრანსლიტერაციას, რუსულ თარგმანს, კომენტარებს, ურარტული ენის გრამატიკას და საძიებლებს სთავაზობდა. ამ გამოცემაზე აღმოსავლეთმცოდნეთა აღფრთოვანებულმა რეაქციამ არ დააყოვნა. მსოფლიოში ცნობილმა ურარტოლოგმა და ხეთოლოგმა იოჰანეს ფრიდრიხმა “Вестник древней истории”-ს რედაქციას, 1953 წლის პირველი ნომრების გამოქვეყნებისთანავე, საგანგებო წერილით მიმართა, სადაც ქართველი მეცნიერის ნამუშევარი მსოფლიო ურარტოლოგიის უდიდეს მიღწევად შეაფასა.

ბატონი გიორგის ურარტული ლურსმული წარწერების კორპუსისადმი და, საერთოდ, მისი ურარტოლოგიური ძიებებისადმი ამგვარი აღტაცებული დამოკიდებულება იოჰანეს ფრიდრიხს, რომელსაც მეცნიერი თავის “მემუარულ ჩანაწერებში” “ჩემს კერპს” უწოდებს, ბერლინიდან გამოგზავნილ წერილებში არაერთგზის გამოუვლენია. მაგალითად, 1956 წლის 20 ოქტომბრის გზავნილში ასეთ სტრიქონებს ვხვდებით: “...ძალიან დამაინტერესათქვენმა ცნობამ, რომ მალე გამოვა თქვენი ურარტული წარწერების მეორე გამოცემა... ძალიან მადლობელი ვიქნებოდი, თუ შეძლებდით და მოინდომებდით ამ მეორე გამოცემის ერთი ეგზემპლარის ჩემთვის გადადებას. ამჟამად არ შემიძლია, თანაბარი ღირებულების ნაშრო-



მეტი მოგართვათ სამაგიეროდ, მაგრამ თუ თქვენთვის საინტერესო იქნებოდა ჩემი ესა თუ ის ხეთოლოგიური ნაშრომი (ან სხვა რაიმე გერმანული წიგნი), მე ამას სიამოვნებით გამოგიგზავნიდით. გთხოვთ, გამიზიაროთ ამ თვალსაზრისით თქვენი სურვილები. დღეს კი, უგულითადესი მოკითხვით, თქვენი დიდი პატივისცემელი იოჰანეს ფრიდრიხი". ბატონი გიორგის მეცნიერული მემკვიდრეობისადმი განსაკუთრებული პატივისცემა გერმანელმა მეცნიერმა 1957 წ-ს მიუნხენში გამართულ აღმოსავლეთმცოდნეთა XXIV საერთაშორისო კონგრესის მუშაობის დღეებშიც დაადასტურა, როდესაც დიდი ინიციატივა გამოიჩინა მის გასაცნობად: თავად მოძებნა იგი, კომპლიმენტებით აავსო და გერმანულ ენაზე ურარტული ლურსმული წარწერების კორპუსის გამოცემა ურჩია. და ეს იმ დროს, როდესაც გერმანულ ენაზე უკვე არსებობდა ახლად გამოქვეყნებული წიგნის ანალოგიური ნაშრომი.

“Вестник древней истории”-ს 1953 წლის 1-ს მყისვე გამოეხმაურა თამაზ გამყრელიძე, დღეს მსოფლიო სამეცნიერო წრეებში ფართოდ აღიარებული მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, რომელიც XX საუკუნის 50-იან წლებში ლენინგრადში ასპირანტურის კურსს გადიოდა და ძველადმოსავლურ ენებს ი. დიაკონოვთან ეუფლებოდა. 1953 წლის 6 აპრილით დათარიღებულ წერილში თ. გამყრელიძე წერდა: “ბატონო გიორგი! დიდი დაგვიანების შემდეგ, როგორც იქნა, გვეღირსა ВДИ-ს გამოსვლა. ლენინგრადში პირველი ნომერი სულ ერთ კვირაზე ცოტა მეტია, რაც მიღებულ იქნა. მე, რასაკვირველია, ყველა-



ფერზე უფრო მეტად თქვენი ურარტული წარწერები მაინტერესებდა, განსაკუთრებით, ურარტული გრამატიკა. დიაკონოვთან, ასე ვთქვათ, სპეციალური საუბარი მქონდა თქვენი გრამატიკის შესახებ. მან აღნიშნა, რომ "это большой шаг вперед по сравнению с И. Фридрихом". გრამატიკა მოკლე და ამავე დროს – მეტად დინამიურია. ჩემთვის ეს გრამატიკა არამარტო საინტერესო და სასარგებლოა, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, განსაკუთრებით სასიამოვნოც. სასიამოვნოა ჩემთვის, სახელდობრ, ის გარემოება, რომ თქვენ გაიზიარეთ და თქვენს გრამატიკაში შეიტანეთ ზოგიერთი დებულება, რომელიც ჩემს მოკლე სტატიაში იყო გამოთქმული. ახლა მათ, ასე ვთქვათ, "კანონიზირებულ" დებულებათა ხასიათი მიეცით მთლიანი გრამატიკის სისტემაში..."

ნიშანდობლივია, რომ რუსული ძველამოსავლეთ-მცოდნეობის ერთ-ერთ ლიდერად აღიარებული იგორ დიაკონოვი (რომელსაც ძნელად თუ ვინმეს ნამოღვანარი მოსწონდა!) ურარტული ლურსმული წარწერების მელიქიშვილისეული კორპუსის გამოქვეყნებამდე, ჯერ კიდევ ორი წლით ადრე, 1951 წლის 1 იანვარს ბატონ გიორგის შემდეგი სიტყვებით მიმართავდა: "Глубокоуважаемый Георгий Александрович! Со своей стороны должен Вам посетовать на то что, Вы, несмотря на мою искреннюю просьбу, так и уехали, не сделав никаких замечаний на мой предварительный набросок урартской грамматики, а между тем, не может быть, чтобы у Вас не было возражений, соображений и т.п. **Вы – в первую голову урартолог, и при том, говоря совершенно серьезно, самый дельный и**

ტალანтливый у нас, а я – и ассириолог и урартоლო-  
шумеролог, и хурритолог, и черт его знает что еще – и  
историк, и филолог, и даже чуть не искусствовед. При такой  
огромной опеке могу ли я не наделать каких либо промахов?  
И потому Ваше мнение и Ваши замечания мне очень важны и  
нужны...”

მოვლენებს წინ გავუსწრებ და დავძენ, რომ კიდევ  
უფრო დიდი მონონება და აღიარება ხვდა წილად  
“Урартские клинообразные надписи”-ს მეორე გამოცემას,  
რომელიც 1960 წელს მოსკოვში განხორციელდა. ეს  
ფუნდამენტური ნაშრომი, რომელსაც მაშინ ანალოგი  
არ მოეპოვებოდა, იმ დროისათვის ცნობილ 500-მდე  
ურარტულ ეპიგრაფიკულ ძეგლსაც გვაცნობდა და  
ურარტული გრამატიკის საიდუმლოებათა ამოხსნის  
წარმატებულ შედეგებსაც გვაზიარებდა. ფასდაუდებე-  
ლია “კორპუსისათვის” დართული ურარტული ენის  
ლექსიკონი, რომელიც ყველა ურარტული სიტყვის, სა-  
კუთარი სახელისა და იდეოგრამა-დეტერმინატის სიმ-  
ფონიას წარმოადგენს. ბატონ გიორგიმდე ამ მასშტაბის  
და ამ ხარისხის სამუშაო არც ჩვენში და არც ჩვენი ქვეყ-  
ნის ფარგლებს გარეთ არავის ჰქონია შესრულებული.

ზემოთ უკვე რამდენიმეგზის მოხსენიებული იოჰა-  
ნეს ფრიდრიხი ბატონი გიორგის ამ ახალ ნაშრომს  
უმალვე გამოეხმაურა. 1960 წლის 24 მაისს იგი ბატონ  
გიორგის შემდეგი შინაარსის წერილს უგზავნის: “დი-  
დად პატივცემულო კოლეგა, ძალიან გამახარა გუშინ  
თქვენი ურარტული წარწერების კრებულის ახალი  
გამოცემის მიღებამ, რომელსაც სამეცნიერო სამყა-  
რო უკვე დიდი ხანია მოუთმენლად ელოდა. უკვე გა-

დათვალე რებისას დავინახე, რომ ნაშრომი კიდევ უფრო გაიზარდა და კიდევ უფრო მშვენიერი გახდა, ვიდრე პირველი გამოცემა. უგულითადესი მადლობა ასეთი ძვირფასი საჩუქრისათვის! იმედი მაქვს, რომ უახლოეს დროში შევძლებ პატარა ნაშრომები მაინც მოგართვათ სამაგიეროდ. კიდევ ერთხელ დიდი მადლობით და გულითადი მოკითხვით, თქვენი იოჰანეს ფრიდრიხი".

ბატონი გიორგის პირად არქივში თვალსაჩინო რუსი ურარტოლოგის, "Халдоведеше"-ს, "Язык Ванской клинописи"-ს და სხვა არაერთი ურარტოლოგიური ნაშრომის ავტორის, ერთ დროს საბჭოთა ხელისუფლების მიერ შერისხულ აკადემიკოს ი. მეშჩანინოვის წერილებიც ინახება. ამ გზავნილიდან საკმაოდ ნათლად ჩანს, თუ როგორი ავტორიტეტით სარგებლობდა რუსეთის მაღალ სამეცნიერო წრეებში ჩვენი იუბილარის ურარტოლოგიური ძიებანი. ი. მეშჩანინოვი ბატონ გიორგის შემდეგს აცნობებს: "Глубокоуважаемый Георгий Александрович! На днях заканчивается печатание моей грамматики урартского языка, часть II, глагол. Считая своим обязательным долгом направить Вам её экземпляр, когда он выйдет, мне хотелось бы, предварительно, сообщить о ней дополнительно историю её опубликования. Как 1-я часть, так и 2-я, составлялись мною еще в 40-ых годах. После длительного перерыва, когда печатание моих работ было приостановлено. Издательство Академии Наук выпустило в 58-м году 1-ю часть моей урартской грамматики. Через пару лет дирекция нашего Института, ссылаясь на то, что уже вышла 1-ая часть, предложила мне опубликовать также и 2-ю её часть. Я





сообщил дирекции Института, что после капитальных работ, помещенных в ВДИ, а затем и отдельной книгой, моя намечаемая к изданию работа теряет свое значение. Дирекция направила работу на Ваше заключение и получила Ваш положительный о ней отзыв. Работа была направлена к напечатанию. Приношу искреннюю призна-тельность за снисходительное к ней отношение. Глубоко благодарный за внимание И. Мещанинов. 21-го октября 1962".

აღრფთოვანება "Урартские клинообразные надписи"-ს 1960 წლის გამოცემასთან დაკავშირებით ვერც იტალიელმა ცნობილმა ურარტოლოგმა, მარიო სალვინიმ დამალა, როდესაც მას "ურარტოლოგთა ბიბლია" უწოდა.

ბატონი გიორგი ყველა იმ საქებარ სიტყვას, რომელიც მის ურარტოლოგიურ ძიებებთან დაკავშირებით იყო გამოთქმული, ალბათ, გულისყურით უსმენდა, მაგრამ როგორც მეცნიერის პირადი ჩანაწერებიდან და მიხეილ წერეთლისადმი მიძღვნილი წერილიდან საკმაოდ ნათლად ჩანს, მისთვის ყველაზე დიდი ჯილდო, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, "ურარტოლოგიის კორიფეს", მიხეილ (მიხაკო) წერეთლის ის რადიო-ინტერვიუ იყო, რომელიც უკვე მხცოვანმა მეცნიერმა სიცოცხლის უკანასკნელ წლებში უცხოეთში ჩაწერა, სადაც მსოფლიო ურარტოლოგიაში ქართველ მეცნიერთა მიერ შეტანილი დიდი წვლილის მაგალითად თავისი ძმისშვილი – გიორგი წერეთელი და გიორგი მელიქიშვილი დაასახელა (ეს ინტერვიუ ქართულმა რადიომაუწყებელმა ლია ეთერში 1994, 1998 წლებში გადასცა).



1954 წელი ბატონი გიორგისათვის ფეხბედნიერი სხვა მიზეზებითაც აღმოჩნდა. ამ წელს ურარტული ლურსმული წარწერების კორპუსთან ერთად ძველალმოსავლური ისტორიოგრაფია ზემოთ უკვე მოხსენიებული მონოგრაფიით: "Наири-Урарту"-თი გამდიდრდა. ამ ნაშრომით კიდევ ერთხელ გაცხადდა, რომ გიორგი მელიქიშვილმა ურარტოლოგია თვისობრივად ახალ საფეხურზე აიყვანა. როგორც არაერთგზის აღნიშნულა, ეს მონოგრაფია კომპლექსური კვლევის სამაგალითო ნიმუშია. მასში უმდიდრესი პირველწყაროების ანალიზის საფუძველზე სიღრმისეულადაა შესწავლილი ნაირი-ურარტუს ისტორიული გეოგრაფიის, უძველეს ახლო აღმოსავლეთში განსახლებულ მრავალრიცხოვან ხალხთა ეთნიკური კუთვნილების ურთულესი საკითხები, გაშუქებულია ამ მსხვილი რეგიონის სხვადასხვა ეთნოსთა ისტორიული განვითარების პროცესები, სამეცნიერო ლიტერატურაში პირველადაა აღდგენილი ნაირი-ურარტუს სახელმწიფოს სოციალ-ეკონომიკური წყობის სურათი, გამოვლენილია მისი თავისებურებანი და, ამასთანავე, წარმოჩენილია ამ ქვეყნის მოსახლეობის კულტურისა და რელიგიის ისტორიის სრულიად ახალი ასპექტები.

1954 წელი ბატონი გიორგის ცხოვრებაში კიდევ ერთი ღირშესანიშნავი ფაქტით აღინიშნა. ამ წლის 30 აპრილს "Урартские клинообразные надписи"-ს და "Наири-Урарту"-ს საფუძველზე შექმნილი სადისერტაციო ნაშრომისათვის საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების სამეცნიერო საბჭომ მას ისტო-



რიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიანიჭა. მისი ნაშრომების დიდი ნაწილი რუსული ალმოსავლეთმცოდნეობის თვალსაჩინო ნაშრომად გენლები - ვ. სტრუვე, ნ. მემჩანინოვი და ბ. პიოტროვსკი უწევდნენ. დაცვამ ბრწყინვალედ ჩაიარა. ოპონენტებმა გიორგი მელიქიშვილი ქება-დიდებათა აავსეს. უფრო მეტიც, ურჩიეს, იგივე სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლადაც წარედგინა. ლენინგრადში ხანგრძლივი სამეცნიერო მივლინებით ჩასულმა ქართველმა ახალგაზრდებმა - თ. გამყრელიძემ, ა. მენაბდემ, გ. გიორგაძემ, ო. ცქიტიშვილმა, ზ. შარაშენიძემ - ბატონი გიორგის გამარჯვებით დიდად გაიხარეს. აშკარა იყო, რომ ურარტოლოგიის საერთაშორისო ცენტრი ამიერიდან ბინას საქართველოში დაიდებდა.

ნაშრომებისათვის “Урартские клинообразные надписи” და “Наири-Урарту”, ლენინური პრემიის დაარსების პირველივე, 1957 წელს, 39 წლის გიორგი მელიქიშვილმა, საბჭოთა ისტორიკოსებს შორის პირველმა, დაიმსახურა ქვეყნის ეს უმაღლესი ჯილდო.

ძველალმოსავლური ძიებანი ბატონ გიორგის არც XX საუკუნის 60-80-იან წლებში შეუწყვეტია. ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ გამოცემებში მან ძველალმოსავლური პრობლემატიკისადმი მიძღვნილი ისეთი ნაშრომები გამოაქვეყნა, როგორებიცაა: “К вопросу о хетто-цупанийских переселениях в Урарту” (ВДИ, 2, 1958, с. 40-47); “Новая урартская надпись из Иранского Азербайджана” (ВДИ, 3, 1960, с. 3-11); “К изучению древней восточно-малоазиатской этнонимии”



(ВДИ, 4, 1962); "Zum Studium der antiken Ethnonymik in stlichen Kleinasien (Bibliotheca classica orientalis, Heft 6, 1963); "Ассирия и Страны Наири на рубеже XII-XI вв. до н. э.", (ВДИ, 2, 1963, с. 115-129), "Кулха (Из древней истории Южного Закавказья), ("Древний мир", Ленинград 1963, с.319-326); "Урартский язык" (Москва, 1964); "Возникновение Хеттского царства и проблема древнейшего населения Закавказья и Малой Азии" (ВДИ, 1, 1965, с. 3-30); "On the Problem of Hurrite Expansion in the Direction of Transcaucasia" (ძველი ისტორიის საკითხები, III, თბილისი, 1970); "Die Urartäische Sprache, (Rome, 1971, p. 159)"; "Урартские клинообразные надписи, II, Открытия и публикации 1954-1970" (ВДИ, 3, 1971, с. 228-255; ВДИ, 4, 1971, с. 266-294); "О значении одной графической формулы в урартских надписях (ВДИ, 2, 1976, с.40-46)"; "К чтению одного места в летописи урартского царя Аргишти I" (Переднеазиатский Сборник, т. III, 1979, с. 171-176); "Urartu und das südliche Transkaukasien" (Georgica, 1980); "К чтению одной Армавирской урартской надписи" (Древний восток и мировая культура, Москва, 1981, с. 67-69); "ძიებანი საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ძველი ისტორიის დარგში", (თბილისი, 1999, 666 გვ.) და ა. შ.

გიორგი მელიქიშვილის მდიდარ სამეცნიერო მემკვიდრეობაში ქართველი ხალხის ეთნოგენეზის პრობლემის კვლევას სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავია. ამ ურთულესი პრობლემის სხვადასხვა ასპექტის სკრუპულოზურ შესწავლას მეცნიერის არაერთ ნაშრომში ვხვდებით, მაგრამ ამ პრობლემასთან დაკავშირებული გიორგი მელიქიშვილისეული კონცეფცია



მთელი სისრულით მაინც მის ორ უმნიშვნელოვანეს გამოკვლევაშია ჩამოყალიბებული. ესენია: თბილისში 1965 წელს გამოქვეყნებული მონოგრაფია: “საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის” და “საქართველოს ისტორიის ნარკვევების” I ტომში შესული, მისი ავტორობითვე შესრულებული გამოკვლევა: “ქართველები, მათი წარმომავლობის საკითხი”. მეცნიერმა ქართველი ხალხის ეთნოგენეზის პრობლემა შრომატევადი კომპლექსური კვლევა-ძიების საფუძველზე გააშუქა. ძველ-აღმოსავლური, ბერძნულ-ლათინურ-ბიზანტიური, ძველი ქართული, ძველი სომხური წერილობითი წყაროების, ენობრივი, ეთნოტოპონიმიკური მონაცემების, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ (ჩრდილოეთ კავკასია, წინა აზია) მოპოვებული არქეოლოგიური მასალის ისტორიულ-შედარებითი მეთოდით შესწავლისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგში XIX-XX სს-ში ჩატარებულ კვლევა-ძიებათა შედეგების გათვალისწინებით, ბატონმა გიორგიმ ქართველი ხალხის ეთნოგენეზის პრობლემის საკუთარი კონცეფცია ჩამოაყალიბა, რითაც ქართულ მეცნიერებას დიდი ღვაწლი დასდო.

ქართველი ხალხის ეთნოგენეზის პრობლემის შესწავლისას მეცნიერმა XIX-XX სს-ის საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისების ურთიერთშედარებისა და კრიტიკული ანალიზის გზით სპეციალურად გამოიკვლია სხვა ენებთან, კერძოდ, ე.წ. იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახთან ქართველური ენების მიმართების ურთულესი და, ფაქტობრივად, დღემდე საკამათო საკითხი. ცნობილია, რომ სპეცია-



ლისტების ერთი ნაწილი ენათა ამ ოჯახს ქართველურ (ქართულ, მეგრულ-ჭანურ, იგივე ზანურ და სვანურ) ენებთან ერთად ჩრდილო-დასავლურ კავკასიურ (აფხაზურ-ადიღეურ) და ჩრდილო-აღმოსავლურ კავკასიურ (ჩაჩნურ-დაღესტნურ) ენებს აკუთვნებს. ამასთანავე, ვარაუდობდნენ, რომ ამ ენებს, შესაძლოა, ბასკურიც ენათესავება და ძველ აღმოსვლეთში გავრცელებული ზოგიერთი ე.წ. "მკვდარი ენაც" (შუმერული, ხურიტული, პროტოხეთური, ელამური). მეცნიერი არ გამორიცხავდა, რომ "მომავალმა კვლევა-ძიებამ ამ მხრივ, შეიძლება, დიდი პერსპექტივები გადაგვიშალოს", თუმცა იქვე დასძენდა: "მაგრამ ამ ნათესაობის ჩვენება დღესდღეობით მეტად საძნელო ამოცანად არის ქცეული. ისტორიულ-შედარებითი მეთოდის საფუძველზე ამ ნათესაობის ჩვენება ჯერჯერობით არ ხერხდება. აღნიშნული ენები ერთმანეთთან მნიშვნელოვან დამთხვევებს ძირითადად ტიპოლოგიური თვალსაზრისით ავლენენ. თავისთავად ასეთი ტიპოლოგიური სიახლოვე შეიძლება გენეტიკური ნათესაობის შედეგიც იყოს და არც იყოს". გიორგი მელიქიშვილის თვალსაზრისით, თუნდაც რომ დავუშვათ იბერიულ-კავკასიური ერთობის არსებობა, მას მხოლოდ ნეოლითის ხანაში თუ ვივარაუდებთ.

ბატონი გიორგი არ იზიარებდა ე. კრუპნოვის, რ. მუნჩაევის და სხვა არქეოლოგთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს, რომელთა თანახმადაც, ე.წ. მტკვარ-არაქსის არქეოლოგიური კულტურა მაინცადამაინც იბერიულ-კავკასიური ეთნიკური ერთობის ნაკვალევი უნდა იყოს. ამ საკითხში მეცნიერის პოზიცია ასეთია: "თუნ-



დაც რომ ვალიაროთ ოდესღაც იბერიულ-კავკასიური ენობრივი ერთობის არსებობა, როგორც ამას ჩვენი კულტურის მონაცემების მიხედვით მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ეთნიკური მასისაგან მოველით, ეს არ ქმნის იმის წინაპირობას, რომ დავუშვათ კავკასიური (იბერიულ-კავკასიური) ერთობა, რადგან ასე შედარებით გვიან და ისიც საკმაოდ განვითარებული ცხოვრების პირობებში ამგვარი ერთობის არსებობის შემთხვევაში მისი აღდგენა ენობრივი მასალის საფუძველზე ისეთი რთული და გადაუწყვეტელი ამოცანაა ვერ იქნებოდა, როგორადაც ეს დღეს გამოიყურება.”

ბატონმა გიორგიმ სადავოდ მიიჩნია საერთო-ქართველური ფუძეენის დაშლის ე.წ. გლოტოქრონოლოგიური მეთოდით გ. კლიმოვისა და სხვა მკვლევრების მიერ მიღებული თარიღები (ცნობილია, რომ ამ მეთოდით დათარიღების მიმდევარნი საერთო-ქართველურიდან სვანური ენის გამოყოფას ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისით, ხოლო ქართულ-ზანური ენობრივი ერთობის დაშლის დაწყებას ძვ.წ. VIII ს-ით ათარიღებდნენ).

ქართველი ხალხის ეთნოგენეზის პრობლემის მელიქიშვილისეული კონცეფციის მიხედვით, საერთო-ქართველური ფუძეენიდან სვანურის გამოყოფა ძვ. წ. III-II ათასწლეულების მიჯნაზე უნდა მომხადარიყო, ქართულ-ზანური ენობრივი ერთობის დაშლა კი ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებითაა დასათარიღებელი, როდესაც დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ორი კულტურული არეალი ყალიბდება.

სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე ეთნოგენეტიკური პროცესების რეკონსტრუქციის მიზნით მეცნიერი დიდ

მნიშვნელობას საერთო-ქართველურ ლექსიკაში არსებულ იმ ტერმინებს ანიჭებდა, რომლებიც საშუალებას გვაძლევს წარმოდგენა ვიქონიოთ იმ ბუნებრივ გარემოზე, სადაც ქართველური ფუძეენის მატარებელი ეთნოსი ბინადრობდა. მეცნიერმა ქართველურ ენებში დაცული კანონზომიერი დერივატების გათვალისწინების საფუძველზე უჩვენა, რომ ქართველური ეთნოსის განსახლების არეალი ძვ.წ. III ათასწლეულისათვის (და, ალბათ, უფრო ადრეც) კავკასიის მიწა-წყალზეა საძიებელი. ამ თვალსაზრისით, მეცნიერმა ყურადღება კავკასიის ფლორასთან და ფაუნასთან დაკავშირებულ, საერთო-ქართველურის ქრონოლოგიურ დონეზე გ. კლიმოვის მიერ ნავარაუდებ ისეთ ლექსემებს მიაქცია, როგორებიცაა: ანწლი, ბრყენი (პანტა), გვიმრა, ვაშლი, ვერხვი, მარწყვი, მსხალი, სხმარტლი (ზღმარტლი), სოკო, ქრცხამლი (რცხილა), ძაცხვი (ცაცხვი), ძენწნი (ტირიფი), წიფლი (წიფელი), წყავი (лавровишня), არჩვი, დათვი, კვერნა, თხა, ვაცი, ორბი (არწივი), მელა და ა. შ.

გიორგი მელიქიშვილის თვალსაზრისით, ქართველური ეთნოსი უძველესი დროიდან არა მხოლოდ დღევანდელი საქართველოს, არამედ მის საზღვრებს გარეთ მდებარე ტერიტორიაზე, მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონში და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთშიც იყო განსახლებული. უფრო მეტიც, დასავლეთ საქართველოში და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად დამოწმებულ კულტურათა მსგავსება-იდენტურობა, ისევე როგორც ენობრივი ფაქტები, ბატონი გიორგის აზრით, ერთმნიშვნელოვნად იმ გარემოებაზეც





მიუთითებს, რომ ქართველთა წინაპრებს მჭიდროდ ემთხვევათ ნოკულტურული ურთიერთობანი ჰქონდათ მცირე აზიის ცენტრალურ და მესოპოტამიის ჩრდილოეთით განლაგებულ მხარეებში მოსახლე პროტოხეთებთან, ხათებთან, ხეთებთან (ნესიტებთან) და ხურიტებთან.

მეცნიერის თვალსაზრისით, გაუმართლებელია ქართველურ ენებში შენიშნული მთელი რიგი ინდოევროპული წარმომავლობის ლექსემების დაკავშირება ისტორიულ ხანაში ცნობილ, ინდოევროპული ენების მატარებელ ისეთ ხალხებთან, როგორებიც არიან: ბერძნები, სპარსელები, სომხები, ირანული წარმოშობის სკვითები, სარმატები, ალანები და მათი მემკვიდრე ოსები, თრაკიელები (კიმერიელთა სახით) ან ფრიგიელები და ხეთურ-ლუვიური ჯგუფის სხვა ხალხები. მცირე აზიაში ქართველური ფუძეენის დონეზე ინდოევროპული ლექსიკის არსებობას მკვლევარი ჯერჯერობით უცნობ, საქართველოს მიწა-წყალზე დამკვიდრებულ ინდოევროპული წარმომავლობის ტომებთან საერთო-ქართველური ეთნოსის მჭიდრო კონტაქტების კანონზომიერ შედეგად მიიჩნევდა. მისივე თვალსაზრისით, ადგილი უნდა ჰქონოდა ქართველურ მეტყველებაზე ამ ეთნიკური მასის გადასვლას, რამაც, თავის მხრივ, ქართველური ფუძეენის ლექსიკაზეც და სტრუქტურაზეც მოახდინა ზეგავლენა. ბატონი გიორგი არ გამორიცხავდა ვარაუდს, რომ სწორედ აღნიშნული ინდოევროპული წარმომავლობის ტომები ყოფილიყვნენ ძვ. წ. III ათასწლეულში ფართოდ გავრცელებული, ე.წ. მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებლები. ამასთანავე, გ. მაჭავარიანის კვალდაკვალ, იგი იმ შესაძლებლობასაც უშვებდა, რომ



აღნიშნული კულტურა ინდოევროპულ და ქართველურ ტომთა კავშირის საერთო შემოქმედების ნაყოფი ყოფილიყო.

ქართველი ხალხის ეთნოგენეზის პრობლემის კვლევასთან დაკავშირებით ბატონი გიორგი სპეციალურად შეეხო ე.წ. თრიალეთის კულტურის ეთნიკური ატრიბუციის საკითხსაც. მკვლევარმა ეს კულტურა კავკასიის ტერიტორიაზე ძვ. წ. III-II ათასწლეულების მიჯნაზე მომხდარ დემოგრაფიულ ძვრებს, კერძოდ კი, ამ რეგიონში წინააზიური ეთნიკური ნაკადის შეღწევას დაუკავშირა. არქეოლოგიურ ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისების გათვალისწინებითა და საკუთარ კვლევა-ძიებათა საფუძველზე მეცნიერი ძალზე საყურადღებო იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის განადგურება და ფართო ტერიტორიაზე თრიალეთის კულტურის გავრცელება ამ ახალი წინააზიური ეთნიკური ელემენტის მოსვლით უნდა იხსნებოდეს, ისევე როგორც იმ ეთნოკულტურული პროცესებით, რომლებიც ამ დროს ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, ჩრდილოეთ სირიაში, კილიკიაში, აღმოსავლეთ და დასავლეთ მცირე აზიაში არის დადასტურებული.

მეცნიერი შორს იყო იმ თვალსაზრისიდან, რომ კავკასიაში, თრიალეთის კულტურის არეალში შეღწეული ეს ახალი ეთნიკური ელემენტი მთლიანად ჩაენაცვლა ადგილობრივ ქართველურ ეთნოსს. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, "საქმე უმთავრესად ეხება პოლიტიკურ ჰეგემონობას, მატერიალური კულტურის თვალსაჩინო მონაპოვართა დანერგვას, ნაწილობრივ თვით საკულტო-რელიგიურ სფეროში ახალი წეს-ჩვეულებების გავ-

რცელებას და ა. შ. ეთნიკური განვითარების პროცესში წამყვან როლს ალბათ ახლაც, ისევე როგორც უფრო ადრე, ადგილობრივი კავკასიური მოსახლეობა, მათ შორის ქართველი ტომები ასრულებდნენ, რომელნიც საბოლოო ჯამში ჩამოსახლებული მოსახლეობის ასიმილაციას ახდენდნენ. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ძველ დროს აქ დამკვიდრებულ ინდოევროპული წარმომავლობის მოსახლეობასთან ერთად ქართველ ტომებს უნდა შერწყმოდა უფრო გვიან, ძვ.წ. III-II ათასწლეულებში გამოჩენილი ცალკეული წინააზიური (ხურიტული?) წარმომავლობის ტომებიც”.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, გიორგი მელიქიშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ანთროპოლოგიურ და არქეოლოგიურ რეალიებს. მისი აზრით, არსებული მონაცემები ერთმნიშვნელოვნად მიუთითებდნენ იმ არსებითი ხასიათის გარემოებაზე, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლეობის ერთიანად შეცვლის დამადასტურებელი მონაცემები ჯერჯერობით არ არსებობს. უფრო მეტიც, საქართველოს მოსახლეობა, ანთროპოლოგიური თვალსაზრისით, გენეტიკურ კავშირს ავლენს ამ რეგიონის ადრინდელი და გვიანდელი ხანის მოსახლეობასთან.

გვიანი ბრინჯაოს ხანის დასაწყისისათვის ბატონი გიორგი ამიერკავკასიის ტერიტორიაზე განსახლებული ქართველური ტომების კონსოლიდაციის პროცესის გაღრმავებასა და ერთგვაროვანი კულტურის შემცველი ვრცელი არეალების ჩამოყალიბების პროცესს ვარაუდობდა. სხვა მკვლევრებთან ერთად, ერთ-ერთ ამგვარ არეალად იგი ე.წ. “კოლხური კულტურის” არეალს მი-

იჩნევდა, რომელიც დღევანდელ დასავლეთ საქართველო-სთან ერთად აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ მხარეებს, ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (დღევანდელი თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი რეგიონი) და ჩრდილოეთ კავკასიას მოიცავდა.

ქართველი ხალხის ეთნოგენეზის პრობლემის შესწავლისას გიორგი მელიქიშვილი, რასაკვირველია, გვერდს ვერც ქართველთა პირველსაცხოვრისის საკითხთან ორგანულად დაკავშირებულ “არიან-ქართლის”, მუშქების-მოსხების-მესხების, თუბალი-თაბალისა და ტიბარენ-იბერია-იბერების იდენტიფიკაციის ურთულესი საკითხების კვლევას აუვლიდა. აქაც მეცნიერის ღვანლი მნიშვნე-ლოვანი და ფასდაუდებელია.

გიორგი მელიქიშვილი ზემოდასახელებული მონოგრაფიის: “საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის” შესავალში მისთვის დამახასიათებელი თავმდაბლობით წერდა: “ამ ნაშრომით ავტორს სურდა ეს ურთულესი საკითხი მასალის მთელი კომპლექსის გათვალისწინებით გაეაზრებინა და მისი კვლევა-ძიებისათვის შედარებით კონკრეტული სახე მიეცა. თუ აქ აღძრულ ყველა საკითხზე მკითხველი ვერ იპოვის სავსებით დამარწმუნებელ პასუხს, თუ იგი ჩვენი ამა თუ იმ მოსაზრების ავკარგიანობის შესამოწმებელ აუცილებლობად მიიჩნევს შემდგომ კვლევა-ძიებას — ეს სავსებით ბუნებრივი იქნება, რადგანაც თვით ავტორის დამოკიდებულებაც ნაშრომისადმი ასეთივეა, იგი მას უყურებს მხოლოდ როგორც აღნიშნული პრობლემის სხვადასხვა სახის მასალის (უძველესი წერილობითი წყაროები, ენა

და მატერიალური კულტურა) საფუძველზე დამუშავების გარკვეულ ცდას”.

ქართველი ხალხის ეთნოგენეზის კვლევასთან დაკავშირებული საკუთარი ნაღვანის ესოდენ მოკრძალებულ შეფასებას, რასაკვირველია, ვერ დავეთანხმები. უდავოა, რომ სწორედ გიორგი მელიქიშვილის ამ მონოგრაფიამ და ქართველი ხალხის ეთნიკური ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილმა ათეულობით მისმა ნაშრომმა განაპირობა XX ს-ის საქართველოში ქართველი ხალხის ეთნოგენეზის პრობლემის შესწავლის მაღალი დონე, განსაზღვრა კვლევის ძირითადი მიმართულებები და ამით ფართო პერსპექტივები გადაგვიშალა მომავალი ძიებებისათვის.

ჯერ კიდევ XX საუკუნის 50-იან წლებში ბატონმა გიორგიმ დიდი ინტერესი გამოიჩინა საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის პრობლემის მიმართ. ამიტომ სავსებით ბუნებრივი იყო, რომ იგი აქტიურად ჩაერთო 1954 წელს საქართველოში ამ პრობლემისადმი მიძღვნილ საკმაოდ ცხარე დისკუსიაში. დისკუსიის მსვლელობისას წარმოთქმული მისი მოხსენების თეზისები 1954 წელსვე გამოქვეყნდა, ხოლო 1955 წელს იმავე პრობლემასთან დაკავშირებული მელიქიშვილისეული ნააზრევი სრულყოფილად აისახა მონოგრაფიაში: “საქართველოს კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის”.

ბატონმა გიორგიმ აღნიშნული პრობლემის სიღრმისეულ ანალიზს შემდგომშიც არაერთი საყურადღებო ნაშრომი მიუძღვნა. უკვე 1958 წელს მან დიდი შრომა



გასწია ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის დასადგენად. "მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს, "ქართლის ცხოვრების", ბერძნულ-რომაული და ძველი სომხური წერილობითი წყაროების მონაცემთა ურთიერთშეჯერების გზით და, ამასთანავე, ქართლის (იბერიის) სამეფოში და ახლო აღმოსავლეთში ძვ. წ. IV-III სს-ის მიჯნაზე მიმდინარე რთული პროცესების გათვალისწინებით, მეცნიერმა მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა ძველი ქართლის (იბერიის) ისტორიის ქრონოლოგიაში. ასეთივე სკრუპულოზური კვლევა ჩაატარა მეცნიერმა ძველი ქართლის (იბერიის) მეფეთა სიის ქრონოლოგიის შესწავლის მიმართულებითაც და იმ ახალ დასკვნამდე მივიდა, რომ ამ სიებში არსებითი ხასიათის ხარვეზები არსებობს, კერძოდ, გამორჩენილია იმ ქართველ მეფეთა სახელები, რომლებიც ძვ. წ. I საუკუნის შუა ხანებიდან ვიდრე ახ. წ. III საუკუნემდე ქართლში (იბერიაში) რეალურად მოღვაწეობდნენ. ამ საკითხს მეცნიერი 1978 წელს კვლავ მიუბრუნდა სამეცნიერო წერილში: "ქართლის (იბერიის) მეფეთა სიებში არსებული ხარვეზის შესახებ" (მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1978, 3, გვ. 54-63). იმავე თემას ეხება აკად. ბ. პიოტროვსკის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში 1985 წელს გამოქვეყნებული მისი სტატიაც: "Список царей древней Картли (Иберии)".

1962-1967 წლებში გიორგი მელიქიშვილმა ქართლის (იბერიის) სამეფოს ძველ ისტორიასთან დაკავშირებით ახალი თვალსაზრისის შემცველი კიდევ ორი ნაშრომი გამოაქვეყნა: "ძველი ქართული, სომხური და ბერძნუ-



ლი საისტორიო ტრადიცია და ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნის საკითხი" (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა "მომბე", 1962, გვ. 221-237) და "ფარნავაზი და ფარნავაზიანები ძველ სომხურ საისტორიო წყაროებში" (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა "მაცნე", 1967, გვ. 48-60). პირველი სამეცნიერო სტატია პოლემიკური ხასიათისაა და ახალი არგუმენტების მოხმობით კიდევ ერთხელ წარმოაჩინს მისი ავტორის კონცეფციას ქართლის (იბერიის) სამეფოს გენეზისის შესახებ, მეორეში კრიტიკულადაა განხილული და შეფასებული სომხური წერილობითი წყაროების ცნობები ფარნავაზისა და ფარნავაზიანების შესახებ. მდიდარი ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე, სხვა საკითხების ახლებურ ინტერპრეტაციასთან ერთად, ბატონმა გიორგიმ ერთმნიშვნელოვნად აჩვენა, რომ ქართული ტრადიციის ფარნავაზთან, ქართლის (იბერიის) სამეფოს ფუძემდებელთან, სომეხი მეფეების ხორენაცისეულ და სებეოსისეულ სიებში მოხსენიებულ ფარნავაზს (ფარნუასს) არაფერი საერთო არა აქვს, ისევე როგორც იმავე სიების "არმოგს" - ქართველთა "არტაგთან".

ბატონი გიორგის სამეცნიერო ინტერესების გათვალისწინებით, სავსებით კანონზომიერი იყო, რომ იგი ვერც იმ საერთაშორისო და იმდროინდელ საკავშირო დისკუსიების მიმართ იქნებოდა გულგრილი, რომლებიც გასული საუკუნის 60-70-იან წლებში, ე. წ. "აზიური წესის" რაობის პრობლემასთან დაკავშირებით, მიმდინარეობდა. რაკი ეს დისკუსიები ძველადმოსავლურ და



ანტიკურ საზოგადოებებში სოციალური წყობის რეალ-  
 ბის ახლებურ იდენტიფიკაციას ისახავდა მიზნად, უკეთ  
 კი, ამ საზოგადოებაში მონათმფლობელური წყობის არ-  
 სებობას დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა, ამგვარ  
 დისკუსიებში მონაწილეობა საბჭოთა ისტორიკოსები-  
 სათვის არც თუ ისე უსაფრთხო უნდა ყოფილიყო. ეს ვი-  
 თარება საკმაოდ თვალნათლივ გამოჩნდა მოსკოვში,  
 1966 წლის 3-8 თებერვალს გამართულ ძველი აღმოსავ-  
 ლეთის ისტორიის, კულტურისა და ფილოლოგიისადმი  
 მიძღვნილ საკავშირო კონფერენციის მუშაობის დღეებ-  
 ში, როდესაც მისი მონაწილეების ერთი ჯგუფი (მათ შო-  
 რის, ცნობილი აღმოსავლეთმცოდნენი: ი. დიაკონოვი,  
 მ. გელცერი, ნ. პასტოვსკაია...), დისკუსიის თავიდან  
 აცილების მიზნით, “თეორიულ არდადეგებს” ითხოვდა,  
 ხოლო მეორე – გააფთრებით იცავდა საბჭოთა მეცნიე-  
 რებაში გაბატონებულ თვალსაზრისს ძველ აღმოსავ-  
 ლეთში მონათმფლობელური ფორმაციის არსებობის  
 შესახებ. პარადოქსია, მაგრამ ფაქტი, რომ აღნიშნულ  
 კონფერენციაზე შემდგარ დისკუსიაზე ბატონი გიორ-  
 გის მოხსენებამ, საკმაოდ დაძაბული სიტუაციის მიუხე-  
 დავად, დიდი მოწონება დაიმსახურა (რის მოწმეც ამ  
 ნარკვევის ავტორიც იყო). რაკი გიორგი მელიქიშვილი  
 კონფერენციას არ ესწრებოდა, მოხსენება საზოგადოე-  
 ბას მისმა მოწაფემ, შემდგომში ცნობილმა ხეთოლოგმა,  
 ედუარდ მენაბდემ გააცნო. ამ დისკუსიასთან დაკავში-  
 რებით გიორგი მელიქიშვილის პირადმა არქივმა მოს-  
 კოვიდან თბილისში გამოგზავნილი, 1966 წლის 9 თე-  
 ბერვლით დათარიღებული, ე. მენაბდის წერილის დედა-  
 ნი შემოგვინახა, სადაც ვკითხულობთ: “პატივცემულო





ბატონო გიორგი!... დისკუსიის დღეს დავუკავშირდი კონფერენციის თავმჯდომარეს, კოროსტოვცევს და ვთხოვე თქვენი მოხსენების შეტანა დღის წესრიგში. ის იქვე დამეთანხმა, მხოლოდ გამაფრთხილა, რომ რეგლამენტი მკაცრია და ოც წუთზე მეტს ვერ მოგცემო. რა უნდა მექნა? არ ვიცი, რამდენად სწორად მოვიქეცი, მაგრამ იძულებული ვიყავი თქვენი მოხსენება 13 გვერდამდე დამეყვანა. წაკითხვის წინ ისიც განვაცხადე, რომ ეს მე გავაკეთე და თუ მოხსენება არ დატოვებს კარგ შთაბეჭდილებას – ეს ჩემი ბრალი იქნება. ამის შემდეგ ტექსტი სეტყვასავით მივაყარე და მხოლოდ მაშინ გამოვფხიზლდი, როდესაც უკანასკნელი სიტყვა წაკითხე. **დარბაზმა საკმაოდ მქუხარე ტაშით მიპასუხა. ჩემთან მოდიოდა უცნობი და ნაცნობი (მათ შორის: ბოკშჩანინი, გელცერი, სტურჩევსკი, ვასილიევი, ამუსინი, სტრატანოვიჩი და სხვები). მთხოვდნენ, თქვენთვის გადმომეცა, რომ მოხსენება შესანიშნავია და სხვა ამგვარი. კონფერენციის მდივანმა, ბაუერმა მთხოვა მოხსენება გადამეცა კრებულისათვის, რომელიც უახლოეს ხანში გამოვა და შეივსება კონფერენციის მასალებით. შემდეგ ჩემთან მოვიდა ი. მარუშიანცი ჟურნალიდან "Народы Азии и Африки" და იგივე შემომთავაზა..."**

ზემოხსენებულ დისკუსიაზე, მეცნიერთა საკავშირო და საერთაშორისო ფორუმებზე წაკითხულ მოხსენებებში, ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ ენებზე შესრულებულ მრავალრიცხოვან სამეცნიერო პუბლიკაციებშიც, იმ დროისათვის არსებული პირველწყაროების მთლიანობაში გააზრების საფუძველზე, ბატონმა

გიორგიმ საკუთარი, სრულიად ახალი კონცეფცია წარმოადგინა როგორც კლასობრივ საზოგადოებათა ტიპოლოგიური და სტადიალური კლასიფიკაციის, ასევე ძველდამოსავლურ და ანტიკურ საზოგადოებაში საკუთრების ფორმებისა და კლასობრივი სტრუქტურის ურთულესი პრობლემის შესახებ\*

\* ამ პრობლემასთან დაკავშირებით იხ. გ. მელიქიშვილის შემდეგი ნაშრომები: კლასობრივ საზოგადოებათა ტიპოლოგიური და სტადიალური კლასიფიკაცია და უძველესი კლასობრივი საზოგადოებების ხასიათის საკითხი, "მაცნე", ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 3, 1971, 104-127; К типологической и стадияльной характеристике древневосточных обществ, Всесоюзная сессия по древнему Востоку, 6-9 апреля, Тбилиси, 1971, с. 2-5; Характер социально-экономического строя на Древнем Востоке (Опыт стадияльно-типологической классификации классовых обществ), Народы Азии и Африки. Москва, 4, 1972, с. 53-64; Some Aspects of the Question of the Socio-Economic Structure of Ancient Near-Eastern Societies, Internationale Tagung der Keilschriftforscher der Sozialistischen Länder, Budapest, 23-25 April 1974; Quelques aspects du régime Socio-économique des sociétés anciennes du Proto-Orient, Acta Antiqua Academiae Scientiarum Hungaricae, t. XXII, fase 1-4, Budapest, 1974, p. 79-90; Некоторые аспекты вопроса о социально-экономическом строе древних ближне-восточных обществ, ВДИ, 2, 1975, с. 18-45; Some Aspects of the Question of the Socioeconomic Structure of Ancient Near Eastern Societies, Soviet Anthropology and Archaeology, vol. XVII, part. 1, p. 25-27, New York, 1978; ი. გელბი სამხრეთ შუამდინარეთის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურის შესახებ ძვ. წ. III ათასწლეულში, "მაცნე", ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 4, 1984, გვ. 179-186; Об основных этапах развития древнего южневосточного общества, ВДИ, 4, 1985, с. 3-34; Некоторые черты развития Ближневосточного общества в первой половине I Тыс. до н. э., "мაცნე", ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 3, 1986, გვ. 39-56; Об основных типах классовых обществ, "Кавказско-Ближневосточный сборник", VIII, Тбилиси, 1988, с. 5-18; სოციალურ ურთიერთობათა

მეცნიერმა ყურადღება, უპირველეს ყოვლისა, მკვეთრ საზოგადოებებში ექსპლუატაციის ფორმების მრავალფეროვნებაზე, "აზიურ", ფეოდალურ, მონათმფლობელურ, ეკონომიკურ იძულებაზე დამყარებული ექსპლუატაციის ფორმების თანაარსებობაზე გაამახვილა. კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა მიანიჭა მან იმ ნიშანდობლივ ვითარებას, რომ ძველ საზოგადოებებში, მონათმფლობელურთან შედარებით, "აზიური" და "პროტოფეოდალური" (წინაფეოდალური) ექსპლუატაციის ფორმებს უდავოდ უპირატესი პოზიციები ეკავა. მონათმფლობელობა წამყვან სოციალ-ეკონომიკურ წყობად ვერ ჩამოყალიბდა. ბატონი გიორგის საბოლოო დასკვნა ასეთი იყო: "მაშასადამე, როგორც წესი, ძველ აღმოსავლურ საზოგადოებებში უნდა განხილულ იქნან ტიპოლოგიურად როგორც "წინაფეოდალური", ხოლო სტადიალურად - როგორც ადრეკლასობრივი საზოგადოებები".

სამეცნიერო წრეები საბჭოთა კავშირშიც და მის ფარგლებს გარეთაც გიორგი მელიქიშვილის ორიგინალურ კონცეფციას დიდი ინტერესით შეხვდნენ. მან არაერთი თანამგრძნობი და მომხრე შეიძინა. მრავალი წლის შემდეგ ბატონი გიორგის კიდევ ერთი მოწაფე, აკად. გრიგოლ გიორგაძე, თავის დიდ მასწავლებელთან გამოთხოვებისას, იტყვის: "თქვენ, ბატონო გიორგი, ერთ-ერთი პირველი იყავით, ვინც უარყო ძველ აღმო-

---

ისტორიიდან ურარტუში, კრებულში: "ახლო აღმოსავლეთი და საქართველო (ვ. გაბაშვილი — 80)", თბილისი, 1991, გვ. 78-89 და ა.შ.



სავლურ საზოგადოებაში მონათმფლობელური წყობილების არსებობა, წინ წამოსწია ამ საზოგადოებაში ე. წ. "პროტოფეოდალური" წყობილების ბატონობა. ეს იყო საბჭოეთში გაბატონებული მოსაზრების წინააღმდეგ გალაშქრება. თქვენმა და არაერთი საბჭოთა მეცნიერის გაბედულმა ახალმა ნაბიჯმა ბევრ მეცნიერს – მათ შორის ზოგიერთ თქვენს მოწაფეს – კვლევის ახალი პერსპექტივები გადაუშალა".

XX საუკუნის 50-90-იან წლებში ბატონმა გიორგიმ საზოგადოებას საქართველოს სოციალ-ეკონომიკური წყობილების რაობის შესახებ საკუთარი ხედვაც არაერთგზის გააცნო. მელიქიშვილისეული ახალი თვალსაზრისი თავდაპირველად მის კაპიტალურ მონოგრაფიაში "К истории древней Грузии" აისახა (1954). შემდეგ წლებში იმავე პრობლემასთან დაკავშირებული კვლევა-ძიების შედეგებმა ასახვა ჰპოვა კონცეპტუალური ხასიათის ისეთ ნაშრომებში, როგორებიცაა: „ძველი საქართველოს სოციალ-ეკონომიკური წყობილების საკითხი“ („მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ხელოვნების ისტორიის სერია, 1, 1966); „საქართველოს ისტორიის ნარკვევები I“ (თბილისი, 1970); „К вопросу о социально-экономическом строе древней Иберии (Картли)“ (ВДИ, 4, 1977, с. 188-195); „ძველი ქართული სახელმწიფოები და მათი სოციალ-ეკონომიკური წყობილება“ (საერთაშორისო ქართველოლოგიური მეორე სიმპოზიუმის მასალები, თბილისი, 1993, გვ. 5-16) და სხვ. გიორგი მელიქიშვილის თვალსაზრისით, ძველი ქართული საზოგადოებები (განსაკუთრებით კი ქართლის (იბერიის) სამეფო), ძველ-აღმოსავლური საზოგადოებების მსგავ-



სად, სტადიალურად – ადრეკლასობრივ, ხოლო ტიპოლოგიურად წინაფეოდალურ სახელმწიფოებად შეიძლება იქნას განხილული. ბატონი გიორგის თანახმად, ამ საზოგადოებებისათვის, უპირველეს ყოვლისა, მრავალწყობიანობაა დამახასიათებელი: აქ პირველყოფილ-თემური წყობილების გადმონაშთებიც დასტურდება და მონის შრომის ექსპლუატაციაც. მაგრამ ეს უკანასკნელი საზოგადოებაში საგრძნობ ხვედრით წონას ვერ იძენს, ვერ ქმნის განვითარებულ მონათმფლობელურ საზოგადოებაში გადაზრდის აუცილებელ წინაპირობებს. მეცნიერის აზრით, ქართლის (იბერიის) სამეფოში წამყვან ძალას დამორჩილებული თემების, დამოკიდებული მიწათმოქმედი მოსახლეობის ბატონყმური ტიპის ექსპლუატაცია (იბერიის „ლაოი“ - „სამეფო მონები“) წარმოადგენდა, ხოლო გაბატონებული – სამეფო სახლი და სამხედრო-სამოხელეო არისტოკრატია იყო. ბატონი გიორგი ხაზს იმ მნიშვნელოვან გარემოებასაც უსვამდა, რომ „ექსპლოატაციის ობიექტს რიგით თავისუფალი – ფართო ფენებიც განიცდიდნენ და საზოგადოებრივი განვითარების უმთავრეს წამყვან ტენდენციას სწორედ ეს დიფერენცია წარმოადგენს, რომლის პროცესში ადგილი აქვს წინანდელი დამოკიდებული, სამეფო მიწებზე მჯდომი მოსახლეობის („ლაოი“, ქართ. „გლეხი“) და თავისუფალ მეთემეთა („ერის“) დამცრობილი ნაწილის („წვრილი ერი“) უფლებრივი და სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გარკვეულ ნიველირებას და ერთიანი ექსპლუატირებული მწარმოებელი მოსახლეობის ფენის ჩამოყალიბებას“. ჩვენთვის, ამჯერად საინტერესო პრობლემასთან დაკავშირებით მელიქიშვილისეული

დასკვნა ასეთია: „ამრიგად, აქაც (საქართველოში **ხ.**) განვითარებას ისეთივე ხასიათი აქვს, ისეთივე ტენდენცია ახასიათებს, როგორც ძველალმოსავლურ საზოგადოებათა მიმართ იყო დაფიქსირებული. ყველაფერი ეს ჩვენ საშუალებას გვაძლევს ძველალმოსავლურთან ერთად უძველესი ქართული კლასობრივი საზოგადოებებიც წინაფეოდალურ (resp., პროტოფეოდალურ) საზოგადოებებად მივიჩნიოთ”.

1979 წელს წერილობითი წყაროებისა და XIX-XX საუკუნეებში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის ერთობლიობაში გააზრების გზით, გიორგი მელიქიშვილმა ნაშრომში: “ქართველ მთიელთა სოციალ-ეკონომიკური დახასიათებისათვის” (“მაცნე”, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1, 1979, გვ. 19-41) ქართველ მთიელთა (ხევსურეთი, ფშავი, თუშეთი, მთიულეთი, სვანეთი) სოციალ-ეკონომიკური წყობის განვითარების საკუთარი ხედვა წარმოადგინა. ავტორმა მისთვის ჩვეული სიღრმით გამოიკვლია მთიელთა ყოფაში ინდივიდუალური და კოლექტიური საკუთრების, აგრეთვე, სათემო ინსტიტუტების როლი და ფუნქციები. ყურადღება გაამახვილა ქართველ მთიელთა ყოფაში მიმდინარე სოციალური დიფერენციაციისა და პრივილეგირებული ფენის წარმოქმნის მექანიზმებზე, მთიელთა სოციალ-ეკონომიკური წყობის განვითარებაზე, ქართული მსხვილი წარმონაქმნების გავლენის ხარისხზე, ქართველ მთიელებში არსებულ ექსპლუატაციის ფორმებზე და ა. შ. ბატონი გიორგი სამეცნიერო ლიტერატურაში იმ დროის გავრცელებულ თვალსაზრისს გვიანი შუა საუკუნეების მთის

საზოგადოებების "ადრეფეოდალურობის" შესახებ, სადავოდ მიიჩნევდა. მეცნიერის აზრით, არსებული მასალის ობიექტური გააზრების შედეგად სავსებით ნათელია, რომ საქართველოს მთა არა ადრეფეოდალურ, არამედ წინაფეოდალურ (პროტოფეოდალურ), ანუ ადრეკლასობრივი საზოგადოების საფეხურზე იდგა. ამ პრობლემასთან დაკავშირებით ბატონი გიორგი ბრძანებდა: "საზოგადოების განვითარების ადრეფეოდალური საფეხური განვითარების უფრო მაღალ საფეხურს განასახიერებს და უფრო დინამიურ სიტუაციას გამოხატავს - განვითარებულ ფეოდალიზმში გადაზრდის ძლიერ ტენდენციას იმჩნევს. ასეთი რამ კი მთის ადრეკლასობრივი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი არ ჩანს. ამ გარემოებას, რა თქმა უნდა, უმთავრესად განსაზღვრავს აქაურ საზოგადოებათა ბაზისის თავისებურება - ამ საზოგადოებების ეკონომიკური ბაზის შეზღუდულობა, რაც ზედმეტი პროდუქტის წარმოებისა და ექსპლუატაციის გაღრმავების შესაძლებლობას არ იძლევა". ქართველ მთიელთა სოციალ-ეკონომიკური წყობის შესახებ გიორგი მელიქიშვილის კონცეპტუალურად სრულიად ახალი ზემომოყვანილი თვალსაზრისი 1984 წელს რუსულენოვანი მკითხველისთვისაც გახდა ხელმისაწვდომი, როდესაც "Вестник древней истории"-ს 1-ში გიორგი მელიქიშვილის ნაშრომი, სათაურით: "К характеристике социально-экономического строя раннеклассового общества грузинских горцев" გამოქვეყნდა.

ბატონი გიორგის სოციალ-ეკონომიკური ხასიათის ძიებანი ზემოაღნიშნულით არ შემოფარგლულა. მონოგრაფიაში: "ფეოდალური საქართველოს პოლიტიკუ-



რი გაერთიანებები და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი” (თბილისი, 1973, 167 გვ.) და სტატიაში “ისევ ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ” (გაზეთი “ლიტერატურული საქართველო”, (6965), 1994, 1 აპრილი) ავტორმა სრულყოფილად წარმოაჩინა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების რთულ პროცესში ცალკეული ქართული პოლიტიკური გაერთიანებების როლი და ადგილი. ამასთანავე, ჩამოაყალიბა საკუთარი კონცეფცია ადრეული შუა საუკუნეების საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარებისა და ერთიანი ქართველი “ფეოდალური ხალხის” გენეზისის პრობლემების შესახებ. ამ მიმართულებით გიორგი მელიქიშვილის მიერ განხორციელებული შრომატევადი ძიებები წარმატებული აღმოჩნდა. მისმა ზემომოხსენიებულმა მონოგრაფიამ 1976 წელს ყოველი ქართველი ისტორიკოსისათვის სანუკვარი ჯილდო – აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია დაიმსახურა.

ბატონ გიორგის ძველი აღმოსავლეთის, საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიისა და კულტურის მანამდე ნაკლებად შესწავლილი სხვა ასპექტებიც აინტერესებდა. საყურადღებო შედეგებით დაგვირგვინდა მეცნიერის ძიებანი მეტალების – “რკინის”, “ვერცხლის” და “ფოლადის” აღმნიშვნელი ტერმინების ქართულ ენაში შეღწევის გზების შესახებ. ეს საკითხები მის ორ ნაშრომშია განხილული: “საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის” (თბილისი, 1965, გვ. 93-100)





და "ფოლად"-სიტყვის წარმომავლობისათვის" (სტატიის  
 "შრომები", 1972 (142), გვ. 149-153). მეცნიერის ვარაუ-  
 დით, ქართული "რკინა" ძველბერძნულ  $\kappa\alpha\iota\sigma\iota\varsigma$ -სთან და  
 ხეთურ  $kunna$ -სთანაა დასაკავშირებელი (პირველი - მო-  
 სავადებულ ფოლადს, ლურჯ ჭიქურს, ლაჟვარდოვან  
 ქვას, სპილენძის კარბონატს აღნიშნავს, მეორე - სპი-  
 ლენძს). ეს ტერმინი, მეცნიერის აზრით, ქართულში  
 მცირე აზიიდან, ქართულ-ზანური ერთობის არსებობის  
 ხანაში, უნდა იყოს შეთვისებული. ქართული "ვერცხლი-  
 სათვის" ამოსავალს გიორგი მელიქიშვილი ხურიტულში  
 ვერცხლის აღმნიშვნელ  $u\check{s}hu$ -ში ეძებს. რაც შეეხება  
 ქართულ "ფოლადს", მეცნიერის ძალზე საინტერესო  
 თვალსაზრისით, იგი, ისევე როგორც სხვა მრავალ ენა-  
 ში (სპარსულში, არაბულში, არამეულში, ავღანურში,  
 ოსურში, სომხურში და ა. შ.), ქართულშიც მეტალებით  
 მდიდარი ირანის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, ურარ-  
 ტული წყაროების მონაცემთა შუქზე\* ლოკალიზებულ,  
 ფულუადის-ფოლოადის (Puluadi-Poloadi) ქვეყნის სახე-  
 ლიდან უნდა მომდინარეობდეს.

ტერმინოლოგიური ძიებების თვალსაზრისით, არა-  
 ნაკლებ ინტერესს იმსახურებს 1966 წელს გიორგი მე-  
 ლიქიშვილის მიერ გამოქვეყნებული სტატია: "შავი  
 ზღვა ძვ. წ. XIII-XII სს-ის ასურულ ლურსმულ წარწერებ-  
 ში" ("კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები", 1966,

\* იხ. მელიქიშვილი გ., ირანის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ახლად  
 აღმოჩენილი ურარტული წარწერა, "აღმოსავლური კრებული", I,  
 თბილისი, 1960, გვ. 59-74; მისივე, Новая урартская надпись из  
 Иранского Азербайджана, ВДИ, 1960, с. 3-11.



გვ. 26-33), სადაც იგი თუქულთინურთა I-ისა (ძვ. წ. 1245-1209 წწ.) და თიგლათფილესერ I-ის (ძვ. წ. 1115-1077 წწ.) ასურულ ლურსმულ ტექსტებში მოხსენიებული "ზემო ზღვის" იდენტიფიკაციის საკითხს ეხება. ავტორი, სხვა მკვლევართაგან განსხვავებით, იმ მნიშვნელოვან დასკვნამდე მიდის, რომ ძვ. წ. XIII-XI საუკუნეების ასურულ ლურსმულ წარწერებში "ზემო ზღვა" და "დიდი ზღვა" "შავ ზღვას" უნდა აღნიშნავდეს და არა ვანის ტბას ან ხმელთაშუა ზღვას. მაგრამ, რაკი მეცნიერი ვერ გამოორიცხავს ასურელების მიერ ამ ტერმინების ("ზემო ზღვა", "დიდი ზღვა") სხვა მნიშვნელობით ხმარების შესაძლებლობასაც, იქვე დასძენს: "...ყოველ ცალკეულ შემთხვევაში კონკრეტული მასალით საჭიროა ვუჩვენოთ, თუ რა იგულისხმება "ზემო ზღვაში", რომელი მონაკვეთი წყლის იმ დიდი სივრცისა, რომელიც "ზემო ზღვის" სახელით აერთიანებდა ასურელთა წარმოდგენაში ჩვენს დღევანდელ ხმელთაშუა, ეგეოსისა და შავ ზღვებს".

ბატონი გიორგი არაერთი კოლექტიური ნაშრომის გამოცემის ინიციატორი, ავტორი და რედაქტორი გახლდათ. ამ თვალსაზრისით, რასაკვირველია, პირველობა "საქართველოს ისტორიის ნარკვევების" რვატომეულს ეკუთვნის, რომლის გამოცემა გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო და საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან XX საუკუნის 80-იან წლებამდე სრულად ასახავს. ქართულ ისტორიოგრაფიაში "ნარკვევებს" ანალოგი ჯერჯერობით არ მოეპოვება. პროფესორი ოთარ ყორღანიძე სავსებით მართებულად აღნიშნავდა: "თამამად შეიძლება ითქვას, რომ "ნარკვევების"



ავტორთა კოლექტივმა აკადემიკოს გიორგი მელნიქიშვილის ხელმძღვანელობით ძველი აუგო ქართველ ისტორიკოსთა ყველა თაობის წარმომადგენელთა საქმიანობას”.

ბატონი გიორგი “საქართველოს ისტორიის ნარკვევების” რვატომეულის მთავარი რედაქტორი, I ტომის რედაქტორი და ამავე ტომის ერთ-ერთი ავტორია. ამ ტომში შესული მისი ნარკვევები (ტ. I, გვ. 5-24; 38-76; 312-619; 644-660) პირველწყაროთა მაქსიმალური მრავალფეროვნებით, მათი ანალიზის მაღალი დონითა და ახალი თვალსაზრისების სიმრავლით გამოირჩევა.

1982 წელს ამ შესანიშნავი გამოცემისათვის გიორგი მელნიქიშვილს, ქართველ ისტორიკოსთა ჯგუფთან ერთად, საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ბატონი გიორგი სხვა არაერთი კოლექტიური ნაშრომის გამოცემის მოთავეც იყო. 1971 წელს მისი თაოსნობით, რედაქტორობითა და ავტორობით არა მხოლოდ სტუდენტმა-ახალგაზრდობამ, არამედ ძველი აღმოსავლეთის ისტორიით დაინტერესებულმა სპეციალისტებმაც ძველ აღმოსავლეთმცოდნეობის ყველა იმდროინდელ მიღწევაზე დაფუძნებული “ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია” მიიღო, სადაც ცნობილმა ქართველმა მკვლევრებმა, ბატონი გიორგის ხელმძღვანელობით, სრულად წარმოადგინეს ძველი აღმოსავლეთის ყველა ძირითადი ქვეყნის (შუმერის, ეგვიპტის, ხური-მითანის, ხეთების, ურარტუს, ფინიკიის, პალესტინის, ასურეთის, ბაბილონის, ირანის, ფრიგიის, ლიდიის, ინდოეთის, ჩინეთის) ისტორია. დასახელებული ნაშრომის მეორე,

გადამუშავებული ვარიანტი 1988 წელს გამოიცა. ამ  
ლექტიური სახელმძღვანელოს როგორც პირველ, ისევე  
მეორე გამოცემას ურარტუსადმი მიძღვნილი ბატონი  
გიორგის შესანიშნავი ნარკვევები ამშვენებს. დიდი  
წვლილი შეიტანა გიორგი მელიქიშვილმა “ძველი აღმო-  
სავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომატიის” შექმნა-  
შიც, რომელიც მკითხველს ძველადმოსავლურ ენებზე  
შესრულებული, სხვადასხვა ხასიათის (ისტორიული და  
რელიგიური ტექსტები, სამართლის ძეგლები, ძველი  
აღმოსავლეთის ეკონომიკურ ურთიერთობათა ამსახვე-  
ლი დოკუმენტები და ა. შ.) წერილობით წყაროებთან ერ-  
თად ურარტული ლურსმული წარწერების მელიქიშვილი-  
სეულ ქართულ თარგმანებსაც აცნობს (გვ. 264-295).

გიორგი მელიქიშვილს სხვებზე უკეთ ჰქონდა გაც-  
ნობიერებული, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საქარ-  
თველოს პირუთვნელი ისტორიის ცოდნას მოზარდი  
ახალგაზრდობის პატრიოტული და მოქალაქეობრივი  
სულისკვეთებით აღზრდისათვის. სწორედ ამ მიზეზით  
იყო, რომ იგი არც საქართველოს ისტორიაში სასკოლო  
სახელმძღვანელოებისათვის ცალკეული ნარკვევების  
დანერაზე ამბობდა უარს. პირველი ასეთი ნარკვევი:  
“საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან ახ. წ. V  
საუკუნემდე” — მან საშუალო სკოლის VIII-X კლასები-  
სათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოსათვის მოამ-  
ზადა, რომელიც 1958 წელს გამოქვეყნდა. შემდეგ  
წლებშიც აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნისათვის  
ესოდენ მნიშვნელოვან სფეროში. მისი მონაწილეობით  
საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის ისეთი ქართულ-  
რუსულენოვანი სახელმძღვანელოები შეიქმნა, როგო-

რებიცაა: "История Грузии", I, Учебное пособие (Тбилиси, 1960, с. 3-63); "საქართველოს ისტორია", სახელმძღვანელო VIII-X კლასებისათვის, (მეორე გამოცემა, თბილისი, 1960, გვ. 3-69); "საქართველოს ისტორია", სახელმძღვანელო VIII-X კლასებისათვის, (მესამე გამოცემა, თბილისი, 1961, გვ. 3-63); "История Грузии", Учебник для IX-XI классов, (Тбилиси, 1963, с.3-57); "საქართველოს ისტორია (საკითხავი წიგნი)", შემდგენელ-რედაქტორი გ. მელიქიშვილი და ავტორი შემდეგი პარაგრაფებისა: §§3, 4, 9-11, 16-20 (თბილისი, 1980, გვ.11-17; 27-31; 39-57); იგივე წიგნი ბატონი გიორგის ავტორობითა და რედაქტორობით 1990 წელსაც გამოიცა და ა. შ.

ბატონი გიორგი არაერთი ისტორიოგრაფიული ნარკვევის ავტორია. ერთ-ერთი ამგვარი ნაშრომი მან 1971 წელს ქართული ეროვნული ისტორიოგრაფიის მიერ განვლილი ნახევარსაუკუნოვანი გზის შეფასებას მიუძღვნა: "საქართველოს ისტორიოგრაფიის მიღწევები 50 წლის მანძილზე" ("მაცნე", ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1, 1971, გვ. 35-55). 1988 წელს ბატონი გიორგი სპეციალური სტატიით გამოეხმაურა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის 70 წლისთავს ("მაცნე", ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 3, 1988, გვ. 5-26). წინასიტყვაობა წაუძღვარა წიგნს: "ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი" (თბილისი, 1988, გვ. 3-6).

თავისი დიდი მასწავლებლების, აკადემიკოსების ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, ნიკოლოზ ბერძენიშვილისა და გიორგი წერეთლისადმი უღრმესი პატივისცემა ბატონმა გიორგიმ სხვადასხვა დროს დაწერილ ისტორიულ ნარკვევებში მრავალგზის დაადასტურა: "Симон Джанашия (1900-1947)", თანაავტორი გ. ლომთათიძე ("Краткие сообщения о докладах и полевых исследованиях Института истории и материальной культуры" М-Л, XXIV, 1949. გადაბეჭდილია წიგნში: "აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია - 1900-1947" (თბილისი, 1949); "აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი" (ჟურნალში: "ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში", 1, 1966, გვ. 25-29); "აკადემიკოსი ს. ჯანაშია და ძველი საქართველოს სოციალ-ეკონომიკური წყობილების საკითხი" ("მაცნე", ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1, 1966, გვ. 52-90); "აკადემიკოს გიორგი წერეთლის ხსოვნას" ("მაცნე", ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია 3, 1973, გვ. 249-251); "აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი (1876-1940)" (ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, 1976, გვ. 5-12); "დიდი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე" ("მაცნე", ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია 2, 1976, გვ. 5-16); "წარუშლელი ღვაწლი (აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას დაბადების 80 წლისთავი)" ("ლიტერატურული საქართველო", 12, XI, 1980); "აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი და საქართველოს ძველი ისტორიის საკითხები" (წიგნში: "აკადემიკოსი ნიკოლოზ ბერძენიშვილი - 100", 1996, გვ.

42-55); "Развитие исторической науки в Грузинской ССР" ("Вопросы истории", 6, 1982); "ქართული ისტორიოგრაფიის უნიჭიერესი წარმომადგენელი" ("ქუთაისის მუზეუმის მასალები", IV. კრებული VIII, 1996) და სხვა.

გიორგი მელიქიშვილი დროს არც სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომების შექმნისათვის იშურებდა. პირველი ამ ხასიათის ნარკვევი მან უკვე 1951 წელს გამოაქვეყნა, სათაურით "ურარტუ (სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი)" (თბილისი, 149 გვ.). 1953 წელს გამომცემლობა "ცოდნამ" მკითხველ საზოგადოებას ბატონი გიორგის კიდევ ერთი სამეცნიერო-პოპულარული ბროშურა წარუდგინა: "ქართველი ხალხის წარმოშობის საკითხისათვის" (თბილისი, 44 გვ.). 1961 წელს "ნაკადულმა" გამოსცა "როგორ ამეტყველდნენ ლურსმული წარწერები" (თბილისი, 131 გვ.). ამ წიგნით ავტორმა ძველი დამწერლობებით დაინტერესებული მკითხველი ლურსმული წარწერების საოცარ სამყაროს აზიარა. აღნიშნული მონოგრაფია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე მეორედ, ბატონი გიორგის გარდაცვალების შემდეგ, 2004 წელს გამოიცა. ნარკვევი: "ურარტუს ისტორია" ბატონმა გიორგიმ "საბავშვო ენციკლოპედიისათვისაც" დაწერა (თბილისი, 1976).

გიორგი მელიქიშვილი წლების მანძილზე ხალხით თანამშრომლობდა "ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის" გამომცემლობასთან. ამ გამომცემის ცალკეულ ტომს ბატონი გიორგის არაერთი სტატია ამდიდრებს.

ბატონი გიორგი ყოველთვის ყურადღებით ადევნებდა თვალს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ გამოქვეყნებულ ახალ სამეცნიერო ლიტერატურას და



დროდადრო მისთვის საინტერესო ნაშრომებს რეცენზიებით ეხამურებოდა. ეს რეცენზიები, როგორც წესი, აკადემიური ტონით, განსახილველი ნაშრომისადმი ობიექტური მიდგომითა და, ამასთანავე, ავტორისადმი კეთილგანწყობით გამოირჩევა. 1953 წლიდან მოყოლებული, ბატონი გიორგის რეცენზიებს ჟურნალ "Вестник древней истории"-ს რედკოლეგია ხალისით აქვეყნებდა. უფრო მეტიც, ამა თუ იმ ახალი გამოკვლევის რეცენზირებას აღნიშნული ჟურნალის მესვეურები ბატონ გიორგის თავად თხოვდნენ. 1953, 1954, 1956, 1958, 1960, 1962, 1981 წლებში ბატონმა გიორგიმ რეცენზირება გაუწია ისეთ ცნობილ ისტორიკოსთა ნაშრომებს, როგორებიც იყვნენ: ნ. ნიკოლსკი, ვ. დიაკოვი, ბ. პიოტროვსკი, ვ. ავდიევი, მ. ბოკშჩანინი, რ. რუბინშტიინი, ა. ფორმოზოვი, ი. დიაკონოვი, ი. ალიევი, ვ. მასონი, ვ. ლივშიცი, ა. ნოვოსელცევი... იგი არაერთი პერიოდული გამოცემის მთავარი რედაქტორი და რედკოლეგიის წევრი გახლდათ ("ძველადმოსავლურ-კავკასიური კრებული", "ძველი ისტორიის საკითხები", "აღმოსავლური კრებული", "მაცნე" [ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია], "Вестник древней истории"..., ასევე, მრავალი კოლექტიური ნაშრომისა და მონოგრაფიის რედაქტორი. ბატონი გიორგი არც თავისი მონაწიეების პირველი სერიოზული ნაშრომის რედაქტორობაზე ამბობდა უარს, რაც მათთვის დიდი პატივი იყო.

გიორგი მელიქიშვილის გამორჩეული ნიჭიერება, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, "ხარისხით მუშაობის" უნარი, მეცნიერული კვლევა-ძიებისადმი განსაკუთრებული მიდრეკილება, მისმა დიდმა მასწავლებლებმა -



გიორგი გოზალიშვილმა, სიმონ ჯანაშიამ, გიორგი ნე-  
რეთელმა, ნიკოლოზ ბერძენიშვილმა - ადრევე, ჯერ კი-  
დევ მისი სტუდენტობისა და ასპირანტობის წლებში შე-  
ნიშნეს. სწორედ ამ ობიექტური მიზეზებით უნდა ავ-  
ხსნათ ის უდიდესი თანადგომა, გულშემატკივრობა,  
მზრუნველობა, რომელსაც ეს ქართველი მოღვაწენი  
მეცნიერების მწვერვალებისაკენ მიმავალი ახალგაზ-  
რდისადმი იჩენდნენ.

1944 წელს, ასპირანტურის კურსის დამთავრების-  
თანავე, აკადემიკოს ს. ჯანაშიას თაოსნობით ბატონი  
გიორგი მუშაობას საქართველოს მეცნიერებათა აკადე-  
მიის ისტორიის ინსტიტუტში იწყებს. 1944 წლის აპრი-  
ლიდან ივლისამდე იგი ამ ინსტიტუტის უმცროსი მეც-  
ნიერ-თანამშრომელია, 1944 წლის ივლისიდან - 1953  
წლის ივლისამდე - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი,  
ხოლო 1953 წლის ივლისიდან 1961 წლის ივლისამდე -  
სამეცნიერო დარგში ინსტიტუტის დირექტორის, აკა-  
დემიკოს ნიკოლოზ ბერძენიშვილის, მოადგილე. 1954-  
1961 წლებშივე გიორგი მელიქიშვილი ინსტიტუტში თა-  
ვისივე დაარსებული ძველი ისტორიის განყოფილების  
გამგის მოვალეობის შემსრულებელია. 1961 წელს, საბ-  
ჭოთა კავშირში შეთავსების აკრძალვის სპეციალური  
კანონის ამოქმედებისას, ბატონი გიორგი არჩევანის წი-  
ნაშე აღმოჩნდა: ან დირექტორის მოადგილედ უნდა  
დარჩენილიყო, ან ინსტიტუტის ძველი ისტორიის გან-  
ყოფილების სრულუფლებიანი გამგე გამხდარიყო. მან  
ძველი ისტორიის გამგეობა არჩია. გიორგი მელიქიშვი-  
ლი ინსტიტუტის ყოველმხრივ წარმატებულ ამ განყო-  
ფილებას 1999 წლამდე ურყევ ბურჯად ედგა.



აკადემიკოს ნიკოლოზ ბერძენიშვილის გარდაცვალების შემდეგ, 1965 წლის 6 ნოემბერს აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების საერთო კრებას ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე ბატონი გიორგის კანდიდატურა წარუდგინა. საერთო კრებას ესწრებოდნენ აკადემიკოსები: ირ. აბაშიძე, შ. ამირანაშვილი, გ. ახვლედიანი, შ. ნუცუბიძე, ა. ბარამიძე, ა. ბოჭორიშვილი, კ. გამსახურდია, ი. დოლიძე, ვ. თოფურია, გ. ლეონიძე, აკ. შანიძე, გ. ჩუბინაშვილი, გ. წერეთელი, გ. ჯიბლაძე; წევრ/კორესპონდენტები: ი. აბულაძე, ქ. ლომთათიძე, რ. ნათაძე, გ. ჩიტაია. აზრი გამოთქვეს: გ. ახვლედიანმა, კ. გამსახურდიამ, შ. ნუცუბიძემ, ი. დოლიძემ, რომელთაც მხარი ერთსულოვნად დაუჭირეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორად ბატონი გიორგის არჩევას. კენჭისყრის პროცედურა გ. ახვლედიანმა, კ. გამსახურდიამ და შ. ნუცუბიძემ ჩაატარეს. გიორგი მელიქიშვილი დასახელებული ინსტიტუტის დირექტორად ერთხმად აირჩიეს. ასეთივე იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების ვერდიქტიც. ამ თანამდებობაზე მან 1965 წლიდან 1999 წლამდე იღვანა. აქვე დავძენ, რომ ინსტიტუტის დირექტორად ახალი ვადით ბატონი გიორგი რამდენიმეგზის აირჩიეს. უკანასკნელი არჩევნები 1997 წლის 4 ივლისს შედგა, თუმცა, არჩევნებიდან ორი წლის შემდეგ, 1999 წლის თებერ-



ვალში, ბატონმა გიორგიმ თხოვნით მიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაშინდელ პრეზიდენტს, აკადემიკოს ა. თავხელიძეს, დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლების თაობაზე. ბატონი გიორგის თხოვნა დაკმაყოფილდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის არქივში, ბატონი გიორგის პირად საქმეში, 1999 წლის 18 თებერვლით დათარიღებული 32-ე დადგენილება ინახება, რომელიც გვამცნობს:

“1. აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი, თანახმად პირადი თხოვნისა, განთავისუფლდეს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობიდან ა. წ. 18 თებერვლიდან.

2. ისტორიული მეცნიერებისა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის წინაშე დიდი დამსახურებისათვის აკადემიკოსი გ. მელიქიშვილი დაინიშნოს ინსტიტუტის საპატიო დირექტორად დირექტორის ხელფასის შენარჩუნებით, გამოეცხადოს მადლობა და საპრემიო ფონდიდან დაჯილდოვდეს 4 თვის ხელფასით”.

დადგენილებას ხელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ა. თავხელიძე აწერს.

ეს იყო 1999 წელს. მაგრამ მანამდე იყო 1960 წელი, როდესაც ბატონი გიორგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად ერთხმად აირჩიეს. იყო 1967-1971 წლებიც, როდესაც გიორგი მელიქიშვილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემი-



კოს-მდივანი გახლდათ, იყო 1965 წელი, როდესაც მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა, იყო 1956 წელი, როდესაც გიორგი მელიქიშვილმა პროფესორის წოდება მიიღო. 1999 წლამდე იყო 1988 წელი, როდესაც ბატონი გიორგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრად აირჩიეს. 1999 წლამდე ბევრი სხვაც იყო ისეთი, რამაც, ზემოაღნიშნულთან ერთად, ბატონი გიორგის სახელი უკვდავყო.

გიორგი მელიქიშვილმა ქართული მეცნიერების მიღწევები საერთაშორისო ასპარეზზე ღირსეულად გაიტანა. იგი მეცნიერთა არაერთი საკავშირო და საერთაშორისო ფორუმის მონაწილე გახლდათ; ბრწყინვალე მოხსენებებით წარსდგა და ეროვნული საისტორიო მეცნიერება ღირსეულად წარმოაჩინა აღმოსავლეთმცოდნეთა XXIV და XXV კონგრესებზე მიუნხენსა და მოსკოვში (1957, 1960 წწ.), სტოკჰოლმში, მოსკოვსა და ლოს-ანჯელესში გამართულ ისტორიკოსთა საერთაშორისო კონგრესებზე (1960, 1970, 1973), ანთროპოლოგ-ეთნოგრაფთა საერთაშორისო კონგრესებზე ტოკიოში და ჩიკაგოში (1968, 1973). გიორგი მელიქიშვილი სისტემატურად მონაწილეობდა ასირიოლოგთა საერთაშორისო შეხვედრებში, რომლებიც ყოველწლიურად იმართება ევროპის სხვადასხვა ქალაქებში, აგრეთვე, ძველი აღმოსავლეთის ისტორიის, ხელოვნებისა და ფილოლოგიის პრობლემებისადმი მიძღვნილ საკავშირო კონფერენციებში (მოსკოვი, ლენინგრადი, თბილისი), სოციალისტური ქვეყნების აღმოსავლეთმცოდნეთა საერთაშორისო კონფერენციებში ("შულმუ"), ანტიკოს-ისტორიკოს-



თა საერთაშორისო კონფერენციებში ("ეირენე") და ახალი კონცეფციებითა და ჰიპოთეზებით გაჯერებული მელიქიშვილისეული მოხსენებები, როგორც წესი, რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ ენებზე უმაღლვე ქვეყნდებოდა და სამეცნიერო წრეების განსაკუთრებულ ინტერესსა და მაღალ შეფასებას იმსახურებდა.

აქვე დავძენ, რომ ბატონი გიორგი ოფიციალური დელეგაციების მონაწილის სტატუსითა და, აგრეთვე, ტურისტად ხშირად, თანაც დიდი ხალისითა და ენთუზიაზმით მოგზაურობდა აზიის, ევროპისა და ამერიკის კონტინენტების ქვეყნებში. სწორედ ამ მრავალრიცხოვანი მოგზაურობის დროს, 1957-1989 წლებში, გაეცნო იგი პოლონეთის, გერმანიის, ბრიტანეთის, თურქეთის, იორდანის, სირიის, ეგვიპტის, კუნძულ მალტას, იტალიის, ესპანეთის, შვეიცარიის, საფრანგეთის, ინდოეთის ღირშესანიშნაობებს: ტაძრებს, სასახლეებს, მუზეუმებს, ბიბლიოთეკებს, პარკებს, მატერიალური კულტურის ძველ და ახალ ძეგლებს (ვიმედოვნებ, რომ ამ მოგზაურობების ამსახველი, ძალზედ ღირებული ინფორმაციის შემცველი მელიქიშვილისეული დღიურები, რომელთაც მისმა ავტორმა "მოგზაურობანი მაშინდელ საზღვარგარეთში" უწოდა, ახლო მომავალშივე გამოქვეყნდება).

1965-1999 წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა (XX საუკუნის 80-იანი წლებიდან - ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა) ბატონი გიორგის ხელმძღვანელობით ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართული საისტორიო



მეცნიერების აღმავლობაში. ფაქტობრივად, ეს ნაღველი ქართული საისტორიო მეცნიერების განვითარების თვისობრივად ახალი ეტაპი იყო, როდესაც ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში საისტორიო კვლევა-ძიების არაერთი ახალი მიმართულება გამოიკვეთა, არაერთი ახალი სამეცნიერო უჯრედი ამოქმედდა, კვლევის სრულიად ახალი პერსპექტივები გადაეშალათ საქართველოს ძველი, შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი ისტორიის მკვლევართ. ფართოდ გაიშალა არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური, ნყართმცოდნეობითი, ისტორიულ-გეოგრაფიული, ისტორიო-გრაფიული, სოციოლოგიური კვლევა-ძიებანი. ყურადღება გამახვილდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხებთან (ჩრდილო კავკასიელები, რუსები, უკრაინელები...) და ევროპის ქვეყნებთან საქართველოს ისტორიული ურთიერთობების პრობლემატიკის კვლევაზე. ბატონი გიორგის თაოსნობითვე პირველად დაიწყო ფუნქციონირება ისტორიული ინფორმაციის კომპიუტერული დამუშავების ლაბორატორიამ, რომელმაც ნაყოფიერი სამუშაო შეასრულა "ქართლის ცხოვრების" მონაცემთა კომპიუტერული ბანკის შესაქმნელად.

ცალკე უნდა აღინიშნოს ბატონი გიორგის მიერ 1954 წელს დაფუძნებული ძველი ისტორიის განყოფილების შესახებაც, რომელიც, არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ ძველადმოსავლეთმცოდნეობის ქართული სკოლის ჩამოყალიბების საფუძველთა საფუძველს წარმოადგენს. განყოფილებაში, რომელშიც მაღალი კლასის სპეციალისტები, ძირითადად გიორგი მელიქიშვილის მონა-

ფეხები, მოღვაწეობდნენ, საქართველოს ძველი ისტორიის (იბერია, კოლხეთი) პრობლემატიკასთან ერთად უდიდესი წარმატებით იკვლევდნენ შუმეროლოგიის, ხურიტოლოგიის, ასირიოლოგიის, ურარტოლოგიის, ხეთოლოგიის, ეგვიპტოლოგიის, მიკენოლოგიის აქტუალურ პრობლემებს, თავისი დიდი მასწავლებლის კვალდაკვალ თანამშრომლობდნენ რუსეთისა და საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან, აქტიურად მონაწილეობდნენ მეცნიერთა საკავშირო და საერთაშორისო ფორუმების მუშაობაში. მათი ნაშრომები ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ ენებზე პრესტიჟულ სამეცნიერო ჟურნალებში ქვეყნდებოდა.

1954-1999 წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში შრომატევად კვლევა-ძიებათა შედეგად შექმნილი მონოგრაფიები, კოლექტიური ნაშრომები, სამეცნიერო წერილები, სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურა სპეციალისტებსა და ფართო მკითხველ საზოგადოებას სისტემატურად აცნობდა ქართული ისტორიოგრაფიის სიახლეებს. ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომლებს დიდ დახმარებას უწევდა ჟურნალი "მაცნეს" ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, რომელსაც წლების მანძილზე მთავარი რედაქტორის სტატუსით გიორგი მელიქიშვილი ხელმძღვანელობდა.

1954-1999 წლებში ინსტიტუტში შემოქმედებითი სამუშაო ატმოსფერო სუფევდა. ტონის მიმცემი, რასაკვირველია, თავად ბატონი გიორგი ბრძანდებოდა. საქმიან ვითარებაში ტარდებოდა საინსტიტუტო კონფე-

რენციები, სესიები, დისკუსიები, "საისტორიო საუბრები", ინსტიტუტის თანამშრომელთა ახალი გამოცემების განხილვისადმი მიძღვნილი საინსტიტუტო სემინარები. ბატონი გიორგის ინიციატივით, ინსტიტუტი ხშირად მასპინძლობდა მეცნიერთა რესპუბლიკურ და საკავშირო ფორუმებს. ინსტიტუტის მრავალრიცხოვანი განყოფილებებიც და XX საუკუნის 90-იან წლებში დაფუძნებული ე. წ. "საპრობლემო ჯგუფებიც" ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი გეგმით გათვალისწინებულ, ასევე არაგეგმიურ სამუშაოსაც ჩინებულად ასრულებდნენ.

ინსტიტუტის დირექცია, ბატონი გიორგის ხელმძღვანელობით, არც ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური, ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციების საკვლევადიებო მუშაობის ფართოდ გაშლას აკლებდა ზრუნვას.

1954-1999 წლებში გიორგი მელიქიშვილის თავმჯდომარეობით ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა ინსტიტუტთან არსებული სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სპეცია-ლიზირებული სადისერტაციო საბჭო. წლების მანძილზე იგი სამეცნიერო ხარისხებს არა მხოლოდ საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებისა და უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებს – ისტორიკოსებს, არქეოლოგებს, ეთნოგრაფებს – ანიჭებდა, არამედ აზერბაიჯანის, სომხეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების წარგზავნილებსაც (უფრო სრულ და კონკრეტულ ინფორმაციას ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მუშაობაში ბატონი გი-





ორგის უდიდესი ნაღვანის შესახებ დაინტერესებული მკითხველი შემდეგ გამოცემებში იხილავს: "ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი" (თბილისი, 1988); О. К. Жордания, „Институт Истории, археологии и этнографии им. академика И. А. Джавахишвили АН ГССР“, (Тбилиси, 1988); "საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის გამოცემები 1917-1987" (შემდგენელი ნ. ზუკაკიშვილი, თბილისი, 1988); "ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში დაცული საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების ბიბლიოგრაფია, 1940-1981" (შემდგენელი თ. მაისურაძე, თბილისი, 1988).

ბატონი გიორგის დამსახურება ეროვნული მეცნიერების, ქვეყნისა და ქართველი ერის წინაშე პრემიებითა და სამთავრობო ჯილდოებით არაერთგზის აღინიშნა. როგორც უკვე ითქვა, 1957 წელს მას ლენინური, შემდეგ კი ივანე ჯავახიშვილის სახელობისა (1976 წ.) და საქართველოს სახელმწიფო პრემიები (1982 წ.) მიენიჭა. დაჯილდოებული იყო ორდენებით: "საპატიო ნიშნის" (1966 წ.), "შრომის წითელი დროშის" (1976 წ.), "ოქტომბრის რევოლუციის" (1966 წ.), აგრეთვე, სხვადასხვა მედლებით (1946, 1970, 1975, 1985 წლებში).

ბატონი გიორგი XX ს-ის 90-იანი წლების ინტერვიუში, ინსტიტუტის მომავალ სამუშაო გეგმებზე საუბრისას, ბრძანებდა: "...შემდგომ ჩალრმავებულ მუშაობას მოითხოვს: ქართველთა ეთნო-სოციალური განვითარება, არაქართული ეთნიკური ჯგუფები საქართველოში,

უძველესი ქართული კლასობრივი საზოგადოებებისა და სახელმწიფოების ბუნება, ქართული ფეოდალიზმი – მისი ადგილი ფეოდალურ სისტემებში, საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების პერიოდიზაცია, მთისა და ბარის ურთიერთობა ფეოდალურ საქართველოში, შუა საუკუნეების ქართული ქალაქის ბუნება, ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს ბუნება და ქართული რენესანსის პრობლემა, “ჩიხის” პრობლემა გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში, საქართველო და მეზობელი იმპერიები ძველი დროდან დღემდე (ურთიერთობის ხასიათი), კაპიტალისტურ ურთიერთობათა გენეზისი და განვითარება საქართველოში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათი XIX ს-სა და XX ს-ის დასაწყისის საქართველოში, ლიბერალური და დემოკრატიული მოძრაობა (პარტიები) საქართველოში XX ს-ის დასაწყისში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921 წწ.) და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოში, “ახალი ეკონომიკური პოლიტიკის” განხორციელება საქართველოში, კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის თავისებურებები საქართველოში, 20-30-იან წლების რეპრესიები საქართველოში, ქართული ეკლესიის, ქართველი ინტელიგენციის რბევა, ხელისუფლების ბიუროკრატიზაცია, დიდი სამამულო ომი და საქართველო, ახალი და უახლესი ხანის ქართული საზოგადოებრივი აზრი, ცვლილებები საქართველოს მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურაში და ცალკეული სოციალური ფენებისა და ჯგუფების მდგომარეობა საბჭოთა პერიოდის მანძილზე, ახალგაზრდობის პრობლემების შესწავლის სოციოლოგი-

ური ასპექტები, გარდაქმნა და თანამედროვე საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა, ისტორიული დემოგრაფიის პრობლემები და მრავალი სხვა”.

სამეცნიერო ინსტიტუტების ე. წ. “რეფორმირების” დღეს შექმნილ პირობებში ძნელი სათქმელია, თუ როდის განხორციელდება დიდი მეცნიერის დანაბარები ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში, თუმცა იმედს არ ვკარგავ, რომ მოვა დრო, ახალი დრო, როდესაც ბევრი რამ შეიცვლება და ქართული საისტორიო მეცნიერება კვლავ გაბრწყინდება!

გიორგი მელიქიშვილმა მუხლჩაუხრელად არა მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში იღვანა. 1944 წლიდან მოყოლებული, მრავალი წლის მანძილზე, იგი ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის, ფილოლოგიისა და აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტებზე, სადაც ლექციებს კითხულობდა ისეთ საუნივერსიტეტო კურსებში, როგორებიცაა: “ძველი აღმოსავლეთის ისტორია”, “ძველი ირანის ისტორია”, “საქართველოს ისტორიის ძველადმოსავლური წყაროები”, “ასურულ-ბაბილონური (აქადური) ენა”, “ურარტული ენა”. სტუდენტებს შორის ძველი ისტორიით დაინტერესებულ ნიჭიერ, შრომისმოყვარე ახალგაზრდებს საგანგებოდ არჩევდა. მომავალი სპეციალისტების აღზრდასთან დაკავშირებით ბატონი გიორგის თვალსაზრისი ასეთია: “სრულფასოვანი სწავლა-მომზადების გარეშე ბევრი

ხარვეზი დარჩება მკვლევარს. მაღალი “მეცნიერული სკოლის” გავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ არის, რომ მეცა და ჩემი კოლეგებიც ძველ ისტორიაში ენერგიულად მივმართავთ ჩვენი მოწაფეების მომზადების დაწყებას უკვე უნივერსიტეტში სწავლის დროს, ხოლო შემდეგ ხანგრძლივ მივლინებაში ვაგზავნით ლენინგრადში სათანადო სპეციალისტებთან სამუშაოდ და კარგ შედეგებსაც ვიღებთ. კარგია, რა თქმა უნდა, რომ მოხერხდეს მათი გაგზავნა საზღვარგარეთის ცენტრებშიც”.

ბატონი გიორგი არაჩვეულებრივი მეცნიერ-ხელმძღვანელი გახლდათ. მართალია, მომავალი საკვლევ პრობლემატიკის შერჩევას ჩვენი ინტერესების, შესაძლებლობების, სიბეჯითისა თუ ნიჭიერების გათვალისწინებით საზღვრავდა, საზღვარგარეთიდან მიღებულ ახალ სამეცნიერო სპეციალურ ლიტერატურასაც დიდი ხალისით გვაცნობდა, ჩვენს პირველ, გამოსაქვეყნებლად მომზადებულ ნაშრომებსაც გულისყურით ეცნობოდა და განყოფილების სხდომაზე ნაკითხულ მოხსენებებსაც ყურადღებით უსმენდა, მაგრამ თავად კვლევაძიების პროცესში, როგორც წესი, არ ერეოდა, სრულ თავისუფლებას გვაძლევდა. ახალბედა მკვლევრების სამეცნიერო ხელმძღვანელობის ეს სტილი, როგორც ჩანს, მან თავის დიდ მასწავლებლებთან - სიმონ ჯანაშიასთან და გიორგი წერეთელთან - ასპირანტურაში გატარებულ წლებში შეითვისა. გიორგი მელიქიშვილს თავისუფლად შეგვიძლია მივუსადაგოთ სიტყვები, რომელთაც იგი გიორგი წერეთლის გახსენებისას ამბობდა: “ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა კადრების შერჩევისა და აღზრდის დიდი უნარი ჰქონდა. ამ პრობლემას იგი

მნიშვნელოვანწილად უკვე დასაწყისშივე წყვეტდას, ლოს არ იკარებდა უუნარო, გაუნათლებელ პირებს, ისეთებს, ვისაც განუწყვეტელი ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა სჭირდებათ და დამოუკიდებლად ცოდნის შექმნა-გაღრმავებისა და მეცნიერული კვლევა-ძიების არც უნარი და არც სურვილი არ გააჩნიათ. თავის მოწაფეებს იგი საშუალებას აძლევდა დამოუკიდებელი მუშაობით მაქსიმალურად გამოეველინათ თავიანთი შესაძლებლობანი არა მარტო მეცნიერების კონკრეტულ დარგში მუშაობით, არამედ მთელი თავიანთი არსებით, შეხედულებებით, ქცევითა და საქმიანობით – უნერგავდა მათ წარმოდგენას იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი მეცნიერი”.

გიორგი მელიქიშვილმა მეუღლესთან, ცნობილ მეცნიერთან, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორთან, პროფესორ ელენე დოჩანაშვილთან ერთად ტრადიციული ქართული ოჯახი შექმნა, ორი ქალიშვილი და ვაჟი ღირსეულ მოქალაქეებად, მაღალი კვალიფიკაციის მკვლევრებად გაზარდა. მას შეეძლო ეამაყა მეუღლისა და შვილების მეცნიერული წარმატებებით, ქართულ ბიბლიოლოგიაში, არმენოლოგიაში, ენათმეცნიერებაში, ფილოლოგიაში მათ მიერ შეტანილი წვლილით. ბატონი გიორგი სანიმუშო ბაბუა და დიდი ბაბუა გახლდათ. თავის შთამომავლობას შრომისადმი სიყვარულს, დაკისრებული საქმისადმი პასუხისმგებლობას ბავშვობიდანვე უნერგავდა.

ბატონი გიორგი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 2002 წლის 27 მარტს გარდაიცვალა. საქართველოში გაზაფხული იდგა. ბუნება კვლავ იღვიძებდა. თბილისის ქუ-



ჩებში აყვავებული ნუშის სურნელი ტრიალებდა. ზოგან ხეებზე ფოთლების მწვანე კვირტებიც მოჩანდა, ჩვენ კი დიდ მასწავლებელს უკანასკნელ გზაზე ვაცილებდით. ბატონი გიორგის ნეშტი დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის წმინდა მიწას დიდი პატივით მივაბარეთ. ბატონი გიორგის უკანასკნელ განსასვენებელთან სამგლოვიარო მიტინგი გაიმართა. გამოსათხოვარი სიტყვები წარმოთქვეს: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ალბერტ თავხელიძემ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა დავით მუსხელიშვილმა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა, გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ძველი ისტორიის განყოფილების გამგემ, აკადემიკოსმა გრიგოლ გიორგაძემ და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის რექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ოთარ ყორღანიამ. განსვენებულის ოჯახში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში მოსული სამგლოვიარო კორესპონდენცია საზოგადოებას ამ სტრიქონების ავტორმა გააცნო.

როგორც ქართულ პრესაში გამოქვეყნებული ნეკროლოგების ავტორები, ასევე სამგლოვიარო მიტინგის

მონაწილენი ერთსულოვანნი იყვნენ ბატონი გიორგის ღვანლის შეფასებაში. გიორგი მელიქიშვილის ოფიციალურ ნეკროლოგში ნათქვამი იყო, რომ “გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ქართული ისტორიოგრაფიის პატრიარქი..., რომლის მრავალმხრივმა მოღვაწეობამ, ფუნდამენტურმა ნაშრომებმა მას დიდი აღიარება და სახელი მოუპოვა როგორც ჩვენში, ასევე უცხოეთში”. აკადემიკოს თ. გამყრელიძის სიტყვებით, “მსოფლიოში განთქმული და სახელმძოვნილი ქართული ძველადმოსავლური ისტორიული და ფილოლოგიური სკოლა, უწინარეს ყოვლისა, გიორგი მელიქიშვილის მეცნიერული მოღვაწეობით აღწევს სათანადო სიმალლეებს. სწორედ გიორგი მელიქიშვილმა ჩაუყარა საფუძველი ქართული ძველადმოსავლური სამეცნიერო სკოლის საქვეყნოდ აღიარებულ წარმატებებსა და მიღწევებს”. აკადემიკოს დავით მუსხელიშვილის გამოსვლაში ისიც აღინიშნა, რომ მეცნიერმა რუსულ და ევროპულ მეცნიერებას არა მარტო ურარტოლოგიური მემკვიდრეობა გააცნო, არამედ, საკუთრივ საქართველოს ისტორიის ამსახველი გამოკვლევებიც. “ამ თვალსაზრისით, აღნიშნა დავით მუსხელიშვილმა, ფრიად მნიშვნელოვანია მეცნიერის თეორიული, სოციოლოგიური გამოკვლევები ე. წ. “აზიური წარმოების წესის” რაობის შესახებ, 60-იანი წლების მეორე ნახევრის ცნობილი საერთაშორისო დისკუსიების პერიოდში შექმნილი ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე, რომლებშიც კვლავ ძველადმოსავლური საზოგადოებების სოციალურ სტრუქტურათა ანალიზის ფონზე ძველი ქართული საზოგადოების ბუნების კარდინალური საკითხები-

ცაა გაშუქებული". ბუნებრვია, იმაზეც იყო საუბარი, რომ "გიორგი მელიქიშვილი გამგრძელებელი გახლდათ იმ დიდი სკოლისა, რომელსაც ივანე ჯავახიშვილი ედგა სათავეში" (აკადემიკოსი როინ მეტრეველი). სამგლოვი-  
არო მიტინგზე ხაზგასმით ითქვა იმ წვლილზეც, რომელიც დიდმა მეცნიერმა საქართველოსა და კავკასიის სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსული ასპირანტების აღ-  
ზრდაში შეიტანა. ისიც არ იყო დავინწყებული, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ბატონი გიორგის ორიგინალური კონცეფცია შუა საუკუნეების აფხაზეთის, საქართვე-  
ლოს ამ ძირძველი მხარის, სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების შესახებ (პროფესორი ოთარ ჟორდანიას).

გამოსათხოვარ სიტყვებში ბატონი გიორგის პირადული თვისებების შესახებაც ისაუბრეს: "მიუხედავად იმისა, რომ გიორგი მელიქიშვილმა თავისი მაღალნიჭიერების, ფართო ერუდიციისა და უდიდესი შრომისუნარიანობის შედეგად დიდ წარმატებას მიაღწია სამეცნიერო ასპარეზზე, მას ადვილი და ბედნიერი ცხოვრება არ ჰქონია. ამას ზედ ერთვოდა ზოგიერთთა ის გასაკვირი უმადურობა, რომელიც მას, სამწუხაროდ, სრულიად დაუმსახურებლად ხვდა წილად. და მაინც, იგი ინსტიტუტში ყოვლთვის წყნარი და მშვიდი განწყობით იყო, თუმცა ძნელი მისახვედრი არ არის, რა ნებისყოფის ფასად უფდებოდა ეს. იგი, არსებითად, შესანიშნავი დირექტორი გახლდათ, რომელიც უალრესად კარგად იცნობდა ინსტიტუტის დიდი კოლექტივის ყოველ თანამაშრომელს და, ამდენად, არ შეიძლება ყველას მიმართ ერთნაირი შინაგანი დამოკიდებულება ჰქონოდა, მაგრამ



ემოციებს გარეგნულად თითქმის არასდროს ამჟღავნებდა. ვფიქრობ, ესეც მისი ერთ-ერთი უაღრესად დასაფასებელი თვისება იყო. ის სამართლიანი ადამიანი იყო და სხვაშიც აფასებდა სამართლიანობასა და გულწრფელობას, უაღრესად გულისხმიერი იყო იმ ადამიანების მიმართ, რომელთაც პატივს სცემდა. აღსანიშნავია კიდევ ერთი დამახასიათებელი შტრიხი მისი პიროვნებისა – კეთილგანწყობილი იუმორი” (აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი).

მარტის იმ მწუხარე დღეებში გული სევდით, ტკივილითა და სინანულით გვექონდა აღვსილი. ვერ წარმოგვედგინა, რომ ველარასოდეს ვიხილავდით ბატონ გიორგის ჩვენს ინსტიტუტში, მის მიერვე დაფუძნებული ძველი ისტორიის განყოფილებაში, ძველი წინა აზიის რუკებითა და ძველალმოსავლური თემატიკის ამსახველი მასალებით დამშვენებულ მყუდრო ოთახში, სააქტო დარბაზში, სამეცნიერო ბიბლიოთეკაში - მარადუამს მშვიდ, განონასწორებულ, კეთილმოსურნე, თავმდაბალ ბრძენკაცს, ველარ მოვუსმენდით ახალი კონცეფციებით, იდეებით, ჰიპოთეზებით აღსავსე მის საჯარო გამოსვლებს საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტების წამყვან სამეცნიერო ცენტრებში გამართული კონგრესების, კონფერენციების, სესიების, სიმპოზიუმების მაღალი ტრიბუნებიდან, ვერ ვისაუბრებდით მასთან ისტორიოგრაფიის ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან პრობლემებზე, ვერ გავუზიარებდით მომავალ სამუშაო გეგმებს, თუ გულის საკუთარ სატკივარს. გული გვწყდებოდა, რომ ველარასოდეს გვისახსოვრებდა ულამაზესი კალიგრაფიით შესრულე-

ბული მიძღვნილი წარწერებით საკუთარ ახალ პუბლიკაციებს, ვერც საზღვარგარეთის ქვეყნებში ერთად მოგზაურობისას თავისსავე გადაღებულ, ჩვენთვის განკუთვნილ თეთრ კონვერტებში სათუთად ჩალაგებულ უნიკალურ ფოტოსურათებს დაგვირიგებდა...

რასაკვირველია, მაშინ ვერ ვიფიქრებდი, რომ 2008 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ბატონ გიორგის კვლავ შევხვდებოდი, მისი სიცოცხლის გზას 1918 წლიდან 2002 წლამდე მეც გავივლიდი. ვერც იმას წარმოვიდგენდი, რომ ჩემი დიდი მასწავლებლის გამოუქვეყნებელ მემუარულ ჩანაწერებს წავიკითხავდი, მის სულიერ სამყაროში ასე ღრმად ჩავიხედავდი, ჩემთვის სრულიად ახალ, მეოცნებე, გულღია, ლალ, სხვადასხვა ქვეყნების ტბებსა, ზღვებსა და ოკეანეებში ცურვით აღტაცებულ, ჭადრაკისა და ფეხბურთის დიდად მოყვარულ, შვილიშვილებთან და შვილიშვილის შვილებთან ურთიერთობისას ბავშვად ქცეულ, ოჯახის წევრებისათვის ასე ნაცნობ და ჩემთვის ასე უცნობ, მაგრამ კიდევ უფრო დიდ და საინტერესო ბატონ გიორგის აღმოვაჩინდი. მადლობა განგებას, ჩემს დიდ მასწავლებელთან 45 წლიანი, მარად კეთილად მოსაგონებელი ურთიერთობა რომ მარგუნა წილად!

თბილისი, 2008 ოქტომბერ-ნოემბერი

თვალსაჩინო ქართველ მეცნიერს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, გრიგოლ გიორგაძეს დაბადების 80 წელი შეუსრულდებოდა.

გრიგოლ გიორგაძე 1927 წლის 28 ივლისს დაიბადა ქ. ქუთაისში, ტრადიციულ ქართულ ოჯახში. შრომისმოყვარეობით იგი ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა. ამის პირველი მონშობა ოქროს მედალია, რომელიც მან სკოლაში წარჩინებული სწავლისა და სანიმუშო ყოფაქცევით დაიმსახურა. აკადემიური წარმატებებით აღინიშნა სტუდენტური წლებიც. 1952 წელს მან წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, აღმოსავლეთის ქვეყნების სპეციალობით. მეცნიერული კვლევისა და ცოდნის გაღრმავების შესაშური უნარი გრიგოლ გიორგაძემ სტუდენტობის წლებშიც გამოავლინა, როდესაც გიორგი წერეთლის, გიორგი ნიორაძის, გიორგი მელიქიშვილის, გივი ჟორდანიას, ოთარ ჯაფარიძის, ვალერიან გაბაშვილისა და სხვა ქართველ მეცნიერთა ლექციებს ისმენდა. ეუფლებოდა ძველ და ახალ ენებს (ასურულ-ბაბილონურ, ხეთურ, ურარტულ, ხურიტულ, არაბულ, არამეულ და ევროპულ ენებს), ეცნობოდა ქართულ და უცხოენოვან სამეცნიერო ლიტერატურას, აქტიურად მონაწილეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების მუშაობაში. 1952 წელს, ჯერ კიდევ სტუდენტმა, მან ორი სამეცნიერო ნაშრომი მოამზადა: ერთი სუდანში

მაჰდისტების აჯანყების ისტორიის შესწავლას ეძღვნებოდა, მეორე — ურარტუს მეფე მენუას აღმშენებლობით მოღვაწეობას. აკადემიკოს გიორგი წერეთლის რჩევით, გრიგოლ გიორგაძემ თავისი მომავალი კვლევა-ძიებანი ძველი აღმოსავლეთის ისტორიის საიდუმლოებათა ამოხსნას დაუკავშირა. და აი, 1955 წ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტი, გრიგოლ გიორგაძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტთა და ახალგაზრდა მუშაკთა VI კონფერენციაზე მოხსენებით წარსდგა: „მურსილი II-ის ათწლიანი ანალები — როგორც წყარო ქაშქების ისტორიისათვის“ (აკად. გიორგი მელიქიშვილის ხელმძღვანელობით).

ძველ აღმოსავლური მეცნიერების მწვერვალებზე ზეაღსვლა ბატონმა გრიგოლმა ხეთურ და ასურულ ლურსმულ ტექსტებში მრავალგზის მოხსენებული ქაშქების (ქაშქების) ისტორიის მონოგრაფიული შესწავლით დაიწყო. სწორედ ამ, იმ დროისთვის ნაკლებად შესწავლილ, პრობლემას მიეძღვნა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი მისი სადისერტაციო ნაშრომი, თემაზე: „ხეთების სახელმწიფოს ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მცხოვრები ტომების ისტორიიდან (ქაშქები)“, რომელიც 1956 წელს დიდი წარმატებით დაიცვა (1961 წელს ნაშრომი, შემოკლებული ფორმით, ლენინგრადში დაიბეჭდა „Переднеазиатский сборник“-ის I ტომში ვრცელი ინგლისური რეზიუმეით).

XX საუკუნის 50-60-იან წლებში გრიგოლ გიორგაძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბის“,



ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის „შრომების“, „აღმოსავლური კრებულის“, „Вестник древней истории“-ს ფურცლებზე ძველი წინა აზიის ისტორიული გეოგრაფიის პრობლემატიკაზე, არაერთ საყურადღებო ნაშრომს აქვეყნებს. იგივე ჟურნალი ბეჭდავს მის რეცენზიებს ჯ. გარსტანგისა და ო. გერნის, ჰ. კლენგელის, ფ. იმპარატის, ი. მანანდიანის და მსოფლიო სამეცნიერო წრეებში ცნობილ სხვა აღმოსავლეთმცოდნეთა მონოგრაფიებზე.

აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი, წლების მანძილზე გრიგოლ გიორგაძის სამეცნიერო ხელმძღვანელი აღმოსავლეთმცოდნეობაში, თავისი მოწაფის მიერ გადადგმულ პირველ წარმატებულ ნაბიჯებს ასე აფასებდა: „გრიგოლ გიორგაძის პირველივე ნაშრომებმა ძველი აღმოსავლეთის ისტორიის დარგში წამყვანი სპეციალისტების მაღალი შეფასება დაიმსახურა... იგი მზარდი ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკია და ინსტიტუტისათვის მეტად საჭირო თანამშრომელს წარმოადგენს“ (1959 წლის მარტი).

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან გრძელდება გრიგოლ გიორგაძის ხეთოლოგიური ძიებანი, რომლებიც ურთულეს საკითხთა დასმითა და ახლებური გააზრებით ხასიათდება. 60-70-იან წლებში გრიგოლ გიორგაძე ინტენსიურად და თანმიმდევრულად იკვლევდა ხეთების სოციალურ-ეკონომიკურ ისტორიასთან ორგანულად დაკავშირებულ ურთულეს საკითხებს.

გრიგოლ გიორგაძის მიერ XX საუკუნის 60-70-იან წლებში ჩატარებული შრომატევადი სერიოზული ძიებანი 1973 წ. ფუნდამენტური მონოგრაფიის: „Очерки по



социально-экономической истории Хеттского государства გამოქვეყნებით დაგვირგვინდა. გამოჩენილმა ქართველმა და უცხოელმა სპეციალისტებმა (გ. მელიქიშვილი, თ. გამყრელიძე, ი. დიაკონოვი, ვ. ივანოვი, ვ. იაკობსონი, ჰ. კლენგელი, ა. კამენჰუბერი და სხვები) აღნიშნული მონოგრაფია ძველადმოსავლური მეცნიერების საეტაპო ხეთოლოგიურ ნაშრომად აღიარეს. აღნიშნულ ნიგნში ხეთოლოგიურ ისტორიოგრაფიაში პირველად მონოგრაფიულად იყო შესწავლილი ხეთური საზოგადოების მატერიალური დოვლათის უშუალო მწარმოებელთა პრობლემა. ავტორმა ხეთური ლურსმული ტექსტების უმდიდრესი ფაქტობრივი მასალის სკრუპულოზური ანალიზის საფუძველზე (1971 წ. ხეთურ თეზავროსზე სამუშაოდ ბერლინში მივლინების შემდეგ) პიველმა შესძლო ამოეხსნა სოციალური მთელი რიგი ტერმინების სემანტიკა და ამ გზით აღედგინა ხეთური საზოგადოების უშუალო მწარმოებელთა ისტორიის დამაჯერებელი სურათი, საბოლოო ჯამში კი, წარმოეჩინა ხეთური სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური წყობის ხასიათი და თავისებურებები. 1973 წელსვე აღნიშნული მონოგრაფიის საფუძველზე, გრიგოლ გიორგაძეს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა. მისი ერთ-ერთი ოპონენტი, პროფესორი ი. დიაკონოვი, რომელიც ქებაზე საკმაოდ სიტყვაძუნნი გახლდათ, ბრძანებდა: „Книга Г. Г. Гиоргадзе кладет начало новому этапу в изучении Хеттского и других, так называемых „периферийных” древневосточных обществ. Но помимо того эта диссертация, эта книга является методически образцовой по полноте привлечения и самостоя-



тельности разработки подлинных древних источников по охвату специальной литературы, по осторожности и основательности выводов: выводов, ни от кого не зависящих, а вполне оригинальных, потому что базируются исключительно лишь на твердой почве впервые привлеченных и бесспорно истолкованных диссертантом документов. При всем этом причинам рассмотренная нами диссертация, безусловно, заслуживает причуждения ее автору ученой степени доктора исторических наук, Эту степень я и прошу высокоуважаемой Совет присудить одному из наших выдающихся историков древнего Востока, Григорию Григорьевичу Гиоргадзе” (1973 წლის მაისი). ასეთივე მაღალი შეფასება მისცა გრიგოლ გიორგაძის ნაშრომს მისმა მეორე ოპონენტმა, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ, რომელიც აღნიშნავდა: „Монография Г. Г. Гиоргадзе является образцом исследования по древневосточной истории, выполненная с широким привлечением текстологического материала первоисточников, в толкование и филологическую интерпретацию которого диссертант вносит много новых и интересных моментов. Тем самым Г. Г. Гиоргадзе предстает перед нами не только как отличный историк, но и как отменный филолог, прекрасно разбирающийся во всех тонкостях хеттской филологии, По основательности, тщательности и тонкой отточенности аргументаций, по серьезности и обоснованности выводов диссертационная работа Г. Г. Гиоргадзе стоит в одном ряду с лучшими работами по хеттологии, вышедшими за последние годы“ (1973 წლის მაისი).

ანალოგიური თვალსაზრისია გამოთქმული გრიგოლ გიორგაძის მონოგრაფიაზე დანერილ ვ. იაკობსონის რეცენზიაში, რომელიც „Народы Азии и Африки“-ს 1976

ნლის N1-ში გამოქვეყნდა. ხეთურ საზოგადოებაში უმეტესად ალო მწარმოებელთა პრობლემასთან ერთად გრიგოლ გიორგაძე ნლების მანძილზე ნაყოფიერად იკვლევდა ხეთურ საზოგადოებაში სამინათმოქმედო ურთიერთობათა წრეში შემავალ ურთულეს საკითხებს. ამ პრობლემისამი მიძღვნილ სამეცნიერო წერილებში ავტორის მიერ ჩატარებული ფილიგრანული ანალიზის შედეგად დამაჯერებლადაა ნაჩვენები, რომ ხეთების სახელმწიფოში მინაზე საკუთრების პრიორიტეტულ ფორმას სახელმწიფო საკუთრება წარმოადგენდა, თუმცა ყველა პირობა არსებობდა მინაზე კერძო საკუთრების არსებობისათვის (მეფეთა მიერ სახელმწიფო მინების გაჩუქება, სახელმწიფო მინის ყიდვა-გაყიდვა და ა.შ.).

გრიგოლ გიორგაძის რიგი ნაშრომებისა ხეთურ სახელმწიფოში ექსპლუატაციის ფორმების შესწავლას ეძღვნება. პირველწყაროთა ღრმა ანალიზის საფუძველზე ავტორმა უჩვენა, რომ ხეთურ საზოგადოებაში მონური შრომის ექსპლუატაციის სხვადსხვა ფორმებთან ერთად არამონური ექსპლუატაციის ფორმებიც არსებობდა.

გრიგოლ გიორგაძის კვლევის სფეროში ხეთების სახელმწიფოს ისტორიის სხვა არაერთი, მანამდე შეუსწავლელი ან ნაკლებად შესწავლილი, საკითხიცაა მოქცეული. ასეთთა რიცხვს, უპირველეს ყოვლისა, ე.წ. „სახლების“ ანუ სამეფო და სატაძრო მეურნეობების სტრუქტურების საკითხები მიეკუთვნება, რომელთაც ავტორი ნაწილობრივ თავის ზემოხსენებულ მონოგრაფიაშიც შეეხო.



გრიგოლ გიორგაძის ძალზედ მნიშვნელოვანი ცვლილებებით, ინდივიდუალური „სახლი“ ქვეყნის მეურნეობის საფუძველთა საფუძველს წარმოადგენდა. რამდენიმე ამგვარი „სახლი“ კი — მსხვილ „სახლს“ ანუ მსხვილ მეურნეობას ქმნიდა. „სახლების“ სისტემის შესწავლამ საშუალება მისცა მეცნიერს სხვადასხვა მეურნეობათა მომსახურე პერსონალის პრობლემა სრულიად ახლებურად წარმოედგინა.

მეცნიერს ხეთების სახელმწიფოს ფუნქციონირების სხვა არაერთი საყურადღებო საკითხის შესახებაც გამოუთქვამს თავისი კომპეტენტური თვალსაზრისი. ძველხეთური წერილობითი წყაროების, კერძოდ, „თელიფინუს ბრძანებულების“ §28-ის მონაცემებზე დაყრდნობით, მეცნიერი იმ მნიშვნელოვან და ახალ დასკვნამდე მივიდა, რომ თელიფინუმ სამეფო ხელისუფლების მემკვიდრეობის წესი მყარად განსაზღვრა: ამიერიდან სამეფო ტახტი მამიდან (მეფიდან) ასაკით უფროს შვილზე გადადიოდა, ხოლო უფლისწულის არ არსებობის შემთხვევაში სამეფო ტახტზე პრეტენზია მეფის ქალიშვილის ქმარს შეეძლო განეცხადებინა.

გრიგოლ გიორგაძის სამეცნიერო მემკვიდრეობაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი ძველი ანატოლიის მოსახლეობას სოციალური სტრატეფიკაციის პრობლემატიკის კვლევას უკავია. მის მიერ ჩატარებული კვლევა-ძიებით დადგინდა, რომ ხეთური საზოგადოებისათვის ორწევრიანი სოციალური ოპოზიცია: „თავისუფალი“-„არათავისუფალი“ იყო დამახასიათებელი. „თავისუფლები“ სამ კატეგორიად იყოფოდნენ: მეომრებად, ქურუმებად და მეთემეებად. „არათავისუფლები“ სოცი-

ალურად დაქვემდებარებული არათავისუფალი ადამიანების სხვადასხვა ჯგუფს აერთიანებდნენ. მათ რიცხვს მონებიც მიეკუთვნებოდნენ. მეცნიერისავე თვალსაზრისით, მთავარ მწარმოებელ ძალას ხეთურ სახელმწიფოში, ისევე როგორც ძვ. წ. II ათასწლეულის აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, სოციალურად თავისუფალი, მაგრამ ეკონომიკურად დამოკიდებული მეთემეები წარმოადგენდნენ.

გრიგოლ გიორგაძე ხეთური სამართლის აღიარებული მკვლევარია. სწორედ მის სახელს უკავშირდება მაღალ მეცნიერულ დონეზე კომენტირებული და თარგმნილი ხეთური კანონებისა და ე.წ. „სასამართლო ოქმების“ პუბლიკაციები.

არანაკლები ღვაწლი დასდო მეცნიერმა ხეთებისა და ხურიტების პოლიტიკური ისტორიის კარდინალური პრობლემების კვლევას.

მაღალ შეფასებას იმსახურებს ძველი აღმოსავლეთის დიპლომატიის ისტორიისადმი მიძღვნილი გრიგოლ გიორგაძის მიერ გასული საუკუნის 90-იან წლებში გამოქვეყნებული ნაშრომებიც, რომელშიც ავტორის მიერვე გამოკვლეული და ინტერპრეტირებული ხეთური ლურსმული ტექსტების ჩვენებათა საფუძველზე ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების დიპლომატიის ისტორიის მანამდე ნაკლებად შესწავლილი ასპექტებია გაშუქებული. ეს ნაშრომები მნიშვნელოვნად ავსებენ ძველ აღმოსავლურ მეცნიერებაში ამ საკითხებთან დაკავშირებით მანამდე არსებულ ხარვეზს.

საგანგებოდ უნდა ითქვას ბატონი გრიგოლის სამეცნიერო ნარკვევებზე ცენტრალურ ანატოლიაში ლი-



თონების, კერძოდ, რკინისა და ვერცხლის, წარმოება-  
გამოყენების შესახებ, რომლებიც პირველწყაროთა მის-  
თვის ჩვეულ სკრუპულოზურ შესწავლას ეფუძნება და  
არაერთ სიახლეს შეიცავს.

გრიგოლ გიორგაძის ყურადღების გარეშე არც ხე-  
თური რელიგიის ისტორია დარჩენილა. სიმბოლურია,  
რომ ხეთებისადმი მიძღვნილ სამეცნიერო-პოპულარულ  
მშვენიერ წიგნს, მან „ათასი ღვთაების ქვეყანა“ უწოდა  
(1988).

ბატონი გრიგოლის შემოქმედებაზე საუბრისას არ  
შეიძლება ხაზგასმით არ აღინიშნოს ხეთური ფილოლო-  
გიის განვითარებაში შეტანილი მისი წვლილიც. მეცნიე-  
რის ტექსტოლოგიურმა ძიებებმა, თარგმანისა და ინ-  
ტერპრეტაციისათვის ურთულესი წერილობითი ძეგლე-  
ბის მისეულმა პუბლიკაციებმა დიდი როლი შეასრულა  
ხეთური სახელმწიფოს ისტორიის დიდი ხნის მანძილზე  
თეთრ ლაქებად დარჩენილი მნიშვნელოვანი საკითხე-  
ბის ინტერპრეტაციაში. იგივე უნდა ითქვას მის ენათ-  
მეცნიერულ ძიებებზეც.

ხეთოლოგიისა და ქართველოლოგიის ძვირფას შენა-  
ძენადაა მიჩნეული 1997-2000 წლებში ქასქების (ქაშქე-  
ბის) ეთნიკური კუთვნილების ურთულესი პრობლემი-  
სადმი მიძღვნილი გრიგოლ გიორგაძის მიერ გამოქვეყ-  
ნებული სამეცნიერო სტატიები და 2000 წელს გამოქ-  
ვეყნებული წიგნი. ეს ნაშრომი ისტორიულ-ფილოლოგი-  
ური ძიების სანიმუშო მაგალითს წარმოადგენს. უფრო  
მეტიც, ამ სფეროში შემდგომი კვლევისათვის ახალი მი-  
მართულების განმსაზღვრელიცაა. გრიგოლ გიორგაძის  
ამ ახალ გამოკვლევაში სიღრმისეული ანალიზის სა-



ფუძველზე ძველადმოსავლური წერილობითი წყაროების (ხეთური, ასურული) ქასქების (ქაშქების) და აბეშლაელების ეთნოგენეზი, და საერთოდ, ეთნიკური ისტორია, პირველადაა განხილული ქართველური ტომების ეთნოკულტურული ისტორიის კონტექსტში. ავტორის მიერ მოყვანილია სერიოზული არგუმენტები სამხრეთ კოლხურ ტომებთან ქასქების (ქაშქების) და აბეშლაელების დაკავშირების სასარგებლოდ.

მნიშვნელოვანია ქართველოლოგიაში შეტანილი გრიგოლ გიორგაძის წვლილიც. აქაც მისი კვლევა-ძიების ინტერესებში საქართველოს ძველი ისტორიის და კულტურის საკითხთა ფართო წრეა წარმოდგენილი. მეცნიერის მიერ ერთნაირი სიღრმე-სიგანითაა შესწავლილი ინდოევროპულ და ქართველურ ენათა ურთიერთმიმართების, ქართული წარმართული პანთეონის („არმაზული ტრიადის“) თავისებურებებისა და ძველადმოსავლურ სამყაროსთან მათი კავშირურთიერთობის პრობლემატიკა. მეცნიერთა მაღალი შეფასება დაიმსახურა არმაზში აღმოჩენილ არამეოგრაფიული მონოლინგვისა და ბილინგვის ანალიზის და სრულიად ორიგინალური ინტერპრეტაციის შემცველმა გრიგოლ გიორგაძის ნაშრომებმაც.

ზემოთ ჩამოთვლილი და სხვა რიგი პრობლემის კვლევისას ბატონმა გრიგოლმა არაერთი ახალი ჰიპოთეზითა და თვალსაზრისით გაამდიდრა ჩვენი ცოდნა ქართველთა და მათი ენის უძველესი ისტორიის შესახებ, ინდოევროპული და ქართველური ენების მონაცემთა შედარებითი ანალიზის საფუძველზე მეცნიერი იმ მნიშვნელოვან დასკვნამდე მივიდა, რომ ძველი მცირე



აზიის ინდოევროპული და ქართველური ეთნოსების კულტურულ-ისტორიული და ენობრივი კონტაქტების ზონა მდ. ჭოროხის ზემო წელისა და დასავლეთ ევფრატის (ყარა-სუს) რეგიონშია საძიებელი.

ძველი ისტორიისა და წარმართული რელიგიის სპეციალისტები დიდი ინტერესით გაეცნენ ხეთურ-არმაზულ ღვთაებათა „ტრიადების“ შესწავლასთან დაკავშირებულ გრიგოლ გიორგაძის ძალზედ საყურადღებო ნარკვევებს. ხეთური და ძველი ქართული საისტორიო წერილობითი წყაროების მონაცემთა შესწავლის გზით მეცნიერმა ამ საკითხშიც სრულიად ახალი ორიგინალური თვალსაზრისი შემოგვტავაზა. ხეთურ და ქართულ (არმაზულ) კერპთა „აღწერილობათა“ და „აღწერილობათა სტრუქტურის“ ანალიზის საფუძველზე, ავტორმა დამაჯერებლად უჩვენა მცირეაზიურ (ხეთურ) „ტრიადებთან“ არმაზულის მსგავსება და იგი მცირე აზიიდან ინფილტრაციით ახსნა.

დიდი ღვაწლი დასდო მეცნიერმა არამეოგრაფიული წერილობითი ძეგლების - არმაზის მონოლინგვისა და ბილინგვის შესწავლასაც.

50-ზე მეტი სტატია გამოაქვეყნა გრიგოლ გიორგაძემ „Большая Советская Энциклопедия“-სა და „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიის“ ფურცლებზე. მისი ავტორობით შექმნილი საენციკლოპედიო ნარკვევების დიდ ნაწილს ლექსიკოლოგიურ ლიტერატურაში ანალოგი არ მოეძებნება.

სამეცნიერო წრეებში წლების მანძილზე მოპოვებულმა მაღალმა ავტორიტეტმა განაპირობა გრიგოლ გიორგაძის მონაწილეობა უმაღლესი სასწავლებლები-

სათვის განკუთვნილი ისეთი სოლიდური და აღიარებული სახელმძღვანელოების შექმნაში როგორცაა: „История древнего мира” (т. I, Москва, 1983), „Источниковедение по истории древнего Востока” (Москва, 1984), „История древнего Востока. Материалы по историографии”, (Москва, 1991). ამ სახელმძღვანელოთაგან პირველი 1991 წ. აშშ-ში ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა. ლომის წილი ეკუთვნის მეცნიერს საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებისათვის გამიზნული სახელმძღვანელოების მომზადებასა და გამოცემაშიც.

გრიგოლ გიორგაძე ქართულ და მსოფლიო სამეცნიერო ცენტრებს სისტემატიურად აწვდიდა ინფორმაციას ძველი მსოფლიო ისტორიის, ფილოლოგიისა და არქეოლოგიის სფეროებში ქართველი მეცნიერების მიღწევებისა და მათ მიერ გამოქვეყნებული ახალი ნაშრომების შესახებ. მეცნიერი ძველი მსოფლიოს ისტორიის ცნობილი პოპულარიზატორი და არაერთი სამეცნიერო კრებულის რედაქტორი იყო. მრავალი წლის მანძილზე იგი წარმატებებით უძღვებოდა აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის მიერ დაფუძნებულ, საყოველთაოდ ცნობილ სამეცნიერო სერიას: „კავკასიურ-ახლო აღმოსავლური კრებული“, რომლის ბოლო, X საიუბილეო ტომი, მკითხველმა საზოგადოებრიობამ გრიგოლ გიორგაძის თაოსნობითა და შესავალი წერილით, 2001 წელს მიიღო. წლების მანძილზე ბატონი გრიგოლი ნაყოფიერად თანამშრომლობდა „Вестник древней истории“-სა და სხვა სოლიდურ სამეცნიერო სარედაქციო კოლექტივებში. ბატონ გრიგოლ გიორგაძის სამეცნიერო მემკვიდრეობა ამოუწურავი თემაა. და ეს სავსებით ბუნებრივია: იგი



120-ზე მეტი ნაშრომის, მათ შორის ქართულ, რუსულ და გერმანულენოვანი 7 მონოგრაფიის ავტორი გახლდათ. ორ ათეულზე მეტი მისი გამოკვლევა დასავლეთ ევროპულ ენებზეა გამოქვეყნებული გერმანიაში, ინგლისში, აშშ-ში, ჩეხეთში, უნგრეთში, სამ ათეულზე მეტი - „Вестник древней истории“-ს ფურცლებზე, მოსკოვსა და ლენინგრადში (სანკტ-პეტერბურგში) გამოცემულ, მაღალ სამეცნიერო დონის კრებულებში, ათეულობით სტატია - საქართველოში.

გრიგოლ გიორგაძე წარმატებით მონაწილეობდა მეცნიერთა რესპუბლიკურ და საერთაშორისო ფორუმების (თბილისი, მოსკოვი, ლენინგრადი/სანკტ-პეტერბურგი, ერევანი, ბუდაპეშტი, ბერლინი, პარიზი, პრაღა, ედინბურგი, ვენა, ჩორუმი) მუშაობაში. მის მიერ წაკითხული მოხსენებები, როგორც წესი, პრობლემის დასმის სიახლით, მდიდარი ფაქტობრივი მასალის სიღრმისეული ანალიზით, დასკვნების დამაჯერებლობით გამოირჩეოდა. მეცნიერი მარადჟამს სასურველი სტუმარი იყო, როგორც რუსეთის, ასევე ევროპისა და ამერიკის კონტინენტის სამეცნიერო ცენტრებში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გრიგოლ გიორგაძის პედაგოგიური მოღვაწეობა. ქართული ხეთოლოგიური სკოლის ერთ-ერთ დამფუძნებლად აღიარებულმა მან მაღალკვალიფიციური არაერთი ხეთოლოგი, ხურიტოლოგი და ასირიოლოგი აღზარდა. ისინი თავის მასწავლებლის მხარდამხარ მოღვაწეობდნენ ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ძველი ისტორიის განყოფილებაში, რომელსაც ბატონი გრიგოლი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა, ივანე

ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, მის მიერვე დაფუძნებულ ასირიოლოგიის კათედრაზე და სხვაგან. ბატონი გრიგოლი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არაერთ სალექციო კურსს კითხულობდა (ძველი აღმოსავლეთის ისტორია და დიპლომატია, უძველესი ახლოაღმოსავლური ეთნოსები, ხეთების, ხათების, ხურიტების, ურარტუს ისტორია, ასირიოლოგიის საფუძვლები), ატარებდა ლექცია-სემინარებს, მისთვის რჩეული გულმოდგინებით ზრდიდა თაობის მომავალ ცვლას.

ორი სადისერტაციო საბჭოს (მსოფლიო ისტორიასა და საქართველოს ისტორიაში) წევრი, ბატონი გრიგოლი მისაბაძი რეცენზენტი, ექსპერტი და ოპონენტი იყო, იგი კეთილმოსურნე და პრინციპული, მაღალი მეცნიერული და ზნეობრივი ღირებულებების მატარებელი და პირუთვნელი დამცველი გახლდათ.

რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას გრიგოლ გიორგაძის სამეცნიერო კარიერასა და რეგალიების შესახებაც.

ქართული მეცნიერების წინაშე დიდი დამსახურებისთვის ბატონი გრიგოლი „ღირსების ორდენით“ იყო დაჯილდოვებული (1997), არჩეული იყო აშშ-ს ბიოგრაფიული ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევების მრჩეველთა საბჭოს წევრად (1998), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების წევრად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოლოგიისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოების წევრად.





ბატონი გრიგოლ გიორგაძე დაბადების 75 წლისთავს  
 ჩორუმში (თურქეთი) ხეთოლოგთა V საერთაშორისო  
 კონგრესზე წაკითხული მოხსენებითა და ახალი მონოგ-  
 რაფიით: „უძველესი აღმოსავლური ეთნოსები და  
 ქართველთა წარმომავლობა“ შეხვდა. მოგვიანებით,  
 აღნიშნულმა ნაშრომმა ყოველი ქართველი ისტორიკო-  
 სისათვის ძალზე საპატიო ჯილდო — აკადემიკოს სი-  
 მონ ჯანაშიას სახელობის პრემია დაიმსახურა.

სამწუხაროდ, გრიგოლ გიორგაძის დაბადების სახე-  
 ლოვან 80 წლისთავს მის გარეშე აღვნიშნავთ, თუმცა  
 მისი ამქვეყნიური სიცოცხლე კვლავ გრძელდება,  
 გრძელდება მის მშვენიერ შთამომავლობაში, მრავალ-  
 რიცხოვან მოწაფეებში, საქმეში, რომელსაც იგი ბოლო  
 ამოსუნთქვამდე ერთგულად ემსახურა, სამეცნიერო  
 მემკვიდრეობაში, რომელმაც მის სიცოცხლეშივე მოი-  
 პოვა საყოველთაო აღიარება საქართველოშიც და მის  
 ფარგლებს გარეთაც.

2008 წლის ვარდობისთვე

1928 წლის 19 მაისი ღირსშესანიშნავი თარიღია. ამ დღეს, თბილისში, ვერის მშვენიერ ძველ უბანში, თამარ სააკაშვილს და აკაკი მენაბდეს ვაჟი – ედუარდი შეეძინათ. ბავშვობა და ყრმობა წიგნის სამყაროში გაატარა. დედა გერმანისტი, პედაგოგი ჰყავდა, მამა – იურისტი. შრომისმოყვარეობით, ნათელი გონებითა და ნიჭიერებით თავიდანვე გამოირჩეოდა. საშუალო სკოლაში, კლასიდან კლასში ქების სიგელით გადადიოდა (დღეს ბატონ ედუარდის პირად არქივში 10 ასეთი სიგელია სათუთად დაუნჯებული). თბილისის ვაჟთა X სკოლა 1945 წელს ოქროს მედლით დაამთავრა. დიპლომატის სპეციალობაზე ოცნებობდა, თუმცა მისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ეს ოცნება ოცნებად დარჩა. 1945-46 წლებში საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტი იყო. 1946 წელს სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილებაზე განაგრძო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ედუარდისათვის წარმატებული აღმოჩნდა. დიდი მეცნიერებისკენ პირველი ნაბიჯები სწორედ აქ გადადგა. აქტიურად იყო ჩართული უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო წრის მუშაობაში. 1948-1949 წლებში თავმჯდომარეობდა დიპლომატიის ისტორიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა სტუდენტთა სამეცნიერო წრეს. მის მიერ მომზადებულმა და საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციებზე წაკითხულმა მოხსენებებმა: „ეკონომიკური საკითხები

პარიზის კონფერენციაზე“, „ლონდონის 1841 კონფერენცია“, „საქართველოს საერთაშორისო სამართლებრივი მდგომარეობა“ პროფესორ-მასწავლებელთა მაღალი შეფასება დაიმსახურა. მოხსენების თეზისები გამოქვეყნდა. მონონება ხვდა წილად მის სადიპლომო ნაშრომსაც, თემაზე: „თურქეთის სახელმწიფო წყობილება“. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ედუარდ მენაბდის მიერ გატარებული წლები 1951 წელს წარჩინების დიპლომით დაგვირგვინდა. უფრო მეტიც, ვალერიან გაბაშვილის წარდგინებითა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით, მას შესაძლებლობა ეძლეოდა მონაწილეობა მიეღო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცხადებულ, ასპირანტურაში მისაღებ კონკურსში, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სპეციალობაში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის სახელზე 1952 წლის 19 აგვისტოს ედუარდ მენაბდის მიერ დანერილ განცხადებაში ვკითხულობთ: „1951 წელს წარჩინებით დავამთავრე სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. მაქვს სურვილი განვაგრძო სწავლა ასპირანტურაში ძველი აღმოსავლეთის ისტორიის სპეციალობაში. მაქვს ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაცია. გთხოვთ, დამიშვათ საკონკურსო გამოცდებზე“.

საკონკურსო გამოცდებისათვის მომზადებულ ედუარდ მენაბდის 19 გვერდიან რეფერატთან („ურარტული

სახელმწიფოს სოციალური სტრუქტურის ზოგიერთი საკითხი“) დაკავშირებით გიორგი მელიქიშვილი წერდა: „...ავტორი კარგად იცნობს საკითხის გარშემო არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას, მოხდენილად აღაგებს მის ხელთ არსებულ მასალას, იჩენს დამოუკიდებელი აზროვნების უნარს... ფართოდ იყენებს ძველი აღმოსავლეთის საზოგადოებათა ბუნების შესახებ არსებულ დებულებებს და ახერხებს ორგანულად დაუკავშიროს ისინი მის მიერ განხილულ კონკრეტულ საკითხებს“.

ჩვენი იუბილარი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტურაში ჩაირიცხა. ამიერიდან იგი ძველი აღმოსავლეთის ხალხთა იდუმალებით აღსავსე ისტორიის სამყაროში აღმოჩნდა. წინ შრომატევადი კვლევა-ძიებების შესრულება ელოდა: ძველი, ე.წ. „მკვდარი ენებისა“ — ხეთურის, აქადურის, ურარტული და ლურსმული დამწერლობის შესწავლა, მანამდე ნაკლებად წარმოჩენილი ძველ აღმოსავლური პრობლემატიკის გააზრება, უცხოენოვანი სამეცნიერო სპეციალური ლიტერატურის გაცნობა-დამუშავება და ანალიზი. მაგრამ ყველა ამ პრობლემის დაძლევისათვის იგი მზად იყო. სრულად ფლობდა რუსულ, ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ და თურქულ ენებს. უკიდევანო იყო მისი ინტელექტუალური შესაძლებლობანი.

ასპირანტურის წლებიდან მოყოლებული ედუარდ მენაბდის ბოლო ამოსუნთქვამდე, მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი, ამასთანავე, დიდი მეგობარი და გულშემატკივარი აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი გახ-

ლდათ. ასპირანტურაში სწავლის წლებში ედუარდმა საკანდიდატო მინიმუმით გათვალისწინებული უკლებლივ ყველა საგანი წარჩინებით, თანაც ვადაზე ადრე ჩააბარა. მოამზადა 25 გვერდიანი რეფერატი, თემაზე: „ხეთთა ისტორიის ზოგიერთი საკითხი“ თურქული საისტორიო საზოგადოების ჟურნალ „Belleten“-ში, რომელსაც საკმაოდ სოლიდური, ძირითადად, უცხოენოვანი ბიბლიოგრაფია ახლდა. რეფერატი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 1953 წლის 14 აპრილის სხდომაზე იქნა მოსმენილი. რეფერატს საერთო მოწონება ხვდა წილად. ასეთივე შედეგით აღინიშნა ასპირანტის მიერ 1955 წელს იმავე საბჭოზე წარდგენილი ნაშრომი: „ტელეფინუს ბრძანებულება და მისი ისტორიული მნიშვნელობა“.

ერთ-ერთ ანგარიშში, რომელიც მეცნიერს 1955 წლის 27 მარტს დაუწერია, ვკითხულობთ: „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტურაში 1952 წლის 16 ოქტომბრიდან ვირიცხები, სპეციალობით ძველი აღმოსავლეთის ისტორია.“

პირველი ორი წლის განმავლობაში ვსწავლობდი შემდეგ საგნებს: დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი (ჩავაბარე – 1953 წლის ივნისში), ფრანგული ენა (ჩავაბარე – 1954 წლის მარტში), ხეთოლოგიის საფუძვლები (ჩავაბარე – 1954 წლის მარტში), აღმოსავლეთისა და საქართველოს ისტორია (ჩავაბარე – 1954 წლის მარტში). ამრიგად, 1954 წლის მარტისათვის ჩაბარებული მქონდა საკანდიდატო მინიმუმის ყველა საგანი.

ამის შემდეგ შევუდექი მუშაობას სადისერტაციო თემაზე: „ხეთების სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის ზოგიერთი საკითხი (ხეთური სამართლებრივი ძეგლების მიხედვით)“. 1954 წლის მარტ-აგვისტოში ვიმყოფებოდი ლენინგრადსა და მოსკოვში, სადაც ვამუშავებდი დისერტაციისათვის საჭირო მასალას. ამჟამად, ეს მასალა ხელთ მაქვს და შევუდექი დისერტაციის წერას. სადისერტაციო ნაშრომი მზად იქნება გეგმით გათვალისწინებულ ვადაში“.

ედუარდ მენაბდემ პირობა პირნათლად აღასრულა, სამეცნიერო ხელმძღვანელის იმედები სავსებით გამართლა. მალალ მეცნიერულ დონეზე მომზადებული სადისერტაციო გამოკვლევით, თემაზე: „მონობის ინსტიტუტის განვითარების ზოგიერთი საკითხი ხეთების სახელმწიფოში“, 1956 წლის 4 ივლისს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე წარსდგა. ოპონირებას მას მაშინ უკვე კარგად ცნობილი ისტორიკოსები, შოთა მესხია და თეიმურაზ მიქელაძე უწევდნენ, ხოლო ნაშრომის რეცენზირება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მოწვეულ წევრს, სომხეთის აკადემიის წევრ/კორესპონდენტს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ სურენ ერემიანს ეთხოვა. ოპონენტებიც და რეცენზენტიც ხაზგასმით აღნიშნავდნენ სადისერტაციოდ შერჩეული პრობლემის სიახლეს, მის აქტუალობას, მოვლენების ანალიზის ავტორისეულ შესაშურ უნარს, ფართო ერუდიციას, ურთულესი ხასიათის პირველწყაროების ღრმა ცოდნას, მიღებული დასკვნების ორიგინალობას და მნიშვნელო-



ბას ხეთოლოგიური კვლევების შემდგომი განვითარებისათვის. დისკუსიაში მონაწილეთა ერთსულოვანი თვალსაზრისით, ხეთურ სახელმწიფოში მონობის ინსტიტუტის შესწავლისადმი მიძღვნილი ედუარდ მენაბდის მონოგრაფიული გამოკვლევა ხეთოლოგიის საყურადღებო შენაძენი იყო.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის მაშინდელ, 21 წევრისგან შემდგარ სამეცნიერო საბჭოს, რომელსაც აკადემიკოსი ნიკოლოზ ბერძენიშვილი ხელმძღვანელობდა, არაერთი თვალსაჩინო მეცნიერის გვარი ამშვენებდა. მათ შორის იყვნენ: გიორგი ჩუბინაშვილი, გიორგი ჩიტაია, სიმონ ყაუხჩიშვილი, გიორგი გოზალიშვილი, გიორგი მელიქიშვილი, ანდრია აფაქიძე, ვარლამ დონდუა, ალექსი რობაქიძე, რუსუდან ხარაძე, ალექსანდრე ფირცხალაიშვილი, შოთა ჩხეტია, შოთა მესხია... ხარისხის მინიჭებას ხმა სამეცნიერო საბჭოს სხდომაში მონაწილე 17-ვე წევრმა მისცა.

ედუარდ მენაბდის სადისერტაციო ნაშრომი ხეთოლოგიურ მეცნიერებაში დასამკვიდრებლად სერიოზულ განაცხადს წარმოადგენდა.

1956 წლის ნოემბრიდან ედუარდ მენაბდე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ძველი ისტორიის განყოფილების მეცნიერ თანამშრომელია. ამ ინსტიტუტში მან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე – 1981 წლის 18 აპრილამდე, თავაუღებლივ იღვანა.

ძველი ისტორიის განყოფილებაში ედუარდ მენაბდის მიერ ჩატარებულმა 10 წლიანმა სამეცნიერო კვლე-



ვა-ძიებებმა სერიოზული ნაყოფი გამოიღო. 1966 წლი-  
 სათვის მეცნიერი საქართველოში და მის ფარგლებს გა-  
 რეთ (მოსკოვი, ლენინგრადი, პარიზი, ბუდაპეშტი, ლა-  
 იფციგი...) გამოქვეყნებული 26 სამეცნიერო ნაშრომის  
 ავტორი გახლდათ, რომელთაგან 17 ისეთ სოლიდურ გა-  
 მოცემებში იქნა დასტამბული, როგორცაა: „Вестник  
 древней истории“, „Переднеазиатский сборник“, „Проблемы  
 социально-экономической истории древнего мира“, „Труды  
 международной XXV конференции востоковедов“, „აღმო-  
 სავლური კრებული“, „ახლოაღმოსავლურ-კავკასიური  
 კრებული“, „ძველი ისტორიის საკითხები“ და ა.შ.

1955-1966 წლებში ედუარდ მენაბდის მიერ გამოქ-  
 ვეყნებულ სხვადასხვაენოვან სამეცნიერო ნაშრომებში,  
 აღმოსავლეთმცოდნეთა საკავშირო სესიებზე 1958,  
 1962, 1966 წლებში, აღმოსავლეთმცოდნეთა XXV საერ-  
 თაშორისო კონგრესზე წაკითხულ მოხსენებებში სკრუ-  
 პულოზურად იყო გამოკვლეული ხეთების ისტორიის  
 მანამდე ნაკლებად შესწავლილი, ხოლო ხშირად სადის-  
 კუსიო საკითხების რიგი. ჩვენი იუბილარის მიერ ჩატა-  
 რებული კვლევა-ძიებანი საშუალებას აძლევდა ძველი  
 აღმოსავლეთის, კერძოდ კი ხეთების ისტორიით დაინ-  
 ტერესებულ სპეციალისტებს, ღრმად ჩაეხედათ ჯერ  
 კიდევ საიდუმლოებებით აღსავსე ამ ძველი ხალხის ის-  
 ტორიაში.

ედუარდის 10 წლიანი ძიებანი 1965 წელს ფუნდამენ-  
 ტური მონოგრაფიის „Хеттское общество (экономика, собс-  
 твенность, семья и наследование)“ გამოქვეყნებით დაგ-  
 ვირგვინდა. ამ ახალმა სამეცნიერო გამოკვლევამ აღია-  
 რება წიგნის თაროზე გამოჩენისთანავე მოიპოვა, სა-





ქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც. წიგნის ავტორის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად იქნა წარდგენილი. წინასწარი რეცენზირებისათვის იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს, აკადემიკოს გიორგი წერეთელს გადაეცა. სადისერტაციო ნაშრომის განხილვა 1966 წლის 30 მაისს გაიმართა. სხდომაზე ბატონ ვაჟა გვახარიას დადებითი, საკმაოდ ვრცელი მოხსენება მოისმინეს. რეცენზენტი ბრძანებდა: „ედუარდ მენაბდე წარმატებით და ხანგრძლივად მუშაობს ხეთურ სამართალში. მისი შრომები კარგა ხანია ცნობილია როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე უცხოეთშიც. მან მრავალგზის გამოსცა საინტერესო გამოკვლევები, საკავშირო სამეცნიერო სესიებზე მრავალი მისი ახლებურად წამოყენებული დებულება გამხდარა მსჯელობის საგანი. მისი საყურადღებო მონოგრაფია „ხეთური საზოგადოება“ ავტორის ხანგრძლივი შრომის შედეგს წარმოადგენს. მაღალკვალიფიციური ეს ნაშრომი თანამედროვე ხეთოლოგიის მიღწევებს ემყარება. გათვალისწინებულია ძველი აღმოსავლეთის სამართალში და ეკონომიკაში გამოცემული ყველა ძირითადი გამოკვლევა და მათი ღრმა ანალიზის საფუძველზე ახლებურადაა გაშუქებული მთელი რიგი ფუნდამენტური საკითხებისა, რომლებიც განსხვავებულად და ძირითადად, დამაჯერებლად გამოიყურება, როგორც უცხოეთში, ასევე საბჭოთა ავტორების ანალოგიურ გამოკვლევებთან შედარებით“. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში გამართულ სამეცნიერო

საბჭოს სხდომაზე სადისერტაციო მონოგრაფიამ გიორგი წერეთლის, სიმონ ყაუხჩიშვილის, სერგი ჯიქიას, ვალერიან გაბაშვილის მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებელ სხდომაზე მეცნიერი 1966 წლის 14 ივლისს წარსდგა. საჯარო პაექრობამ სერიოზული მეცნიერული დისკუსიის ვითარებაში ჩაიარა. ბატონი ედუარდის ოპონენტებად თვალსაჩინო მეცნიერები იყვნენ მოწვეული: მაშინ უკვე მხცოვანი, ძველი ისტორიის უბადლო სპეციალისტი ალექსანდრე წერეთელი, რუსული აღმოსავლეთმცოდნეობის პატრიარქად წოდებული იგორ დიაკონოვი და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, შემდგომში მსოფლიო სამეცნიერო წრეებში ფართოდ აღიარებული, თამაზ გამყრელიძე. დისერტანტის მონოგრაფიას „ხეთური საზოგადოება“ დადებითი რეცენზიებით გამოეხმაურნენ: გრიგოლ გიორგაძე (თბილისი), იგრარ ალიევი (ბაქო), გიორგი დოვგიალო (მინსკი). რეცენზიებისა და გამოხმაურებების ავტორები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ედუარდ მენაბდის მონოგრაფია „ხეთური საზოგადოება“ საბჭოთა კავშირში გამოქვეყნებული პირველი მონოგრაფიული ნაშრომია, რომელიც ხეთების სახელმწიფოს, ძველი აღმოსავლეთის ერთ-ერთი ჯერ კიდევ ნაკლებად შესწავლილი ქვეყნის, სოციალ-ეკონომიკური საკითხთა მთელ რიგს ინტერპრეტაციისათვის ურთულესი პირველწყაროების საფუძველზე აშუქებს. იქვე იმასაც ესმებოდა ხაზი, რომ ედუარდ მენაბდის მონოგრაფიული გამოკვლევა არა მხოლოდ ანზოგადებს ჩვენს ცოდნას ხეთური საზოგადოებების შესახებ, არამედ მრავალ, კარდინალურ-

რი მნიშვნელობის საკითხზე ავტორისეულ ძალზე ხაზს უსვამდა, სრულიად ახალ ხედვასაც გვთავაზობს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ ედუარდ მენაბდეს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი ერთხმად მიანიჭა. ამიერიდან, ედუარდ მენაბდემ ქართულ, და არა მხოლოდ ქართულ, ხეთოლოგიაში, ღირსეული ადგილი საბოლოოდ დაიმკვიდრა. მისი მონოგრაფია „ხეთური საზოგადოება“ კი, ხეთოლოგების სამაგიდო წიგნად იქცა.

1969 წელს ედუარდ მენაბდეს პროფესორის წოდება მიეკუთვნა.

XX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისიდან ედუარდ მენაბდის სამეცნიერო ძიებებში უახლესი ისტორიის პრობლემატიკამ იმძლავრა, თუმცა ინტერესს თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებისადმი იგი წინა წლებშიც იჩენდა. 1974 წელს აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის თაოსნობით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში საზღვარგარეთის იდეოლოგიურ და სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემათა შემსწავლელი განყოფილება დაფუძნდა. სათავეში მას ედუარდ მენაბდე ჩაუდგა. მეცნიერი თავის „პირველ სიყვარულს“ — საერთაშორისო ურთიერთობების პრობლემატიკის შესწავლას დაუბრუნდა. მისი ინტერესების არეალში სხვა საკითხებთან ერთად, ამჯერად, ისტორიული მეცნიერების თეორია და მეთოდოლოგია მოექცა. პირველმა წარმატებებმაც



არ დააყოვნა. ედუარდის ხელმძღვანელობითა და დაქტორობით 1978 წელს გამოქვეყნებულმა კრებულმა „Вопросы идеологии“ საზოგადოების მოწონება დაიმსახურა. კრებულს ჩვენი იუბილარის ორი, ძალზე საყურადღებო ნარკვევი ამშვენებდა: „Соединенные Штаты против Ричарда Никсона и национализм на пути социалистического прогресса: препятствие или катализатор?“. იმთავითვე აღინიშნა, რომ ეს ორი სტატია ამ საკითხებზე საბჭოთა ლიტერატურაში გამოქვეყნებულ ნაშრომთაგან საუკეთესოთაგანია.

ედუარდ მენაბდის მაღალმა კვალიფიკაციამ, ფართო თვალსაწიერმა, მისი მოღვაწეობის არეალი უკიდევანო გახადა. იგი საერთაშორისო ურთიერთობების ცნობილი მიმომხილველი გახდა. მას სიხარულით ხვდებოდნენ სხვადასხვა პერიოდული გამოცემების რედაქციებში, საქართველოს რადიოსა და ტელევიზიაში, აუდიტორიებში, სადაც მას დაინტერესებულ მსმენელთან უშუალო კონტაქტი შეეძლო დაემყარებინა. როგორც წესი, ედუარდ მენაბდის საჯარო ყოველი გამოსვლა საზოგადოების ფართო წრეების ყურადღების ცენტრში ექცეოდა. ტელეეკრანიდან, თუ ქართული პრესის ფურცლებიდან წარმოთქმული მისი ყოველი სიტყვა საოცარი ტაქტით გამოირჩეოდა: იყო მრავალგზის აწონილი, გააზრებული, ღრმა შინაარსით გაჯერებული, მართალი და პატიოსანი, ისეთი როგორც თავად მათი ავტორი ბრძანდებოდა.

მეცნიერი აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. სხვადასხვა დროს იყო საზღვარგარეთთან კულტურული ურთიერთობების საქართველოს საზოგა-



დოების კორესპონდენტი, პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილი წევრი, პოლიტიკანათლების რესპუბლიკური სახლის მეთოდოლოგიური საბჭოს თავმჯდომარე, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო მუშათა ეროვნულ-გამანთავისუფლებელი და დემოკრატიული მოძრაობის ისტორიის საპრობლემო საბჭოს საქართველოს სექციის თავმჯდომარე...

ვინც ედუარდ მენაბდეს იცნობდა, დამეთანხმება, რომ იგი გამორჩეული პიროვნება გახლდათ: ინტელიგენტი, ნიჭიერი, ზრდილი, კეთილი, მიმტევებელი, იუმორით აღსავსე, გულღია და უშუალო, უღალატო მეგობარი და კოლეგა. ადამიანი უყვარდა. ყოველთვის მზად იყო ახლობელსაც და არაახლობელსაც მხარში ამოდგომოდა, დახმარების ხელი გაეწვდინა. მასთან ურთიერთობა ზნეობრივად აგვამალლებდა, ზეიმის განცდას აღძრავდა...

ჩვენმა იუბილარმა ცხოვრების არც თუ ისე ხანგრძლივი გზა ქართველი ხალხის სამსახურში ღირსეულად განვლო. და რაოდენ სიმბოლური იყო, რომ სიცოცხლესთან მისი სამუდამო განშორება, 1981 წლის 28 აპრილს, სწორედ ხალხის გარემორცვაში, თბილისის „დინამოს“ სტადიონზე მოხდა. აქ შეხედა მან უკანასკნელად ქართულ ცას, აქ დაემშვიდობა მშობლიურ ქალაქს, რომელიც ასე ძლიერ უყვარდა!

მადლიერმა ქართველმა ხალხმა ედუარდ მენაბდის ნეშტი საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის წმინდა მიწას მიაბარა. მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ქართულ ცენტრალურ პრესაში ნეკროლოგე-

ბი, მოგვიანებით კი, ჟურნალ „მაცნეს“ ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერიაში მასთან გამოსათხოვარი წერილი გამოქვეყნდა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივი მეცნიერებათა განყოფილების, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის, სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის და საქართველოს ისტორიკოსთა საზოგადოების სახელით შედგენილი, ედუარდ მენაბდისადმი მიძღვნილი ნეკროლოგი შემდეგი სიტყვებით მთავრდება: „ნათელმა კაცმა, ნათელი კვალი დატოვა. მისი ცხოვრება სამშობლოს ერთგული სამსახურის დაუვინყარი მაგალითია. სპეტაკი პიროვნების, მრავალმხრივი მეცნიერის, დიდად ნაყოფიერი ჟურნალისტის და ღირსეული მოქალაქის — ედუარდ მენაბდის სახელს დრო ვერ წაშლის, მისი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენი თაობის გულში“.

ედუარდ მენაბდის ნეკროლოგის ავტორები მართალი აღმოჩნდნენ. მისი მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობა 27 წლიანი პაუზის შემდეგაც ცოცხლობს, მნიშვნელობას არ კარგავს, ხოლო მისი ავტორის ცხოვრების მაგალითზე დღესაც ვსწავლობთ თუ როგორი უნდა იყოს სრულყოფილი პიროვნება, როგორ უნდა გვიყვარდეს მოყვასი, როგორ თავდაუზოგავად უნდა ვიშრომოდ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

2008 წლის ვარდობისთვე

თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, ღირსეული მამულიშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ/კორესპონდენტი დავით ხახუტაიშვილი აჭარის უმშვენიერეს სოფელ ალამბარში, ტრადიციულ ქართულ ოჯახში 1924 წლის 16 იანვარს დაიბადა. მამა ახმედ ხახუტაიშვილი ცნობილი საზოგადო და სასულიერო მოღვაწე, თურქეთის მეჯლისის დიდად საპატივცემულო წევრი გახლდათ. იგი 1928 წელს სტამბულში გარდაიცვალა. უმამოდ დარჩენილი 6 შვილის აღზრდა-პატრონობა დედამ, შესანიშნავმა ქართველმა ქალბატონმა აიშე მენალარიშვილმა-ხახუტაიშვილისამ ითავა. შვილებს შრომა ასწავლა, ცოდნის შეძენის სურვილი გაუღვიძა, სამშობლოს სიყვარული ჩაუნერგა. ბატონ დავითს დედის ამაგი არასოდეს დავინყნია. მას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ ცხოვრების გზაზე გადადგმულ, ყოველ ნარმატიებულ ნაბიჯს საფუძველი შორეულ ბავშვობაში, დედის ზრუნვითა და სიყვარულით გამთბარ მამა-პაპათა სახლში ჩაეყარა.

პატარა დავითი ნიჭიერებით, ცოდნის დაუფლების დაუოკებელი წყურვილით ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა. ალამბარის არასრულ საშუალო სკოლაშიც (1932-1039წწ.) და ილია ჭავჭავაძის სახელობის ქობულეთის პედაგოგიურ სასწავლებელშიც (1939-1943წწ.) ბეჯითად, თავაუღებლივ სწავლობდა, ბევრს კითხულობდა, ყოველმხრივ სანიმუშო ახალგაზრდა იყო. 1941 წელს

დანყებულ ომთან დაკავშირებით პედაგოგიურ სასწავლებელში სწავლა შეწყვიტა. 17 წლის ასაკში სამშობლოს დასაცავად მოხალისედ წავიდა, 815-ე პოლკის 394-ე დივიზიაში ჩაირიცხა. ქლუხორის მისადგომებთან მტერს ტყვიამფრქვევით ებრძოდა. 1942 წელს, ერთ-ერთი ბრძოლის დროს მძიმედ დაიჭრა. 1942 წლის ნოემბერში არმიიდან დემობილიზებულ იქნა. სწავლა კვლავ ილია ჭავჭავაძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში განაგრძო, რომელიც 1943 წელს წარჩინებით დაამთავრა. იმავე წელს შრომით საქმიანობას შეუდგა. ჯერ სოფელ ალამბრის კოლმეურნეობის სუბტროპიკულ მცენარეთა სანერგის გამგედ მუშაობდა (1943-1945წწ.), შემდეგ იმავე სოფლის არასრული საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილედ სამხედრო-ფიზკულტურული მომზადების დარგში. მოგვიანებით, იოსებ ხახუტაიშვილი ამ წლებთან დაკავშირებით იხსენებდა: „დავით ხახუტაიშვილი აქაც გამოირჩეოდა როგორც სანიმუშო მშრომელი ახალგაზრდა. სოფელში მის გარეშე რომელიმე ოჯახში ნადი წარმოუდგენელი იყო. ფიზიკური სიძლიერის გამო სამი კაცის საქმის კეთება შეეძლო. ნებისმიერი ასაკის ადამიანს უხაროდა მასთან ყოფნა და შრომა. მისი იუმორი თუ საინტერესო ამბების გადმოცემის განსაკუთრებული უნარი მხიარულ ატმოსფეროს ქმნიდა და მძიმე დაღლილობას ანეიტრალებდა“.

მაგრამ დავითს გული მაინც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისადმი მიუწევდა. ისტორიკოსობაზე ოცნებობდა. და აი, 1946 წელს მისი ოცნება აღსრულდა. მისაღები გამოცდების ბრწყინვალედ ჩაბარების შედეგად იგი ამ უმაღლესი სასწავლებლის ისტორიის ფა-





კულტეტზე ჩაირიცხა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი პედაგოგები ბრძანდებოდნენ გამოჩენილი მეცნიერები: ნიკოლოზ ბერძენიშვილი, ვარლამ დონდუა, გიორგი ნიორაძე, გიორგი ნამორაძე, იასე ცინცაძე, შოთა მესხია, ვალერიან გაბაშვილი და სხვები.

დავით ხახუტაიშვილმა, როგორც ნიჭიერმა, შრომისმოყვარე, ყოველმხრივ მოწესრიგებულმა სტუდენტმა პროფესორ-მასწავლებელთა ყურადღება იმთავითვე მიიპყრო. წარჩინებულად სწავლობდა. შედეგებმაც არ დააყოვნა. იგი აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის სტიპენდიანტიც გახდა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეც. ბევრს კითხულობდა, კალამიც კარგად უჭრიდა. სტუდენტთა საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციებზე წაკითხული მისი მოხსენებები, როგორც წესი, მაღალ შეფასებას იმსახურებდა. 1945 წელს სტუდენტთა XI სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული ერთ-ერთი ასეთი მოხსენების თეზისები, თემაზე: „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ 1949 წელსვე გამოქვეყნდა, ხოლო თავად მოხსენება 1950 წელს „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა შრომების“ V ტომში დაიბეჭდა. 1951 წელს დავით ხახუტაიშვილმა დიდი შრომა გასწია გურიისა და აჭარის ისტორიის ამსახველი სიგელ-გუჯრების აღწერილობისათვის. ეს ნაშრომი ამჟამად აჭარის სახელმწიფო მუზეუმის არქივშია დაუნჯებული. 1951 წელს ბატონმა დავითმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი წარჩინების დიპლომით დაამთავრა. იმავე წელს აკადემიკოს

ნიკოლოზ ბერძენიშვილის სამეცნიერო ხელმძღვანელობით სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში განაგრძო, რომელიც ასევე წარჩინებით 1954 წელს დაასრულა.

1954 წლის ნოემბერში დავით ხახუტაიშვილი აკადემიკოს ნიკოლოზ ბერძენიშვილის წარდგინებით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის მიერ ახლად დაფუძნებული ძველი ისტორიის განყოფილებაში იქნა მიღებული. აქ მან ჯერ უმცროსი, ხოლო შემდეგ უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე 1977 წლის ივლისამდე და XX საუკუნის 90-იან წლებშიც ნაყოფიერად იღვანა. სწორედ ამ განყოფილებაში დაიწყო დავით ხახუტაიშვილის წარმატებული, ახალი ძიებებით, აღმოჩენებით აღსავსე სამეცნიერო მოღვაწეობის მრავალწლიანი გზა. სწორედ აქ 1955 წელს მოუპოვა მას პირველი აღიარება ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილმა ნაშრომმა: „შავიზღვისპირეთის ქართველური ტომები ბერძენ-ლათინთა მწერლების ცნობებით“, რომელიც დღეს ისეთივე ღირებულია, როგორც იგი ამ 54 წლის წინათ იყო. დავით ხახუტაიშვილის საკანდიდატო დისერტაციის საჯარო დაცვა 1955 წლის 22 აპრილს გაიმართა. ნაშრომმა ოფიციალური ოპონენტების, თვალსაჩინო მეცნიერების, გიორგი მელიქიშვილისა და შოთა მესხიას მაღალი შეფასება დაიმსახურა. აღინიშნა, რომ, ფაქტობრივად, ეს პირველი მონოგრაფიული გამოკვლევაა, რომელშიც ბერძენულ-ლათინური წერილობითი წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული გააზრე-

ბის საფუძველზე, მაღალ მეცნიერულ დონეზე აღმკვეთილი ძვ. წ. VI- ახ. წ. VI საუკუნეთა აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ისტორიული გეოგრაფიის, ეთნიკური, სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურის ისტორიის პრობლემატიკა. მოვლენებს ოდნავ წინ გავუსწრებ და აღვნიშნავ, რომ 1991 წელს დავით ხახუტაიშვილი კოლხური ტომების ძველი ისტორიის პრობლემატიკის კვლევას კვლავ დაუბრუნდა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც 1990 წლის მაისში ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში ქართველი ხალხის ეთნოგენეზისისა და ეთნიკური განვითარების კომპლექსური შესწავლის ახლადშექმნილი საპრობლემო ჯგუფის ხელმძღვანელად ჩემი დანიშვნისთანავე ბატონმა დავითმა ბათუმიდან დამირეკა და ამ ჯგუფში მუშაობის სურვილი გამოთქვა. ჩემთვის ეს დიდი პატივიც იყო და უფროსი მეგობრის თანადგომაც. 4 წელი ნაყოფიერად ვითანამშრომლეთ. XX საუკუნის 90-იან წლებში დავით ხახუტაიშვილის მიერ საპრობლემო ჯგუფში შექმნილი ნაშრომები: „კოლხების განსახლება ძვ. წ. II ათასწლეულსა და ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში“, „კოლხთა ეთნოგენეზის პრობლემა კოლხური სამთო-მეტალურგიული ცენტრის მონაცემთა შუქზე“ და „კოლხური სამყაროს ადგილი ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისში“ გამოქვეყნებას ელის.

1955 წელს, საკანდიდატო დისერტაციის წარმატებული დაცვის შემდეგ, დავით ხახუტაიშვილმა ძირითადი სამეცნიერო კვლევა-ძიებანი პროტოქალაქური და ქალაქური ცივილიზაციების გენეზისის, ქართლის (იბე-

რიის) ადრეკლასობრივი ქალაქების სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურულ-ეთნიკური მოდელის რაობის განსაზღვრის მიმართულებით წარმართა. აქვე დავძენ: საქართველოს ადრეკლასობრივი ხანის ქალაქების სპეციალური შესწავლის იდეა აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილს ეკუთვნოდა, ხოლო მისი განხორციელების პატივი წილად ქალბატონ მერი ინაძესა და ბატონ დავით ხახუტაიშვილს ერგოთ. საჯარო გამოსვლაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა VIII კონფერენციაზე, რომელიც თბილისში, 1957 წლის აპრილში გაიმართა, დავით ხახუტაიშვილმა პირველად გააჟღერა საკუთარი ახალი თვალსაზრისი ქართული ადრეკლასობრივი ქალაქის გენეზისის შესახებ. შემდეგ წლებში იგი გეგმაზომიერად იკვლევდა პალეოურბანისტიკის ურთულესი პრობლემის სხვადასხვა ასპექტებს. მეცნიერის მიერ XX საუკუნის 50-იან-70-იან წლებში გამოქვეყნებულ ქართულ და რუსულენოვან სამეცნიერო სტატიებსა და მონოგრაფიებში სერუპულოზურადაა შესწავლილი ანტიკური ხანის ქართლის (იბერიის) ქალაქების გეოგრაფიული განლაგების, ისტორიული ტოპოგრაფიის, ქართული ადრეკლასობრივი ქალაქების წარმოქმნის, მათი რაობის, საქალაქო ცხოვრების და საკვლევ პრობლემისათვის სხვა არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი. ბუნებრივია, რომ დავით ხახუტაიშვილის კვლევა-ძიებათა ამ ეტაპზე მისი ძირითადი ყურადღება და ძალისხმევა ქართლის (იბერიის) უნიკალურმა ძეგლმა, კლდეში ნაკვეთმა ქალაქმა – უფლისციხემ დაიმსახურა. დავით ხახუტაიშვილის ხელმძღვანელობითა



და აქტიური მონაწილეობით ჩატარებულმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის და შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ერთობლივმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებებმა უფლისციხის ისტორიის სრული რეკონსტრუქციისათვის მყარი საფუძველი შექმნა. დავით ხახუტაიშვილმა მის მიერვე აღმოჩენილი არქეოლოგიური რეალები და მანამდე არსებული პირველწყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის ღრმა, მეცნიერული კრიტიკული ანალიზის გზით უფლისციხის ისტორიის შესწავლა სრულიად ახალ საფეხურზე აიყვანა. 1964-1989 წლებში გამოქვეყნებულ მონოგრაფიებში: უფლისციხე I, 1957-1963 წწ. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები (რეზიუმე რუსულ ენაზე), თბილისი, 1964, 117 გვ+54 ტაბულა; კლდეში ნაკვეთი ქალაქი, თბილისი, 1965, 116 გვ., უფლისციხე, II, 1963-1969 წწ; არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები (რეზიუმე რუსულ ენაზე), თბილისი, 1970, 142 გვ.+65 ტაბულა; უფლისციხე – ქალაქი კლდეში, თბილისი, 1989, 124 გვ., მეცნიერის ათეულობით სამეცნიერო სტატიაში ახლებური ხედვითაა წარმოდგენილი უფლისციხის გენეზისი და მისი განვითარების ეტაპები, ნაჩვენებია საქალაქო ცხოვრების ისეთი მხარეები, როგორცაა მეურნეობა, ტრანსპორტი, გზები, არქიტექტურა, დახასიათებულია ქალაქის სოციალური სტრუქტურა, წარმოჩენილია უფლისციხის ადგილი საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის მატერიალური და სულიერი კულტურის საგანძურში.

პალეოურბანისტულ პრობლემატიკაზე მუშაობის პროცესში ბატონმა დავითმა ადრეკლასობრივი ხანის ქალაქების გენეზისთან დაკავშირებით ახალი, ძალზე საყურადღებო თეორიული ხასიათის კონცეფცია შეიმუშავა, რომელიც შემდგომ არაერთმა მეცნიერმა გაიზარა და აღიარა. მეცნიერის თვალსაზრისით, იბერიისა და კოლხეთის უძველესი ქალაქები (მცხეთა, უფლისციხე, დიოსკურია, გვინეოსი, ფიჭვნარ-ქობულეთი, ფაზისი) წინაკლასობრივი ხანის მსხვილი სამოსახლოებიდან განვითარდნენ: „ანტიკური ხანის იბერიისა და კოლხეთის ქალაქთა უძველესი ჯგუფები თავისი წარმოშობით არც ციხეებს უკავშირდება და არც ადმინისტრაციულ ცენტრებს. პირიქით, ციხეებისა და ადმინისტრაციული ცენტრების წარმოქმნა კლასობრივი საზოგადოებისა და ქალაქების ჩასახვა-წარმოქმნის პროცესის მოგვიანო ეტაპისთვისაა დამახასიათებელი. კერძოდ, ციხე და ადმინისტრაციული ცენტრი კლასობრივად უკვე მომნიჭებული საზოგადოების პოლიტიკურად გაფორმების შემდეგ ჩნდება, ხოლო ქალაქების ჩასახვა-წარმოქმნა რამდენადმე წინ უსწრებს მას“. დავით ხახუტაიშვილის ამ ახალ კონცეფციაში ყურადღება სავაჭრო გზების ფუნქციაზეცაა გამახვილებული. მეცნიერის თვალსაზრისით, „სავაჭრო გზები კი არ წარმოქმნიან ქალაქებს, არამედ ქალაქების წარმოქმნის პარალელურად ძველი დამაკავშირებელი გზები სავაჭრო გზებად ფორმდება“. მეცნიერი ერთმნიშვნელოვნად დაასკვნის, რომ „ადრეკლასობრივი ხანის ქართული ქალაქების ადრეული ჯგუფი გენეტიკურად არც ციხეებს უკავშირდება, არც ადმინისტრაციულ ცენტრებს და არც სავაჭრო გზებს,



არამედ იმ მსხვილ დაბურ სამოსახლოებს, რომლისთვისაც ცენტრალური ნაწილის გამაგრება, მის გარშემო გაშლილი დაუცველი დასახლება და სახელოსნო უბნებია დამახასიათებელი. ამგვარი სამოსახლოები, მეცნიერის აზრით, რკინის ფართო სამეურნეო ათვისების ხანის საქართველოში ბარის რეგიონებისთვისაა ნიშანდობლივი. ამ პერიოდს დავით ხახუტაიშვილი კლასობრივი საზოგადოების „ზღურბლად“ იაზრებს. მოგვიანებით, აკადემიკოსები გიორგი მელიქიშვილი, ოთარ ჯაფარიძე და საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო-ტექნიკური ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ე. ჩერნიხი ადრეკლასობრივი ქალაქების ისტორიის შესწავლაში დავით ხახუტაიშვილის მიერ შეტანილ წვლილთან დაკავშირებით წერდნენ: „მან (დავით ხახუტაიშვილმა – ნ. ხ.) პრინციპულად ახალ საფეხურზე დააყენა ადრეკლასობრივი ქალაქების ისტორიის კვლევა და პალეოურბანისტული პრობლემის შესწავლას ახალი მიმართულება მისცა. მის მიერ ამ უბანზე მიღებული შედეგები პალეოურბანისტის ძვირფასი შენაძენია“.

დავით ხახუტაიშვილის პალეოურბანისტული ძიებანი 1967 წელს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭებით დაგვირგვინდა. ძიებული ხარისხი მან ორი გამოქვეყნებული ნაშრომისათვის „უფლისციხე, I, 1957-1963 წწ. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები“, თბილისი, 1964, 117 გვ.+54 ტაბულა და „იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები“, თბილისი, 1966, 253 გვ. სავსებით კანონზომიერად დაიმსახურა.

XX საუკუნის 60-იან წლებშივე, დავით ხახუტაიშვილის სამეცნიერო ინტერესების თვალსაწიერში ლითონის წარმოების, დამუშავებისა და გამოყენების ისტორიის პრობლემატიკაც აღმოჩნდა. პირველი სამეცნიერო ნაშრომები, რომელიც ქართული რკინის მეტალურგიის ისტორიის შესწავლის ახალი ეტაპის მანიშნებელი იყო, მეცნიერმა ჯერ კიდევ 1964 წელს გამოაქვეყნა. სამეცნიერო სტატიები: „კოლხეთის რკინის მეტალურგიის სათავეებთან“ და „რკინის წარმოების უძველესი კერა ჭოროხის ქვემო დინებაში და არქეოლოგიური დაზვერვები გონიო-აფსაროსში“ სერიოზულ განაცხადს წარმოადგენდა ამ მიმართულებით შემდგომი კვლევადიებებისათვის. მეცნიერმა, ფაქტობრივად, პირველმა ქართველ ისტორიკოსთა შორის, ითავა ძველი კოლხური რკინის მეტალურგიის კომპლექსური შესწავლა და იგი საერთაშორისო მნიშვნელობის აღმოჩენებით დაავიზრგინა.

1964 წელს „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლების“ I ტომში გამოქვეყნებულ დავით ხახუტაიშვილის სტატიასთან დაკავშირებით აკადემიკოსი ნიკოლოზ ბერძენიშვილი ბრძანებდა: „ექსპედიციის მონაწილე დ. ხახუტაიშვილს აქვე (იგულისხმება ზემომითითებული კრებული – ნ. ხ.) ამ მონაპოვრის შუქზე გაუშლია ცოცხალი სურათი ჩოლოქის აუზის მკვიდრ ქართველ ტომთა ცხოვრებიდან. მისი მახვილგონივრული დაკვირვება და მეცნიერული შემოქმედების ნიშნით აღბეჭდილი ეს კომპოზიცია სწორედ იმის მონაპოვარაა, თუ რაოდენი მნიშვნელობის საკითხები დაისმის და გადაიჭრება ამ დიდი არქეოლოგიური მუშაობის შემდგომი გაშლა-გაღ-





რმავეების საფუძველზე. ეს არის დიდი საქმის დასაწყისი. მისი შემდგომი წარმატება ყოვლად საიმედო ჩანს. გვნამს, რომ მალე აღმოგვაჩნდება რკინის მეტალურგიის მაჩვენებელი დიდი რაოდენობის მასალა და ჩვენ შეგვეძლება ისეთივე ნივთიანი მსჯელობა გავმართოთ ქართველ ტომთა განვითარების ამ ახალი (რკინის ხანის) საფეხურის შესახებ, როგორი სისრულითაც მის წინარე მეტალურგიის (ბრინჯაოს ხანა) ჩვენებათა საფუძველზე ვმსჯელობთ". დავით ხახუტაიშვილმა თავისი დიდი მასწავლებლის იმედები სრულად გაამართლა.

კვლევის არქეოლოგიური, არქეომაგნიტური, რადიოკარბონული, თერმოლუმინისცენციური მეთოდების ფართო გამოყენების საფუძველზე შესწავლილმა, მეცნიერის მიერვე გამოვლენილმა 4 ძირითად საწარმოო კერაში გაერთიანებულმა 400-ზე მეტმა რკინის სადნობმა სახელოსნომ საშუალება მისცა მას დაედგინა ამ საწარმოო კერების ჩასახვა-ფუნქციონირების ქრონოლოგია, კერძოდ, რკინის სადნობი სახელოსნოების ადრეული ჯგუფი ძვ. წ. VII-VI საუკუნეებით დაეთარილებინა. დავით ხახუტაიშვილმა „პირველმა ნივთიერად დაასაბუთა, რომ რკინის მეტალურგიის ჩასახვა-განვითარების პირველადი სამშობლო ანატოლია კი არ იყო, როგორც ამას მანამდე ფიქრობდნენ, არამედ ქართველური სამყარო, კერძოდ, აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი. კავკასიაში ახლო აღმოსავლეთსა და ეგეოსურ სამყაროში არსებული ვითარების შედარებითი შესწავლის საფუძველზე მეცნიერი იმ მნიშვნელოვან დასკვნამდე მივიდა, რომ სწორედ ძველი კოლხეთია რკინის მეტალურგიის არა მხოლოდ თავდა-

პირველი სამშობლო, არამედ რკინა-ფოლადის ძირითადი მწარმოებელი და ამ ლითონის ძირითადი ექსპორტიორი ძვ. წ. II ათასწლეულსა და ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის სამხრეთ კავკასიაში, ახლო აღმოსავლეთისა და ეგეოსურ სამყაროს, მეურნეობრივად და სოციალურად დაწინაურებულ ქვეყნებში” (გ. მელიქიშვილი, ო. ჯაფარიძე, ე. ჩერნიხი). მეცნიერი იმ მნიშვნელოვან გარემოებაზეც ამახვილებდა ყურადღებას, რომ რკინის კოლხური მეტალურგია ადგილობრივ სანედლეულო ბაზას – მაგნეტიტურ სილას – მაგნეტიტურ რკინაქვას და ჰემატიტს ეფუძნებოდა, რომლის გამოსავლები ფართოდაა წარმოდგენილი მთელ აღმოსავლეთ შავიზღვისპირა ზოლში, გონიოდან მოყოლებული გაგრამდე. მკვლევარი იმ არა მცირე მნიშვნელობის ფაქტორებსაც ითვალისწინებდა, რომ იგივე რეგიონი პოლიმეტალური საბადოების, სანახშირე მაგარ-მერქნიანი ხე-ტყისა და ცეცხლგამძლე თიხის დიდი მარაგებით გამოირჩევა. აღნიშნული პრობლემის კვლევასთან დაკავშირებით დავით ხახუტაიშვილის დიდი დამსახურება ისიცაა, რომ მან ძველადმოსავლური (ძირითადად, ხეთური ლურსმული ტექსტების) მონაცემთა სკრუპულოზური ანალიზის საფუძველზე რკინის მეტალურგიის ისტორია სოციალურ ურთიერთობათა კონტექსტში გაიაზრა, რამაც საშუალება მისცა მეცნიერს, რკინის მწარმოებელთა შრომის ორგანიზაციის შთამბეჭდავი სურათი და აქედან გამომდინარე, ძველი კოლხური საზოგადოების მანამდე უცნობი ასპექტები წარმოეჩინა.

კოლხური რკინის მეტალურგიის ისტორიის შესწავლისადმი მიძღვნილმა დავით ხახუტაიშვილის ქართულ,



რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულენოვანმა ათეულობით ნაშრომმა მეცნიერს საერთაშორისო აღიარება მოუპოვა, ამიტომ სავსებით კანონზომიერი იყო, რომ ჩვენი იუბილარის შემაჯამებელი ფუნდამენტური მონოგრაფია „Производство железа в древней Колхиде“, Тбилиси, 1987, 262 с.+таблицы, ინგლისურ ენაზეც ითარგმნა.

დავით ხახუტაიშვილის უკლებლივ ყველა ნაშრომში გამოცდილი საველე მკვლევრის ხელწერა იგრძნობა. და ეს სავსებით ბუნებრივია! მან ხომ ჯერ კიდევ 1949 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობის წლებში, აკადემიკოს ნიკოლოზ ბერძენიშვილის თაოსნობითა და მხარდაჭერით მისთვის პირველ არქეოლოგიურ ექსპედიციაში მიიღო მონაწილეობა. შემდგომ წლებში იგი აქტიურად იყო ჩართული უჯარმის, მცხეთის, ხოვლეს, უფლისციხის, ბიჭვინთის, ვაშნარის, ხირსის, აფსაროსის, პეტრას, ყულევის, ურეკის, ბათუმის ციხის, გონიოს, ჭოროხის, ჩოლოქ-ოჩხამურის, სუფსა-გუბაზეულის, ხობ-ოჩხამურისა და ყვირილის ხეობების რკინის მეტალურგიის კერების, ქობულეთ-ფიჭვნარისა და საქართველოს სხვა არქეოლოგიური ძეგლების შესწავლაში. ყოველ არქეოლოგიურ ძეგლს XX საუკუნის 40-იანი წლებიდან მოყოლებული, მეცნიერი კვლევის კომპლექსური მეთოდის გამოყენებით სწავლობდა, არქეოლოგიურთან ერთად ფართოდ იყენებდა ეთნოგრაფიულ, ფოლკლორულ, ლინგვისტურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მონაცემებს.

ბატონმა დავითმა ჩინებული რედაქტორის, რეცენზენტის, ოპონენტის, ექსპერტის თვისებები უკვე ივანე



ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში მუშაობის წლებში გამრავლინა. უკვე მაშინ, 1977-1978 წლებში, მისი რედაქტორობით „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლების“ VI და VII ტომები, ხოლო 1966-1974 წლებში იური სიხარულიძისა და ალექსანდრე (ბიჭიკო) რამიშვილის მონოგრაფიები გამოქვეყნდა. გასული საუკუნის 60-იან-70-იან წლებშივე ბატონმა დავითმა არაერთ ახალგაზრდა მკვლევარს დაულოცა გზა დიდი მეცნიერებისაკენ. მათ შორის იყვნენ: ოთარ ცქიტიშვილი, დევი ბერძენიშვილი, ვერა თოლორდავა, ცისანა ჩიკოიძე და სხვები. იმავე წლებში მან მაღალკვალიფიციური ოპონირება გაუწია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ ცნობილი სომეხი ურარტოლოგის ნ. არუთინიანის, ასევე ცნობილი ქართველი მკვლევრების იოსებ გრძელიშვილის, თეიმურაზ მიქელაძის, არჩილ ბარამიძის საკვალიფიკაციო ნაშრომებს. ბატონი დავითის პიროვნული სრულიად გამორჩეული თვისებები: ადამიანისადმი კეთილგანწყობა, კეთილმოსურნეობა, გულისხმიერება, თანაგრძნობა, ამასთანავე, ობიექტურობა, მაღალი პროფესიონალიზმი, პრინციპულობა, ფართო ერუდიცია, ოპონირების პროცესში მთელი სიგრძე-სიგანით ვლინდებოდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ჩვენი იუბილარი ყოველი დისერტანტისათვის, ასაკის განურჩევლად, საოცნებო ოპონენტი გახლდათ.

XX საუკუნის 60-იან 70-იან წლებში ბატონი დავითი სისტემატურად მონაწილეობდა მეცნიერთა საინსტიტუტო, რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო



ფორუმების მუშაობაში. მისი მოხსენებები, როგორც ნესი, განსახილველი პრობლემის აქტუალობით, თვალსაზრისებისა და ჰიპოთეზების სიახლით და სიმრავლით გამოირჩეოდა. ისინი სამეცნიერო საზოგადოების განსაკუთრებულ ყურადღებას და მაღალ შეფასებას იმსახურებდა.

დავით ხახუტაიშვილმა თავის უმშვენიერეს მეუღლესთან – სვეტასთან ერთად სანიმუშო ქართული ოჯახი შექმნა. შვილების – ნანას და დალის აღზრდა-განათლებაში აქტიურად მონაწილეობდა. შვილებისა და შვილიშვილებისათვის მარადუამს მისაბაძი მაგალითი იყო და დღესაც ასეთად რჩება. ნანამაც და დალიმაც სახელოვანი მამის იმედები სრულად გაამართლეს. ნანა კოლხეთის ძველი ისტორიის შესანიშნავი მკვლევარია და ღირსეულად აგრძელებს ბატონი დავითის მიერ დაწყებულ კვლევა-ძიებებს. დალი მამის ასევე სანუკვარ დარგს – ქართული ხელოვნების ისტორიის შესწავლას ემსახურება. ბატონი დავითი სამაგალითო ბაბუაც ბრძანდებოდა. უფროსი შვილიშვილის, თავისი სეხნიის – დათოს სტუდენტური პირველი წარმატებებით ამაცობდა, იმ დროს მოუთმენლად ელოდა, როდესაც იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული მისი შთამომავალი შრომით საქმიანობას შეუდგებოდა, უმცროს შვილიშვილს - მარიამს მისდამი მიძღვნილ ლექსში კერის დამშვენებას შესთხოვდა და სამშობლოს ბაღად დატოვებას პირდებოდა.

ბატონი დავითის ყოველმხრივ გამორჩეულმა თვისებებმა განაპირობა, რომ იგი ჯერ 1977 წლის 28 აპრილს დაფუძნებული საქართველოს მეცნიერებათა

აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დირექტორის მოადგილედ და ახლადშექმნილი განყოფილების „საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა მეტოდების გამოყენება არქეოლოგიაში“ ხელმძღვანელად მიიწვიეს, ხოლო 1978 წლის იანვრის თვეში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად დანიშნეს. რასაკვირველია, 20-ზე მეტი წლის მეგობრობა და მჭიდრო თანამშრომლობის შემდეგ, ბატონი დავითის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა და ძველი ისტორიის განყოფილების მეგობრებსა და კოლეგებს მასთან განშორება გულს გვტკენდა, მაგრამ ისიც კარგად გვესმოდა, რომ მას და მხოლოდ მას ხელენიფებოდა შეესრულებინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აღორძინების რთული და ძალზე მნიშვნელოვანი ეროვნული მისია, რომელიც მან ბრწყინვალედ შეასრულა. აქვე დავძენ: ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში 21 წლიანი დირექტორობის პერიოდში ბატონი დავითის მოღვაწეობა არაერთი ახალი არქეოლოგიური ძიებით, აღმოჩენით, ნაშრომით, სამეცნიერო წოდებით თუ ჯილდოთი, საზოგადოებრივი თუ პედაგოგიური აქტივობით აღინიშნა.

და ბოლოს, არ შემიძლია რამდენიმე სიტყვა ბატონ დავითზე, როგორც მეგობარსა და კოლეგაზე, არ ვთქვა.



ბატონი დავითი 1957 წლის დეკემბერში გავიცანი, სწორედ მაშინ, როდესაც ჩემმა სკოლისა და სტუდენტობის დროინდელმა მეგობარმა ლაშა ჯანაშიამ და მე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ძველი ისტორიის განყოფილების კარი პირველად შევალეთ. მაშინ ჩვენი განყოფილება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კუთვნილი შენობის (ყოფილი ძერჟინსკის 8-ის) მესამე სართულზე, 82-ე ოთახში იყო განლაგებული. დავითის სამუშაო მაგიდა ოთახის ერთადერთ ფანჯარასთან, ოთახის მარცხენა კუთხეში იდგა. იგი ყველა დანარჩენისაგან გამოირჩეოდა სიდიდითაც და მაგიდაზე გაშლილი თუ ერთიმეორეზე შეწყობილი წიგნების რაოდენობითაც. დავითის „კუთხეს“ საქართველოს ფიზიკური და პოლიტიკური რუკები ამშვენებდა. ხშირად ისეთი გრძნობა მეუფლებოდა, რომ დავითს ამ არც თუ დიდ ოთახში თავისი სამყარო ჰქონდა შექმნილი, მყუდრო და იდუმალებით მოსილი. მისთვის ჩვეულებრივი კეთილი ღიმილით შეგვხვდა. მაშინვე ჩემს მახლობელ ადამიანად მივიჩნიე და არც შევმცდარვარ! ჩვენი მრავალწლიანი მეგობრობა, რომელიც შემდგომ ჩვენი ოჯახების მეგობრობაში გადაიზარდა, ყოველთვის უღრუბლო, სიკეთით, სიყვარულითა და ერთგულებით იყო აღსავსე.

დავითის გარეგნობა ჰარმონიულად იყო შერწყმული მის ხასიათთან. აღელვებული მინახავს (განსაკუთრებით საქართველოს ძველი ქალაქების გენეზისის პრობლემასთან დაკავშირებული დისკუსიის პერიოდში), მაგრამ მწყობრიდან გამოსული არასდროს! კარგი ქართულით საუბრობდა. მეტყველება დინჯი ჰქონდა, აუჩქა-

რებელი, თითქოს სანუკვარ ფიქრებთან და ნააზრევთან განშორება ენანებოდა. საქმესაც დინჯად, საფუძვლიანად უძღვებოდა. ბევრს კითხულობდა, ბევრს წერდა. განყოფილებაში დილით ყველაზე ადრე მოდიოდა და სამუშაო ადგილს ყველაზე გვიან ტოვებდა. დავითი განგებამ მრავალი ღირსეული თვისებით დააჯილდოვა. იგი გულმონყალე, კაცთმოყვარე და საოცრად გულისხმიერი პიროვნება გახლდათ. დავითს კიდევ ერთი შესანიშნავი (სამნუხაროდ, იშვიათი) თვისებაც გააჩნდა. მას უდიდესი ნიჭი ჰქონდა მეგობრის წარმატება გაეთავისებინა, მისი სიხარულის თანამონაწილე გამხდარიყო.

ბატონი დავითის პიროვნულ თვისებებზე საუბრისას აკადემიკოს დავით მუსხელიშვილის წარმოთქმული შემდეგი სიტყვებიც უნდა გავიხსენოთ: „აჭარის ისტორიული გეოგრაფიის საკითხებზე საუბრისას, როდესაც რუსეთის მიერ 1878 წელს ახლად შემოერთებული აჭარისა და ტაო-კლარჯეთის მოსახლეობის შესახებ რუსი სამხედრო მოხელეების (რომელთა შორის ნიჭიერი ჟურნალისტებიც იყვნენ) ჩანაწერებს ვეცნობოდი, კერძოდ, - ამ მხარის ქართველთა დახასიათებას, თვალწინ ყოველთვის დურსუნ ხახუტაიშვილი წარმომიდგებოდა. ჩემი აზრით, - ბრძანებს დავით მუსხელიშვილი - იგი თავისი მშობლიური კუთხის ტიპიური წარმომადგენელი იყო: ლამაზი გარეგნობის, ტანადი, მოხდენილი ვაჟკაცი, ურთიერთობაში არაჩვეულებრივად თავაზიანი, მომლიმარი და კეთილგანწყობილი, ზნეობრივად სუფთა და სამართლიანი ღვთის მადლით მინიჭებული დიდი სიკეთის ადამიანი, ჭეშმარიტი მეგობარი და მაღალი ღირსების კაცური კაცი“.





ასეთად ვიცნობდით ბატონ დავითს იმ საბედისწერო  
 – 1999 წლის 3 მარტამდე, როდესაც საქართველოს მეც-  
 ნიერებათა აკადემიის ბათუმის ნიკოლოზ ბერძენიშვი-  
 ლის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში  
 მან უკანასკნელად შეავლო თვალი თავის სამუშაო კა-  
 ბინეტს, სანერ მაგიდაზე გაშლილ, ულამაზესი კალიგ-  
 რაფიით ხელნაწერ, ახალი ნაშრომის ფურცლებს, თა-  
 როებზე თავისი ხელით მწყობრად დალაგებულ წიგნებს  
 და, შესაძლოა, სინანულით გააცნობიერა კიდევ, რომ  
 მისთვის განკუთვნილი ამქვეყნიური სიცოცხლის წუ-  
 თები ამოიწურა... 10 წელი გავიდა ბატონი დავითის  
 გარდაცვალებიდან, მაგრამ იგი დღესაც დიდ მეცნიე-  
 რად და ნათელ პიროვნებად რჩება. მჯერა, რომ ასეთად  
 დარჩება იგი მანამ, სანამ ჩვენი ღვთითოკურთხეული  
 ქვეყანა და დიდებული ქართული საისტორიო მეცნიე-  
 რება იარსებებს!

2009 წლის 16 იანვარი

## დევი ბერძენიშვილი – ჯავახეთის საისტორიო გეოგრაფიის პრობლემების მკვლევარი

დევი ბერძენიშვილი არა მხოლოდ ბერძენიშვილების სახელოვანი საგვარეულოს, მეგობრების, კოლეგების, არამედ საქართველოს და ქართველი ხალხის მშვენება იყო. იმ შორეული წლებიდან მოყოლებული, როდესაც ჯერ კიდევ საშუალო სკოლის მოწაფე იგი პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის საქართველოს ისტორიის კაბინეტში საქართველოს ისტორიას ეუფლებოდა, არ ყოფილა დღე საქართველოს წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე რომ არ ეფიქროს, გაბრწყინებულ, აღორძინებულ, გამარჯვებულ სამშობლოზე არ ეოცნებოს! საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭულის თავგადასავალი იცოდა. ფეხით მოიარა ქვემო ქართლი, სამცხე, ჯავახეთი, ლეჩხუმი, ტაო-კლარჯეთი. ვაჟას მინდისავით ხეთა ფოთლების შრიალის ენაც იცოდა და ალპიური მინდვრის ყვავილებისაც; მთების, გზების, ბილიკების, გზაჯვარედინების, ნაკადულებისა და მდინარეების ენასაც გულისყურით უსმენდა, თიბათვის მზესაც ესაუბრებოდა და თავისი მყუდრო ბინის აივანზე ამოსულ და მის მიერვე სათუთად მოვლილ ვაზსაც. როდესაც დევის ნააზრევს ეცნობი, უნებურად ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, რომ ჩვენი ქვეყნის ნასახლარები, ნასოფლარები, ნასაყდრალეები, ნაციხურ-ნაქალაქარები გრძნობდნენ თუ როგორი გატაცებით უყვარდა მას მრავალჭირგამოვლილი სამშობლო და ამიტომაც გულის კარს ფართოდ უღებდნენ, საიდუმლოს უშურველად ანდობდნენ! დევის ასომთავრული დამწერლობით

შესრულებული წარწერების ამოკითხვაც ხელნაწილებში და და „მუნჯი“ ქვების ენაც ესმოდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ანდრია პირველწოდებულის ცხოვრებისა და საქართველოში მისი ნაკვალევის შესწავლის პატივი, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, სწორედ დევი ბერძენიშვილს ერგო.

შემთხვევითი არაა, რომ დევი ბერძენიშვილის მდიდარ სამეცნიერო მემკვიდრეობაში ჯავახეთის საისტორიო გეოგრაფიის პრობლემატიკას სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავია. ტრაგიკული ფაქტებითა და მოვლენებით გაჯერებული ამ ძირძველი ქართული მხარის ისტორია, მხარისა, რომელსაც მავანნი და მავანნი ძველადაც და ახლაც გამუდმებით გვეცილებიან, დევის შთაგონებისა და აღტაცების უშრეტი წყარო იყო.

რად ღირს თუგინდ, 2000 წელს გამოქვეყნებული მისი წიგნის „ჯავახეთი. ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევის“ შესავლის შემდეგი სტრიქონები: „ჯავახეთი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი და სრულიად გამორჩეული, განუმეორებელი ხიბლის მქონე კუთხეა. ამ მხარეში პირველად ყოფნისასაც გრძნობ მის განსაკუთრებულ არქაულობას და მონუმენტურობას. მრავალფეროვანია და მოულოდნელად განსხვავებული მისი ლანდშაფტი: გრანდიოზული მთების ჟანგმოკიდებული, უშველებელი ლოდებით მოფენილი ფერდები; ღრმა და მოძრავი კანიონები; გამწვანებული ხეობები და მნახველისათვის სრულიად მოულოდნელი ახალქალაქის ზეგნის სისწორე-სიშიშველე. ეს ყველაფერი კონ-



ტრასტულ შეგრძნებებს ბადებს, რაც გამთლიანებულია „ბიბლიურ“ და არქაულობის განცდაში.

ზეგანზე მოხვედრისას უჩვეულო განცდა გაქვს, თითქოს დედამიწის კიდეზე ხარ. აქ მთის მწვერვალებს მიახლოებული, ადამიანი თავისუფლად გრძნობს თავს. ეს მონუმენტური პეიზაჟი კი არ გრთგუნავს, არამედ გამაგრებს, შეუბოროკავი სუნთქვის საშუალებას იძლევა.

ზეგანზე მოგზაურობისას კიდევე ერთი ძალიან ცოცხალი, მუდამ თანმდევი გრძნობა გიპყრობს – ახლა უკვე მწვანე ფერის ნაკლებობა. მოსხლეტილ სიბრტყეზე მიმოფანტული ტბებია. თითქოს უძრავად მოედინება ფარავნისწყალი, სოფლები შორი-შორსაა გაფანტული. აქა-იქ ამოზიდული მწვერვალები ჩარჩოსავით ევლება პლატოს და მეტად უსვამს ხაზს მის სისწორე-გაშლილობას. წარმოსახვით ყოველივე ეს მთვარის პეიზაჟს მოგვაგონებს. ზეგნის კიდესთან მიახლოებისას სრულიად განსხვავებული ხედი იშლება: ახლა უკვე მწვანეში ჩაფლული, მიხვეულ-მოხვეული და მჭიდროდ დასახლებული მტკვრის ხეობა. ასეთი უჩვეულო და მრავალსახოვანია ჯავახური ლანდშაფტი. ასეთივეა მისი ხუროთმოძღვრება: კონტრასტზე აგებული, მონუმენტური, მთებივით მყარი და მკვრივი – ისიც ამ საოცარი გარემოს განუყოფელი ნაწილია.”

ჯავახეთის ასეთ შთამბეჭდავ და პოეტურ აღწერას ვერცერთი ისტორიკოსის, გეოგრაფოსის, ეთნოგრაფის, ფილოლოგის, ფოლკლორისტის თუ მოგზაურის ჩანაწერებში ვერ იპოვნით. ეს დევი ბერძენიშვილის განუმეორებელი ხელწერაა! და თუ ამასთან ერთად, იმ განსაკუთრებული მნიშვნელობის გარემოებასაც გა-



ვითვალისწინებთ, რომ ჯავახეთის საისტორიო გეოგრაფიის, ისტორიისა თუ კულტურის ისტორიის პრობლემატიკის კვლევისას იგი ჯავახეთის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიებების შედეგად მოპოვებული მასალის, სხვადასხვაენოვანი, სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა ხასიათის წერილობითი წყაროების ჩვენებათა, ტოპო-ეთნონიმიკის მონაცემთა, ზოგადი და სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის გამოწვლილვით ანალიზს ეფუძნებოდა, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ სწორედ მან ჯავახეთის საისტორიო გეოგრაფიისა და საერთოდ, ისტორიის, მანამდე უცნობი არაერთი ასპექტი პირველმა გაგვაცნო, არაერთ მანამდე სადისკუსიო საკითხს ახალი შუქი მოჰფინა.

დევი ბერძენიშვილმა ჯერ კიდევ 1975 წელს გამოქვეყნებულ სოლიდურ გამოკვლევაში: „ჯავახეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები“ სრულყოფილად წარმოაჩინა საკუთარი თვალსაზრისი საუკუნეთა მანძილზე ჯავახეთის საზღვრების ცვალებადობის ისტორიის შესახებ და ამ ურთულესი პროცესის მიზეზთა ახსნაც შემოგვთავაზა. ავტორის თანახმად, ფიზიკურ-გეოგრაფიული ჯავახეთი ის ქართული მხარეა, რომელსაც სამხრეთიდან ნიალისყურე საზღვრავდა, აღმოსავლეთიდან სამსრისა და გულთოვლისა, ჩრდილოეთიდან შარვაშეთის ქედები, ხოლო დასავლეთიდან მტკვრის მარცხენა სანაპირო, სადაც სამცხისა და ჯავახეთის საზღვარი წყალგამყოფ მთებზე გადიოდა, რომლებიც „სამცხის ხევებს ჩრდილოეთით უქცევდა პირს, ხოლო ჯავახეთისას სამხრეთ-აღმოსავლეთითა და აღმოსავლეთით“.

ერთი მხრით, უამთაალმწერლის თხზულებისა და მეორე მხრით, ლეონტი მროველის იმ ცნობილი პასაჟის ანალიზის საფუძველზე, რომლის თანახმადაც, „მცხეთოსმა ჯავახოსს მისცა ფანავრითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა და ამან ჯავახოს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქნი წუნდა და ქალაქი არტანისა, რომელსაც მაშინ ერქუა ქაჯთა ქალაქი, ხოლო ან ჰქვიან ჰური“, დევი ბერძენიშვილმა უმნიშვნელოვანესი დასკვნა გამოიტანა. იგი წერს: „საინტერესოა, რომ ამ პირველსავე ცნობაში ზოგადად არის დასახელებული ქვეყნის თავი და ბოლო, რომელიც ჯავახოსს ერგო, აქ კოლა და არტანიც იგულისხმება, თუმცა ავტორი მათ ჯერ არ ახსენებს. აქვე ჩანს, რომ კოლა-არტანი ჯავახოს მოკიდებული ქვეყნებია, მისი უპირატესობით გაერთიანებული, რადგან არც კოლას, არც არტანს მამამთავარი საკუთარი არ გააჩნიათ და ჯავახოსის სამფლობელოში შედიან. ჯავახოსი აშენებს წუნდას და ქაჯთა ქალაქს - არტანში, კოლას კი ასეთი ცენტრი არ უჩანს. გამოდის - დაასკვნის ავტორი -, რომ იგი არტანის ცენტრს ემორჩილება. ჯავახეთი-არტან-კოლა, თითქოს ასეთია იერარქიული რიგი ამ ქვეყნებისა, რაც ქართლ-მცხეთასთან პოლიტიკური და ეკონომიკურ-გეოგრაფიული სიახლოვის პირდაპირი ასახვა უნდა იყოს“.

დევი ბერძენიშვილის ზემომოყვანილი თვალსაზრისის მნიშვნელობა განუზომლად დიდია. იგი სამხრეთის მიმართულებით ჯავახეთის კუთვნილი ტერიტორიის უძველესი საზღვრის მეცნიერული რეკონსტრუქციისთვისაცაა ღირებული და, რაც არანაკლებ საყურადღებოა, ურარტულ ლურსმულ ერთადერთ წარწერაში მოხ-



სენიებულ ზაბახასთან ჯავახეთის იდენტიფიკაციისა და ზაბახაელების ეთნოკულტურული კუთვნილების, ათნლეულების მანძილზე სადისკუსიო საკითხის, საბოლოო გადაწყვეტისთვისაც.

დევი ბერძენიშვილმა ახალი არგუმენტებით დაასაბუთა, რომ ჯავახეთი ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისთანავე, ქართლის ადმინისტრაციული ერთეული – საერისთავო იყო, რომელსაც სათავეში ერისთავები ედგნენ. საზაფხულო იალალებით ამ მხარის სიმდიდრემ იმთავითვე განაპირობა, რომ მას სამეფო დომენის ფუნქცია შეესრულებინა. ავტორი, ბუნებრივია, ჯავახეთის ძველ ადმინისტრაციულ და სასულიერო ცენტრების საკითხსაც ეხებოდა, კერძოდ, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე განლაგებულ წუნდას და საეპარქიო ცენტრებს კუმურდოსა და წყაროსთავს, რომელთა არქიეპისკოპოსები უკვე დვინის 506 წლის საეკლესიო კრების მონაწილეთა შორის არიან მოხსენიებული.

ჯავახეთის საისტორიო გეოგრაფიის სრულყოფილი წარმოჩენის მიზნით, დევი ბერძენიშვილი ე. წ. „ზემო“ და „ქვემო“ ჯავახეთის საზღვრების ლოკალიზაციის საკითხებსაც, მისთვის ჩვეული სკრუპულოზურობით, იკვლევდა. მისი თვალსაზრისით, ტერმინით „ზემო ჯავახეთი“ აღინიშნებოდა ტერიტორია „ფარვანიდან მტკვრამდე“, ანუ ახალქალაქის პლატო, ხოლო „ქვემოთი“ - ქალაქ წუნდას შემცველი, მდინარე მტკვრის კანიონი, ამ მდინარის მარცხენა სანაპიროზე. ჯავახეთში ჩატარებული ექსპედიციების შედეგად მოპოვებული მასალისა და აქ არსებული მატერიალური კულტურის ძეგ-



ლების შესწავლის საფუძველზე დევი ბერძენიშვილიმ ადრეფეოდალური ხანის ჯავახეთის მიკროერთეულები და მათი ცენტრებიც გამოავლინა. ქართული ისტორიოგრაფია ამ მხრივაც არაერთი ახალი ძიებების შედეგებით გაამდიდრა. ამგვარ ერთეულებად მკვლევარი ნიკოლისყურს, ბუზმარეთს, შალოშეთის ველს, ისევე როგორც, მდინარე მტკვრისა და ფარავნისწყლის კანიონებს მიიჩნევდა, რომლებიც, მისი აზრით, ნუნდასა და ხერთვისს ექვემდებარებოდნენ. მეცნიერის თვალსაზრისით, ზემო ჯავახეთის გეომორფოლოგიურ თვისებათა გამო, ზემოდასახელებული მიკროერთეულები, ზეგანზე მცირე და დიდ ტბებთან, ან ბორცვებით შემოფარგლულ ხეობებში ყალიბდებოდნენ (მხედველობაში: ტაბანყური, ფარავანი, სალამო, კარნახი...).

დევი ბერძენიშვილმა სპეციალური კვლევა-ძიება ჩაატარა ჯავახეთის ციხე-სიმაგრეების ისტორიის წარმოსაჩენადაც, რაც ამ მხარის საისტორიო გეოგრაფიის შესწავლის თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანია. უპირველეს ყოვლისა, მან ყურადღება მიაქცია ახ. წ. IV ს-ის ცნობილი გეოგრაფოსის კასტორიუსის მიერ შედგენილ რუკაზე დატანილ ტოპონიმ „აბულს“, რომელიც მისი ვარაუდით, მნიშვნელოვან მაგისტრალზე მდებარე, ზემო ჯავახეთის მთავარი ცენტრი უნდა ყოფილიყო. ამგვარი დასკვნის საფუძველს მას ამ ციტადელის ზომები და დაგეგმარების საკმაოდ რთული სისტემა აძლევდა. მეცნიერის მხედველობის არეს არც ზემო ჯავახეთის შედარებით მცირე მასშტაბების სიმაგრეები გამოორჩენია, სადაც, მისი აზრით, მოსახლეობა თავს ხშირი შემოსევების დროს აფარებდა. ავტორის ყურადღება



იმ გარემოებამაც მიიქცია, რომ ზემო ჯავახეთში ადგილობრივ მმართველთა, ადრეფეოდალური ხანის რეზიდენციები, ქვემო ჯავახეთიდან განსხვავებით, არ დასტურდება, სადაც ამ ფუნქციას ხერთვისის, თმოგვის, ტოლოშის, კოხტას და სხვა ციხე-სიმაგრეები ასრულებდნენ. ზემო და ქვემო ჯავახეთს შორის არსებულ ამ განსხვავებას მეცნიერი, სავსებით არგუმენტირებულად, ჯავახეთის ამ ორი მხარის ბუნებრივი პირობებითა და მეურნეობის სხვადასხვა ფორმების არსებობით ხსნიდა.

წერილობითი წყაროებისა და ეპიგრაფიკული ძეგლების მონაცემთა ანალიზის საფუძველზე მკვლევარი სპეციალურად მსჯელობს X ს-ის ჯავახეთზე როგორც „აფხაზთა და ქართველთა“ დომენზე, რომელსაც ერისთავები მართავდნენ. მან ერისთავთა სახელებიც მოიძია: ზვია, ფარსმანი, თმოგველი და სხვა.

დევი ბერძენიშვილმა ისიც უჩვენა, თუ X საუკუნიდან როგორ ჩაენაცვლა ქვემო ჯავახეთის უძველეს ადმინისტრაციულ ცენტრს, წუნდას – თმოგვის ციხე.

მეცნიერმა XI ს-დან ახალქალაქის აღზევების მიზეზების ისტორიაც სპეციალურად შეისწავლა. ამ ქალაქის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიებათა შედეგად აღმოჩენილი ისტორიული რეალების, წერილობითი წყაროებისა და დღემდე შემორჩენილი ხუროთმოძღვრების ძეგლების ასევე გამოწვლილვითი ანალიზის შედეგად, იმ საყურადღებო დასკვნამდე მივიდა, რომ XI-XIII საუკუნეები ამ ქალაქის მანამდე არნახული აყვავების ხანა იყო, ინტენსიურად მიმდინარეობდა გზების, ხიდების, ეკლესია-მონასტრების, ქარვასლების, კლდეში ნაკვეთი ანსამბლების მშენებლობა.

დღივში (X-XI სს.), ღრტილაში (XI ს.), ბოჟანოში (XI-XII სს.), ვარძიაში (XII-XIII სს.), ალასტანში (XIII-XIV სს.) ქართველ მეფეთა და უფლისწულთა რეზიდენციები ფუნქციონირებდა.

ისტორიული განვითარების შემდგომ ეტაპზე ზემო და ქვემო ჯავახეთის საისტორიო გეოგრაფიის სრული სურათის რეკონსტრუქციის მიზნით, დევი ბერძენიშვილმა სპეციალური კვლევა-ძიება თმოგველთა და თორელთა, ორი დიდი ფეოდალური საგვარეულოს ისტორიის შესწავლის მიმართულებითაც ჩაატარა. არანაკლები სიღრმით წარმოაჩინა მან ჯავახეთის XIII-XVI საუკუნეების საზღვრებიც, როდესაც XIII ს-ის ბოლოდან, სამცხის საათაბაგოს დამოუკიდებელ სამთავროდ გამოცხადებასთან დაკავშირებით, ჯავახეთის ძველი საზღვრები დაირღვა, მისი კუთვნილი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი შემცირდა, XV ს-ში სამცხის ათაბაგთა (ჯაყელების) მცდელობით, სულაც მათ მფლობელობაში გადავიდა და ბოლოს, XVI ს-ში, ოსმალეთის იმპერიის ხელში აღმოჩნდა.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მონაცემთა ურთიერთშეჯერების გზით, დევი ბერძენიშვილმა ისიც დაადგინა, რომ XVI ს-ის ბოლო მეოთხედში ჯავახეთის შიდაადმინისტრაციული საზღვრები, ძირითადად, ტრადიციულს იმეორებდა: ჯავახეთი ხერთვისისა და ახალქალაქის სანჯაყებად იყოფოდა და თითოეული მათგანი სამ-სამ მიკროერთეულს აერთიანებდა.

ჯავახეთის საისტორიო გეოგრაფიის შესწავლაში დევი ბერძენიშვილის მიერ შეტანილი წვლილი, რომლის მხოლოდ ზოგიერთი ასპექტის წარმოდგენას შევეცადე, ფასდაუდებელია. ასეთივეა მისი პოლემიკური ხასია-

თის ნაშრომებიც, რომლებიც მან მავანთა და მავანთა მიერ ჯავახეთის ისტორიული გეოგრაფიისა თუ ისტორიის ფალსიფიკაციის საპასუხოდ შექმნა. მხედველობაში მაქვს 1998 წელს ჟურნალ „არტანუჯში“ და 2004 წელს „ანალების“ 1-ში გამოქვეყნებული მისი ბრწყინვალე სამეცნიერო პუბლიკაციები: „ახალქალაქი ჯავახეთისა“ და „ისტორიის შეცნობილი გზები“. ეს ნაშრომები სულ ახლახან ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის კომისიის და ისტორიის, ეთნოლოგიისა და რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრის მიერ გამოქვეყნებულმა კრებულმა: „Некоторые вопросы истории Грузии в армянской историографии“ კიდევ ერთხელ შეგვახსენა.

და ბოლოს, ერთი ადამიანის სულიერ სამყაროს, მეორე, რაც არ უნდა ახლობელი იყოს იგი, ბოლომდე ვერასოდეს შეიცნობს. მაგრამ ის, რაც დევი ბერძენიშვილის ცხოვრების წესის, მისი სამყაროს შესახებ, მასთან მრავალწლიანი ურთიერთობის შედეგად ვიცი, უფლებას მაძლევს ერთმნიშვნელოვნად განვაცხადო, რომ იგი უმშვენიერესი იყო: ღირსებით, ნიჭიერებით, დაუზარელი შრომით, ახალი ძიებების დაუოკებელი წყურვილით, პოეზიით, რომანტიკით და, რაც მთავარია, კეთილშობილებითა და კეთილზნობით აღსავსე! და რაოდენ გულსატკენი და დასანანია, რომ დევი დღეს ჩვენთან ერთად აღარ არის, ვერ გვისმენს და ვერ ხედავს როგორი ერთსულოვანია მისდამი ჩვენი სიყვარული, როგორ ვაფასებთ მის მიერ ღირსეულად განვლილი სიცოცხლის გზას!

2009 წლის 11 დეკემბერი

ს ა რ ა რ ე ვ ი ა  
REVIEWS  
РЕЦЕНЗИИ

## მერი ინაძე – ძველი კოლხეთის ისტორიისა და კულტურის თვალსაჩინო მკვლევარი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემიის ლაურეატი მერი ინაძე თავის სახელოვან საიუბილეო თარიღს – დაბადების 80 წლისთავს სკრუპულოზური კვლევების შემცველი სამეცნიერო სტატიების კრებულით: „ძველი კოლხეთის ისტორიის საკითხები“ („არტანუჯი“, 2009, 473 გვ.) შეხვდა. ეს სოლიდური გამოცემა საშუალებას გვაძლევს კიდევ ერთხელ ვეზიაროთ ამ შესანიშნავი ქართველი ისტორიკოსის მეცნიერულ მემკვიდრეობას, ღრმად ჩავნვდეთ ათწლეულების მანძილზე მის მიერ ჩატარებულ შრომატევად კვლევა-ძიებათა შედეგებს. კრებული დიდ სამსახურს გვინვეს ძველი კოლხეთის ისტორიისა და კულტურის კარდინალური პრობლემების ავტორისეული ორიგინალური ხედვა არა მხოლოდ მთლიანობაში წარმოვიდგინოთ, არამედ თვალი გავადევნოთ მერი ინაძის მიერ შემოთავაზებული ახალი კონცეფციებისა და ჰიპოთეზების ჩამოყალიბება-განვითარების დინამიკას, ქართულ ისტორიოგრაფიაში მათი დამკვიდრების შეუქცევად პროცესს.

სარეცენზიო კრებულში, მცირე გამონაკლისის გარდა, ის სამეცნიერო წერილებია თავმოყრილი, რომელიც მერი ინაძის სამი ფუნდამენტური მონოგრაფიის (Причерноморские города древней Колхиды, Тбилиси, 1968, 269 ს.; აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია, თბილისი, 1982, 245 გვ; ძველი კოლხეთის საზო-

გადოება, თბილისი, 1994, 278 გვ.) გამოცემის შემდეგ დაინერა.

მერი ინაძის სამეცნიერო სტატიების კრებული წინასიტყვაობის, ქართულ-ინგლისურენოვანი შესავლის, სამი ძირითადი ნაწილისა და დანართისაგან შედგება. მას ჩვენი იუბილარის შრომების ბიბლიოგრაფია, პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლები ერთვის.

კრებული: „ძველი კოლხეთის ისტორიის საკითხები“ ქალბატონმა მერიმ მეუღლის, ცნობილი ქართველი ისტორიკოსის, ედიშერ ხოშტარია-ბროსეს ნათელ ხსოვნას უძღვნა.

როგორც აღინიშნა, სარეცენზიო კრებული სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება. იგი კოლხეთის ძველი ისტორიის სამი კარდინალური პრობლემის ავტორისეულ ორიგინალურ ხედვას გვთავაზობს.

კრებულის პირველ ნაწილში მკითხველი იმ სამეცნიერო სტატიებს ეცნობა, სადაც ავტორი დასავლეთ საქართველოში სატაძრო-საქალაქო ცენტრების წარმოქმნა-განვითარებისა და სახელმწიფოებრიობის გენეზისის პრობლემებს შეისწავლის. კრებულის ეს უმნიშვნელოვანესი ნაწილი 9 სამეცნიერო სტატიითაა წარმოდგენილი.

პონტოსა და კაპადოკიის სატაძრო-საქალაქო ცენტრების და მათივე თეოკრატიული გაერთიანებების ისტორიის გარშემო არსებული ანტიკური ხანის წერილობითი წყაროების გამოწვლილვითმა ანალიზმა მეცნიერი იმ მნიშვნელოვან დასკვნამდე მიიყვანა, რომ პონტოსა და კაპადოკიის სატაძრო-ქალაქების გენეზისი საკულტო კერებსა და სატაძრო თემებში იღებს სათავეს, ხო-

ლო სატადრო-საქალაქო ცენტრებად ამ თავდაპირველი საკულტო კერების ტრანსფორმაციას მთელი რიგი არსებითი ხასიათის ხელისშემწყობი გარემოებანი განაპირობებდნენ (ნაყოფიერი მიწები, ხელოსნური წარმოება, გარე სამყაროსთან სავაჭრო ურთიერთობანი და ა. შ.). ავტორისავე დაკვირვებით, წარმოქმნის საწყის ეტაპზე მცირე აზიის საკულტო კერები და მათი დასახლებები საოცარ ურთიერთმსგავსებას ავლენს, მაგრამ განვითარების შემდგომ ეტაპზე სატადრო-საქალაქო ცენტრებად მათი ჩამოყალიბება რიგი ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორებით განისაზღვრებოდა.

პონტოსა და კაპადოკიის სატადრო ქალაქების გენეზისის ისტორიის გათვალისწინებამ, ერთი მხრით, და ძველი კოლხეთის ქალაქებთან დაკავშირებული წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მონაპოვრის ერთობლიობაში გააზრებამ, მეორე მხრით, მერი ინაძე იმ საყურადღებო და სრულიად ახალ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ვანისა და საირხეს სატადრო-საქალაქო ცენტრების წარმოქმნა არა ელინისტური ხანითაა დასათარიღებელი, როგორც ამას მანამდე ზოგიერთი ქართველი მკვლევარი ვარაუდობდა, არამედ ძვ. წ. VIII-VII სს-ით. სერიოზული არგუმენტების მოხმობით, ჩვენი იუბილარი ამ სატადრო ქალაქების გენეზისს ძვ. წ. VIII-VII სს-ში, იქ უკვე არსებულ საკულტო კერებსა და მათ ირგვლივ არსებულ თემებში ეძებს, ხოლო სატადრო-ქალაქური ყველა ფუნქციის მატარებელ ცენტრებად მათი ტრანსფორმაციის თარიღად ძვ. წ. VI საუკუნის მეორე ნახევარს მიიჩნევს. 1975, 1983-1984 წლებში ვანში, ახვლედიანების გორის ცენტრალურ ტერასაზე აღმოჩე-

ნილი მასალის, ისევე როგორც ამავე გორაზე და სავა-  
დურის გორაზე არქეოლოგების მიერ მიკვლეულ წარჩი-  
ნებულთა სამარხების მდიდრული ინვენტარის ანალიზ-  
მა, რომელიც უზენაეს კულტმსახურებს, ქურუმებსა და  
მათ თანმხლებ პირებს - „ღვთით შთაგონებულ ქალებს“  
ეკუთვნოდა, საშუალება მისცა მეცნიერს კოლხეთის  
უდიდესი ცენტრების (ვანი, საირხე) ზედაფენის სოცია-  
ლური ბუნება განესაზღვრა. მერი ინაძის მიერ გამოთ-  
ქმული თვალსაზრისით, ადრეული ხანიდან (ძვ. წ. VII-VI  
სს.) ვიდრე ელინისტური ეპოქის დასასრულამდე ვანში  
და საირხეში მმართველობის თეოკრატიული სისტემა  
იყო გაბატონებული. მმართველი ზედაფენა საერო ხე-  
ლისუფლებასაც ფლობდა და საეროსაც.

ამ ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე ნოქალაქევე-  
ში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებებმა  
მერი ინაძის თვალსაზრისის სასარგებლო არაერთი არ-  
ტეფაქტი გამოავლინა. კიდევ ერთხელ გაცხადდა, რომ  
შიდა კოლხეთში (ისევე, როგორც აღმოსავლეთ საქარ-  
თველოში) ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ საუკუნეებში  
არსებულმა საკულტო ცენტრებმა (მსხვილმა სამლოც-  
ველოებმა), მათთან დაკავშირებულმა ფაქტორებმა  
(დასახლება, ხელოსნობა, ვაჭრობა) ქვეყანაში ურბანის-  
ტული ცივილიზაციის წარმოქმნა-ჩამოყალიბებაში სრუ-  
ლიად განსაკუთრებული როლი შეასრულა.

კოლხეთის სამეფოს წარმოქმნის ისტორიის რეკონ-  
სტრუქციისათვის ფასდაუდებელია კრებულში თავმოყ-  
რილი მერი ინაძის ის სამეცნიერო სტატიები, რომლე-  
ბიც კოლხეთში სკეპტუხიათა პრობლემის ავტორისეულ  
ხედვას გვაცნობს.



ჯერ კიდევ XX ს-ის 50-60-იან წლებში გამოქვეყნებული სამეცნიერო წერილებში ჩვენმა იუბილარმა ძალზე საყურადღებო თვალსაზრისი განავითარა სკეპტუხიებზე, როგორც ძველი კოლხეთის ტერიტორიულ-საგამგეო ერთეულებზე. მეცნიერის აზრით, სკეპტუხიებად ქვეყნის (კოლხეთის) დაყოფა კოლხეთის სამეფოს ჩამოყალიბებისთანავე განხორციელდა. იგი სამეფო ხელისუფლების მიერ ჩატარებული ღონისძიების შედეგი იყო და მიზნად ქვეყნის ეფექტურ მართვა-გამგეობა-მონესრიგებას ისახავდა. მერი ინაძის მოსაზრებითვე, სკეპტუხები ადგილობრივი საგვარეულო არისტოკრატის ის წარმომადგენლები იყვნენ, რომელთაც სამეფო ხელისუფლების მიერ ადმინისტრაციული ფუნქციები ჰქონდათ ჩაბარებული. სკეპტუხიათა საკითხის თაობაზე მერი ინაძისეულ ინტერპრეტაციებში ისიცაა ანგარიშგასაწევი, რომ მისი დაკვირვებით, კოლხეთის სამეფოს ძირითადი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრები ქვეყნის შიდა მხარეებში, მაინცადამაინც უმნიშვნელოვანესი სამლოცველოების (ვანი, საირხე) ადგილზე იქმნებოდა.

სკეპტუხიათა პრობლემის სიღრმისეულმა ანალიზმა საშუალება მისცა მკვლევარს მაღალ მეცნიერულ დონეზე წარმოეჩინა კოლხეთის სამეფოს ჩამოყალიბების პროცესი, მისი სოციალურ-პოლიტიკური წყობის თავისებურებანი. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ მან შეძლო თვალნათლივ ეჩვენებინა ელინისტური ხანიდან დაწყებული კოლხეთის ხელისუფალთა ძალაუფლების დასუსტების ობიექტური მიზეზები, კერძოდ, გარე პოლიტიკურ ფაქტორებთან ერთად, წარმოეჩინა ამ პრო-



ცესში სკეპტუხთა - ადგილობრივ არისტოკრატიულ გვართა წარმომადგენელთა მისწრაფებები დამოუკიდებლობისა და თავისთავადობისაკენ.

სარეცენზიო კრებულში დიდი ადგილი ეთმობა ეგეოსურ სამყაროსთან, აღმოსავლეთ და სამხრეთ შავიზღვისპირეთთან კოლხეთის ადრეული ურთიერთობათა ისტორიის რეკონსტრუქციის მიზნით ჩატარებულ ავტორისეულ ძიებებს. კრებულში ამ პრობლემატიკას 1999-2004 წლებში გამოქვეყნებული ხუთი სამეცნიერო სტატია ეძღვნება. ჩვენი იუბილარი წერილობითი წყაროების, პირველ რიგში, სტრაბონისა (ძვ. წ. I – ახ. წ. I ს.) და სხვა ძველბერძენ ავტორთა (ერატოსთენე, დემეტრიოს სკეფსისელი, აპოლოდორე...) თვალსაზრისების სკრუპულოზური შედარებითი ანალიზის საფუძველზე იმ საყურადღებო დასკვნამდე მიდის, რომ კოლხეთში არგონავტების (აქეველების) ლაშქრობას წინ მათ მიერ სამხრეთი შავიზღვისპირეთის ათვისება უსწრებდა, ხოლო აღმოსავლეთით, მდინარე ჭოროხის აუზისა და მის ჩრდილოეთით მდებარე მეტალურგიული კერებით ეგეიდელ მეზღვაურთა დაინტერესება ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო საუკუნეებითაა დასათარიღებელი. მერი ინაძის მიერ გამოთქმული თვალსაზრისის თანახმად, ძვ. წ. VIII საუკუნის დასასრულიდან არგონავტთა თქმულებაში მოხსენიებულ „ოქროს სანმისის ქვეყანაში“ ლითონით მდიდარი კავკასიონის მთისწინეთისა და რიონისპირეთს შორის მდებარე ძლიერი წინასახელმწიფოებრივი ერთეული უნდა იგულისხმებოდეს, რომელიც ძვ. წ. VIII ს-ის ურარტულ წარწერებში მრავალგზის მოხსენიებული კულხას (კოლხას) პოლიტიკური გაერთიან-

ნების დაცემის შემდეგ, სამხრეთიდან ინფილტრირებული კოლხთა ძლიერ ეთნიკურ ბირთვის, ეგრებთან ერთად, უნდა შეექმნა.

არგონავტების მითში ავტორის მიერ გამოყოფილმა ქრონოლოგიურმა პლასტებმა, საფუძველი მისცა მას თანმიმდევრობით ეჩვენებინა ის ხანგრძლივი პროცესი, რომელიც ჯერ კიდევ მიკენურ ეპოქაში დაიწყო და კოლხეთთან თესალიელი, ბეოტიელი, ეოლიელი ზღვაოსნების მჭიდრო ეკონომიკური კონტაქტების ჩამოყალიბებით დასრულდა.

მნიშვნელოვანი ამაგი დასდო ჩვენმა იუბილარმა ისეთ რთულ და მანამდე ნაკლებად შესწავლილი პრობლემის სიღრმისეულ გააზრებასაც, როგორცაა არქაული და ადრეანტიკური ხანის ეგეოსურ-მცირეაზიურ სამყაროსთან კოლხეთის სავაჭრო, კულტურული და რელიგიური ურთიერთობები. სწორედ მერი ინაძის კალამს ეკუთვნის ის სამეცნიერო გამოკვლევები, სადაც, ფაქტობრივად, პირველადაა წარმოჩენილი წვლილი, რომელიც იონურ ცენტრებზე (მილეტზე) უფრო ადრე ეოლიელმა და ეგეიდელმა ზღვაოსნებმა შეიტანეს კოლხურ-მცირეაზიურ სამყაროთა ეკონომიკურ დაახლოებაში. ავტორის აზრით, სწორედ ეოლიელი და ეგეიდელი ზღვაოსნების მეშვეობით იყო, რომ მელითონეობაში დაწინაურებულ და დახელოვნებულ ჯერ სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთსა, ხოლო შემდეგ, რიონისპირეთსა და მის მიმდებარე მთიანი ზოლის მოსახლეობას შესაძლებლობა მიეცა აქტიურად ჩართულიყო ადრეული ხანის საერთაშორისო ეკონომიკურ პროცესებში. ავტორი წერილობითი წყაროების, არქეოლოგიური და ტოპონიმი-

კური მონაცემების გამონვლილვითი ანალიზის გზით იმ ახალ დასკვნამდეც მიდის, რომ კოლხეთის კონტაქტებს ეოლიელებთან და ეგეიდებლებთან შიდატერიტორიული ხასიათი ჰქონდა, რომ იონური კოლონიზაციის წინარე ხანაში კოლხეთიდან რკინის გატანა, ქვეყნის შიგნით საალებმიცემო პუნქტების შექმნა-ორგანიზება ადგილობრივ უფალთა ხელშეწყობით, სწორედ ეოლიელი და მათი ეგეიდელი პარტნიორების ინიციატივით ხორციელდებოდა. მერი ინაძის მიერ გამოთქმული ახალი თვალსაზრისით, კოლხეთში ეოლიელთა აქტიური საქმიანობის ნაკვალევით უნდა აიხსნას რკინის აღმნიშვნელი ბერძნული ლექსემა „სიდაროს“-იდან მომდინარე, დღევანდელი გალის მახლობლად მდებარე სიდას სახელწოდება, ისევე როგორც რკინით მდიდარი მდინარე ყვირილას ზემო წელის ხეობაში ცხოველთა მფარველისა და რკინის ჭედვასთან დაკავშირებული ქალღვთაების – დიდი დედის – იდეს კულტის გავრცელება, რაც, ერთი მხრით, საირხის მიდამოებში და იქვე მდებარე სატაძრო-საქალაქო ცენტრისათვის ამ ღვთაების სახელწოდებიდან მომდინარე „იდეესა“-ს შერქმევა მოწმობს, და მეორე მხრით, საბადურის გორაზე ქურუმი ქალის სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის თასი, წარწერით: „MID“ - „დედა იდე“.

ეგეოსურ სამყაროსთან კოლხეთის ადრეული სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტების შესწავლამ საშუალება მისცა ავტორს კოლხეთის საზოგადოების წინსვლა-განვითარება არქაული ხანიდანვე ევარაუდნა. ამ პროცესში სამყაროს ცივილიზირებულ ქვეყნებთან კოლხეთის, მის მიერვე დამაჯერებლად რეკონსტრუირებული ურ-

თიერთობებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭებინა.

სარეცენზიო კრებულისათვის ავტორის მიერ შერჩეულ სტატიებში ასეთივე სიღრმითაა შესწავლილი ძველი კოლხეთის ისტორიის ისეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, როგორცაა კოლხურ-ბერძნული ურთიერთობანი ძვ. წ. VII ს-ის დასასრულიდან, ვიდრე ადრეანტიკურ ხანამდე (ძვ. წ. VI ს.).

სარეცენზიო კრებულის მესამე ნაწილი ძვ. წ. VI- ძვ. წ. IV სს-ში ბერძნულ და ელინისტურ სამყაროსთან კოლხეთის ურთიერთობების პრობლემის შესწავლას ეძღვნება. იგი შვიდი სამეცნიერო წერილითაა წარმოდგენილი.

მერი ინაძემ ჯერ კიდევ XX ს-ის 50-60-იან წლებში გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომებში, სოხუმის შემოგარენში (სოხუმის მთა, გუად-იხუ) არქეოლოგების მიერ მოპოვებული მასალის, ძველბერძენ და რომაელ ავტორთა და ნუმისმატიკური მონაცემების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის გზით ახალი მნიშვნელოვანი კონცეფცია შეიმუშავა კოლხეთში მილეტელების მიერ დაარსებული ახალშენების ხასიათის შესახებ. ამ კონცეფციის თანახმად, კოლხეთში, სამხრეთ და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთისაგან განსხვავებით, მილეტელების მიერ დაარსებული ახალშენები ბერძნულ ქალაქსახელმწიფოებად (პოლისებად) ვერ ჩამოყალიბდა. ამ ახალშენებში ბერძნულმა ეთნიკურმა ელემენტმა გაბატონებული მდგომარეობა ვერ მოიპოვა. კოლხეთის ბერძნული ახალშენები ბოლომდე მხოლოდ და მხოლოდ სავაჭრო ფუნქციის, თავისებური თვითმმართველობის



მატარებელ, ცენტრებად რჩებოდა. ეს ძალზე საყურადღებო ავტორისეული თვალსაზრისი სერიოზულ არგუმენტებს ეფუძნებოდა. უპირველეს ყოვლისა, მეცნიერი იმ მნიშვნელოვან ფაქტორს ითვალისწინებდა, რომ მიღებულმა დიოსკურია არა ცარიელ ადგილზე, არამედ სოხუმის უბის მახლობლად არსებულ იმ მსხვილი დასახლების მახლობლად დაარსეს, რომელიც არქეოლოგიური მონაცემების კონტექსტში გვიანბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული ხელოსნობის სხვადასხვა დარგების (მელითონეობა, მეთუნეობა, ფეიქრობა) განვითარება-დანიშნულებებით გამოირჩეოდა. მერი ინაძემ იმ არსებითი ხასიათის გარემოებასაც მიაქცია ყურადღება, რომ სხვა ბერძნული პოლისებისაგან განსხვავებით, დიოსკურიის მეურნეობაში წამყვან ძალას ადგილობრივი (კოლხი) ხელოსნები და მინათმოქმედნი შეადგენდნენ და არა ბერძენი მოახალშენნი. ძირითად სამხედრო ძალასაც ასევე ადგილობრივი მოსახლეობა ქმნიდა. მეცნიერმა ანგარიშგასაწევ ფაქტორად ისიც მიიჩნია, რომ კოლხეთის ბერძნულ ახალშენებს (დიოსკურიას, ფასისს...) ფუნქციონირება კოლხეთში სამეფო ხელისუფლების არსებობის პირობებში უხდებოდა, რასაც ამ ახალშენების თვითმმართველობის ხასიათზე არ შეეძლო მნიშვნელოვანი გავლენა არ მოეხდინა.

კოლხეთში ბერძნული ახალშენების თვითმმართველობის ხასიათის წარმოჩენის მიზნით, მეცნიერმა კოლხური თეთრის წვრილი ნომინალების – ნახევარდრაქმიანების საკითხი, მისთვის ჩვეული სიღრმით გააშუქა და იმ მნიშვნელოვან დასკვნამდე მივიდა, რომ ამ ნომინალების „დიდ ნაწილზე ქალაქის ან მაგისტრატის სახე-

ლის ნიშნის არარსებობა იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ ეს წვრილი ნომინალები, მართალია, იჭრებოდა ახალშენთა ან ერთი რომელიმე ახალშენის მიერ, მაგრამ, უმრავლეს შემთხვევაში მათზე სამეფო ხელისუფლების კონტროლითა და ზედამხედველობით. ეს შესაძლოა ერთგვარი კომპრომისი იყო, რომელიც სამეფო ხელისუფლებისა და ქალაქის თვითმმართველობას შორის დამყარდა, მათი ორმხრივი ეკონომიკური ინტერესების დამთხვევის საფუძველზე”.

ჰერაკლიდე პონტოელის მიერ არისტოტელეს „ფასისელთა პოლიტიის“ გადამუშავებული ფრაგმენტის ბოლო ნაწილის სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე, მერი ინაძემ შესანიშნავად შეძლო დაედგინა ამ წერილობითი ძეგლის რეალურ-ისტორიული შინაარსი და ეჩვენებინა, რომ ქალაქ ფასისის „პოლიტიაში“ ადგილობრივი და ბერძნული მოსახლეობის კანონების ურთიერთზემოქმედების შედეგია წარმოჩენილი. „ფასისელთა პოლიტია,“ ერთი მხრით, კოლონიზატორთა სავაჭრო-ეკონომიკურ ინტერესებს ითვალისწინებდა და მეორე მხრით, ადგილობრივ მოსახლეობაში მოქმედ, ე. წ. „სანაპირო კანონს“. მერი ინაძის თვალსაზრისი ფასისში თვითმმართველობის თავისებური ფორმის არსებობის შესახებ, ძველი კოლხეთის ისტორიის არაერთმა სპეციალისტმა გაიზიარა, მათ შორის ო. ლორთქიფანიძემ, ი. ბრაშინსკიმ, გ. ლორთქიფანიძემ და სხვებმა.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებულ არქეოლოგიურ კვლევა-ძიებათა შედეგად გამოვლენილმა მდიდარმა არქეოლოგიურმა რეალიებმა და წერილობითი წყაროების ანალიზმა საშუალება მისცა

მეცნიერს ღრმად ჩაეხედა ძველი კოლხეთის სავაჭრო ურთიერთობათა ისტორიაში. პრობლემის ყოველმხრივი შესწავლის მიზნით მერი ინაძემ, პირველმა ქართველ ისტორიკოსთა შორის, ამ ურთიერთობათა განვითარების საკუთარი ქრონოლოგია-პერიოდიზაცია შემოგვთავაზა. კოლხეთის სავაჭრო ურთიერთობათა პირველი ეტაპი წინაელღინისტურ ხანას (ძვ. წ. VI ს-დან ძვ. წ. IV ს-ის ბოლო მეოთხედამდე) მიაკუთვნა, მეორე – ელინისტურ ხანას (ძვ. წ. IV ს-ის ბოლო მეოთხედიდან ძვ. წ. I ს-ის მეორე ნახევრამდე) და მესამე – გვიანანტიკურ ხანას (ახ. წ. I-IV სს.). ყოველი ეტაპის გამონწვლილვითი კვლევის საფუძველზე ავტორმა კოლხეთის საგარეო და საშინაო ვაჭრობის ისტორიის შთამბეჭდავი სურათი აღადგინა და გვიჩვენა ყოველი ეტაპისათვის დამახასიათებელი ის თავისებურებანი, რომლებიც ქვეყნის შიგნით არსებული ეკონომიკური ვითარებითაც იყო განპირობებული და საერთაშორისო ბაზარზე შექმნილი მდგომარეობითაც.

თუკი დიდეს, სტრაბონისა და პლუტარქეს თხზულებებში ძუნნად გაბნეული ცნობების ანალიზისა და არქეოლოგიურ მასალასთან მათი შეჯერების გზით, მერი ინაძემ, ასევე პირველმა, გაამახვილა ყურადღება ძვ. წ. V ს-ის მეორე ნახევარში ათენთან კოლხეთის ქალაქების სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ისტორიაზე. ფართო ისტორიულ კონტექსტში ამ რთული პროცესის შესწავლამ მეცნიერი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ კოლხეთთან ათენის ურთიერთობების გაცხოველების მიზეზები საბერძნეთში მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოვლენებშია საძიებელი. ამ თვალსაზრი-



სით, მეცნიერმა დიდი მნიშვნელობა მიანიჭა პელოპონესის ომის წინარე და შემდეგ, ომის მსვლელობის წლებში, ათენის დაინტერესებას გემთსაშენი მასალით მდიდარი პონტოსპირეთისა და კოლხეთისადმი. მეცნიერმა ვერ გამოორიცხა ვარაუდი, რომ ძვ. წ. V ს-ის მეორე ნახევარში ოჩამჩირეში, ფიჭვნარსა და შესაძლოა, ეშერაშიც ბერძნული ახალშენების დაარსება, სწორედ ათენის თაოსნობით განხორციელდა, რამაც თავისი მხრით, კოლხეთის ქალაქების ეკონომიკური აყვავება და საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში მთელი კოლხეთის ფართო ჩართვა განაპირობა.

სარეცენზიო კრებულში წარმოდგენილ სამეცნიერო წერილებში საქართველოს ძველი ისტორიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა შესწავლილი. საქმე სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ელინიზმის გავლენისა და ელინისტური კულტურის გავრცელების საკითხთა ფართო წრეს ეხება. საქართველოს, სომხეთისა და ძველი ალბანეთის ტერიტორიაზე მოძიებული ახალი არქეოლოგიური მასალისა და ნუმისმატიკური მონაცემების გათვალისწინებით, სელევკიდური სირიისა და პონტოს სამეფოში მიმდინარე ელინიზაციის შეუქცევადი პროცესის კონტექსტში, მერი ინაძემ აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით არაერთი ახალი მოსაზრება გამოთქვა. მეცნიერის თანახმად, საქართველოში, სომხეთსა და ძველ ალბანეთში ელინიზმის გავლენა, უპირველეს ყოვლისა, ამ ქვეყნების ეკონომიკაზე აისახა, რამაც სავაჭრო ურთიერთობების გაცხოველებაზე არსებითი გავლენა მოახდინა. სამხრეთ კავკასიის ქვეყნები, მათზე გამავალი საერთაშორისო მაგისტრალებით, სა-



ერთაშორისო ეკონომიკურ პროცესებში აქტიურად ჩაბმული აღმოჩნდნენ. ჩვენი იუბილარის თვალსაზრისით, ელინისტურ სამყაროსთან მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებას შედეგად, სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებისა და საქალაქო ცხოვრების აღმავლობა მოჰყვა, რაც თავისი მხრით, ელინისტური კულტურის ფართო გავრცელების უმნიშვნელოვანესი წინაპირობა გახდა.

ჩატარებული შრომატევადი კვლევა-ძიებათა შედეგად, მეცნიერმა ისიც ივარაუდა, რომ ადრეელინისტურ ხანაში ელინისტური კულტურის ნაკადი კოლხეთსა და იბერიაში მდინარეების კიროს (მტკვრისა) და ფაზისის გზით უნდა შემოსულიყო, ისევე როგორც სელევკიდების სირიიდანაც, რომელთანაც, წერილობითი წყაროების მოწმობით, იბერიასაც და სომხეთსაც საკმაოდ მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირ-ურთიერთობები გააჩნდა.

სარეცენზიო კრებულის დანართი მერი ინაძის მიერ 1955, 1989 და 1992 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომებს შეგვახსენებს. პირველი ახ. წ. II ს-ის პირველ ნახევარში იბერიისა და რომის ურთიერთობების ისტორიის ავტორისეულ ახალ ხედვას გვაცნობს, მეორე - „ფარნავაზის სიზმრის“ კონტექსტში ეგრისისა და ქართლის ურთიერთობათა ისტორიის რეკონსტრუქციას გვთავაზობს, მესამე - ძველი აფხაზეთის ეთნოპოლიტიკური ისტორიის საკითხებს გვაზიარებს. სამივე სამეცნიერო წერილი სხვადასხვაენოვანი პირველწყაროთა სიღრმისეული ანალიზით, განსახილველი საკითხებისადმი ახალი მიდგომითა და ჩატარებული შრომატევადი კვლევა-ძიება-

თა შედეგად მიღებული ღირებული დასკვნებით ხასიათდება.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, 2009 წელს გამოქვეყნებულ კრებულს: „ძველი კოლხეთის ისტორიის საკითხები“ მერი ინაძის ნაშრომთა ბიბლიოგრაფია აგვირგვინებს, რომელიც საშუალებას გვაძლევს კიდევ ერთხელ გადავაგლოთ თვალი მეცნიერის მიერ 1955 წლიდან დღემდე შექმნილ, სამეცნიერო ურთულესი კვლევა-ძიებებით, ახალი კონცეფციებითა და ჰიპოთეზებით აღსავსე, სამეცნიერო მემკვიდრეობას, რომელმაც ქართულ ისტორიოგრაფიაში საპატიო ადგილი დიდი ხანია დაიმკვიდრა.

და ბოლოს, არ შემოძლია ხაზგასმით არ აღვნიშნო, რომ მერი ინაძის ნააზრევთან ხელახალმა შეხებამ უდიდესი სიხარული მომანიჭა. სარეცენზიო კრებულში კიდევ ერთხელ გაცხადდა, რომ ჩვენი იუბილარის სახით კოლხეთის ძველი ისტორიისა და კულტურის ურთულეს პრობლემებს ღვთითმონიჭებული ნიჭით, ორიგინალური ხედვითა და ხელწერით დაჯილდოვებული, სრულიად გამორჩეული მკვლევარი ჰყავს. მერი ინაძის სამეცნიერო სტატიათა „კრებულის“ მომავალი მკითხველი მინდა დავარწმუნო, რომ მას მეცნიერის კალმით, უმაღლესი პროფესიონალიზმით ამეტყველებულ ძველი კოლხეთის სამყაროსთან დაუფინყარი შეხვედრა ელოდება.

2009 წლის ვარდობისთვე.

**ვალერი სილოგავა – ექვთიმე თაყაიშვილის  
სახელობის პრემიის პირველი ლაურეატი**



სულმნათი ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ პირველად გამოცხადებულ კონკურსში ქართული ეპიგრაფიკის ცნობილმა ამაგდარმა მკვლევარმა ვალერი სილოგავამ გაიმარჯვა.

ყოველი ქართველისათვის განსაკუთრებით საპატიო ამ ჯილდოს მოსაპოვებლად ვალერი სილოგავას ფუნდამენტური გამოკვლევა: „სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა“, თბილისი, 2006, 372 გვ., ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საზოგადოების გამგეობამ წარადგინა. ნაშრომი საქართველოს ორი ძირძველი მხარის - სამეგრელოს და აფხაზეთის IX-XIX სს-ის ქართული წარწერების გამონვლილვით შესწავლას ეძღვნება. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ეს პირველი სამეცნიერო ნაშრომია, სადაც სამეგრელოს და აფხაზეთის ეპიგრაფიკული ძეგლები ერთადაა თავმოყრილი და არა მხოლოდ ურთიერთკავშირშია შესწავლილი, არამედ საქართველოს ისტორიულ სხვა მხარეების ანალოგიურ ძეგლებთან მიმართებაში. მონოგრაფიას გამორჩეულ მნიშვნელობას ისიც ანიჭებს, რომ ავტორის მიერ წარმოდგენილი ეპიგრაფიკული ძეგლების დიდი ნაწილი მის მიერვე მოძიებული აფხაზეთსა და სამეგრელოში, მის მიერვე სხვადასხვა დროს ჩატარებული სამეცნიერო ექსპედიციების დროს, ხოლო ქართული დამწერლობის ადრევე ცნობილი ნიმუშები გადამონმებული და ახლებურადაა ინტერპრეტირებული. ხაზგასმით ისიც უნ-

და აღინიშნოს, რომ ქართული ეპიგრაფიკის ამ უნიკალურ კორპუსში მასალა ამ ხასიათის წერილობით ძეგლების გამოცემის თანამედროვე მიღწევათა და მოთხოვნათა შესაბამისადაა მოწოდებული.

„სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა“ ოთხი ნაწილისაგან შედგება: I ჭყონდიდის ტაძრის ეპიგრაფიკა; II ლიხნის ტაძრის ეპიგრაფიკა; III წარწერები ლიხნის განძის ქართულ მონეტებზე; IV აფხაზეთის ლაპიდარული და ჭედური წარწერები. მონოგრაფიის პირველი ნაწილი – ლიხნის ტაძრის ლაპიდარულ წარწერებსა და გრაფიტოებს (ნაკანრ წარწერებს) გვაცნობს. მას ვრცელი შესავალი წერილი უძღვის (სარეცენზიო ნაშრომი, გვ. 11-48), სადაც ამ ეპიგრაფიკულ ძეგლებთან დაკავშირებული წყაროთმცოდნეობითი საკითხებია განხილული: საუბარია ადგილისა და ტაძრის აღმნიშვნელი სახელწოდება „ჭყონდიდის“ გენეზისზე, ტაძრის ხუროთმოძღვრების თავისებურებებზე, ჭყონდიდზე როგორც ეპარქიის ცენტრზე, ჭყონდიდზე - ძველი ქართული მწერლობის ცენტრზე, ტაძრის გრაფიტოებზე, იოვანე დოყოხელის წარწერებზე, ტერმინ „გვედია-გვედონზე“, XVIII-XIX სს-ის დასავლეთ საქართველოში არსებულ კონფესიურ სიტუაციაზე, თუალეშუქის წარწერებზე...

ყველა ეს, საქართველოს ისტორიისათვის უაღრესად საყურადღებო საკითხი საისტორიო პირველწყაროების - „ქართლის ცხოვრების“, ქართულ ხელნაწერთა ანდერძ-მოსახსენებლების, ეპიგრაფიკული სხვა ძეგ-

ლების მოხმობისა და კრიტიკული შესწავლის შესრულების  
დამაჯერებლად წარმოჩენილი\*

სარეცენზიო მონოგრაფიის I ნაწილში ზემოაღნიშნულთან ერთად ჭყონდიდის ტაძრის სადღეისოდ ცნობილი ცხრავე ლაპიდარული წარწერის სამეცნიერო მალალ დონეზე შესრულებულ პუბლიკაციას ვეცნობით. კერძოდ, ტექსტების დანვრილებით აღწერილობას, სრულ ბიბლიოგრაფიას. ასეთივე სანიმუშო წესითაა შესრულებული ტაძრის X-XVII სს-ის გრაფიტოების (83 ერთეულის) პუბლიკაციები (სარეცენზიო ნაშრომი, გვ. 63-162), რომლებიც ავტორის მიერვე შესრულებული ასლების თანხლებით სამეცნიერო მიმოქცევაში პირველად შემოდის. აქვე იმასაც დავძენ, რომ ნაკანრი წარწერები მნიშვნელოვან ინფორმაციას გვანვდის მხედრული დამწერლობის და, განსაკუთრებით, XI-XIII სს-ის ე. წ. გარდამავალი მხედრულის შესასწავლად.

\* აქვე დავძენ: ვალერი სილოგავას სამეგრელოს ქართულ ეპიგრაფიკაზე ნაყოფიერი მუშაობა არც სარეცენზიო მონოგრაფიის გამოქვეყნების შემდეგ შეუწყვეტია. მეცნიერის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან, მაშინ ჯერ კიდევ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში, ანდერძ-მოსახსენებლების ახლებური ნაკითხვისა და ინტერპრეტაციის საფუძველზე შესძლო გამოველინა XI-XII სს-ის საქართველოს გამოჩენილი სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწის, დავით აღმაშენებლის თანამებრძოლის – გიორგი ჭყონდიდელის შეკვეთით დამზადებული და, სავარაუდოდ, მის მიერვე იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრისათვის შეწირული ორი დიდი ხელნაწერი – იოვანე ოქროპირის „მათეს თავის სახარების თარგმანების“ ევფთიმე მთაწმინდელისეული თარგმანი. ეს საყურადღებო გამოკვლევა 2006 წელს შოთა მესხიას დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში გამოქვეყნდა. არანაკლებ ღირებული აღმოჩნდა ვალერი სილოგავას მიერ ბათუმში, ენათმეცნიერების პრობლემატიკისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე ნაკითხული მოხსენებაც, თემაზე: „ორი მეგრული სიტყვა XI ს-ის ქართულ წარწერებში (1. დოყოწილი, 2. კორობა)“.

ნიგნის პირველივე ნაწილში, დამატების სახით, ნოქალაქევის ქვეყნის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლისადმი მიძღვნილი ნარკვევიცაა წარმოდგენილი (სარეცენზიო ნაშრომი გვ. 163-187), რომელიც ჯერ კიდევ 1993 წელს კრებულში: „ნოქალაქევი-არქეოპოლისი“ გამოქვეყნდა და სპეციალისტთა მაღალი შეფასება მაშინვე დაიმსახურა. ამ ნარკვევში პირველად ვეზიარეთ X-XVI სს-ით დათარიღებულ იმ ეპიგრაფიკულ ძეგლებს, რომლებიც ნოქალაქევში პ. ზაქარაიას ხელმძღვანელობით ჩატარებული არქეოლოგიურ კვლევა-ძიებათა შედეგად იყო აღმოჩენილი. წარწერებმა ახალი შუქი მოჰფინეს „ნოქალაქევის ქვეყნის“ წარსულის ისეთ საკითხებს, როგორცაა: ორმოცი მონამის ეკლესიის მოხატულობის ფრაგმენტების თარიღი, ნოქალაქევის რვა აფსიდიანი ტაძრის გუმბათის XI ს-ის წარწერის თარიღი, შხეფის წარწერასთან დაკავშირებული პროსოპოგრაფიული საკითხები და სხვა.

სარეცენზიო მონოგრაფიის II ნაწილი - „ლიხნის ტაძრის ეპიგრაფიკა“ - ჯერ ამ ტაძრის ისტორიული შინაარსის ფრესკული წარწერების სკრუპულოზურ ანალიზს ეთმობა, ხოლო შემდეგ ეპიგრაფიკის ნიმუშების იმ ფრაგმენტების შესწავლას, რომლებიც ტაძრის ქორედის კედლებზეა შემორჩენილი. ლიხნის ტაძრის 4 წარწერის ვალერი სილოგავასეული პუბლიკაციები განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. აქვე დავძენ: ეს წერილობითი ძეგლები ჯერ კიდევ მარი ბროსეს მოღვაწეობის დროიდან იყო ცნობილი (1851 წ.). ვალერი სილოგავას უდიდესი დამსახურება ისაა, რომ მან ოთხივე წარწერა ასლებისა და ფოტოსურათების თანხლე-

ბით, ცალ-ცალკე შეისწავლა და სრულად წარმოაჩინა ასომთავრულითა და გარდამავალი მხედრული დამწერლობით შესრულებული ამ წერილობითი ძეგლების ისტორიული, წყაროთმცოდნეობითი და პალეოგრაფიული ღირებულება, არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ბიზანტიის წყაროთმცოდნეობისა და ისტორიისათვის (ამ წარწერათაგან ერთ-ერთის ასლი სარეცენზიო წიგნის გარეკანზეა განთავსებული).

სარეცენზიო მონოგრაფიაში ლიხნის ტაძრის ეპიგრაფიკის ყველა ნამუშევარია შესწავლილი: 1. შარავანდედიანი ვარსკვლავის (კომეტის) გამოჩენის წარწერა (1066წ.); 2. პეტრიკოპულის წარწერა (XI ს.); 3. მეფე გიორგი კურაპალატის განმადიდებელი წარწერა (1072/1073 წწ.); 4. ვაჩე პროტოსპათორისა და იპოსტასის და პეტრიკ პატრიკისა და მნიგნობართუხუცესის წარწერა (XI ს-ის შუახანები). ქართული ეპიგრაფიკის ამ ძეგლების მნიშვნელობის წარმოსაჩენად საკმარისია აღინიშნოს თუნდაც ის, რომ პეტრიკ პატრიკი, მეფე ბაგრატ IV-ის წარმომადგენელი ბიზანტიის საიმპერატორო კარზე, ბაგრატ IV-ის ასულ მარიამ დედოფალთან დაახლოებული პირი იყო, ხოლო თავად მარიამი ბიზანტიის იმპერატორების ჯერ მიხეილ VII-ის (1071-1078წწ.), ხოლო შემდეგ ნიკიფორე III-ის თანამეცხედრე და მაშასადამე, ბიზანტიის იმპერატრიცა გახლდათ და საკმაოდ დიდ როლს ასრულებდა XI ს-ის ბოლო მესამედის ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. როგორც მათი ბიზანტიური მაღალი რანგის საკარისკაცო ტიტულები მოწმობენ, დიდი უნდა ყოფილიყო ლიხნის წარწერისეული პეტრიკ პატრიკისა და მისი დისწულის ვაჩე პროტოსპათორისა



და იპოსტასის გავლენაც. რაც შეეხება ლიხნის წარწერაში სახელის გარეშე მოხსენიებულ ჭყონდიდელ მთავარეპისკოპოსს, იგი, ვალერი სილოგავას მართებული თვალსაზრისით, იოანე ჭყონდიდელი უნდა იყოს, გიორგი მთანმინდელთან და ბაგრატ IV-სთან დიდად დაახლოებული პირი. (მისასაღმებელია, რომ სარეცენზიო ნაშრომის ეს ნაწილი 2007 წ. მოსკოვში წმ. ტიხონის სახელობის ჰუმანიტარული მართალმადიდებელი უნივერსიტეტის შრომების XVII ტომში, რუსულ ენაზე, სრული სახით გამოქვეყნდა).

სარეცენზიო ნაშრომის III ნაწილში, პირველად ქართულ მეცნიერებაში საგანგებოდაა შესწავლილი ძველი ქართული მონეტების ეპიგრაფიკა. ერთმნიშვნელოვნად უნდა აღინიშნოს, რომ მონეტების წარწერები ვალერი სილოგავას მიერ სანიმუშოდაა შესწავლილი. ამ ხასიათის მომავალი კვლევა-ძიებისათვის ნაშრომის ეს ნაწილი მყარ საფუძველს ქმნის. კერძოდ, განხილულია ბაგრატ IV-ისა და გიორგი II-ის მონეტების ზედწერილები, დაზუსტებულია ტექსტები, მონეტები კლასიფიცირებულია მეფეთა ნოველისიმოსისა და სევასტოსის ბიზანტიური ტიტულების გათვალისწინებით. წიგნის ამ ნაწილის ორ დამატებაში წყაროთმცოდნეობითი ანალიზის საფუძველზე საგანგებოდაა შესწავლილი გიორგი II-სა და დავით აღმაშენებლის მონეტების წარწერები, რომლებშიც პირველი კესაროსის, ხოლო მეორე – სევასტოსის ტიტულებითაა შემკული.

ქართული ეპიგრაფიკის ძეგლების ჯგუფში ლიხნის განძის მონეტების წარწერების შემოტანას, როგორც ეს სარეცენზიო მონოგრაფიის შესავალშიცაა აღნიშნული,



მხოლოდ წმინდა წყაროთმცოდნეობითი დანიშნულებას როდი გააჩნია. ეს მონეტები კიდევ ერთხელ, ერთმნიშვნელოვნად ადასტურებენ, რომ შუა საუკუნეების აფხაზეთი, ისევე როგორც საქართველოს დანარჩენი მხარეები ქართული სახელმწიფოს ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა.

სარეცენზიო წიგნის IV ნაწილი აფხაზეთის ტერიტორიაზე სადღეისოდ ცნობილ ლაპიდარულ (ქვაზე შესრულებულ) და ჭედურ ქრისტიანულ ხატებზე მოთავსებული წარწერების შესწავლას ეთმობა. პირველ ჯგუფად ავტორის მიერ გამოყოფილი წარწერების (32 ერთეული) ქრონოლოგიური საზღვრები IX-XIX სს-ში თავსდება. აქ ქართული ეპიგრაფიკის ისეთი ბრწყინვალე ნიმუშების პუბლიკაციებია წარმოდგენილი, როგორცაა: მსიგხუას, ანუხვის, ბესლეთის ხიდის, წებელდის კანკელის, ილორის, ხუაფის, მოქვის, ბედის და სხვა წარწერები. საგანგებო ყურადღებას იმსახურებს აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის – მიხეილ შერვაშიძისა და მისი მეუღლის ალექსანდრას 1862 და 1866 წლით დათარიღებული ეპიტაფიები, რომლებიც სხვა ამდროინდელი ანალოგიური ძეგლებიდან განსხვავებით, მხოლოდ ქართული ასომთავრულითაა შესრულებული და მისი შესაბამისი რუსული თარგმანი არ ახლავს. ეს არამცირე მნიშვნელობის ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს აფხაზეთის სამთავრო სახლის მრავალსაუკუნოვან ქართულ ორიენტაციას და ქართულ კულტურასთან წილნაყარობას.

მონოგრაფიას დართული აქვს სკრუპულოზურად შედგენილი სამეცნიერო-საცნობარო აპარატისათვის

აუცილებელი ყველა ატრიბუტი: ბიბლიოგრაფია, სხვა დასხვა ხასიათის საძიებლები...

თუ ყოველივე ზემოაღნიშნულს ერთობლიობაში გავიაზრებთ, იმ მართებულ დასკვნამდე მივალთ, რომ ვალერი სილოგავას მონოგრაფია: „სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა“, თბილისი, 2006, 372 გვ., ფუნდამენტური მონოგრაფიული გამოკვლევაა, ახალი სიტყვაა ქართულ ჰუმანიტარულ მეცნიერებაში და ამდენად, ჩვენი საზოგადოების განსაკუთრებული ღირებულების შენაძენია. ვულოცავ ვალერი სილოგავას ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის პრემიის მინიჭებას და ვიმედოვნებ, რომ იგი კვლავაც მისთვის ჩვეული შემართებითა და მაღალი პროფესიონალიზმით განაგრძობს მოღვაწეობას და ქართული ეპიგრაფიკული უმდიდრესი მემკვიდრეობის კიდევ არაერთ ნიმუშს აამეტყველებს.

2009 წელი

**შინაარსი**  
**CONTENTS**  
**СОДЕРЖАНИЕ**

წინათქმა .....	7
<b>წყაროთმცოდნეობითი ძიებანი</b>	
<b>RESEARCHES CONCERNING SOURCE STUDY</b>	
<b>ИСТОЧНИКОВЕДЧЕСКИЕ ИЗЫСКАНИЯ</b>	
მზის ღვთაების აღმნიშვნელი ლუვიური იეროგლიფები	
LUVIAN HIEROGLYPHS DENOTING THE SOLAR DEITY .....	11
ქასქების (ქაშქების) ონომასტიკონის ისტორიისათვის	
(BULLETIN OF THE AGIBAS. AMERICAN-GEORGIAN	
INSTITUTE OF BIBLICAL AND ARCHAEOLOGICAL STUDIES,	
TBILISI, 2006-2007, p.11-13) .....	40
მასალები სამეფო ხელისუფლების ისტორიისათვის	
ძველ ფრიგიაში	
THE MATERIALS FOR THE HISTORY OF THE AUTHORITY	
THE KING IN OLD PHRYGIA (კრებულში: მარიამ	
ლორთქიფანიძე – 85, თბილისი, 2007, გვ. 451-458) .....	50
მეფის ინსტიტუტი ლიდიაში	
ИНСТИТУТ ЦАРЯ В ЛИДИИ	
INSTITUTION OF KING IN LYDIA (ანალები, თბილისი, 2007,	
გვ. 19-36) .....	66
ЮЖНЫЙ КАВКАЗ И ДРЕВНИЙ ВОСТОК (ЕЛЕКТРОННАЯ ВЕРСИЯ	
НА САЙТЕ БИБЛИОТЕКА ЯКОВА КРОТОВА, 2008Г.	
<a href="http://www.krotov.info/libsec./04-g/ruz/ia-13.htm">http://www.krotov.info/libsec./04-g/ruz/ia-13.htm</a> ).....	88
TERMS DESIGNATING GEORGIA THE GEORGIANS AND	
LATIN PILGRIMS (D. BAAZOV MUSEUM OF HISTORY	
AND ETHNOGRAPHY OF JEWS OF GEORGIA, WORKS, IV,	
TBILISI, 2006, p. 324-333) .....	107
<b>ისტორიოგრაფიული ძიებანი</b>	
<b>HISTORIOGRAPHIC STUDIES</b>	
<b>ИСТОРИОГРАФИЧЕСКИЕ ИЗЫСКАНИЯ</b>	

გიორგი მელიქიშვილი – 90 (გიორგი მელიქიშვილი – 90) ბიობიბლიოგრაფია, თბილისი, 2008, 66გვ).....	123
გრიგოლ გიორგაძე – 80.....	192
ედუარდ მენაბდე - 80.....	207
დავით ხახუტაიშვილი – 85 (დავით ხახუტაიშვილი – 85, შრომები, II, ბათუმი, 2009, გვ. 6-17) .....	220
დევი ბერძენიშვილი – ჯავახეთის საისტორიო გეოგრაფიის პრობლემების მკვლევარი .....	239

**რეცენზიები**

**REVIEWS**

**РЕЦЕНЗИИ**

მერი ინაძე – ძველი კოლხეთის ისტორიისა და კულტურის თვალსაჩინო მკვლევარი (ანალები, თბილისი, 2009, გვ. 375-386).....	251
ვალერი სილოგავა – ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის პრემიის პირველი ლაურეატი .....	266

12g.

n1/701



*[Faint, illegible text, likely bleed-through from the reverse side of the page]*



**გამომცემლობა „უნივერსალი“**

თბილისი, 0179, ი. ჯანაშიას ბაზ. 19, ტ: 22 36 09, 8(99) 17 22 30

E-mail: universal@Internet.ge

274.509

3

0000000000  
0000000000

ISBN 978-9941-12-919-3



9 789941 129193